www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 14 ივნისი, 2003 წელი. №161 (373)

ფასი 50 თეთრი

## კულუარები

### მორიგი პროექტი ახალი ინტრიგით

ამ პროექტში ერთი ინტრიგაც არის ჩადებული, რამაც, როგორც სახელისუფლებო ბლოკის წევრები აცხადებენ, ოპოზიციას დათმობისკენ უნდა უბიძგოს. საქმე ის არის, რომ ამ ახალი მოდელის თანახმად, თბილისში საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება.

A2

## ეკონომიკა

### დონორები ხელისუფლებას შეთანხმებულად მოქმედებას დაჟინებით ურჩევენ

ივლისის დასაწყისში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო პრეზიდენტს განსახილველად "სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის" დოკუმენტს წარუდგენს. გუშინ ამ დოკუმენტის პრეზენტაცია-განხილვა გაიმართა.

A4

## უცხოეთი

### ევროკავშირის კონსტიტუციის თაობაზე კონსენსუსს მიაღწიეს

როგორც ჩანს, ევროპის საკონსტიტუციო კონვენტმა კონსენსუსს მაინც მიაღწია ევროკავშირის მართვის მომავალი მოდელის თაობაზე იმ დროისათვის, როდესაც გაერთიანება გაფართოვდება და წევრი სახელმწიფოების რიცხვი 25-ს მიაღწევს.

A5

## საზოგადოება

### გასროლა ეროვნულ სამედიცინო ცენტრში

12 ივნისის საღამოს აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრის სამეანო განყოფილებაში სროლის ხმა გაისმა. ეს იყო განყოფილების გამგის, ზაზა სინაურიძის მიერ კარგად შენჯღრეული შამპანურის ბოთლის საცობი, რომელიც ახლადგარემონტებულ ჭერს მოხვდა.

A6

## სამართალი

### ჩეჩნეთში თავმოკვეთილი ბრიტანელების ნათესავებმა სასამართლო პროცესი მოიგეს

დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა სასამართლომ სამართლიანად ცნო იმ სამი ინჟინრის ოჯახის წევრების სარჩელი, რომლებიც 1998 წელს ჩეჩნეთში გაიტაცეს, დახოცეს და თავები მოკვეთეს.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 30 |
| ქუთაისი | 27 |
| ბათუმი | 28 |
| სოხუმი | 28 |
| ფოთი | 25 |
| თელავი | 30 |
| ზუგდიდი | 27 |
| გორი | 28 |
| სამტრედია | 31 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.5399 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.6105 |
| რუბლი | 0.0706 |

# ევროსაბჭო პოლიტიკური პარტიების დაფინანსების „გათეთრებას" ითხოვს

*არჩევნების წელიწადი მძიმე წელიწადია. არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვითაც. როგორც წესი, ხელფას-პენსიების დასარიგებლად საკმარისი ფული, ჩვეულებისამებრ, არ არის ხოლმე, მაგრამ პოლიტიკური ორგანიზაციები პლაკატ-კლიპების ფულს ყოველთვის შოულობენ. თუმცა, საბოლოო ჯამში, მაინც აღმოჩნდება, რომ პარტიებს წინასაარჩევნო პერიოდში, დიდი-დიდი, 50 ათასი თუ აქვთ დახარჯული...*

თამარ ხორბალაძე
ლელა მჭედლიძე

**"საქართველოში მოქმედი პოლიტიკური გაერთიანებები დღეს ორმაგი ბუღალტერიის პრინციპით მუშაობენ. პოლიტიკური ძალა სარგებლობს საბიუჯეტო თანხებით საარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, საამისოდ იყენებს სახელმწიფო ტრანსპორტს და შენობებს. სახელმწიფო ტელევიზია მხოლოდ სახელისუფლებო ბლოკის**

გაგრძელება A3 გვერდზე

# გაერო-ს ტყვედყოფილი დამკვირვებლები დაიკითხებიან

ვერიკო თევზაძე

*კოდორში გატაცებული გაერო-ს დამკვირვებლები დაიკითხებიან. გამტაცებლები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან. რაც შეეხება ედპ-ს ლიდერის, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებას - ჩეჩნების მიერ ზაფხულში საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის თაობაზე, უშიშროების მინისტრი ასეთ კომენტარს იძლევა: "ქალბატონმა ირინამ გაავრცელა ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის არის ცნობილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ინფორმაცია დასტურდება ან არ დასტურდება..." ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებს გუშინ კანცელარიაში კიდევ ერთი დახურული თათბირი და, ამის შემდგომ, ბრიფინგი მიეძღვნა. უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ და ძალოვანი სტრუქტურების პირველმა პირებმა ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს.*

გაგრძელება A2 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ძალოვანი სტრუქტურები უსაფრთხოების გარანტიას იძლევიან, აღდგომა და ხვალეო.*

# ...სამაგიეროდ, იცოცხლებს ატიკუს ფინჩი, მობი დიკი, ჯო ბრედლი...

გუშინ საღამოს ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი გრეგორი პეკის დაკრძალვის დეტალები. მთელი დღის განმავლობაში კი, ამერიკული კინოს კერპის გარდაცვალების გამო, სინანულს გამოთქვამდნენ ცნობილი ადამიანები.

1998 წელს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნას ხანდაზმული, მაგრამ მაინც ძალიან სიმპათიური გრეგორი პეკი თავის ფრანგ მეუღლესთან, ყოფილ ჟურნალისტ ვერონიკ პასანისთან ერთად დაესწრო. პარიზში წყვილი თავად ჟაკ შირაკმა მიიწვია. გუშინ დამწუხრებული პრეზიდენტი ამბობდა: "გრეგორი პეკი იყო არა მხოლოდ ამერიკული კინოს დიდი წარმომადგენელი, არამედ კაცი გამორჩეულად დიდი კულტურით, დიდი გულით. ის ზრუნავდა ადამიანებზე და აწუხებდა მთელი მსოფლიოს ბედი".

გაგრძელება B7 გვერდზე



*გრეგორი პეკი ფილმში "ნუ მოკლავ ჯაფარას".*

# გატაცებაში ექვმიტანილები დაზარალებულებმა აწამეს

### გოგა ჩხეიძის გატაცებას მის სიმამრს აბრალებენ

*ორი დღის წინ პოლიცია იტყობინებოდა, რომ 15 მაისს ბაღდადში გატაცებული გოგა ჩხეიძის გამტაცებელთა ორკაციანი ბანდიტური ჯგუფი დააკავა და მათ წინააღმდეგ მტკიცებულებებიც მოიპოვა. მართალია, სამართალდამცველები, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გატაცების დეტალებზე არ საუბრობდნენ, მაგრამ დაკავებულთა ვინაობა იმთავითვე გაამხილეს – ერთ-ერთი გამტაცებელი ე.წ. კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი, ავთანდილ კერვალიშვილია – "ნიკელა", ხოლო მეორე, ახალბედა დამნაშავე - იაკობ ხიტიბაშვილი. დღეს უკვე ორივე ადამიანის გატაცებაშია ბრალდებული და სამი თვით წინასწარი პატიმრობაც აქვთ შეფარდებული. მაგრამ...*

თამარ კაციტაძე

გაზეთ "24 საათის" რედაქციაში იაკობ ხიტიბაშვილის მეუღლე, მარინე ხიტიბაშვილი მოვიდა. მისი ნაამბობის თანახმად, ამჟამად ქუთაისის საპყრობილეში მყოფ იაკობ ხიტიბაშვილს დაკავებამდე ორიოდე დღით ადრე ექიმებმა ასეთი დიაგნოზი დაუსვეს – "ქალა-ტვინის დახურული ტრამვა (სავარაუდოდ, თავში აქვს ჰემატომა), ტვინის შერყევა; ტრამვა მიყენებული აქვს თავის, გულ-მკერდის და წელის არეში, სიარულის დროს წონასწორობა დარღვეული, მომენტებში აღენიშნება გონების დაკარგვა, კბილების (შვიდი კბილი აქვს ჩამტვრეული)

გაგრძელება A7 გვერდზე

# ტოტალიზატორები სალაროების გაუქმებით იმუქრებიან

სოფო კვინტრაძე

გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტი მომავალ სასესიო კვირას პარლამენტის წინაშე ინიციატივით წარსდგება. როგორც კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე აცხადებს, საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანაა საჭირო, რომლის თანახმადაც გლეხებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის დავალიანებების ჩამოწერა შესაძლებელი გახდება. კომიტეტის ინფორმაციით, დღეისათვის ბიუჯეტისადმი დავალიანება 80 მილიონ ლარს შეადგენს, აქედან ნახევარი არის ძირითადი გადასახადი, ხოლო ნახევარი კი - სანქცია-საურავები. დავით სალარიძემ საგანგებოდ განმარტა, რომ ვალების ჩამოწერა მხოლოდ იმ გლეხებს შეეხებათ, რომლებმაც რეფორმის შემდეგ სახელმწიფოსგან მიიღეს მიწები, და არა მოიჯარეებს. ამასთან, კო-

გაგრძელება A4 გვერდზე

# ბალუაშვილის დანიშვნის გამო პროტესტი ძლიერდება

ვერიკო თევზაძე

*ყოფილი პოლიტპატიმრები, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები უერთდებიან "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" პროტესტს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პოსტზე ყოფილი გენპროკურორის მოადგილის, ანზორ ბალუაშვილის დანიშვნის გამო და სპეციალურ მიმართვას უგზავნიან გაერო-ს, ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციას, ევროპარლამენტს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს, ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციას "ემნისტი ინტერნეიშნლ"-ს, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს და მასმედიას.*

მიმართვაში გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება მომხდართან დაკავშირებით და ეს ფაქტი შეფასებულია, როგორც ხელისუფლების მიერ უკან გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიის მშენებლობის გზაზე.

**"1993 წელს საერთაშორისო ორგანიზაცია "Human Rights Wach helsinki"-მ დააფიქსირა ფაქტი, როდესაც ანზორ ბალუაშვილი აწამებდა პატიმარს, რომელმაც გულის მძიმე ოპერაცია გადაიტანა;**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ნატო ახალი მისიებისთვის ემზადება

შოთა უტიაშვილი

ნატო-მ წარმატებით შეასრულა თავისი ძირითადი მისია – დასავლეთ ევროპის კომუნისტებისაგან დაცვა და, უკვე დროა, მან ახალი მიზნები დაისახოს, – ასეთი იყო ბრიუსელში გამართული ნატო-ს თავდაცვის მინისტრების საბჭოს მთავარი თემა.

იმ დრომ, როდესაც ევროპას საბჭოთა დივიზიები ემუქრებოდნენ, სამუდამოდ ჩაიარა. ევროპას ტერიტორიული დაცვა აღარ სჭირდება, ახალი საფრთხეები ტერორისტებისაგან, არშემდგარი სახელმწიფოებისაგან, ურჩი ქვეყნებისაგან მოდის, რომლებიც ევროპისაგან საკმაოდ შორს არიან. მათთან ბრძოლას კი სრულიად განსხვავებული ჯარები და სამეთაურო სტრუქტურა სჭირდება.

ცვლილებებისათვის მზადების შესახებ გადაწყვეტილება ნატო-მ ჯერ კიდევ პრაღის სამიტზე მიიღო, ბრიუსელში კი კონკრეტულად განიხილეს, რა და როგორ უნდა გაკეთდეს.

დღემდე ნატო-ს ორი სარდლობა ჰყავდა: ევროპული და ატლანტიკური. მინისტრების გადაწყვეტილებით, ატლანტიკური სარდლობა გაუქმდება და მის ადგილას შეიქმნება სპეციალური სამხედრო შტაბი, რომელიც ტრანსფორმაციის საკითხებზე იმუშავებს.

40 პროცენტით მცირდება ნატო-ს სამხედრო ბაზების რაოდენობა. მომავალი სამხედრო კონფლიქტების არეალად ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთ აზია განიხილება, ამ რეგიონებში ომების შედეგზე კი დასავლეთ ევროპაში დისლოცირებულ ჯარისკაცთა რაოდენობა გავლენას ვერ იქონიებს.

შემცირებასთან ერთად, გადაწყდა შეიქმნას უფრო მობილური შენაერთები, რომელთა გადასროლაც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში იქნება შესაძლებელი. მინისტრებმა განაცხადეს, რომ უკვე ოქტომბერში ნატო-ს მზად ეყოლება სწრაფი რეაგირების კორპუსი, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გადასროლისათვის მზად იქნება.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ავტომობილი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 სტილი | B8 სხვადასხვა

## კულუარები

# მორიგი პროექტი ახალი ინტრიგით

სახელისუფლებო ბლოკში საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების მორიგი პროექტი შემუშავდა. ბლოკის ლიდერთა მტკიცებით, **"იგი მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს ოპოზიციონერთა მადას და თუკი მოლაპარაკებები პოზიციასა და ოპოზიციას შორის წარმატებით დასრულდა, პარლამენტში საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებულ ბატალიებს ბოლო მოეღება და პარლამენტი მუშაობის ნორმალურ რეჟიმს დაუბრუნდება".**

როგორც ჩანს, "მოქკავშირი" გარკვეულ დათმობებზე წასვლას მაინც აპირებს. სხვა საქმეა, რამდენად მისაღები იქნება ეს პროექტი თავად ოპოზიციური პარტიებისათვის. მათი მტკიცებით, საარჩევნო ადმინისტრაციებთან დაკავშირებით, ისინი ხელისუფლებასთან ვაჭრობებსა და გარიგებებს არ აპირებენ და საარჩევნო კომისიების პარიტეტული წესით დაკომპლექტებას ცალსახად მოითხოვენ.

რაც შეეხება თავად ახალ მოდელს. ჩვენი ინფორმაციით, იგი ასე გამოიყურება:

15-კაციან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ორ-ორ წევრს დანიშნავენ წინა არჩევნებში შვიდპროცენტიანი ბარიერის გადამლახავი "მოქკავშირი", "აღორძინება" და "მრეწველები"; "ახალი მემარჯვენეები", "ნაციონალები", "დემოკრატები", "ლეიბორისტები" და "ერთობა" - თითო წევრს; პრეზიდენტი - ერთ წევრს; ავტონომიები - თითო წევრს; ერთი წევრი კი შეირჩევა ყოფილი უზენაესი საბჭოს წარმომადგენელთაგან (ეს ვახტანგ ხმალაძის მიერ შემუშავებული პროექტია და ამ პრინციპს სახელისუფლებო ფრაქციები ბოლომდე დაუჭერენ მხარს).

საოლქო საარჩევნო კომისიები კი შემდეგნაირად დაკომპლექტდება: ბოლო ორ არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერის დამძლევი პარტიები, პლუს ცესკო-ს და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ დანიშნული თითო-თითო წევრი.

საუბნო საარჩევნო კომისიებიც იგივე პრინციპით კომპლექტდება, ოღონდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მაგიერ, იქ წევრებს საოლქო საარჩევნო კომისიები წარგზავნიან.

ამ პროექტში ერთი ინტრიგაც არის ჩადებული, რამაც, როგორც სახელისუფლებო ბლოკის წევრები აცხადებენ, ოპოზიციას დათმობისკენ უნდა უბიძგოს. საქმე ის არის, რომ ამ ახალი მოდელის თანახმად, თბილისში საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება. ამით ცესკო, რომელიც, დღეს მოქმედი კანონის თანახმად, თბილისის საოლქო საარჩევნო კომისიის ფუნქციებს ითავსებს, მთლიანად კარგავს გავლენას თბილისში.

მეორე მხრივ, იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებმაც საკრებულოების არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერი გადალახეს, დედაქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიაში საკუთარი წევრები ეყოლებათ. სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელთა აზრით, ეს, მათი მხრივ, საკმაოდ სერიოზული დათმობაა.

ჩვენი ინფორმაციით, ორ პოლიტიკურ ბანაკს შორის არაოფიციალური მოლაპარაკებები და ახალი პროექტის "მოთელვა" უკვე დაწყებულია, თუმცა ამ ხმებს არც ერთი მხარე არ ადასტურებს.

*24 საათი*

## გალის გარდა, აფხაზეთის სხვა რაიონებში დევნილთა დაბრუნება პრობლემატურია

"გალის გარდა, აფხაზეთის სხვა რაიონებში დაბრუნება საკმაოდ პრობლემატურია", - განაცხადა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწემ ასტამურ ტანიამ დევნილთა საკითხზე მოსკოვში რუსულ-ქართულ კონსულტაციებზე საუბრისას.

მისი თქმით, "გალის რაიონის მოსახლეობა, სადაც ისტორიულად ქართველები კომპაქტურად იყვნენ დასახლებულნი, სხვა რაიონების მაცხოვრებლებისაგან განსხვავებით, 1992-1993 წლების საბრძოლო მოქმედებებში პრაქტიკულად არ მონაწილეობდა".

ტანიას განცხადებით, შეიარაღებული კონფლიქტის დროიდან აფხაზეთის მცხოვრებთა თაობაზე ქართული მხარის დოკუმენტაცია შემორჩა, რომლებიც ქართული შეიარაღებული ძალების მხარეს იბრძოდნენ, ამიტომაც ამა თუ იმ პირის სხვადასხვა ფორმირებაში მონაწილეობის გადამოწმება "შესაძლებელი ხდება".

მისი თქმით, დღეისათვის, გალის რაიონში სტიქიურად დაბრუნდა ომამდე არსებული მოსახლეობის ორი მესამედი ანუ 60 ათასზე მეტი ადამიანი.

მისივე მონაცემებით, ეს პირები "გამუდმებულ მიგრაციაში არიან, რათა დასავლეთ საქართველოს მიმდებარე რაიონებიდან ჰუმანიტარული დახმარება მიიღონ".

ასტამურ ტანიას თქმით, შემდგომ ეტაპებზე, დევნილთა საკითხებთან დაკავშირებულ საქართველო-რუსეთის კონსულტაციებს აფხაზური მხარე შეუერთდება.

"ჩვენი მონაცემებით, აფხაზეთის შიდა რაიონებში, გალის რაიონის გარდა, დაახლოებით 30 ათასი ქართველი ცხოვრობს. აფხაზეთის 35-ადგილიან პარლამენტში ქართველი ეროვნების სამი დეპუტატია", - თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2003 წლის ბიუჯეტი 13 569 900 ლარით გაირღვა. 12 ივნისის მონაცემებით, თავდაცვის სამინისტრომ, გეგმით გათვალისწინებული 33 993 100 ლარის ნაცვლად, 20 423 200 ლარი მიიღო, ანუ დაფინანსებამ მხოლოდ 60 პროცენტი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელი საქართველოში ჰაიდი ტალიავინი გუშინ სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ტალიავინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საუბრის ძირითადი თემა კოდორის ხეობაში გაერო-ს დამკვირვებლების მძევლად აყვანის ფაქტი იყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი გიორგი ბარამიძე გუშინ 3 ივნისს პარლამენტის შენობის წინ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტზე მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ პროკურატურაში დაკითხეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს მოძრაობა "კმარას" აქტივისტები შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის წინააღმდეგ საჩივრის შეტანას აპირებენ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა კომენტარი გაუკეთა მოძრაობა "კმარას" წარმომადგენელთა განცხადებას იმის შესახებ, რომ ისინი შს მინისტრის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ. "გუშინდელ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და მათ ურჩევნიათ ჯერ ამას მიხედონ, მერე კი იფიქრონ სარჩელის შეტანაზე", - განაცხადა მინისტრმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ მოძრაობა „კმარას" აქტივისტების შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დროებით დაპატიმრებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სამართალდამცავი ორგანოები სწავლობენ ამ ინციდენტს და მასზე გამოძიება შესაბამის რეაგირებას მოახდენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 15 ივნისს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვლენ საერთაშორისო უშიშროების საკითხებში მრჩეველთა ჯგუფის ხელმძღვანელი სერ გარი ჯონსონი და ჯგუფის წევრი დევიდ სმიტი. ისინი თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძეს შეხვდებიან. მხარეები იმსჯელებენ თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო სტრუქტურაზე გადასვლის, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და პირადი შემადგენლობის მართვის სისტემების შესახებ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 17 ივნისს საქართველოს ეწვევა ეუთო-ს დელეგაცია ამავე ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს დირექტორის, ავსტრიელი ელჩის ქრისტიან შტროჰალის ხელმძღვანელობით. იგი საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ეუთო-ს შემფასებელთა მისიას უხელმძღვანელებს. მისი ამჟამინდელი ვიზიტის მიზანია წინასაარჩევნო ვითარების შეფასება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის დელეგაცია, იუსტიციის მინისტრის პაატა დავითაიას ხელმძღვანელობით, მომავალ კვირას ჰააგაში გამგზავრებას გეგმავს, საერთაშორისო ტრიბუნალში აფხაზეთში ქართველთა გენოციდზე პროცედურის გასაგრძელებლად. როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლონდერ ცაავამ განაცხადა, დელეგაციამ, სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად, უნდა წარადგინოს პარლამენტის დადგენილება რომის კონვენციასთან მიერთების თაობაზე, რომელსაც უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მომავალ კვირას უნდა უყაროს კენჭი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში განსაკუთრებული ყურადღება სამთო მსროლელთა ქვედანაყოფის მომზადებას ეთმობა.

როგორც სოხუმის მთავრობის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ განაცხადა, კოდორში გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა გატაცებამ, ცხადყო, რომ აუცილებელია "სიტუაციის ნებისმიერი მიმართულებით განვითარებისათვის მზადყოფნა".

მან აღნიშნა, რომ კოდორში 900-ზე მეტი ქართველი შეიარაღებული პირია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეიბორისტული პარტიის ვაკე-საბურთალოს რეგიონულ ოფისზე თავდასხმა განხორციელდა. ლეიბორისტების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ორი ბოროტმოქმედი ავტომანქანა „ნივით" მივიდა პარტიის ოფისში და მისი დაწვითა და პარტიის ხელმძღვანელის ფიზიკური განადგურებით იმუქრებოდა. თავდამსხმელებმა გაიტაცეს პარტიის დროშა და დააზიანეს აბრა. ლეიბორისტულმა პარტიამ ამ ფაქტის გამოძიებისთვის პოლიციას მიმართა, რომელიც ამჟამად თავდამსხმელებს ეძებს. როგორც პარტიაში აცხადებენ, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ გარკვეული ძალები ლეიბორისტების ცენტრალურ ოფისზეც აპირებენ თავდასხმას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო მზადაა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ რუს სამშვიდობოთა სარდალს, გენერალ-მაიორ ალექსანდრე ევტეევს უფლებამოსილება გაუხანგრძლივოს. როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, ალექსანდრე ევტეევთან "კონსტრუქციული" თანამშრომლობა დამყარდა. მისი თქმით, ყაზახეთში ცოტა ხნის წინ გამართულ დსთ-ს ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, საქართველომ მხარი დაუჭირა რეკომენდაციას სარდლის უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

# ბალუაშვილის დანიშვნის გამო პროტესტი ძლიერდება

პირველი გვერდიდან

**საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ დადასტურებულია, რომ ბალუაშვილი პირადად მონაწილეობდა პოლიტპატიმრების წამებაში... საერთაშორისო დამკვირვებლის ელენე ლებედევას მოხსენებაში აღწერილია ბალუაშვილის მიერ გამოყენებული წამების მეთოდები: ხელებით და ფეხებით ჩამოკიდება, ცემა რეზინის, მეტალის და ხის "დუბინკებით", იარაღის ტარით, ძვლების გადამტვრევა, ე. წ. "ჩინური წამება", ელექტროშოკი, ჰაერის გადაკეტვა აირწინაღში, პირის ღრუში ავტომატის ლულის ან ხელყუმბარის ჩადება, გაუპატიურების მუქარა, დახვრეტის იმიტაცია და სხვა. დამკვირვებლები მიუთითებენ, რომ ბალუაშვილი პირადად აწამებდა პატიმრებს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა 1997 წელს გამოქვეყნებულ მოხსენებაში დაადასტურა, რომ პოლიტპატიმრების მიმართ ჩატარებულ გამოძიებაში ფართოდ გამოიყენებოდა წამება – თითქმის ყველა პოლიტპატიმრის საქმის გამოძიებას კი ხელმძღვანელობდა ბალუაშვილი. 1998 წელს გამოქვეყნდა რუსეთის დუმის დეპუტატის სერგეი კოვალიოვის მიერ ჩატარებული დაკვირვების ანგარიში. ამ მოხსენებაში ბალუაშვილის გვარი 70-ჯერ არის მითითებული და აღნიშნულია, რომ იგი უშუალოდ მონაწილეობდა პატიმრების წამებაში, მათი ნათესავების მუქარაში, პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში, პირადად იყო დაინტერესებული გამოძიების შედეგებით, საჯაროდ უგულებელყოფდა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს და უდანაშაულობის პრეზუმფციას",** - ვკითხულობთ მიმართვის ტექსტში.



ზვიად ძიძიგური და "ეროვნულ ძალთა გაერთიანება" ბალუაშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო ორგანიზაციებს რთავენ.

გუშინ სპეციალურად ამ თემაზე გამართულ პრესკონფერენციაზე ყოფილმა პოლიტპატიმარმა პეტრე გელბახიანმა განაცხადა, რომ **"ბალუაშვილის ხელმძღვანელობით, ძიებამ "დაკითხა" გარდაცვლილი პიროვნება ვახტანგ გოგასაშვილი. ფაბრიკაციაგავლილ საქმეში, რომელსაც ეწოდებოდა "საქმე ზვიად გამსახურდიას და სხვათა მიმართ", არსებობს გოგასაშვილის გარდაცვალების ცნობა, ამის შემდეგ არის "დაკითხული" ეს პიროვნება".** გელბახიანის თქმით, ბალუაშვილის დროს პენიტენციალურ სისტემაში ოფიციალურად ფუნქციონირებდა დამსმენთა კორპუსი. დამსმენ პატიმრებს ვადაზე ადრე ათავისუფლებდნენ.

თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლებს, ბალუაშვილის დაწინაურებასთან ერთად, ასევე საზოგადოების დაცინვად მიაჩნიათ ჯიმი ყიფიანის და მერაბ ბაღათურიას დანიშვნა მაღალ პოსტებზე. **"მაისის თვეში სერბეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევაში მხილებულ ადამიანთა მაღალ პოსტებზე დანიშვნას კრძალავს. კარგი იქნებოდა, მსგავსი ინიციატივა ჩვენც გამოგვეჩინა",** - აცხადებენ ისინი.

# გაერო-ს ტყვედყოფილი დამკვირვებლები დაიკითხებიან

პირველი გვერდიდან

გაერო-ს დამკვირვებლებს იმუნიტეტი იცავს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების სპეციალურ მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი თან დაერთო ტყვედყოფილთა კეთილი ნება და საკითხი დადებითად გადაწყდა - დამკვირვებლები გამოძიებას ჩვენებებს მისცემენ.

მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ქართულმა მხარემ გამტაცებლებს ხელშეუხებლობის პირობა მისცა, უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია დღეისთვის კატეგორიულად აცხადებს: **"გამტაცებლების დაჭერას მოითხოვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მოლაპარაკებების მონაწილეებს სხვა ვალდებულება და პირობები აქვთ, სახელმწიფო სტრუქტურებს - სულ სხვა."** კოდორის ბოლოდროინდელი ინციდენტი კვლავ შესწავლის სტადიაშია, ტარდება ოპერატიული ღონისძიებები. უახლოეს პერიოდში საკითხს უშიშროების საბჭოს სპეციალურ სხდომაზე განიხილავენ.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ იდუმალებით მოცული რჩება ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადება. ამ საკითხის შესახებ უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე ასეთ კომენტარს იძლევა: **"სარიშვილთან შეხვედრა არ გვქონია, ჩვენი აპარატი აუცილებლად შეხვდება მას. დღეისთვის ამგვარი საფრთხე არ არსებობს. თეორიულად, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ვარიანტები შეიძლება მოხდეს – ჩეჩნების აქეთ გადმოსვლას, ან პირიქით პროცესებს ჰქონდეს ადგილი."**

ედპ-ს ლიდერს არც უშიშროების მინისტრი გასაუბრებია. ვალერი ხაბურძანიამ გუშინ პრესას განუცხადა: **"ქალბატონ ირინას ეს ინფორმაცია აქვს, ჩვენ გვაქვს ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენ ვიცით და რომელსაც ჩვენ ვამოწმებთ, ჩვენი პროფესიონალიზმიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე."**

ყველაფრის მიუხედავად, თედო ჯაფარიძე საქართველოს მოსახლეობას უსაფრთხოების გარანტიას აძლევს: **"უშიშროების საბჭოში ფუნქციონირებს კომპლექსური ჯგუფი. არსებობს გეგმა, რომელიც მოქმედების სხვადასხვა ვარიანტს ითვალისწინებს. ჩვენ საკმაოდ სოლიდურ გეგმას და ჯგუფს ვფლობთ. ნებისმიერ საფრთხეს, რომელიც შეიძლება საქართველოს შეექმნას, ჩვენი მხრიდან ადეკვატური რეაქცია მოჰყვება."**

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე კორნელი სალია საზოგადოებას შეახსენებს, რომ წელს საჰაერო სივრცე ხუთჯერ დაირღვა და დასძენს: **"ამჟამად ინგუშეთის საზღვარი და შატილის მიმართულებით განლაგებული სასაზღვრო საგუშაგოები განსაკუთრებით არის გაძლიერებული."**

ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული უსიამოვნო მოვლენების მიუხედავად, უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე საქართველოსა და ამერიკას შორის ურთიერთობის გართულებას გამორიცხავს: **"აღინიშნა გარკვეული ფაქტები, დაკავშირებული ტრეფიკინგის პრობლემასთან. შეფასება, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით აშშ-მ გააკეთა, არაადეკვატურია. ამის შესახებ ჩვენ ამერიკის საელჩოს ვესაუბრეთ. რა თქმა უნდა, პრობლემა არსებობს, მაგრამ შეფასებები გაზვიადებულია. შიდა დაძაბულობაზე ყურადღების გამახვილება არ მინდა, კეთდება სხვადასხვა სახის პოლიტიკური განცხადებები. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს საერთაშორისო ურთიერთობების, მათ შორის, ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის გამწვავება არ მოჰყოლია."**

# დევნილები არჩევანის უფლებას ითხოვენ

*საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, დევნილი მოსახლეობა გააქტიურდა. 1992 წლის შემდეგ მათ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ და საარჩევნო კოდექსის 127-ე მუხლის თანახმად, აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე მათ საკუთარი დეპუტატის არჩევის უფლება არ აქვთ. ამ საკითხთან დაკავშირებით და საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანის მოთხოვნით, გუშინ დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ.*

ბელა მახარაძე

**"აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას უნდა მიეცეს უფლება, აირჩიოს წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში,"** - ასეთია დევნილების მოთხოვნა. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა ევროპულ-კავკასიურმა ინსტიტუტმა, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, შეიმუშავა მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, საპარლამენტო ფრაქციების და პარლამენტის წევრების სახელზე.

შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებიც, მაგრამ გუშინ ისინი არ მოსულან. ევროპულ-კავკასიური ინსტიტუტის პრეზიდენტმა კობა ჩოფლიანმა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომელშიც საქართველოს საარჩევნო კოდექსის 127-ე მუხლის გაუქმებას და აფხაზეთის დეპუტაციის ხელახალ არჩევას ითხოვდა. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო, მაგრამ მაინც აღნიშნა, რომ **"პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ოთხი წლით განისაზღვრება და დეპუტატისათვის უფლებამოსილების გახანგრძლივება არაბუნებრივ მოვლენად ჩაითვლება."** ასეთი დამოკიდებულება არ აკმაყოფილებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს თინა ხიდაშელს. **"სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საკონსტიტუციო სასამართლომ თავი აარიდა დაკისრებულ ვალდებულებას. ჩვენ გვყავს შთამომავლობითი დეპუტატები, რაც ყოვლად დაუშვებელია,"** - აღნიშნავს ხიდაშელი.

შეხვედრას "ახალი მემარჯვენეებისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათი მოსაზრება მთლიანად ეთანხმება დევნილების მოთხოვნებს და აცხადებენ, რომ საჭიროა საპარლამენტო ფრაქციებმა გამოყონ თითო ადამიანი, რომლებიც შეიტანენ სარჩელს და შეცვლიან ძველ კოდექსს. **"მათ უნდა გადადგან ზნეობრივი ნაბიჯი და თვითონ დატოვონ პარლამენტი. თუ სურვილი ექნებათ, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში,"** - ამბობს "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელი თემურ ჩილაჩავა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს განსხვავებული დამოკიდებულება აქვს. მისი განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთიდან წარმოდგენილ დეპუტატებს შეუწყდებათ უფლებამოსილება, შეუძლებელი იქნება ხელახალი არჩევა, რადგან, ამ შემთხვევაში, არჩევნები აფხაზეთში უნდა ჩატარდეს.

არჩევნებში მონაწილეობის მომლოდინე დევნილებს კი იმედი აქვთ, რომ მათ მიმართვას შესაბამისი ორგანოები განიხილავენ და მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

## კობა დავითაშვილს აბაშაშიც "დაუხვდნენ"

"ნაციონალთა" ერთ-ერთ ლიდერს კობა დავითაშვილს გუშინ აბაშაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მორიგი შეტაკება მოუხდა. მსგავი შეხლა-შემოხლა და ფიზიკური ანგარიშსწორება კობა დავითაშვილსა და რაიონის გამგებლებს შორის უკვე ტრადიციად იქცა.

ოღონდ, ამჯერად საქმის გარჩევა მოსახლეობასთან საპენსიო თემატიკაზე გამართული შეხვედრის შემდეგ გაიმართა.

როგორც კობა დავითაშვილმა "24 საათს" განუცხადა, შეხვედრის ჩაშლის ძალა გამგებელს და სახელისუფლებო ძალის წარმომადგენლებს არ შერჩათ, ამიტომ პროვოკაცია შეხვედრის შემდეგ მოაწყვეს.

**"ესენი იყვნენ რაიონის გამგებელი და საპენსიო ფონდის ხელმძღვანელობა. ეს ის ხალხია, ვინც თვითონ იპარავს ამ ფულს. ლარს ართმევენ ამ ადამიანებს და მერე ამბობენ, სესხებს გავცემთო. ამ ადამიანებმა იციან, რომ ჩვენ ხალხს სიმართლეს ვეტყვით მათ შესახებ და ამიტომ გვხვდებიან ასეთი გააფთრებით,"** – განმარტა კობა დავითაშვილმა. მომავალ გეგმებთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ დანარჩენი რაიონების გამგებლებს შეუძლიათ, მისი და "ნაციონალური მოძრაობის" სხვა ლიდერების სტუმრობისთვის გაემზადონ. *24 საათი*

## რუსლან გელაევი: საქართველოს სახელისუფლებო წრეებში ანტიჩეჩნური ისტერია სუფევს

ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან (ხამზატ) გელაევის განცხადებით, არც ის და არც სხვა ჩეჩენი საველე მეთაური საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრას არ გეგმავს. ჩეჩნური საინფორმაციო სააგენტო "კავკაზ-ცენტრისთვის" მიცემულ ინტერვიუში გელაევი კატეგორიულად უარყოფს "საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის" ირინა სარიშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ივლისის დასაწყისისთვის რუსების მიერ მართული ჩეჩენი მებრძოლების 1000-კაციანი რაზმი, რომელსაც გელაევი უხელმძღვანელებს, საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრას აპირებს.

გელაევის თქმით, "ანტიჩეჩნური ისტერია, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელისუფლებო წრეებში სუფევს", რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს და არანაირად არ ემსახურება ქართველი და ჩეჩენი ხალხების ინტერესებს. **ინტერ-პრესი**

## რუსეთისგან მოსალოდნელ პროვოკაციას თავდაცვის სამინისტროში ადასტურებენ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გუშინ, ფაქტობრივად, დაადასტურეს ის განცხადება, რომელიც სახელისუფლო ბლოკის სპიკერმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ 12 ივნისს გააკეთა.

საგანგებო ბრიფინგზე თავდაცვის მინისტრის აპარატის უფროსმა ალექსანდრე მჭედლიშვილმა განაცხადა, ოპერატიული ინფორმაცია აღნიშნული პროვოკაციის შესახებ სამინისტროში არსებობდა და სარიშვილის განცხადება მოულოდნელიც არ ყოფილა. "ასეთი პროვოკაციები რუსეთის მხრიდან მოსალოდნელია მანამ, ვიდრე იარსებებს ჩეჩნეთის, აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემები და ამისთვის რაიმე ოპერატიული ინფორმაციის არსებობა საჭიროც კი არ არის", - აღნიშნა მჭედლიშვილმა.

მისივე თქმით, რუსების მიერ პროვოკაციის მოწყობა მაინცა და მაინც ჩეჩნეთ-ინგუშეთის მონაკვეთზე უფრო მეტად მოსალოდნელი იმიტომ არის, რომ აქ შედარებით უკეთესი გზაა და, შესაბამისად, გადმოსვლაც ადვილია.

თავდაცვის მინისტრის აპარატის უფროსის განცხადებით, პრევენციული ზომები რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ყოველთვის ტარდება და მან ამის ერთ-ერთ მაგალითად ხევსურეთის ბატალიონის შექმნა დაასახელა. "მწირი დაფინანსების გამო თავდაცვის სამინისტროს იქ კონტინგენტის მუდმივად განთავსება უჭირს და ბარისახოში სწორედ ამიტომ შეიქმნა რეზერვისტებით დაკომპლექტებული ბატალიონი, რომელიც საზღვარს აკონტროლებს".

მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ რუსეთში შემუშავებულია გეგმის რამდენიმე ვარიანტი, რომელთა ასამოქმედებლად რუსეთი, სავარაუდოდ, შესაბამის დროს შეარჩევს. რუსეთის მხრიდან პროვოკაციები, თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში საარჩევნო დაძაბულობის პარალელურად განხორციელდება. **მედია-ნიუსი**

## კობა ნარჩემაშვილი არც უარყოფს და არც ადასტურებს საქართველოში ჩეჩენი ბოევიკების შემოსვლის შესაძლებლობას

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა არც უარყო და არც დაადასტურა "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერის ირინა სარიშვილი-ჭანტურიას გუშინდელი განცხადება, რომელიც საქართველოში 1000 ჩეჩენი ბოევიკის შემოსვლის შესაძლებლობას ეხებოდა.

მინისტრის თქმით, სამინისტროს ამგვარი ინფორმაცია არ გააჩნია, თუმცა ეს ვერსია აბსოლუტურად დასაშვებია. "შეიძლება გადმოსვლა სცადოს არა 1000-მა, არამედ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა, მაგრამ ჩვენ ამასთან დაკავშირებით შესაბამისი გეგმა შემუშავებული გვაქვს", - განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა.

*ინტერ-პრესი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ევროსაბჭო პოლიტიკური პარტიების დაფინანსების „გათეთრებას" ითხოვს


დავით გამყრელიძე: პოლიტიკური ძალა საარჩევნო კამპანიისთვის ბიუჯეტის სახსრებით სარგებლობს.


ირაკლი გოგავას აინტერესებს, თუ საიდან რა სფეროდან შეიძლება, პოლიტიკური პარტიებისათვის თანხების გადაქაჩვა.


ზაქარია უცანაშვილი გამყრელიძეს ახსენებს, თუ როგორ აკეთებდა განცხადებებს ჟვანიას ამერიკიდან დაფინანსების შესახებ.

პირველი გვერდიდან

**ინტერესების დაცვით არის დაკავებული, მას ემსახურება და ეს ძალზე საშიში ტენდენციაა,"** - ამ მკაცრი შეფასების გამოსათქმელად "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ კარგი დრო და ადგილი შეარჩია. კერძოდ - "პოლიტიკურ პარტიათა და საარჩევნო კამპანიათა დაფინანსებასთან" დაკავშირებული სემინარი.

ანტიკორუფციულმა საბჭომ, ევროპის საბჭოს წარმომადგენლებთან და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები მიიწვია.

გამყრელიძეს გუშინ მოპასუხეები უმალ გამოუჩნდნენ. სახელისუფლებო ბლოკის ინტერესებს "სოციალისტი" ქუცნაშვილი იცავდა. ჟურნალისტებთან საუბრისას მან განაცხადა: **"გაიხსენოს გამყრელიძემ, როგორ აცხადებდა, რომ ახლა მის პარტნიორ ზურაბ ჟვანიას გუნდს ამერიკიდან აფინანსებდნენ"...** ქუცნაშვილის მოწოდების მიუხედავად, მსგავსი განცხადება გამყრელიძემ აშკარად ვერ გაიხსენა. **"ჩვენი დაფინანსების წყაროები გამჭვირვალეა. სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებს კი ისიც ეყოფათ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან რომ ფინანსდებიან,"** - ასეთი იყო "დემოკრატების პარტიის" გენერალური მდივნის გოკა გაბაშვილის პასუხი. შემთხვევით შორი-ახლოს აღმოჩენილმა სახელმწიფო მინისტრმა (იგი "მეტეხში" საქართველოს დონორებისა და უცხოეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს ხვდებოდა), გულზე ხელის დადებით აღიარა: **"სახელისუფლებო ბლოკს არჩევნების სრულფასოვნად ჩატარებაში სწორედ ფინანსების უქონლობა უშლის ხელს. ბიუჯეტისადმი ყველაზე პატიოსანი დამოკიდებულება ჩვენს პარტიას აქვს. პარტიული საქმიანობით კი მე მხოლოდ სამუშაო საათების შემდეგ და შაბათ-კვირას ვარ დაკავებული"**...

საინტერესო ის არის, რომ იგივე გამყრელიძის მიერ თითქოს ექსპრომტად ნასროლი იდეა, საბოლოოდ, ბევრისათვის მოსაწონი აღმოჩნდა. გამყრელიძემ ევროსაბჭოს წარმომადგენლებს ანტიკორუფციულ საბჭოსთან მონიტორინგის ჯგუფის შექმნა შესთავაზა, რომელიც საარჩევნო პერიოდში პარტიების დაფინანსებითა და საარჩევნო კამპანიის ჩატარების ობიექტურობით დაინტერესდებოდა... იდეა მოსაწონი აღმოჩნდა "სახალხოელ" მამუკა გიორგაძისთვისაც, რომელიც შეხვედრაზე დამსწრე ოპოზიციის სხვა პარტიების წარმომადგენელთა მსგავსად, წინასაარჩევნო პერიოდში პარტიებისათვის თანასწორუფლებიანობის მომხრე იყო.

"აღორძინების კავშირის" წარმომადგენელი გიორგი ბარანაშვილი საპარლამენტო არჩევნების გამყალბებელთა სამაგალითო დასჯას მოითხოვდა, რაც, მისი აზრით, მომავალი არჩევნების გაყალბებისაგან დასაცავად საუკეთესო საშუალება იქნებოდა. კონკრეტულ დამნაშავე პირთა შორის იგი, ყოფილი მმართველი პარტიის წევრების სახით, ახლანდელი ოპოზიციის წარმომადგენლებს ასახელებდა და საакაშვილის მიერ აშენებულ მოედნებს და გადახურულ სახურავებს საარჩევნო ქრთამად ნათლავდა.

აჭარაში უკონკურენციო გარემოში არჩევნების ჩატარების თაობაზე უცხოელებს უკვე გოკა გაბაშვილმა ამცნო. "ნაციონალმა" ვანო მერაბიშვილმა კი საკუთარი პარტიის წევრთა ქმედებებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ 2000 წლის არჩევნების შემდეგ იკისრა - დანარჩენის საქმის კურსში არა ვარო. სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელ ირაკლი გოგავას კი სურვილი გაუჩნდა, დაედგინა, თუ **"საიდან, რა სფეროდან შეიძლება, პოლიტიკური პარტიებისათვის თანხების "გადაქაჩვა".**

ევროსაბჭოს ექსპერტებმა ქართველ პოლიტიკოსებს წარუდგინეს რეკომენდაციები, რომელშიც არჩევნებთან დაკავშირებული კორუფციის აღმოსაფხვრელად მთელი რიგი ღონისძიებებია, მათ შორის – ყოველწლიური პარტიული საფინანსო დეკლარაციების წარდგენა, საიდუმლო შემოწირულობების გამორიცხვა, სახელმწიფოსთვის ნებისმიერი საარჩევნო შემოწირულობების აკრძალვა, პარტიებისთვის წინასაარჩევნო დანახარჯების ლიმიტის დაწესება და ა.შ.

"24 საათი" ევროსაბჭოს რეკომენდაციების შესრულების პერსპექტივებზე ევროსაბჭოს სამართლებრივი დირექტორატის წევრს ჟან-კრისტოფერ გეიზერს და ევროსაბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელს საქართველოში პლამენ ნიკოლოვს ესაუბრა.

## ჟან-კრისტოფერ გეიზერი: „რეკომენდაციების მიზანია პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაში არსებული კორუფციის გამოვლენა..."

**- რეკომენდაციებში საუბარია იმაზე, რომ უნდა დაწესდეს ლიმიტი პარტიების მიერ წინასაარჩევნო კამპანიისას გაწეულ ხარჯებზე. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ამ რეკომენდაციის შესრულება სარჩევნო ხარჯების დამალვისკენ უბიძგებს პარტიებს?**

- რეკომენდაცია ამ ლიმიტის დაწესებას ქვეყანას არ ავალდებულებს. ძალიან ბევრი ქვეყანაა ევროპაში, რომელიც ასეთ ზღვარს არ აწესებს. დავუშვათ, ლიმიტი არ არსებობს. მაშინ ერთი დახარჯავს 100 000–ს, მეორე – 200 000-ს, და ასე გაგრძელდება უსასრულოდ. ეს ზრდის კორუფციის რისკს, ვინაიდან, სად უნდა იშოვნო ამდენი ფული? ხოლო თუ იქნება ზღვარი და იქნება ორგანო, რომელიც პარტიების ხარჯების რეალურობას გააკონტროლებს, მაშინ კორუფციის შანსები შემცირდება.

**- აგებენ თუ არა პასუხს ის პარტიები, რომელთაც უკანონო შემოსავლების არსებობა დაუმტკიცდებათ?**

- ძალიან ბევრი შემთხვევა იყო საფრანგეთში, როცა პოლიტიკოსებს, რომლებსაც არალეგალური ფონდებიდან ჰქონდათ დაფინანსება, ჩამოერთვათ პოლიტიკური უფლებამოსილება, წავიდნენ პოლიტიკური არენიდან. თუმცა, როცა ამ სანქციის ვადა გაუვიდათ, ისინი დაბრუნდნენ პოლიტიკაში.

**- დღეს "აღორძინება" საუბრობდა იმაზეც, რომ ზოგიერთი პარტია, მაგალითად "ნაციონალები", ხალხს უკეთებენ სახურავებს, მოედნებს... ეს ხარჯები გათვალისწინებულია ბიუჯეტში და პარტია მას პიარისთვის იყენებს...**

- მე არ მიმაჩნია ეს კორუფციად. მაგალითად, ჟაკ შირაკიც პარიზის მერი იყო, ისიც გადიოდა ქუჩაში, საქმეს აკეთებდა... ჟაკ შირაკი დამნაშავე იქნებოდა მაშინ, თუ ამ ფულით საკუთარ მანქანას შეიძენდა, ან რაიმე მსგავს ხარჯს გასწევდა. როგორ უნდა შემაფასოს მე ამომრჩეველმა, თუ არ ვაჩვენე კონკრეტული საქმე ან საქმის გაკეთებას არ დავპირდი?!

**- შეიძლება თუ არა 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმო, მაგალითად - რკინიგზა, სახელისუფლებო პარტიის ერთ-ერთ დამფინანსებლად მოგვევლინოს?**

- არა, რა თქმა უნდა, არა!

**- დღეს დისკუსიის მონაწილეებმა ისაუბრეს პრაქტიკაზე, როცა სახელისუფლებო პარტია სამივლინებო სახსრებს, სამთავრობო შენობებს საკუთარი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად იყენებს.**

- ასეთი შემთხვევა საფრანგეთშიც იყო. მაგალითად, როდესაც ჟაკ შირაკი პარიზის მერი გახლდათ, მაშინ ასამდე კაცი პარიზის მერიაში მუშაობდა და სინამდვილეში კი ისინი პარტიული საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი.

**- და ამას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია?**

- ჟაკ შირაკი დღეს პრეზიდენტია, მას იმუნიტეტი იცავს... სხვა შემთხვევაში, ალბათ, მას პასუხისგება მოუწევდა.

**- რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ პარტიებმა დეკლარაციები უნდა წარადგინონ. საქართველოში პოლიტიკური პარტიები წარადგენენ პარტიის დეკლარაციებს, რომლებიც რეალურად განხორციელებული წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯებს არ ემთხვევა. რა ფორმით უნდა მოხდეს ამ პროცესის გაკონტროლება?**

- ამ შემთხვევაში რეცეპტი არ არსებობს. პრესაში მათი ანგარიშების გამოქვეყნების წარმოდგენაც, რა თქმა უნდა, ძნელია. თუმცა, ამისათვის უნდა არსებობდეს სპეციფიკური ორგანო, რომელსაც აქვს კონტროლის ფუნქციაც, დევნის ფუნქციაც. აქ ისეთივე სიტუაციაა, როგორც, მაგალითად, საგადასახადო დეკლარაციების წარდგენის შემთხვევაში.

**- და ამის მაკონტროლებელი ცესკო-სგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანო უნდა იყოს?**

- ყოველ შემთხვევაში, ეს არ უნდა იყოს ორგანო, რომლის წევრებსაც პრეზიდენტი დაამტკიცებს, რადგან ასეთ შემთხვევაში მისდამი ნდობა არ იარსებებს. საუბარი შეიძლება იყოს პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტებულ ორგანოზე. შეიძლება ეს შეიქმნას, მაგალითად, ანტიკორუფციულ საბჭოსთან, არასამთავრობო სექტორის, პოლიტიკური პარტიების მონაწილეობითაც.

## პლამენ ნიკოლოვი: „ამ არჩევნებით ყველაფერი არც იწყება და არც მთავრდება..."

**- ასეთი შეხვედრებით ხომ არ მზადდება საფუძველი იმისათვის, რომ შეიქმნას ორგანო, რომელიც საქართველოს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგს და კონტროლს განახორციელებს?**

- ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა ფორმას მიიღებს საბოლოოდ საზოგადოებრივი კონტროლი. თუმცა, თუ ასეთი ფორუმების ჩატარება ხელს შეუწყობს მეტი გამჭვირვალობის მიღწევას, ევროსაბჭოს რეკომენდაციების შესრულებას, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ამ ფაქტს.

**- რამდენად რეალისტურია ამ რეკომენდაციების შესრულება ნოემბრის არჩევნებამდე?**

- ამ რეკომენდაციების 100 პროცენტით შესრულება არჩევნებამდე ნაკლებად რეალისტურია, თუმცა ჩვენ კორუფციასთან ბრძოლას განვიხილავთ, როგორც გრძელვადიან პრობლემას.

უნდა შეიქმნას კანონები. დღეს კანონთა ნაწილი მიღებულია, მაგრამ ისინი არ სრულდება. ამიტომ, მათი ამოქმედების მექანიზმების ჩამოყალიბებაც აუცილებელია. საერთოდ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ არჩევნებით ყველაფერი არ მთავრდება და არც იწყება. საჭიროა ფიქრი შემდეგ არჩევნებზე და არა მხოლოდ არჩევნებზე, არამედ, ზოგადად, კორუფციასთან ბრძოლაზე.

**- და თუ დაფინანსების გამჭვირვალობის მიმართულებით პოლიტიკურმა პარტიებმა და, განსაკუთრებით, ხელისუფლებამ არ გამოამჟღავნეს ინტერესი?**

- ვფიქრობ, რომ ეს თავად პარტიების ინტერესებში უნდა შედიოდეს. რაც შეეხება ხელისუფლებას, მან, ვფიქრობ, ეს რეკომენდაციები უნდა შეასრულოს. ევროსაბჭო თვალყურს ადევნებს საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხარისხს და დონეს. გასულ თვეში საქართველოში ევროსაბჭოს დელეგაცია იმყოფებოდა. მისი ვიზიტის შემდეგ, დაჩქარდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონპროექტის მიღება საქართველოს პარლამენტში. თუმცა, საერთოდ, კიდევ საკმაოდ ბევრი რეკომენდაციაა შეუსრულებელი. ამ მიმართულებით ევროსაბჭო მონიტორინგს აგრძელებს.



# ერაყული ნავთობი გასაყიდად ფრანგებსაც გააქვთ

ადამ მჭედლიძე

სამარი მოქმედებების დასრულებიდან პირველად, ერაყული ნავთობი მსოფლიოში გასაყიდად გადის. 10 მილიონი ბარელი ერაყული "შავი ოქროს" გაყიდვაზე გამართულ ტენდერში ექვსმა კომპანიამ გაიმარჯვა, რომლებიც საწვავს მსოფლიო ბაზარზე გაიტანენ.

ცხადია, ეს მოვლენა უმნიშვნელო ნამდვილად არ არის, თუმცა სიურპრიზადაც არავისთვის ქცეულა: ერაყული ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გატანას ყველა, დიდი ხანია, ელის. მაგრამ სიურპრიზად იქცა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიათა ვინაობა. მათგან ამერიკული კომპანია მხოლოდ ერთია – "შევრონტექსაკო." დანარჩენები არიან ესპანური "რესპოლ ენდ სეპსა," თურქული "ტუფრაზი," იტალიური "იენაი" და ფრანგული "ტოტალი." ამ მოვლენამ სპეციალისტები დააბნია, რომლებიც ელოდნენ, რომ კონტრაქტები ანტიერაყული კოალიციის წევრების – ამერიკისა და ბრიტანეთის – წარმომადგენელ კომპანიებს დაურიგდებოდათ. განსაკუთრებით, მოულოდნელი იყო კონტრაქტორების სიაში "ტოტალის" გამოჩენა – საფრანგეთმა ხომ ყველაზე მეტად გააღიზიანა აშშ თავისი ანტისაომარი გამოსვლებით. "ტოტალს" 10 მილიონიდან 2 მილიონი ბარელის გაყიდვის უფლება მიეცა.

ტენდერის პირობების მიხედვით, 5,5 მილიონი ბარელი ევროპაში უნდა გაიყიდოს, 4 მილიონი აშშ-ში, დარჩენილ ნაწილს კომპანიები თავიანთი შეხედულებისამებრ გაანაწილებენ. მიწოდება, ალბათ, 10 დღეში დაიწყება.

ომამდე ერაყი 17 მილიონ ბარელს ჰყიდდა (რაც მთელი მსოფლიოს ნავთობმომარაგების 4 პროცენტი იყო). ასე რომ, 10 მილიონი ბარელი არც ისე ბევრია, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. რამდენიმე თვეში კი ომის დროს დაზიანებული ნავთობის ინფრასტრუქტურა აღდგება და ერაყული "შავი ოქრო" კიდევ უფრო დიდი ოდენობით გავა მსოფლიო ბაზარზე.

ბირჟები მყისვე გამოეხმაურნენ ცნობას ერაყული ნავთობის პირველი პარტიის გაყიდვის თაობაზე. ნიუ იორკში ბარელი გადაუმუშავებელი ნავთობის ფასი 85 ცენტით დაეცა და 31,51 დოლარზე ჩამოვიდა.

# ტოტალიზატორები სალაროების გაუქმებით იმუქრებიან

პირველი გვერდიდან

მიტეტის ინიციატივა შეეხება მხოლოდ სანქცია-საურავებს და არა ძირითად გადასახადს. **"ამ გადასახადს თქვენ ვერასოდეს ამოიღებთ,"** – მიმართავს დავით სალარიძე ფინანსთა სამინისტროს. მართალია, არც ეს უკანასკნელია ოპტიმისტურად განწყობილი, მაგრამ როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი აცხადებს, გლეხებისათვის დავალიანების ჩამოწერა ცუდი პრეცედენტი იქნება. გიგოლაშვილი პარლამენტს განსხვავებულ გამოსავალს სთავაზობს.

ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, საპენსიო დავალიანებებისა და მიწის გადასახადის ერთმანეთში ჩათვლა უნდა მოხდეს. ამ მოსაზრებას გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტი კატეგორიულად ეწინააღმდეგება. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, რომან დალაქიშვილის განცხადებით, **"პენსია არის ცენტრალური ბიუჯეტიდან გასაცემი ხარჯი, ხოლო მიწის გადასახადი ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალია. მათი ერთმანეთში გაქვითვა ძალიან სავალალო ეფექტს მოგვცემს და ფისკალურ აღრევას გამოიწვევს."** ფინანსთა სამინისტროს მოსაზრებები არც ოპოზიცური ფრაქციების წარმომადგენლებმა გაიზიარეს. "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელმა ზურაბ ცქიტიშვილმა ფინანსთა სამინისტროს დაგვიანებულ და გაუცემელ პენსიებზე პასუხისმგებლობის აღება მოსთხოვა,



დავით სალარიძე: "მიწის გადასახადს თქვენ ვერასოდეს ამოიღებთ".

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ხოლო ლეიბორისტმა ფრიდონ ინჯიამ კვლავ დააყენა ინიციატივა ვადაგადაცილებულ პენსიებზე სანქცია-საურავების დარიცხვის შესახებ. ინჯიას განცხადებით, ყოველ გადაცილებულ დღეზე 0,15 პროცენტი უნდა დაირიცხოს პენსიონერების სასარგებლოდ. ინჯიას ინიციატივას დემოკრატები და ახლებიც იზიარებენ. ზურაბ ცქიტიშვილის განცხადებით, გლეხებისათვის დავალიანების ჩამოწერის საკითხს პარლამენტში ყველა დეპუტატი მხარს დაუჭერს.

პარლამენტარებსა და ფინანსთა სამინისტროს შორის დაპირისპირება სათამაშო ბიზნესის დაბეგვრის შესახებ კანონპროექტმაც გამოიწვია. ამჯერად საკანონმდებლო ინიციატივით ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ჟვანია წარსდგა. კანონპროექტი ე.წ. სათამაშო ბიზნესის ყველა სახეობას აწესრიგებს. დეტალურადაა დადგენილი გადასახადის განაკვეთები და მათი მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი. მაგალითად, თითოეულ სათამაშო აპარატზე ფიქსირებული გადასახადი თვეში 50-დან 200 ლარამდე; სამორინეს თითოეულ სათამაშო მაგიდაზე თვეში 5 000-დან 10 000 ლარამდე; ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ სალაროზე 300-დან 600 ლარამდე; ლატარიების (ტირაჟიანი და მომენტალური) მოწყობაზე არაუმეტეს 20 პროცენტისა; წამახალისებელ გათამაშებაზე საპრიზო ფონდის 10 პროცენტი და სისტემურ-ელექტრონულ თამაშებზე - თვეში 2 000-დან 10 000 ლარამდე. როგორც ლაშა ჟვანია აცხადებს, კანონპროექტის მიღება დიდ ფისკალურ ეფექტს გამოიწვევს. **"სულ ბიუჯეტში მობილიზებული იქნება წელიწადში 12 მილიონ ლარამდე, მაშინ როცა დღეს არსებული დაბეგვრის რეჟიმით ბიუჯეტში მხოლოდ 2 მილიონი ლარი შემოდის,"** – აცხადებს ჟვანია. ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ოპონენტები ამჯერადაც გამოუჩნდნენ. "ახალი მემარჯვენეები" და "გაერთიანებული დემოკრატები" წამახალისებელი ლატარიის დაბეგვრას არალოგიკურად მიიჩნევენ, რადგან მათი აზრით, ეს ერთგვარი სარეკლამო კამპანიაა. კომიტეტის სხდომას სათამაშო ბიზნესის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. როგორც ჩვენთან საუბარში ტოტალიზატორ "ინტერბეთ პლუსის" წარმომადგენელმა დავით ნებიერიძემ განაცხადა: **"ტოტალიზატორის ყოველ სალაროზე ფიქსირებული გადასახადის დაწესება სალაროების ხელოვნურად შემცირებას გამოიწვევს. ტოტალიზატორის მეპატრონეს შეუძლია, საერთოდ გააუქმოს სალაროები და მაგიდებთან მჯდომ კლიენტებს ასისტენტების საშუალებით მოემსახუროს."**

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, დღეისათვის საქართველოში 184 ტოტალიზატორზეა ლიცენზია გაცემული, რეალურად კი მხოლოდ 80-მდე მათგანი მუშაობს. თითოეული ტოტალიზატორიდან ბიუჯეტში ყოველთვიური შენატანი საშუალოდ 31 ლარს (?!) შეადგენს.

*მონიტორინგი*

# რატომ თქვა მთავრობამ უარი მსოფლიო ბანკის კრედიტზე?

**ხუთ თვეში ცენტრალურმა ბიუჯეტმა, გრანტების სახით, მხოლოდ 8.59 მილიონი ლარის შემოსავლები მიიღო. რაც, შესაბამისად, ექვსი თვის გეგმის 22 და წლის გეგმის 9 პროცენტს შეადგენს.**

შარშან და წელს მთავრობამ ყველაფერი გააკეთა 2000-2001 წლებში ძლივს აღდგენილი გრანტების დასაკარგად. დეტალურად განვიხილოთ გრანტების წლევანდელი გეგმა და მისი რეალიზაციის შესაძლებლობები.

წელს დაგეგმილია გრანტების მიღება 95.4 მილიონი ლარის ოდენობით. იგეგმება ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის გრანტი 39.6 მილიონი ლარის ოდენობით, ევროკავშირის განსაკუთრებული ფინანსური დახმარების გრანტი 25.3 მილიონი ლარის ოდენობით, საინვესტიციო პროექტების გრანტები 10.1 მილიონი ლარის ოდენობით და ე.წ. სხვა გრანტები 20.4 მილიონი ლარის ოდენობით.

ევროკავშირის გრანტები დაფიქსირებულია ევროში და მათი დროულად მიღების შემთხვევაში, კურსის ცვლილების გამო, ბიუჯეტი დაგეგმილზე თითქმის 8 მილიონი ლარით მეტ შემოსავალს მიიღებს.

ჯერჯერობით, ბიუჯეტმა მიიღო ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების პირველი - 2 მილიონი ევროს ოდენობის - ტრანში, რომელიც ბიუჯეტმა შარშან მხოლოდ გაუგებრობის გამო ვერ მიიღო.

**ევროკავშირის განსაკუთრებული ფინანსური დახმარების გრანტის მიღება წელს უკვე გამორიცხულია. თუმცა, მთავრობას ამით ეხსნება თითქმის 10 მილიონი ლარის ოდენობის ნეტო ხარჯი, ევროკავშირის კრედიტის ძირითადი თანხის ნაწილის დასაფარად. შესაბამისად, ცვლილებები უნდა შევიდეს 2003 წლის ბიუჯეტში – შემოსავლებს გრანტების ნაწილში უნდა დააკლდეს დაგეგმილი 25.3 მილიონი ლარი, ხოლო საგარეო ვალების ამორტიზაციის ხარჯებს კი - 34.1 მილიონი ლარი.**

დაგეგმილი სხვაობა, 8.8 მილიონი ლარის ოდენობით, შეიძლება მიიმართოს სხვა საგარეო ვალების დასაფარად, მაგალითად, თურქმენეთის ვალების დაფარვის პროგრამის დასაფინანსებლად ან მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად. მაგრამ, ამისათვის მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და ეროვნულ ბანკთან უნდა შეათანხმოს ეროვნული ბანკის სესხის ახალი შემასწორებელი კოეფიციენტი. თუ ეს არ გაკეთდა, ეროვნული ბანკის სესხის დღეს მოქმედი შემასწორებელი კოეფიციენტის მიხედვით, მთავრობამ ეს თანხები მხოლოდ საგარეო ვალის დაფარვისა და მომსახურებისათვის შეიძლება მიმართოს.

**ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების გრანტის დანარჩენი ტრანშების მიღება საკმაოდ პრობლემატურია. მით უფრო, რომ მთავრობა გრანტის პირობებით გათვალისწინებული აგრარული, სოციალური და განათლების პროგრამების დაფინანსების ვალდებულებას არ ასრულებს.**

სავარაუდოდ, საინვესტიციო პროექტების გრანტების მიღებას დიდი პრობლემები არ უნდა შეექმნას. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს გრანტები პირდაპირაა მიბმული შესაბამის საინვესტიციო პროექტებზე და ბიუჯეტით გათვალისწინებული მიმდინარე ხარჯების დაფინანსებაში ამით პრობლემები არ შეიქმნება.

**განსაკუთრებით საინტერესოა ე.წ სხვა გრანტები 20.4 მილიონი ლარის ოდენობით. სინამდვილეში, დაგეგმილია ჰოლანდიის მთავრობის გრანტი, რომელსაც საქართველო იღებს მსოფლიო ბანკის სტრუქტურული კრედიტების თანადაფინანსების სახით. ამჯერად, მთავრობამ უარი თქვა მსოფლიო ბანკის სტრუქტურულ კრედიტზე და, შესაბამისად, ნაკლებად მოსალოდნელია ჰოლანდიის მთავრობის გრანტის მიღებაც.**

**საზოგადოებამ აუცილებლად უნდა მიიღოს მთავრობის განმარტება, თუ რატომ თქვა მან, საქართველოს სახელით, უარი მსოფლიო ბანკის სტრუქტურულ კრედიტზე, თუ განუმარტა თავისი პოზიცია ჰოლანდიის მთავრობას და თუ მიიღო მისგან გრანტის მიღების გარანტია ან პირობა.**

**სანამ მთავრობის განმარტებებს ველოდებით, იძულებული ვართ საკმაოდ მძიმე დასკვნა გავაკეთოთ – ცენტრალური ბიუჯეტის გრანტების შემოსავლის დანაკლისი წლის ბოლომდე 80-81 მილიონ ლარს მიაღწევს.**

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"**

## სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 13 ივნისისთვის

მილიონ ლარებში

| დასახელება | ექვსი თვის პროგნოზი | შესრულება | % | 12 ივნისი |
|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | 529.80 | 383.02 | 72% | 2.25 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 385.09 | 273.81 | 71% | 1.66 |
| საგადასახადო შემოსავლები | 310.64 | 236.00 | 76% | 1.47 |
| სოციალური ფონდი | 116.81 | 93.34 | 80% | 0.54 |
| საგზაო ფონდი | 24.05 | 16.11 | 67% | 0.06 |
| **დეფიციტის დაფინანსება** | 118.66 | 89.34 | 75% | 0.00 |

## სახაზინო ვალდებულებათა განთავსება

თარიღი: 11.06.03

| აუქციონის № | 23 |
|---|---|
| ემისიის ვადა | 126 დღე |
| ემისიის ოდენობა | 5,000,000 |
| მოთხოვნა | 6,236,300 |
| დისკონტის პროცენტი | 42%-53.25% |
| ბიუჯეტის შემოსავალი | 49.72% |
| დასაფარი თანხა | 4,267,504 |
| ბალანსი | 5,000,000 |

# დონორები ხელისუფლებას შეთანხმებულად მოქმედებას დაჟინებით ურჩევენ

*ივლისის დასაწყისში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო პრეზიდენტს განსახილველად "სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის" დოკუმენტს წარუდგენს. გუშინ ამ დოკუმენტის პრეზენტაცია-განხილვა გაიმართა. შეხვედრაში თითქმის ყველა იმ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რომლებისთვისაც საქართველოში ამ სფეროში არსებული პრობლემების მოგვარება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგია დადებითად შეაფასეს.*

სოფიკო ოხანაშვილი

"სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის" თანახმად, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო მიზნად ისახავს - შეიქმნას სამართლებრივი და რეგულირებადი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას საქართველოში. სტრატეგიის ძირითადი მიზანი, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრო-სასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდა და სოფლად სიღარიბის დაძლევაა.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების წარმომადგენლებმა ასეთი დოკუმენტის შექმნა დადებითად შეაფასეს. განსაკუთრებული მოწონება სიღარიბის აღმოფხვრის პროგრამის ხელშეწყობამ და კერძო სექტორის წახალისებამ დაიმსახურა. მაგრამ, საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის თავმჯდომარემ ტევფიკ იაპრაკმა სოფლის მეურნეობის მინისტრს ბევრი პრობლემის არსებობისა და ნაკლები დაფინანსების გამო, სექტორში მკაფიო პრიორიტეტების გამოკვეთა ურჩია. **"ეჭვი მეპარება, რომ დახმარება, რასაც საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ახლო მომავალში მიიღებს, ყველა მიზნის განხორციელებისთვის საკმარისი იყოს, ამიტომ აუცილებელია პრიორიტეტების გამოკვეთა"**,



კირვალიძეს სტრატეგია მოუწონეს.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

- კირვალიძეს სტრატეგიული პროგრამის წარმატებული განხორციელების თავისეული ვარინტი შესთავაზა იაპრაკმა.

დავით კირვალიძის თქმით, სიღარიბის აღმოფხვრისა და სასურსათო უსაფრთხოებისათვის აუცილებელია სოფლის ინფრასტრუქტურაში საფინანსო სამსახურების გააქტიურება და ფერმერებისათვის კრედიტებსა თუ ინფორმაციის მიღებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოფლად ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნა, მიწის ბაზრის განვითარება, სადრენაჟო თუ სარწყავი სისტემების აღდგენა და წყალმომხმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბება.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წარმომადგენლის ჯერალდ ანდერსენის განცხადებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ხელისუფლების ხედვა ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ერთ-ერთ ასეთ სადავო საკითხად მან მიკროკრედიტები დაასახელა. **"თქვენი სტრატეგიის ერთ-ერთ უნიშვნელოვანეს პირობას ფერმერებისათვის მიკროკრედიტების ხელმისაწვდომობის გაზრდა წარმოადგენს. ამ დროს კი, ხელისუფლება გამოდის და აცხადებს, რომ მიკროკრედიტების ხელმისაწვდომობა ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზრდას შეუწყობს ხელს. პრობლემების დასაძლევად ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენი სამინისტრო და ხელისუფლება სადავო საკითხებში შეთანხმდეს"**, - პრეზენტაციის ბოლოს განაცხადა USAID-ის წარმომადგენელმა.

# ავთანდილ მარგიანი ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ

ნინო ნარჩემაშვილი

**"საეჭვო ბიზნესის ლობირების გამო, როგორ აკნინებს ეროვნულ ეკონომიკას და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას საქართველოს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი."** ასეთი გახლდათ პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი საქართველოს" მიერ გამართული პრესკონფერენციის თემა, რომელშიც გაერთიანების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდივნის, ყოფილი ვიცე-პრემიერის ავთანდილ მარგიანის გარდა, "თურქეთ-საქართველოს ძმობის საერთაშორისო ფონდისა" და ფონდ "მეცნიერის" წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ავთანდილ მარგიანმა თავისი გამოსვლა მირიან გოგიაშვილის მისამართით პირდაპირი ბრალდებების წაყენებით დაიწყო. მისი თქმით, თურქულ კომპანია "ბოგინას" სურს, საქართველოში არსებულ ფონდ "მეცნიერს" ოთხი მილიონი დოლარის ღირებულების სასურსათო პროდუქტი უსასყიდლოდ გადასცეს. ფონდი კი ამ დახმარებას, ჰუმანიტარული დახმარების სახით, 90 ათასზე მეტ მეცნიერს, პედაგოგს და ლტოლვილს გაუნაწილებს. იმისათვის, რომ აღნიშნული აქცია განხორციელდეს, საჭიროა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გასცეს შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებული იქნება დახმარების ჰუმანიტარული სტატუსი, რათა არ მოხდეს ტვირთის დაბეგვრა.

მარგიანის განცხადებით, სასამართლოს ჩათვლით, სხვადასხვა ინსტანციაში, ფონდ "მეცნიერის" მრავალი მცდელობის მიუხედავად, ფინანსთა მინისტრი აღნიშნული საბუთის გაცემაზე უარს ამბობს. მიზეზად კი ადგილობრივ ბაზარზე სურსათის გაიაფებას და აჭარის საბაჟოდან შემოსული ტვირთის დიდი ნაწილის აჭარაშივე დატოვების საშიშროებას ასახელებს. მისი თქმით, ეს პროცესი, უკვე ერთი წელია, გრძელდება. მარგიანის განცხადებით, "ბოგინას" კონკურენტი ფირმის "ეტსუნის" მიმართ მირიან გოგიაშვილს პირადი დაინტერესება აქვს.



მარგიანი "ბოგინას" ესარჩლება.

ვახო ხეცურიანის ფოტო

აღნიშნულ პროცესებში მარგიანი ფინანსთა მინისტრის მამასაც ადანაშაულებს, რომელიც ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის რექტორი გახლავთ. კერძოდ, მარგიანის განცხადებით, მოსამართლეებს, რომლებიც "ბოგინასა" და ფინანსთა სამინისტროს საქმეს განიხილავდნენ, უმაღლესი სასწავლებლის კუთვნილი კორტების ტერიტორია რესტორნის მშენებლობისათვის გამოეყოთ.

პრესკონფერენციის ორგანიზატორები მასალების პარლამენტის ანტიკორუფციული კომისიისათვის წარდგენას აპირებენ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან გადაწყვეტილებას იქაც არ მიიღებენ, ქუჩის აქციების მოწყობით იმუქრებიან.

# ევროზონის ეკონომიკა რთულ მდგომარეობაშია

ადამ მჭედლიძე

ევროზონის ეკონომიკა უფრო მძიმე მდგომარეობაშია, ვიდრე აქამდე ვარაუდობდნენ. ევროპარლამენტის წინაშე კვარტალური მოხსენებით გამოსულმა ევრობანკის პრეზიდენტმა ვიმ დაუზენბერგმა განაცხადა, რომ ბოლო გაანგარიშებებით ეკონომიკური ზრდა ერთიან სავალუტო სივრცეში წელს 0,4-1 პროცენტს თუ შეადგენს, მაშინ, როცა ადრინდელი პროგნოზით ეს მაჩვენებელი 2 პროცენტი უნდა ყოფილიყო.

ეს პესიმისტური განცხადება ევრობანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის შემცირებას მოჰყვა, რომელმაც ეკონომისტებს იმედი ჩაუსახა. მაგრამ, თუკი ზემოთ მოყვანილი გათვლები სწორია, მაშინ ევრობანკის ეს ქმედება (განაკვეთების შემცირება) დაგვიანებულად უნდა მივიჩნიოთ.

"2003 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური ზრდა ევროზონაში ძალიან დაბალი იყო და ეს მეტად უარყოფითად იმოქმედებს წლიურ მაჩვენებელზე," - განუცხადა ევროპარლამენტს დაუზენბერგმა.

თუკი წლის დარჩენილ პერიოდში მაინც დაუზენბერგს ვითარების გამოსწორება სურს, მაშინ ევრობანკმა საპროცენტო განაკვეთი, (რომელიც ახლა 2 პროცენტს შეადგენს, კიდევ უფრო უნდა შეამციროს. უკვე თავად დაუზენბერგიც აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ევრობანკი მეტისმეტად გაერთო ინფლაციასთან ბრძოლით, რის საშიშროებაც, ბოლო ხანს ეკონომიკური რეცესიისა და დოლარის დაცემის ფონზე, ევროპაში ნამდვილად აღარ არსებობდა. "ინფლაცია ერთობ დაბალია, - აღიარა ევრობანკის პრეზიდენტმა, - ეს ბევრ ეკონომისტს ფასების დაცემითა და დეფლაციით აშინებს."

სპეციალისტები დაუზენბერგს იმასაც მოუწოდებენ, რომ მან გადახედოს ინფლაციის ყოველწლიურ მიზნურ მაჩვენებელს - 2 პროცენტს. სწორედ ამ დაბალი მიზნური მაჩვენებლის გამო ევრობანკის განაკვეთები აქამდე ერთობ მაღალი იყო და ეს ძველი კონტინენტის ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. სპეციალისტებს მოჰყავთ ინგლისის ბანკის მაგალითი, რომლის მიზნური ინფლაციის მაჩვენებელი 2,5 პროცენტია.

2003 წელს ევრობანკი 1,3-2,3 პროცენტიან ინფლაციას ვარაუდობდა. სინამდვილეში ეს მაჩვენებელი 1,8-2,2 ფარგლებში იქნება (ანუ, დიდი შანსია, რომ ინფლაცია 2 პროცენტსაც კი ჩამოსცდეს). 2004 წელს, აქამდე გაკეთებული პროგნოზით, ინფლაცია 1-2,2 უნდა ყოფილიყო, რაც თავისთავად უკვე საკმაოდ არასასურველი მაჩვენებელია. მაგრამ, ახალი პროგნოზით, რეალობა უფრო საგანგაშო იქნება - 0,7-1,9.

აქედან გამომდინარე, განაკვეთების შემდგომი შემცირება არანაირი ინფლაციის რისკთან არ იქნება დაკავშირებული. ასე რომ, ევრობანკი ამ ნაბიჯზე, ალბათ, მალე წავა. მითუმეტეს, რომ გადაჭარბებული სიფრთხილით გამორჩეული დაუზენბერგი თავისი პოსტიდან, სულ რაღაც, ერთ თვეში უნდა გადადგეს და მის ადგილას წესით უფრო თამამი ფინანსისტი ფრანგი ჟან-კლოდ ტრიშე უნდა მოვიდეს. ტრიშეს კანდიდატურას უახლოეს მომავალში განიხილავენ.

# ევროკავშირის კონსტიტუციის თაობაზე კონსენსუსს მიაღწიეს

ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, გაფართოებული ევროკავშირის კონსტიტუციის საბოლოო ვერსია მალე გამოქვეყნდება.

ორგანო, რომელსაც კონსტიტუციის პროექტის შემუშავება ჰქონდა დავალებული, დაგეგმილი შეხვედრის წინ რამდენიმე საკითხის გამო ჩიხში იყო შესული.

თუმცა, როგორც ჩანს, ევროპის საკონსტიტუციო კონვენტმა კონსენსუსს მაინც მიაღწია ევროკავშირის მართვის მომავალი მოდელის თაობაზე იმ დროისათვის, როდესაც გაერთიანება გაფართოვდება და წევრი სახელმწიფოების რიცხვი 25-ს მიაღწევს.

მომავალ კვირაში დოკუმენტის პროექტს საბერძნეთში დაგეგმილ ევროკავშირის ლიდერების სამიტზე საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ`ესტენი წარმოადგენს, რომელიც კონვენციას ხელმძღვანელობს.

თუმცა, 20-21 ივნისს თესალონიკის სამიტის შემდეგ პროექტში ცვლილებები კვლავ შევა.

ჟისკარ დ`ესტენის თქმით, "ჩატარებულმა სამუშაომ დადებითი ნაყოფი გამოიღო. კონვენტის წევრთა შორის ძალიან მეგობრული


*ჟისკარ დ´ესტენმა ევროპის კონსტიტუციის პროექტი შეიმუშავა.*

REUTERS

ატმოსფერო იყო".

კონვენტის წევრები შეთანხმდნენ, რომ ევროკავშირს დამატებით უფლებამოსილებას მიანიჭებენ სამართლისა და წესრიგის, ასევე იმიგრაციის საკითხებში. კონვენტში გაცხოველებული დისკუსია გაიმართა იმის თაობაზე, გადაეცათ ბრიუსელისთვის საგადასახადო, სოციალური კეთილდღეობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხების მართვა, თუ - არა.

ზოგიერთ ქვეყანას, მათ შორის, ბრიტანეთსა და ესპანეთს სურთ, რომ აღნიშნულ სფეროში გადაწყვეტილების მიღების დროს ვეტოს უფლება შეინარჩუნონ.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, კონსტიტუციის პროექტში მრავალი საკვანძო საკითხის თაობაზე შეთანხმება მიღწეულია. კონსტიტუციაში გათვალისწინებულია ევროკავშირის პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობები. ძალიან ბევრ საკითხში ვეტოს გამოყენება აკრძალულია.

ცვლილებების შეტანის მთავარი მიზანია, ევროკავშირის მართვის გაიოლება იმ დროისთვის, როდესაც 15-წევრიან გაერთიანებას კიდევ 10 სახელმწიფო დაემატება.

კონვენტის წევრებმა კონსენსუსს მხოლოდ გუშინ მიაღწიეს. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ეროვნული და ევროპული პარლამენტების წევრები, მთავრობის წარმომადგენლები და ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირები.

"ჩვენ ხიდებს ვაშენებთ და სადმე აუცილებლად შევხვდებით", - განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოშკა ფიშერმა ევროპის კონსტიტუციაზე საუბრისას.

***როიტერი***

# ნატო ახალი მისიებისთვის ემზადება

**პირველი გვერდიდან**

"ეს უკვე ახალი ნატოა", – ამბობს გენერალური მდივანი ლორდი რობერტსონი.

ალიანსის ტრანსფორმაციის ყველაზე აშკარა ნიშანი ის არის, რომ სულ მალე ავღანეთში სამშვიდობო მისიას ალიანსი თავისთავზე აიღებს. ეს იქნება ნატო-ს პირველი მისია ევრო-ატლანტიკური სივრცის გარეთ. მას მალე მოჰყვება მეორეც – ალიანსი ერაყში ერთ დივიზიას, დაახლოებით, 9000 კაცს გააგზავნის, რომელიც მშვიდობას ერაყის "პოლონურ სექტორში" დაიცავს. პოლონელები ერაყში 2300 კაცს გააგზავნიან, დაახლოებით, 1200 ჯარისკაცს აგზავნიან ესპანელები. საინტერესოა, რომ ნატო-ს პარტნიორი უკრაინა აპირებს, ერაყში 1700 მშვიდობისმყოფელი მიავლინოს. ალიანსის სხვა წევრები და პარტნიორები ერაყში უფრო მცირერიცხოვანი ძალების გაგზავნას გეგმავენ.

ერაყში ჯარის გაგზავნა სურს იაპონიასაც. ამ საკითხზე ამომავალი მზის ქვეყანაში ამჟამად დიდი შეხლა-შემოხლაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონელ ჯარისკაცს საზღვარგარეთ ჯერ ფეხი არ დაუდგამს. თუ პარლამენტმა შესაბამისი კანონი მიიღო, ერაყი შეიძლება პირველ პრეცედენტად იქცეს.


*ამერიკელი ჯარისკაცები ერაყში.*

REUTERS

განახლების შესახებ გადაწყვეტილებები ნატო-ს ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა შესაშური ერთსულოვნებით მიიღეს. თუმცა, შეხვედრაზე დამსწრე ჟურნალისტების თქმით, მაინც სრულიად აშკარაა, რომ ერაყის ომის შემდეგ დარჩენილი წყენა ჯერ ბოლომდე არ გამქრალა. ჯერ იყო და ყოველთვის, როდესაც საფრანგეთის ან გერმანიის თავდაცვის მინისტრები გამოდიოდნენ, მათი ამერიკელი კოლეგა რამსფელდი ყველანაირად ცდილობდა, ეგრძნობინებინა, რომ მათ არ უსმენდა - ან მეზობლებს ესაუბრებოდა ან დოკუმენტების კითხვას იწყებდა. ბოლოს კი მისი რისხვა, საფრანგეთისა და გერმანიის "უმცროს პარტნიორს" ბელგიას დაატყდა თავს. რამსფელდის თქმით, თუ ბელგია არ შეცვლის კანონს, რომელიც მის სასამართლოებს უფლებას აძლევს მთელ მსოფლიოში მომხდარი უმძიმესი დანაშაულები გამოიძიოს, ამერიკელები ბრიუსელში ფეხს აღარ დაადგამენ.

# ერაყში შეტაკებები გრძელდება

ერაყის დროებითი სამოქალაქო ადმინისტრაციის მეთაურმა პოლ ბრემერმა ერაყის წინააღმდეგობის მოძრაობა ამერიკელებზე გამუდმებულ თავდასხმებში დაადანაშაულა. მისი თქმით, უკანასკნელ ხანებში მომხდარი შეტაკებები დამხობილი პრეზიდენტის ჰუსეინის მომხრეების მიერ არის პროვოცირებული. გუშინ, ბაღდადიდან ჩრდილოეთით ამერიკელ სამხედროებსა და ერაყელ მებრძოლებს შორის მასშტაბური შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც, სულ ცოტა, 70 ერაყელი მებრძოლი დაიღუპა. ამის შესახებ საagენტო "როიტერს" აშშ-ს არმიის წარმომადგენელმა განუცხადა.

პირველი მაისის შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ბუშმა ერაყში სამხედრო კამპანიის დასრულება ოფიციალურად გამოაცხადა, ერაყში ლოკალური შეტაკებების შედეგად, 40-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

გუშინდელი შეტაკება კი ამ ხნის განმავლობაში ყველაზე მასშტაბური და, შესაბამისად, სისხლიანიც იყო. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ აშშ-ს არმიამ მიიღო სადაზვერვო ინფორმაცია ბაღდადიდან ჩრდილოეთით 150 კმ-ს მანძილზე "ტერორისტული საწვრთნელი ბანაკის" არსებობის თაობაზე, რის შემდეგაც ბანაკის გასანადგურებლად სპეციალური დანაყოფი გაიგზავნა. ადგილზე მისულებს მართლაც საკმაოდ ორგანიზებული ერაყული დანაყოფი დახვდათ, რომელიც ბაასის პარტიის წევრების და ყოფილი რესპუბლიკური გვარდიელებისგან შედგებოდა. **"ეს მძიმე ბრძოლა იყო. ისინი კარგად გაწვრთნილები და აღჭურვილები იყვნენ,"** - განაცხადა აშშ-ს გაერთიანებული შტაბების სარდალმა გენერალმა რიჩარდ მაიერსმა. საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ბრძოლის შედეგად ერთი ამერიკელი სამხედრო დაიჭრა. აშშ-ს ძალებს შორის მსხვერპლის თაობაზე, ჯერჯერობით, ცნობები არ არსებობს. ერაყელებმა ერთი ამერიკული შვეულმფრენიც ჩამოაგდეს.

ერაყში აშშ-ს ჯარისკაცებზე თავდასხმები კონგრესის მსჯელობის თემადაც იქცა. დემოკრატმა აიკ სკელტონმა განაცხადა, რომ ერაყში ამერიკელ სამხედროებს ყოველდღე კლავენ. მან კატეგორიულად მოითხოვა, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა გამოაქვეყნოს ერაყში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების ზუსტი რაოდენობა და კონკრეტული თარიღი, როდესაც აშშ-ს არმია ერაყის ტერიტორიას დატოვებს. თუმცა, ერაყის დროებითი ადმინისტრაციის მეთაურის, ბრემერის განცხადებით, იმის თქმა, თუ როდის დასრულდება ამერიკელთა ოკუპაცია ერაყში, ჯერჯერობით არ შეიძლება, რადგან ყველაფერი ქვეყანაში ვითარების სტაბილურობაზეა დამოკიდებული. მისი თქმით, ამ ეტაპზე უმთავრეს პრობლემას ერაყის ეკონომიკის აღდგენა და ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნა წარმოადგენს. ერაყის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამჟამად უმუშევარია.

# ირანელები ცვლილებებს მოითხოვენ

ირანის დედაქალაქში კლერიკალების მმართველობის წინააღმდეგ მოსახლეობა მესამე ღამესაც გამოვიდა, თუმცა, დემონსტრანტთა რაოდენობამ ამჯერად იკლო.

ქუჩაში ათეულობით სტუდენტი გაჰყვიროდა: "თავისუფლება, თავისუფლება!" და "დემოკრატია!". დაახლოებით, 300 ადამიანი თეირანის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის წინ შეიკრიბა. ოთხშაბათს და ხუთშაბათს ქუჩაში 3000-მდე კაცი გამოვიდა.

პოლიციის, დაზვერვისა და კონსერვატორი ისლამური პოლიციის წარმომადგენლები დემონსტრანტთა რიცხვს აშკარად აღემატებოდნენ. მათ შეკრებილებს უნივერსიტეტის მთავარ შენობასთან მისვლის საშუალება არ მისცეს.

სტუდენტები და პოლიციელები ქვებს ესროდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის დიდი შეტაკება არ მომხდარა.

პროტესტი პრეზიდენტ მოჰამად ხათამისა და კონსერვატორი კლერიკალების წინააღმდეგ არის მიმართული. დემონსტრანტები დემოკრატიული რეფორმების გატარებას, სოციალურ სამართლიანობასა და პოლიტიკურ თავისუფლებას ითხოვენ. ხალხის ქუჩაში გამოსვლა ვაშინგტონის მიერ ირანზე გაძლიერებულ


*ირანის პოლიციამ დემონსტრანტები უნივერსიტეტის შენობასთან არ მიუშვა.*

REUTERS

ზეწოლას მოჰყვა.

ამერიკის ხელისუფლება ირანს ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში, ტერორისტების მხარდაჭერასა და ერაყის საშინაო საქმეებში ჩარევაში ადანაშაულებს. ამ კვირაში აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ იმედი აქვს, ირანელები თვითონ დაიწყებენ რეფორმების გატარებას და " ეს ქვეყანა საერთაშორისო თანამეგობრობის ნაკლებპრობლემურ წევრად გადაიქცევა".

ირანის უზენაესმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ სატელევიზიო გამოსვლისას ვაშინგტონი დაადანაშაულა, რომელსაც, მისი მტკიცებით, ირანთან ომის დაწყების შეეშინდა და ქვეყნის შიგნიდან დესტაბილიზაცია განიზრახა. ხამენეის თქმით, ირანის "ხელისუფლება მტრის მიერ დაქირავებულებს არ დაინდობს".

ოთხშაბათიდან მოყოლებული, ირანში 80 ადამიანი დააპატიმრეს, მაგრამ შემდეგ მათი უმრავლესობა გამოუშვეს. დემონსტრაციები შუაღამისას იწყება და, დაახლოებით, სამი საათი გრძელდება.

ანალიტიკოსების თქმით, მართალია, საპროტესტო აქცია ძალიან დიდი არ იყო, მაგრამ იგი ახალგაზრდა თაობის უმრავლესობის აზრს გამოხატავს. ირანის 65-მილიონიანი მოსახლეობის 70 პროცენტი 30 წელზე ახალგაზრდაა და მათ 1979 წლის ისლამური რევოლუციის პერიპეტიები ნაკლებად ახსოვთ.

"მთავარი ისაა, გავრცელდება დემონსტრაციები სხვა ქალაქებში, თუ - არა", - ამბობს ალი ანსარი, ირანის ექსპერტი დურჰემის უნივერსიტეტში.

"თუ ჩუმი უმრავლესობა იგრძნობს, რომ ცვლილებები მოახლოებულია და ძალთა წონასწორობა იცვლება, მაშინ ისინი დემონსტრაციას შეუერთდებიან".

შეერთებულ შტატებში ბაზირებულმა ირანულმა სატელიტურმა ტელეკომპანიამ, რომელმაც თეირანში ხალხის ქუჩაში გამოსვლაში საკვანძო როლი შეასრულა, ათასობით ადამიანს კვლავ ქუჩაში გამოსვლისაკენ მოუწოდა.

***როიტერი***

# ისრაელის არმია „ჰამასთან" დიდ ომს აპირებს

**ლევან ღირსიაშვილი**

გუშინ, ოფიციალურმა ვაშინგტონმა, ახლო აღმოსავლეთში შექმნილ კრიტიკულ ვითარებასთან დაკავშირებით, თავისი პოზიცია დააფიქსირა, რომელიც თეთრი სახლის პრეს-მდივანმა არი ფლეიშერმა გააჟღერა. მისი თქმით, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სისხლისღვრის ახალ ესკალაციაში დამნაშავეა არა ისრაელის ან პალესტინის ხელმძღვანელობა, არამედ რადიკალური ისლამური დაჯგუფება "ჰამასი." ფლეიშერმა "ჰამასის" წევრებს ტერორისტები უწოდა, რომლებსაც სამშვიდობო პროცესის ჩაშლა აქვთ გამიზნული. **"პრობლემების მთელი არსი "ჰამასშია". "ჰამასი" ტერორისტთა გაერთიანებაა,"** - დასძინა ფლეიშერმა.

ამავე დროს, "ჰამასის" წარმომადგენელმა აბუ შანაბმა "ბიბისი"-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ "ჰამასი" ისრაელის ტერიტორიაზე თავდასხმების მოწყობას გააგრძელებს, რათა ისრაელის ხელისუფლება აიძულოს, უარი თქვას ძალადობაზე პალესტინელთა წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ, იერუსალიმში ავტობუსის აფეთქება, რასაც 16 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, თავის თავზე "ჰამასმა" აიღო. ამ აქციის საპასუხოდ, ისრაელის არმიის სპეცდანაყოფმა მთელი რიგი ოპერაციები განახორციელა, რის შედეგადაც მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე "ჰამასის" ორი წევრი მოკლეს, ხოლო ღაზას სექტორში ავიადარტყმის საშუალებით შვიდი მებრძოლი გაანადგურეს, მათ შორის – ამ დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი.

იორდანიაში აშშ-ს პრეზიდენტის ინიციატივით ჩატარებული ახლო აღმოსავლეთის სამიტის შემდეგ, კონფლიქტი არა თუ მოწესრიგების, არამედ მკვეთრად საპირისპირო მიმართულებით წარიმართა. მართალია, სამიტის მონაწილეებმა – პალესტინის და ისრაელის პრემიერ-მინისტრებმა სამშვიდობო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით მზადყოფნა გამოხატეს, მაგრამ, ამის ნაცვლად, რეგიონში სისხლისღვრამ ახალი ძალით იფეთქა. ყველაფერი კი ღაზას სექტორში "ჰამასის" მებრძოლების მიერ ებრაელი სამხედროების დახოცვით დაიწყო.

გუშინ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა პირობა დადო, რომ "ჰამასის" ლიკვიდაციისათვის ბრძოლას ბოლომდე მიიყვანს. არიელ შარონს უკვე ვეღარაფერი შეაჩერებს. მას ყოველგვარი მორალური და სამართლებრივი უფლება გააჩნია, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს ტერორიზმს და საკუთარი ქვეყნის და მოქალაქეების უსაფრთხოება დაიცვას. ეს კი, თავის მხრივ, რასაკვირველია, ძალადობის ახალ ფაქტებს წარმოშობს და კონფლიქტს კიდევ უფრო ღრმა ჩიხში შეიყვანს. მოვლენების განვითარების ამგვარი პერსპექტივა ვაშინგტონის უკიდურეს შეშფოთებას იწვევს, რომლის ნომერ პირველ საზრუნავსაც არაბულ სამყაროსთან ურთიერთობების დარეგულირება წარმოადგენს. ამ მიზნის განსახორციელებლად კი პალესტინაში მშვიდობა უნდა დამყარდეს. გუშინ, სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა სატელეფონო საუბრები გამართა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ლიდერებთან და "ჰამასის" ფინანსური არხების გადაკეტვისაკენ მოუწოდა. დღეს ისრაელში აშშ-ს საგანგებო მისია ჩადის, რომელსაც მაღალი რანგის ამერიკელი დიპლომატი ჯონ ვულფი უხელმძღვანელებს. მისიამ სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" რეალიზაციისათვის მონიტორინგი ადგილზე უნდა აწარმოოს. ამასობაში კი, ისრაელის არმიამ მიიღო ბრძანება: **"ჰამასი პირისაგან მიწისა უნდა აღიგავოს."**

# სერბეთში ჰააგის მიერ ძებნილი პოლკოვნიკი დააკავეს

გუშინ სერბეთის სპეცრაზმმა იუგოსლავიის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი ვესელინ სლივანჩანინი დააპატიმრა, რომელსაც მთელი რიგი სამხედრო დანაშაულების ჩადენაში ედება ბრალი. სლივანჩანინი იუგოსლავიის პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის დაპატიმრების შემდეგ იმალებოდა, რადგან მასზე საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული. მას ბრალი ედება 1991 წელს ქალაქ ვუკოვარში ორასამდე ხორვატი მოქალაქის მკვლელობაში. სლივანჩანის დაპატიმრება სერბეთის პოლიციას საკმაოდ გაუჭირდა, რადგან მის სახლს ასობით სერბი ულტრანაციონალისტი იცავდა. რადიკალებმა პოლიციას საგრძნობი წინააღმდეგობა გაუწიეს, რის შემდეგაც სპეცრაზმი იძულებული გახდა, ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლები გაეკეთებინა. გარდა ამისა, სპეცრაზმმა სლოვონჩანინის დასაპატიმრებლად ცრემლსადენი გაზიც გამოიყენა. ამის შემდეგ, მათ პოლკოვნიკის საცხოვრებელი სახლის დაჯავშნული კარები ააფეთქეს და ეჭვმიტანილი შეიპყრეს.

# აშშ-ს კონგრესი სომხეთის გენოციდს განიხილავს

აშშ-ს სენატში განსახილველად შევიდა კანონპროექტი, რომელიც სომხეთის გენოციდს აღიარებს, - იუწყება თურქული საინფორმაციო სააგენტო "ანატოლია". ანალოგიური კანონპროექტი მანამდე წარმომადგენელთა პალატაშიც იქნა შეტანილი.

დემოკრატმა სენატორმა ნიუ ჯერსიდან ჯონ კორზინმა და ნევადის რესპუბლიკელმა სენატორმა ჯონ ენზაინმა კანონპროექტი სენატს წარუდგინეს. კანონპროექტის შეტანა გაერო-ს გენოციდის შესახებ კონვენციაზე შეერთებული შტატების მიერ ხელმოწერის 15 წლისთავს მიეძღვნა. დოკუმენტში მოყვანილია სია, სადაც სომხეთის გენოციდიც არის შეტანილი.

აღნიშნული ორი სენატორის გარდა, კანონპროექტს ხელს აწერს 16 სენატორი. პროექტის თანახმად, ხალხმა ებრაული, სომხური, კამბოჯისა და რუანდის გენოციდებიდან შესაბამისი დასკვნები უნდა გააკეთოს. დემოკრატი სენატორები ჯო ლიბერმანი და ჯონ ედვარდსი, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებენ, კანონპროექტის მხარდამჭერთა შორის არიან.

კანონპროექტს თავდაპირველად სენატის იურიდიულ ქვეკომიტეტში განიხილავენ.

აღსანიშნავია, რომ იმავე შინაარსის მქონე მეორე კანონპროექტი წარმომადგენელთა პალატაშიც არის შეტანილი. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა წერილი გაუგზავნა კანონმდებლებს და სთხოვა მათ, რომ კანონპროექტი წარმომადგენელთა პალატაში სესიაზე ოფიციალურად არ განხილულიყო. თუმცა, კანონპროექტს წინასწარი მოსმენების შემდეგ მწვანე შუქი მაინც აუნთეს, - იუწყება ინგლისურენოვანი "თურქიშ დეილი ნიუზი". წინა ადმინისტრაციის დროს კონგრესში სომხეთის გენოციდის აღიარება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მაშინ პრეზიდენტი კლინტონი ჩაერია და კონგრესმენებს ვეტოს გამოყენებით დაემუქრა.

სომხური ლობი უკვე დიდი ხნის განმავლობაში ცდილობს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ოსმალეთის იმპერიაში სომხების გენოციდი ცნოს. დღეისათვის დასავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფომ უკვე ცნო სომხეთის გენოციდი.

# ბრიტანული თავდაცვის გიგანტი "ბოინგთან" ან "ლოკჰიდთან" ერთიანდება

**ადამ მჭედლიძე**

მზადდება უმსხვილესი გარიგება ბრიტანეთისა და აშშ-ს თავდაცვით გიგანტებს შორის. როგორც "სანდი ტელეგრაფი" იუწყება, ბრიტანული "ბიეიი სისტემზი" რომელიმე ამერიკულ გიგანტთან გაერთიანებაზე სერიოზულად ფიქრობს. გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, ეს გიგანტი "ბოინგი" იქნება, თუ "ლოკჰიდ მარტინი."

"ბიეიის" წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი, დიდი ხანია, "ტრანსატლანტიკური" კავშირის დამყარებაზე ფიქრობენ. "ბიეიი" რომ სხვასთან გაერთიანებას გეგმავდა, სპეციალისტები ამას ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ მიხვდნენ. სულ ცოტა ხნის წინ, გაზეთ "ობზერვერში" გაჩნდა ცნობა, რომ "ბიეიიმ" არ მიიღო მისი ანგლო-ფრანგული კონკურენტის, "თეილსის" წინადადება შერწყმის თაობაზე. ჩანს, "ბიეიი" აშშ-ს ბაზარზე ფეხის სერიოზულად მოკიდებაზე ფიქრობს (კომპანიის გაყიდვების ერთი მესამედი უკვე ისედაც ამერიკაზე მოდის) და, ცხადია, საამისოდ მას მხოლოდ ამერიკულ კომპანიასთან გარიგება აძლევს ხელს.

ამგვარი გარიგების ერთ-ერთ შესაძლო მონაწილედ ამერიკული "ჯენერალ დაინამიკზიც" განიხილება, მაგრამ "ბიეიის" ამბიციებს, წესით, უფრო "ბოინგი" და "ლოკჰიდი" უნდა შეეფერებოდეს. გარიგებისათვის უმთავრეს დაბრკოლებად, შეიძლება, საკანონმდებლო შეზღუდვები იქცეს, რომელიც თავდაცვით კომპანიებში უცხოელების მიერ წილის ფლობას ზღუდავს. გარდა ამისა, თუკი "ბიეიი" "ბოინგს" გაურიგდა, მას აუცილებლად მოუწევს, შეელიოს 20-პროცენტიან წილს ევროპულ კონსორციუმ "ეარბასში," რომელიც სამოქალაქო ავიაციის ბაზარზე "ბოინგის" უპირველესი კონკურენტია.

# აურზაური „არტოს" გამო

*გუშინ "მწვანეებმა" და "პლეხანოველების" ერთმა ნაწილმა განგაში ატეხეს - "არტოს" ბაღში ხეებს ჩეხავენ და უზარმაზარი სასახლის აშენებას აპირებენო. მათივე განცხადებით, დანგრევა ემუქრება ბაღში მდებარე იმ უნიკალურ დარბაზს, სადაც ათეული წლების წინათ შალიაპინს უმღერია. "მწვანეებმა" ბაღის ტერიტორიაზე ასაშენებელი ნაგებობის კონფიდენციალურად მოპოვებული პროექტიც წარმოადგინეს.*

ეთერ მამულაშვილი

"არტოს" ბაღი ის ადგილია, სადაც წლის ნებისმიერ დროს ყველა თაობის "პლეხანოველს" შეხვდებით. აქაურები ამბობენ, - ზაფხულში ქალაქიდან გასვლას რომ ვერ ვახერხებთ, ბავშვებს ბაღში ვასვენებთო. უსასყიდლო დასასვენებელი ადგილის დაკარგვით დაშინებულმა "პლეხანოველებმა" გუშინ ჟურნალისტებს სთხოვეს დახმარება. "სანამ პროექტი დამტკიცდება, მანამდე თუ გვეშველება, მერე როცა არქიტექტურის სამსახური პროექტს შეითანხმებს, ჩვენს სირბილსა და ყვირილს აზრი აღარ ექნება", - წუხდა ახალგაზრდა ქალბატონი.

"არტოს" ბაღში მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მოსამზადებელი სამუშაოები უკვე აქტიურად მიმდინარეობს. მშენებლობა, რომელიც, სავარაუდოდ, სექტემბერში დაიწყება, მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება. პროექტის მიხედვით, აქ ქართული ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრი უნდა აშენდეს.

მეცხრამეტე საუკუნეში დაარსებული ქართული ფოლკლორის ცენტრი პირვანდელი სახით იყო შემონახული ცხრა წლის წინათაც. 1994 წლის შემოდგომაზე, ჯერაც დაუდგენელი მიზეზებით, შენობას ღამით ცეცხლი გაუჩნდა. დღეს კი, იმ უძველესი დაწესებულებიდან, სადაც თავის დროზე, შალიაპინის გარდა, სარაჯიშვილსაც ბევრჯერ უმღერია, მხოლოდ რამდენიმე კედელი და ერთი "გატყავებული" დარბაზიღა შემორჩა.

მიუხედავად ამისა, ქართული ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრში დღეს რვაასამდე ბავშვი და მოზარდი სწავლობს. წლების წინ გადაბუგული მათი შენობა შარშანდელმა მიწისძვრამ კიდევ უფრო დააზიანა. შენობის რეკონსტრუქციისა და აღდგენისათვის წლევანდელ ბიუჯეტში ორასი ათასამდე ლარია გათვალისწინებული. შენობის სარეკონსტრუქციო პროექტი უკვე შემუშავებულია და ქალაქის არქიტექტურის სამსახურში დევს შესათანხმებლად.

ქართული ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, თამაზ ანდღულაძე ყველა "პლეხანოველს" ამშვიდებს და აცხადებს, რომ "ბაღის ტერიტორიას ერთი გოჯი მიწაც არ მოაკლდება, ხოლო უნიკალური დარბაზი, რომელიც თავისი აკუსტიკით ბევრი სპეციალისტის გაოცებას იწვევს, შენარჩუნდება და აღდგენის შემდეგ ფუნქციონირებასაც დაიწყებს. **"ის 200.000, რომელიც მერიამ გამოგვიყო, მარტო შენობის აღდგენას არ ეყოფა. იმ შემთხვევაში, თუკი ქველმოქმედი ადამიანები გამოჩნდებიან, ჩვენს კუთვნილ ტერიტორიას ერთი სანტიმეტრითაც არ გავცდებით. უბრალოდ, შენობას სიმაღლეში რამდენიმე მეტრს მოვუმატებთ",** - დაგვაიმედა თამაზ ანდღულაძემ.

სხვათა შორის, ჩვენთან საუბარში ქართული ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრის პედაგოგებმა ეჭვი გამოთქვეს, რომ წლების წინ შენობაში გაჩენილი ხანძარი მეზობლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ჩარევით მოხდა. ცენტრის თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ მათი შენობა მეზობლებს თვალში იმიტომ არ მოსდიოდათ, რომ **მანსარდების დაშენებას და ოთახების გაფართოებას ხელს უშლიდა.**

# „კლასიკური დასავლური პარტიის" საერთაშორისო სემინარი

საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული პოლიტიკური გაერთიანების "ნაციონალური მოძრაობის" 1500-მდე აქტივისტი, პოლიტიკურ საკითხებში და რაც მთავარია, საარჩევნო ტექნოლოგიებში მომზადებას ცხვარიჭამიაში სპეციალურად მათთვის მოწყობილ სემინარებზე გადის. "ნაციონალებთან" ერთად, სემინარებს "აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" და "ვაშინგტონის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის" წარმომადგენლები უძღვებიან.

გუშინ, "საზაფხულო სკოლად" წოდებული სემინარის მთავარი გამომსვლელები "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი და პარტიის ეკონომიკური პროგრამის ავტორი გია მაისაშვილი იყვნენ. "ნაციონალური მოძრაობის" მომავლის სტრატეგიებზე საუბარი სააკაშვილმა, ტრადიციისამებრ, ხელისუფლების და "ლეიბორისტული პარტიის" კრიტიკის ფონზე წარმართა. ამასთან, მას არც ლიფტებთან, სახურავებთან, სათამაშო მოედნებთან და კიდევ სხვა სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული მუნიციპალური პროგრამები დაივიწყებია.

"საზაფხულო სკოლის" ორგანიზების გამო, სააკაშვილმა თავის პოლიტიკურ გაერთიანებას "კლასიკური დასავლური პარტია" უწოდა. "ეს არის პირველი პრეცედენტი საქართველოში საზაფხულო სკოლის მოწყობისა, რითაც ჩვენ ყველაზე თანამედროვე და სრულყოფილ პოლიტიკურ პარტიად ჩამოვყალიბდით" - აღნიშნა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა.

დღევანდელი სემინარი "აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" წარმომადგენელმა მარკ მალერმა საარჩევნო თემატიკით გახსნა და არჩევნების ინსცენირებით დაასრულა. დადგმულ არჩევნებში მონაწილეობა თავად სააკაშვილმაც მიიღო. სემინარები თვის ბოლომდე გაგრძელდება. **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

**თბილისი.** მომავალ კვირას თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის ხელმძღვანელობა რუსეთში გაემგზავრება, სადაც ავტობუსების მწარმოებლების ბაზარს შეისწავლის. დაგეგმილია შეხვედრები მოსკოვში კომპანია "რუსავტოპრომის" ხელმძღვანელობასთან. შემდეგ შეისწავლიან პავლოვსკის ავტოქარხნის პროდუქციას, საბაზრო ფასებსა და გაყიდვის პირობებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის 80-მდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შენობას გადაუდებელი რემონტი სჭირდება. განათლების მუშაკთა თავისუფალი პროფკავშირის "ერთობის" ხელმძღვანელი, დავით წიქარიშვილი ამ ვალდებულებას თბილისის მთავრობასა და საკრებულოს აკისრებს და აცხადებს, რომ თუ საზაფხულო არდადეგების პერიოდში ავარიულ მდგომარეობაში არსებული სკოლების შენობები კვლავ უყურადღებოდ დარჩება, მაშინ განათლების პროფკავშირი და პედაგოგები მასობრივ საპროტესტო აქციებს გამართავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გლდანის მასივში ტროლეიბუსის ახალი ხაზის აგების სამუშაოები შარშან დაიწყო. მსოფლიო ბანკის პროექტით, გლდანის მასივში კაპიტალურად შეკეთდა ცენტრალური გზის საფარი, მაგრამ ტროლეიბუსის ხაზის დამონტაჟება, უსახსრობის გამო, ვერ მოხერხდა. თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის ცნობით, ამ სამუშაოებისთვის საჭირო თანხა, დაახლოებით 1,5 მილიონი ლარი, წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის. თუმცა, თუკი მსოფლიო ბანკის კრედიტი გადმოირიცხება, შეიძლება, თანხა ამ პროექტისთვის გამოიყენონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ვერის ბაღში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, აქცია მოეწყო. დარიგდა ბროშურები „ენა და ეტიკეტი" და საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ, მოეწყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ნაშრომების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა. ჩატარდა ტურნირი შაშსა და ჭადრაკში. აქციას დასრულდა კონცერტით, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ქართული ესტრადის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამედიცინო ცენტრის ინიციატივით, 16 ივნისიდან 26 ივნისამდე დიაბეტით დაავადებულ 100 ბავშვს ბაკურიანში სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდება. ამ აქციის თანამონაწილეა საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია "EKT-ინტერნეიშენალი" და მისივე ფილიალი "EKT-ჯორჯია". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქვემო ფონიჭალაში, 153-ე საშუალო სკოლის ეზოში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია აიგება. როგორც ტაძრის დამპროექტებელმა, რეზო ჯანაშიამ განაცხადა, ეკლესია ბაზილიკური, ორნავიანი სტილის იქნება და ქართული აგურით აშენდება. მშენებლობისთვის საჭირო თანხებს კერძო პირი გაიღებს, რომლის ვინაობა არ სახელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქუთაისის მოსახლეობას, უწყლობის ნიადაგზე, ინფექციის გავრცელება ემუქრება და ამაზე გაერთიანებულმა ენერგოკომპანიამ უნდა აგოს პასუხი, რადგან, დავალიანების გამო, მან წყალსადენს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობა კი აცხადებს, რომ 2003 წლის იანვრიდან 31 მაისამდე წყალსადენის დავალიანება 1 246 402 ლარს შეადგენს, ამიტომ იგი იძულებულია, სადამსჯელო ღონისძიებები განახორციელოს. კომპანია იმასაც აცხადებს, რომ ქუთაისში სასმელი წყალი შეწყვეტამდეც არ იყო სუფთა. **24 საათი**

# გასროლა ეროვნულ სამედიცინო ცენტრში

ზაზა ფარუაშვილი

*12 ივნისის საღამოს აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრის სამეანო განყოფილებაში სროლის ხმა გაისმა. ეს იყო განყოფილების გამგის, ზაზა სინაურიძის მიერ კარგად შენჯღრეული შამპანურის ბოთლის საცობი, რომელიც ახლადგარემონტებულ ჭერს მოხვდა.*


ზაზა ფარუაშვილის ფოტო

*რა დროს სურათის გადაღებაა, როცა ვჭამ.*

ეროვნულ სამედიცინო ცენტრში ხმაური პირველი ბავშვის დაბადებამ გამოიწვია. ორი დღის გახსნილ განყოფილებაში კასპელი გიორგი ბერიკაშვილი დაიბადა.

როდესაც მის სანახავად მივედით, ბატონი გიორგი დედის რძეს მიირთმევდა და ძუძუმწოვარას ჩვენთვის ყურადღება არ მოუქცევია.

"ძალიან მიხარია, რომ პირველი ასეთი კარგი ვაჟკაცი დაიბადა. მთელი ცენტრის სახელზე ვუმზადებთ სიურპრიზს და გაწერის დღეს დავასაჩუქრებთ", - გვითხრა ზაზა სინაურიძემ.

"ნანატრი ბიჭია, ორი დის ძმა,...მთელი კლინიკა ამ ბიჭს შევყურებთ, ...ისეთი კარგი ბავშვია, ყველას გვიყვარს,...ყველა ვუვლით...", - ერთმანეთს ეცილებიან მედდები.

"ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ აქ მოვხვდი. თუ კიდევ დამჭირდა, ისევ აქ მოვალ. დიდი მადლობა ყველას, ყველაფრისთვის," – სიტყვები არ ჰყოფნის ლია დედიკოს. გიორგი კი წოვს და წოვს. ერთი კადრის გულისთვის მის მოცდენას ნამდვილად არ ვაპირებდით და სადილობის დამთავრებას ველოდებოდით, მაგრამ როგორც გვითხრეს, გიორგის ძალიან დიდხანს ყვარებია ჭამა. შევაწუხეთ, მაგრამ დიდსულოვნად გვაპატია, არ უტირია.

- ზაზა ექიმო, როგორი მშობიარობა იყო?

- ფიზიოლოგიური, გართულების გარეშე.

- რა ღირს მშობიარობა?

- მოგეხსენებათ, საქართველოში მშობიარობა უფასოა. მოქმედებს ორსულთა, მელოგინეთა და მშობიარეთა დახმარების სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებში მშობიარობის ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო ფარავს. ერთადერთი, რასაც მელოგინე იხდის, კვების ფულია, დღეში 5-7 ლარი. ესეც დროებითი მოვლენაა, ვინაიდან ახალი განყოფილება ვართ და ამ პრობლემის მოგვარება ვერ მოესწრო.

- რა სიახლეებს სთავაზობთ ორსულებს?

- აქ სამშობიარო სახლი არ არის. ეს არის პერინატალური სახლი, სადაც ახალშობილზე მზრუნველობას ჯერ კიდევ მუცლადყოფნის პერიოდიდან ვიწყებთ და ერთ წლამდე ვაგრძელებთ, როგორც ეს სახელმწიფო პროგრამით არის გათვალისწინებული.

ეროვნული სამედიცინო ცენტრი ჩვენი გიორგივით ნანატრი მოვლენაა, რომლის დაბადებას 6 წლის განმავლობაში მთელი ქვეყანა ელოდებოდა და რომელსაც ჯანდაცვის რეფორმის გვირგვინი უწოდეს. 200 საწოლზე გათვლილი სტაციონარი თანამედროვე და კომპლექსურ მომსახურეობას სთავაზობს ქვეყნის ყველაზე უმწეო მოსახლეობას. ამ საქმეში საქართველოს მთავრობასთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით იაპონიის მთავრობას, მსოფლიო ბანკს, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ამერიკის ჯანდაცვის საერთაშორისო კავშირს და სხვა ორგანიზაციებს. ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად მივიღეთ ისეთი უნიკალური კლინიკა, რომელსაც კავკასიის რეგიონში ანალოგი არ მოეძებნება.

ამის შესახებ გვესაუბრება ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი მარინა ღუდუშაური:

"ეს არის აბსოლუტურად სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც ხალხისთვის შეიქმნა. მის რეაბილიტაციას 6 მილიონი დოლარი დასჭირდა. მთლიანობაში 24 სართულია, რომელიც აღჭურვილია 2002 წლის, უახლესი მოდელის აპარატურით. ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, თავად ნახავთ ყველაფერს. ექიმებისთვის და პაციენტებისთვის შექმნილია საუკეთესო პირობები. ამასთან, მინისტრსაც და გლეხსაც აბსოლუტურად ერთნაირად მოემსახურებიან."

- რა მომსახურებით ისარგებლებენ პაციენტები?

- კარდიოქირურგიის გარდა ცენტრში ყველა სამედიცინო სამსახური არსებობს.

8 სამუშაო დღე გვქონდა და უკვე 25 ოპერაცია გავაკეთეთ.

- პირადად თუ ჩაატარეთ ოპერაციები?

- კი, სამი ოპერაცია გავაკეთე. პაციენტები კარგად არიან, ყველა გაწერილია.

- რამდენად ხელმისაწვდომია მკურნალობა, რაც ამ ცენტრის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია?

- ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მოსახლეობას ცრუ ინფორმაციას ნუ მივაწვდით. ყველამ უნდა იცოდეს, რომ აბსოლუტურად უფასო ამ ქვეყანაზე არაფერია. დაწესებულებაში მუშაობს ის სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც დამტკიცებულია პარლამენტის მიერ. აქედან გამომდინარე, ნაწილი დაავადებების მკურნალობას მთლიანად სახელმწიფო იხდის. სხვა შემთხვევაში მოქმედებს თანაგადახდის პრინციპი, როცა მკურნალობის ხარჯების 70%-ს სახელმწიფო ფარავს, 25%-ს - პაციენტი. ჩვენს პირობებში დიდ პრობლემას წარმოადგენს ურგენტული (გადაუდებელი) დახმარება, რაც მედიცინაში უძვირესი მომსახურებაა. ახალშობილის რეანიმაცია საზღვარგარეთ დღეში 2000 დოლარი ღირს. საქართველოში ასეთი ფასები არ არის, მაგრამ 300-500 ლარი კი ჯდება. ამიტომ, ჩვენთვის ძალიან ძნელია მისი დაფინანსება; მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რამდენ ხანს ველოდებოდით ამ ცენტრს (მსოფლიო ბანკმა მასზე მუშაობა ჯერ კიდევ 1994 წელს დაიწყო), რამდენი შრომა დავხარჯეთ, რა ფუნქცია დავაკისრეთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს პრობლემა როგორმე მოვაგვაროთ. ეს არის ჩვენი მიზანი.

ცენტრის დაფინანსების საკითხი სახელმწიფო კონტროლზეა აყვანილი. უფრო მეტიც, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, ეს პროცესი წინმსწრები პრინციპით უნდა განხორციელდეს, რათა აღარ განმეორდეს სახელმწიფო იდეის დისკრედიტაცია - თანამედროვე, მაღალკვალიფიციური და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება და შრომადაფასებული ექიმი.

ვნახოთ, ცენტრი ჯერ მხოლოდ ორი კვირისაა და ძალებს ახლა იკრებს.

# სიგარეტის არალეგალური ბაზრის ახალი „თავისტკივილი"

## პრეზიდენტს გარიგებებში ჩართულ თანამდებობის პირთა სიას წარუდგენენ

*"თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის" მუქარამ გარკვეული შედეგი გამოიღო და მომავალი კვირიდან თამბაქოს მოწინააღმდეგენი სიგარეტის კონტრაბანდულ ბაზარს შეუტევენ. ალბათ, მაკონტროლებელ სახელმწიფო სტრუქტურებში შიშობენ, - ამათაც წილში ჩაჯდომა უნდათო, - მაგრამ ცენტრი ირწმუნება, რომ სრულიად სხვა გეგმები აქვს.*

ნანა ქადაგიშვილი

"თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრმა" სახელმწიფო მინისტრისგან სიგარეტის ბაზრის შემოწმების უფლება მიიღო და მონიტორინგის შედეგად გამოიკვლია, რომ საქართველოში თამბაქოს პროდუქციის ბაზრის 60-70 პროცენტი კონტრაბანდას უკავია. ქვეყანაში სულ 80 სამარკო ნიშნის სიგარეტი შემოდის და აქედან ქართული აქციზი მხოლოდ 26 სამარკო ნიშანს აქვს. 29 დასახელების სიგარეტს ქართულ აქციზთან ერთად უცხო ქვეყნის აქციზი აქვს დაკრული, 29 სამარკო ნიშნის სიგარეტს კი საერთოდ არ აქვს ქართული აქციზი. კონტრაბანდული სიგარეტი აფხაზეთიდან, ოზურგეთიდან, ერგნეთიდან, ყაზბეგიდან, წითელი ხიდიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან, თბილისის აეროპორტიდან და საზღვაო გზით - ანუ ყველა მხრიდან და ყველანაირი სატრანსპორტო საშუალებით შემოდის.

"ეს ყველაფერი ფინანსთა სამინისტროს შესაბამისმა უწყებებმა მშვენივრად იციან. სახელმწიფო სტრუქტურები კონტრაბანდული ბაზრის მხოლოდ 5-10 პროცენტს არ აკონტროლებენ, დანარჩენი მათ დაქვემდებარებაშია. თამბაქოს პროდუქციის ბაზრიდან ბიუჯეტში ყოველწლიურად 170 მლნ. ლარი უნდა შედიოდეს, რეალურად კი 11 მლნ. შედის. კონტრაბანდულ სიგარეტს ორი მიზეზის გამო ვებრძვით. ჯერ ერთი, რომ არალეგალურად შემოტანილი თამბაქო ლეგალურთან შედარებით უფრო მავნეა, რადგან, ძირითადად, ვადაგასული, ჩამოწერილი პროდუქციაა, რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია სიგარეტი "ტროიკა", რომლის თუთუნშიც მწეველებს ცელოფნის ნაწილები შეუნიშნავთ. ამის გარდა, გვინდა, რომ ბიუჯეტში სიგარეტის ბაზრიდან რეალური შემოსავალი შევიდეს და ამ თანხის გარკვეული ნაწილი თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლას მოხმარდეს", - აცხადებენ თამბაქოს მოწინააღმდეგენი.

"თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრი" და არასამთავრობო ორგანიზაციების მმართველთა საბჭო მხოლოდ სიგარეტის ბაზრის მონიტორინგს არ სჯერდებიან და თამბაქოს ინსპექციის შექმნას აპირებენ. "ეს იქნება მაკონტროლებელი სახელმწიფო უწყების ალტერნატიული ჯგუფი, რომელიც სიგარეტის ბაზარს ყველა უბანში გააკონტროლებს - ოღონდ, საგანგებო ლეგიონივით დევნილ მოვაჭრე ქალებს კი არ დავუწყებთ დარბევას, იმ ადგილებში შევალთ, სადაც კონტრაბანდული პროდუქცია გროვდება და პროდუქციის ხარისხს შევამოწმებთ. არის ერთი ლაბორატორია, რომელიც გარანტიას გვაძლევს, რომ თამბაქოს ხარისხის შესამოწმებლად ყველანაირ ტექნიკურ საშუალებას ფლობს. ხელისუფლებას სიგარეტის არალეგალური ბაზრის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას მივაწვდით და მაკონტროლებელი უწყებები მერე ხომ ველარ მოიმიზეზებენ, - დარღვევების შესახებ არავინ გვატყობინებს და რეაგირება როგორ მოვახდინოთო", - აცხადებს ცენტრი, რომელიც ირწმუნება, რომ აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად თანხას სხვადასხვა ფონდიდან მოიპოვებს და არამც და არამც სიგარეტის ინდუსტრიიდან.

თამბაქოს მოწინააღმდეგე ორგანიზაციები ამ დღეებში პრეზიდენტს შეხვდებიან და საკუთარ გეგმებთან ერთად კორუფციულ გარიგებებში ჩართული თანამდებობის პირთა სიასაც წარუდგენენ. საეჭვოა, ხელისუფლებისთვის ამ პირთა ვინაობა უცნობი იყოს, მაგრამ თამბაქოს მოწინააღმდეგეები მაინც იმედოვნებენ, რომ ეს შეხვედრა კორუმპირებული ჩინოვნიკებისთვის უსიამოვნო შედეგს მოიტანს.

# ვოლფჰანგ მაინეკეს „აღმოჩენები"

## საქართველოსთვის ახალი პროფესიული განათლება უნდა შეიქმნას

*1998 წელს საქართველოს პარლამენტმა "დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ" კანონი მიიღო. ბოლო პერიოდში ქვეყანაში განვითარებულმა მძიმე სოციალურმა ვითარებამ აუცილებელი გახადა ამ დარგის განვითარება და ადრე მიღებულ კანონში გარკვეული ცვლილებების შეტანა. გუშინ განათლების კომიტეტის სხდომაზე მიწვეული სპეციალისტები პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაზე საუბრობდნენ.*

თამარ დვალი

**"ნებისმიერი სახელმწიფოსათვის პროფესიული განათლების განვითარება არის ბერკეტი იმისა, რომ გადაწყვიტოს სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. მათ შორის დასაქმების პრობლემაც, რომელიც ასე აქტუალურია საქართველოში. თუ ჩვენი სახელმწიფო ასეთ საქმეში არ ჩადებს ინვესტიციას, მაშინ ვერასოდეს დაძლევს სიღარიბის პრობლემას",** - განაცხადა განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრე ეჯიბაძემ. მისივე თქმით, ყოველწლიურად ათასობით ახალგაზრდა წყვეტს სწავლას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რის გამოც, მათ არ გააჩნიათ პროფესია. რეგისტრირებულ უმუშევართა შორის ნახევარი 15-25 წლის ასაკის ახალგაზრდაა. **"ჩვენ, უცხოელი სპეციალისტების დახმარებით, შევიმუშავებთ პროფესიული განვითარების სტრატეგიას. ხელისუფლებას მხოლოდ იმას ვთხოვთ, რომ დაამტკიცოს ეს პროექტი და თავის თავზე აიღოს ვალდებულება იმ ათასობით ახალგაზრდის მიმართ, რომლებიც უმუშევრები არიან და ადგილიც რომ გამოჩნდეს, პროფესიის უქონლობის გამო, სამსახურში მოწყობას ვერ შეძლებენ. ჩვენ არსებული სწავლების განვითარებას ვითხოვთ. წლების განმავლობაში ერთი თეთრიც არ ჩადებულა პროფესიული განათლების განვითარებისათვის. ერთი დაზგა, დანადგარი არ მიუციათ სასწავლო დაწესებულებებისათვის",** - ამბობს ეჯიბაძე.

საქართველოში პროფესიული განათლების გაუმჯობესების პროექტის მომზადებაში ქართველ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას იღებს საერთაშორისო მიგრაციის ცენტრის(CIM) ექსპერტი, ვოლფჰანგ მაინეკე. მისი აზრით, საქართველოში სახალხო მეურნეობა ძალზე დაბალ დონეზეა. ადამიანური რესურსების განვითარების მაჩვენებლების მიხედვით (განათლების მდგომარეობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა და შემოსავალი ერთ სულზე), საქართველო 120 ქვეყანას შორის 76-ე ადგილზეა. **"პროდუქტიულობის ზრდა და მეურნეობის განვითარება უშუალო კავშირშია ადამიანური რესურსების განვითარებასთან. აქ პროფესიული განათლება უდიდეს როლს თამაშობს. პროფგანათლებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ის განიხილება, როგორც სისტემის განვითარება და შემდეგ პრაქტიკაში ინერგება. ამისათვის საჭიროა ხელისუფალთა, სოციალური პარტნიორების (დამქირავებელი, დაქირავებული) და სასწავლო ადგილების მხრიდან უფლებებისა და მოვალეობების თავის თავზე აღება, რის შემდეგაც საქართველოსთვის უნდა შეიქმნას ახალი პროფესიული განათლება",** - ამბობს ვოლფჰანგ მაინეკე საქართველოში პროფესიული განათლების 2003 წლის შეფასებისას.

# ვეტერან გვარდიელებს განაჩენს დღეს გამოუტანენ

თეა ხოფერია

კრწანისი - მთაწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილი 24 მარტის აჯანყებაში ბრალდებულ ექვს პატიმარს დღეს განაჩენს გამოუტანს. ამჟამად, განსასჯელებს გენერალური პროკურატურის მიერ თავდაპირველად წაყენებული მძიმე ბრალდება – ამბოხების მოწყობა მოეხსნათ. ახლა ისინი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვასა და შეძენაში, ასევე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიის ბლოკირებაში არიან დადანაშაულებულები.

გუშინ სასამართლო პროცესზე პატიმართა ადვოკატებმა განსასჯელთა გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა დააყენეს. სასამართლომ ეს შუამდგომლობა მიზანშეწონილად არ ჩათვალა და გვარდიელი-ვეტერანები კვლავ პატიმრობაში დატოვა. მიუსჯის თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარე პატიმრებს თავისუფლების აღკვეთას, თუ ადვოკატთა შუამდგომლობას გაითვალისწინებს, დღეს გახდება ცნობილი.

საქმე, როგორც ცნობილია, ამა წლის 24 მარტს 15 ვეტერანი გვარდიელის მიერ ისნის სამხედრო ნაწილის ბლოკირებას, ცეცხლსასროლი და მძიმე საბრძოლო ტექნიკის ხელში ჩაგდებას ეხება.



ამბოხებულებს სასამართლო განაჩენს დღეს გამოუტანს.

# გატაცებაში ეჭვმიტანილები დაზარალებულებმა აწამეს

პირველი გვერდიდან

და ტუჩების დაზიანების გამო, უჭირს ლაპარაკი, სახეზე აღენიშნება ჰემატომები და ა.შ. პაციენტი საჭიროებს მკურნალობას, წოლით რეჟიმს და ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობას".

აღნიშნული დაზიანებები იაკობ ხიტიბაშვილს პოლიციის განყოფილებაში არ მიუღია. მარინა ხიტიბაშვილის განცხადებით, მისი მეუღლე და მათი სტუმარი, ისრაელის მოქალაქე, ილია სეფიაშვილი გატაცებული გოგა ჩხეიძის მამამ – მამუკა ჩხეიძემ და მისმა ძმებმა აწამეს. მისი თქმით, ხიტიბაშილი დღეს სწორედ მამუკა ჩხეიძის ახსნა-განმარტების საფუძველზეა დაპატიმრებული.

მკითხველს, ალბათ, ახსოვს, გატაცების დღეებში გოგა ჩხეიძის ოჯახი შვილის გატაცების ფაქტს კატეგორიულად უარყოფდა და პოლიციას მათ საქმეში ჩარევისთვის ემდურებოდა. მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაიქადნა, - დამნაშავეებს ჩვენ მაინც დავიჭერთო, - და დანაპირები ისევ დაზარალებულის მამის შემწეობით შეასრულა.

**"რადგანაც ჩემი შვილის გატაცების შემდეგ იაკობ ხიტიბაშვილი, ილია სეფიაშვილი და ამირან ჩაკვეტაძე (გატაცებული გოგა ჩხეიძის სიმამრი) ძალიან აქტიურობდნენ, გატაცებასთან მათ კავშირზე ამიტომაც გამიჩნდა ეჭვი",** – ეს არის ის "მყარი მტკიცებულება", რაც ხიტიბაშვილის ძებნის და დაპატიმრების მიზეზი გახდა. მარინე ხიტიბაშვილის თქმით, გატაცებული გოგა ჩხეიძის გამოსახსნელად მისი მეუღლის მამამ, მისმა ახლობელმა, საქართველოში რამდენიმე დღით ჩამოსულმა სეფიაშვილმა და იაკობ ხიტიბაშილმა, მართლაც, ძალიან იაქტიურეს.

**"გოგა რომ გაიტაცეს, ყველამ იმაზე დაიწყო ფიქრი, რა გზით გამოეხსნათ იგი. ამირან ჩაკვეტაძემ, რომელიც ილია სეფიაშვილის და ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობარია, გვთხოვა, ჩვენს ახლობელს, ავთო კერვალიშვილს დავკავშირებოდით, რათა გოგას გამოხსნაში დაგვხმარებოდა. მოგეხსენებათ, საქართველოში ყველა გატაცებულის ოჯახი სწორედ ამ გზას მიმართავს. "ნიკელა" მამუკა ჩხეიძეს დავაკავშირეთ, რომელმაც კონტაქტზე გამოსულ გამტაცებლებთან მოლაპარაკება დაიწყო. თავდაპირველად, გამტაცებლები ჩხეიძეს ორ მილიონ დოლარს სთხოვდნენ, მაგრამ შემდეგ ავთო კერვალიშვილმა მოახერხა "სტავკის" 30 ათას დოლარამდე ჩამოწევა. რამდენადაც ვიცი, ეს თანხა დათქმულ ადგილას მამუკა ჩხეიძემ გამტაცებლებს თვითონ მიუტანა და გოგაც გამოუშვეს",** – მარინე ხიტიბაშვილის მონათხრობით, ასეთია გოგა ჩხეიძის გათავისუფლების დეტალები.

ხიტიბაშვილის და სეფიაშვილის წამების ისტორიაც სწორედ აქედან დაწყებულა.

ქუთაისში საკმაოდ მსხვილი ბენზინის ბიზნესის მქონე მამუკა ჩხეიძე თავის ახსნა-განმარტებაში აღიარებს, - ილია სეფიაშვილი საქართველოში ბიზნესის დაწყებას აპირებდა და პარტნიორობა შევთავაზეო, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩხეიძეს მოგვიანებით ეჭვი შეეპარა სეფიაშვილის და ხიტიბაშვილის ფინანსურ შესაძლებლობებში.

**"გოგას გათავისუფლების საღამოს, 17 მაისს მამუკა ჩხეიძეს ჩემი მეუღლისათვის და ილია სეფიაშვილისთვის დაურეკავს (ფოთში იყვნენ ახლობელთან) და უთქვამს, რომ წამოხვალთ, ჩემთან შემოიარეთ, გოგას გათავისუფლება აღვნიშნოთო. ჩვენები მასთან მართლაც მივიდნენ, მაგრამ, გაშლილ სუფრასთან მიპატიჟების ნაცვლად, ჯერ ავტოფარეხში, შემდეგ კი სარდაფში გამოამწყვდიეს",** – გვიამბო მარინე ხიტიბაშვილმა.

ადამიანის გატაცებაში ბრალდებული ხიტიბაშვილის ცოლის თქმით, მის მეუღლე და ილია სეფიაშვილი მამუკა ჩხეიძემ და მისმა ძმებმა საშინლად აწამეს (მარინე ხიტიბაშვილის თქმით, ზემოთ დასახელებული დაზიანებები იაკობ ხიტიბაშვილს სწორედ ჩხეიძეებმა მიაყენეს).

**"ჩხეიძეები, თურმე, იარაღით სცემდნენ ილიას და ჩემს მეუღლეს. თავზე ორივეს ანთებულ სიგარეტს აქრობდნენ და გაუპატიურებით და მოკვლით ემუქრებოდნენ. ორი დღის განმავლობაში მათთვის არც საჭმელი და არც წყალი არ მიუტანიათ, თან ეუბნებოდნენ, გოგა თქვენ გაიტაცეთ და ყველაფრის ღირსები ხართო",** - გვიყვება მარინა ხიტიბაშვილი.

ბრალდებულის მეუღლის თქმით, ცხადია, გაუჩინარებულ საქეიფოდ წასულებს მალე ძებნა დაუწყეს, მაგრამ მხოლოდ დატყვევებიდან ორი დღის თავზე, რუსუდან სეფიაშვილის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ალაპარაკეს იგი მობილური ტელეფონით ქმარს, რა დროსაც დატყვევებულს ივირითზე უთქვამს, – ჩამოგვაკითხეთო.

**"ვერაფრით ვერ მივხვდით, რა ხდებოდა. ჩხეიძეებთან რომ ჩავედით და მეუღლეების ნახვა მოვითხოვეთ, მამუკა ჩხეიძის ერთ-ერთმა ძმამ ჩემს შვილს იარაღი მიადო და მოკვლით დაემუქრა. ჩვენ კი გვითხრა, - გოგა თქვენმა ქმრებმა მოიტაცეს და ფულს თუ არ მოგვიტანთ, ცოცხალს ვერც ერთს ვერ ნახავთო. მე 30 ათასი დოლარი უნდა მიმეტანა, ილიას მეუღლეს კი - 100 ათასი. როგორ მოვქცეულიყავით, არ ვიცოდით. უკან გამოვბრუნდით. შუა გზაზე რომ ვიყავით, მამუკამ დაგვირეკა, ბოდიში მოგვიხადა, ქურდები ჩავრიეთ, გამტაცებლები თქვენები არ ყოფილან და წაიყვანეთო",** – მარინე ხიტიბაშვილის თქმით, ეს ისტორია 19 მაისს გამთენიისას მომხდარა.

შეშინებული და ნაცემი ილია სეფიაშვილი და მისი მეუღლე მეორე დღესვე ისრაელში გაფრინდნენ (ბილეთები წინასწარ ჰქონდათ აღებული) და დაიბარეს, რომ უახლოეს მომავალში ადვოკატს დაიქირავებდნენ და ისრაელის საელჩოს მეშვეობით დამნაშავეებს პასუხს აგებინებდნენ.

**"იაკობი ძალიან მძიმედ იყო. მთელი ეს პერიოდი გამოკვლევებს ვუტარებდით და მკურნალობდა. ჩხეიძეებს რამდენჯერმე დავუკავშირდი და გავაფრთხილე, რომ პროკურატურაში განცხადება შემქონდა და ყველას დავაჭერინებდი. ამისათვის ექიმის ცნობებს ვაგროვებდი. ექიმები ვარაუდობდნენ, რომ იაკობს ოპერაცია სჭირდებოდა. ერთი სიტყვით, იმ ეტაპზე სხვა პრობლემები მქონდა",** - ამბობს მარინე ხიტიბაშვილი.

1 ივნისს ქუთაისში ავთანდილ კერვალიშვილი დააპატიმრეს და, ადამიანის გატაცების ბრალდებით, სამი თვით წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს.

**"როგორც უკვე გითხარით, ავთანდილ კერვალიშვილი ჩხეიძის საქმეში ჩვენი თხოვნით ჩაერია და მას გატაცებასთან არანაირი კავშირი არ აქვს, ამიტომ მორალური უფლება არ გვქონდა, ქუთაისის პროკურატურაში არ ჩავსულიყავით და სიმართლე არ გვეთქვა",** – გვიხსნის მარინე ხიტიბაშვილი. მაგრამ "ნიკელას" დახმარების სურვილი იაკობ ხიტიბაშვილს საწინააღმდეგოდ შემოუბრუნდა. ცხრასაათიანი დაკითხვის შემდეგ იგი ქუთაისის პროკურატურამ დააპატიმრა და ჩხეიძის გატაცების ორგანიზებაში ცნო ბრალდებულად.

**"28 მაისს მამუკა ჩხეიძემ ჩემი მეუღლის და კერვალიშვილს წინააღმდეგ პროკურატურაში იმიტომ შეიტანა განცხადება, რომ იგრძნო, თავად ემუქრებოდა დაჭერის საშიშროება - ანუ დაგვასწროო. როცა დატყვევებული ჰყავდა, ჩხეიძეს სეფიაშვილთან და ჩემს ქმართან დაუტრაბახია, - ქუთაისის პოლიციას, რასაც მინდა, იმას გავაკეთებინებ, ტყუილად კი არ ვაჭმევ პურსო. დღეს ვხვდები, რომ მაშინ მამუკა ჩხეიძე მართალი იყო,"** – გვიყვება ხიტიბაშვილის მეუღლე.

კერვალიშვილისა და ხიტიბაშვილის ადვოკატის, ხათუნა სალუქვაძის მტკიცებით, პროკურატურას დღევანდელი ბრალდებულების დასაპატიმრებლად არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია. ორივე პიროვნებას ბრალდება ჩხეიძის ეჭვის საფუძველზე წარუდგენეს, რაც კანონით დაუშვებელია.

**"ქუთაისელი სამართალდამცველები, გარდა იმისა, რომ უდანაშაულო ადამიანებს საკუთარი სურვილისამებრ აპატიმრებენ, სიცილით კვდებიან, როდესაც ბრალდებულთა დაცვაზე ვესაუბრები და კანონით მონიჭებული უფლებების დაკმაყოფილებას ვითხოვ. თავდაპირველად ისინი არ მაძლევდნენ საქმის გაცნობის საშუალებას, საქმის მასალების ქსეროქსზე გადაღებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. არადა, მოსალოდნელია ჩვენებების შეცვლა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოლიციელები დაპატიმრებით მეც მემუქრებოდნენ. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში იქნება ხიტიბაშვილის მეუღლე, რომელიც კერვალიშვილის ახლობელიც არის",** – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ხათუნა სალუქვაძემ.

მარინა ხიტიბაშვილს კი შიშის საფუძველი ნამდვილად უნდა ჰქონდეს, რადგან ჩხეიძე ახსნა-განმარტებაში დამნაშავეთა შორის მის გვარს და სახელსაც ასახელებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მას პოლიციამ სხვა მისია დააკისრა.

გენერალური პროკურორის სახელზე დაწერილ წერილში მარინა ხიტიბაშვილი წერს: **"ქუთაისის პროკურატურაში, სადაც ჩემი მეუღლე დააპატიმრეს, იცინიან, - ვიცით, შენ რომ დამნაშავე არ ხარ, მაგრამ ისრაელში მცხოვრები მილიონერი ნათესავი რომ გყავთ – მირელაშვილი, ის შეაწუხეთო. თუ ფულს გადავიხდით, ჩვენი სიმართლე დამტკიცდება, თუ არა და, გამტაცებლები ვართ?"** – ეკითხება გენპროკურორს მარინა ხიტიბაშვილი.

თუმცა, ვიდრე ხიტიბაშვილის საქმეს გენერალური პროკურორი, ნუგზარ გაბრიჩიძე გაეცნობოდეს, მანამდე თავად ქუთაისის პროკურორის, შალვა ფხაკაძის პასუხს გთავაზობთ: **"ხიტიბაშვილი გატაცების ორგანიზატორობაშია ბრალდებული. ამ ეტაპზე წინასწარმა გამოძიებამ ჩათვალა, რომ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები იმისათვის, რომ ის წინასწარ პატიმრობაში აგვეყვანა. რა მოხდება შემდეგ, დაუმტკიცდება თუ არა მას წარდგენილი ბრალდება, წინასწარ ვერაფერს გეტყვით".**

რაც შეეხება ხიტიბაშვილის და ისრაელის მოქალაქის, ილია სეფიაშვილის მიმართ მამუკა ჩხეიძის და მისი ძმების მიერ ჩადენილ დანაშაულს, პროკურორი მოკლედ პასუხობს, – **"ვსწავლობთ"**.

ფხაკაძის თქმით, გამოძიებამ დაადგინა გატაცების პერიოდში გოგა ჩხეიძის ადგილ-სამყოფელი და სახლის დიასახლისი, იამზე კირკიტაძე დააპატიმრეს კიდეც. თუმცა, დასაკავებელთა სია ამით არ სრულდება, გამოძიებას ეჭვი აქვს და ამჟამად ეძებს გოგა ჩხეიძის სიმამრს, ამირან ჩაკვეტაძეს, სიდედრს, ლალი ჩაკვეტაძეს, ისრაელის მოქალაქეებს - ილია და რუსუდან სეფიაშვილებს და ა. შ.

# მანქანის გამტაცებლებმა მძღოლი მძიმედ დაჭრეს

სამართალდამცველთა ცნობით, აფხაზეთიდან დევნილი, დროებით თბილისში, მუხიანის დასახლებაში მცხოვრები გოჩა სალაყაია, ფოთელი ქართლოს თოდუა და გლდანის მასივში მცხოვრები რამაზ დგებუაძე, ასევე, აფხაზეთიდან დევნილი კახა ჩიკვატია ღამის ორ საათზე, ელიაშვილის ქუჩაზე თავს დაესხნენ თბილისელ ვაჟა იაშვილს, რომელიც მართავდა შპს "მაქსსერვიზის" კუთვნილ ტაქსს, "მერსედეს 124"-ს. ბოროტმოქმედები დანებით იყვნენ შეიარაღებულნი და დანის მუქარით შეეცადნენ მძღოლის მანქანიდან გადმოსმასა და ტაქსის გატაცებას. მიუხედავად თავდამსხმელთა სიმრავლისა, მათ მძღოლმა წინააღმდეგობა გაუწია და მისი მანქანიდან გადმოყვანა ვერ შეძლეს. მსხვერპლის სიჯიუტით გამწარებულმა ბოროტმოქმედებმა ვაჟა იაშვილს დანებით მრავლობითი, სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობები მიაყენეს კისრისა და გულ-მკერდის არეში. მძიმედ დაჭრილი მძღოლისთვის დამნაშავეებმა მხოლოდ მობილური ტელეფონის წართმევა მოახერხეს და გაიქცნენ. მეორე დღესვე ისინი დიდუბე-ჩუღურეთისა და თბილისის პოლიციის სამმართველოების ერთობლივი ღონისძიებების შედეგად დააკავეს. ერთადერთი, ვინც ჯერჯერობით სამართალადამცველებს გადაურჩა, კახა ჩიკვატიაა – მას პოლიცია ჯერ კიდევ ეძებს.

# მკვლელი დააკავეს

გუშინ პოლიციამ მკვლელი დააკავა. თბილისელმა, ადრე ნასამართლევმა, 23 წლის ნუგზარ სომხიშვილმა მეგობრის ბინაში მისული სტუმარი დაჭრა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა – 19 წლის არმენ არუთინოვი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. სამართალდამცველთა ცნობით, არუთინოვსა და სომხიშვილს შორის ტრაგიკულად დასრულებული ინციდენტი ქეთევან წამებულის გამზირზე მცხოვრები ირინე მარგიშვილის ბინაში დაიწყო უბრალო ურთიერთშელაპარაკებით. ჩხუბისას არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა სომხიშვილმა არუთინოვს დანა მუცელში დაარტყა.

# ლოს-ანჯელესის პოლიცია მძარცველთა ჯგუფს ეძებს

ლოს-ანჯელესის პოლიცია და FBI აქტიურად მუშაობენ მძარცველების ჯგუფის დაკავებაზე, რომლებსაც ჟურნალისტები მაიკლ ჯექსონის სახელით მოიხსენიებენ.

ჯგუფმა ასეთი ზედმეტსახელი მას შემდეგ მოიპოვა, რაც გაქურდული ბანკების თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ჯგუფის წევრები პოპ-მუსიკის მეფეს – მაიკლ ჯექსონს საოცრად ჰგავანან. რვა თვის განმავლობაში ჯგუფმა მოახერხა 16 ბანკის გაძარცვა, საიდანაც სოლიდური თანხა გაიტანეს.

მძარცველებს მუშაობის განსაკუთრებული სტილი აქვთ - ისინი შედიან ბანკში და მოლარეს აძლევენ შემდეგი შინაარსის ბარათს: თუ სიცოცხლე გინდა, ამოალაგე მთელი ფული. მოლარე, რომელსაც საფეთქელზე პისტოლეტი აქვს მიბჯენილი, იძულებული ხდება, ბრძანება შეასრულოს. თუმცა, პოლიცია აცხადებს, რომ მძარცველები არაპროფესიონალები არიან.

# თვითმფრინავში ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს

იტალიური კომპანია Alitalia-ს თვითმფრინავში, რომელიც შიდა რეისს ასრულებდა და რომში მიფრინავდა, აღმოაჩინეს ასაფეთქებელი მოწყობილობა. ასაფეთქებელი მოწყობილობა თვითმფრინავის სალონში, ერთ-ერთი სავარძლის ქვეშ იდო. "პოლიციამ მიიღო ანონიმური შეტყობინება, დარეკა უცნობმა მამაკაცმა, რომელმაც განაცხადა, რომ თვითმფრინავში ბომბია," – განაცხადა ანკონის აეროპორტის სახანძრო სამსახურის უფროსმა.

სამართალდამცველთა განცხადებით, მოწყობილობა შეფუთული იყო სიგარეტის ყუთში. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ჯერჯერობით დაკავებული არ არის, უცნობია, ასევე, ანონიმური ზარის ავტორის ვინაობაც.

მსგავსი შემთხვევა ანკონის აეროპორტში გასული წლის დეკემბერში ერთხელ უკვე მოხდა. მაშინ ასაფეთქებელი მოწყობილობა მგზავრთა სარეგისტრაციო ადგილას, უპატრონოდ მიტოვებულ ჩანთაში ნახეს.

## მოკლედ

**თბილისი.** 28 ივნისს თბილისში მოსამართლეთა მეოთხე კონფერენცია გაიმართება. მოსამართლეთა კონფერენციის დღის წესრიგის თანახმად, კონფერენციაზე განიხილავენ 2002 წელს საერთო სასამართლოების, საერთო სასამართლოების დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების სადისციპლინო საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშს. კონფერენციაზე უნდა განიხილონ და მიიღონ სასამართლოს თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი და სხვა საკითხები. კონფერენციაზე აირჩევენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს ახალ წევრებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გორში საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა მოქალაქე გელა ხაჩიძე დააკავეს, რომელსაც ავტომანქანით უკანონოდ გადაჰქონდა 8 ათასი ლიტრი დიზელის საწვავი. მის მიმართ შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი და გადაგზავნილია გორის რაიონულ სასამართლოში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა 55 წლის გრიგოლ გაბუნია 8 ათასი აშშ დოლარის თაღლითური გზით გამოძალვაში ამხილეს და დააკავეს. გაბუნიამ 2001 წლის მარტში მოქალაქეებს - ცინცაძეს და ქუთათელაძეს 8 ათასი აშშ დოლარი გამოართვა იმ პირობით, რომ აშშ-ში გასამგზავრებლად ვიზებს გაუკეთებდა. გაბუნიამ ცინცაძეს ყალბი პირადობის მოწმობა და დაბადების მოწმობა დაუმზადა. გაბუნიას საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციელებმა ბათუმში თბილისიდან შარშან, 6 ნოემბერს, გატაცებული სს „თბილავიამშენის" კუთვნილი ავტომანქანა „ბმვ-525" აღმოაჩინეს, რომელიც მოქალაქე ედიშერ აბრალავას აქვს შეძენილი. აბრალავას თქმით, მან ავტომანქანა ცხინვალში ვინმე ვიქტორ კოკოევისგან შეიძინა. ამ ფაქტს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტრასეკას წევრ ქვეყნებში უახლოეს მომავალში მუშაობას დაიწყებენ იურიდიული ჯგუფები, რომლებიც სატრანზიტო გადაზიდვების სამართლებრივი ბაზის დახვეწას შეეცდებიან. ტრასეკას საქართველოს ეროვნული მდივნის, გიორგი გოგიაშვილის ცნობით, ჯგუფები უკვე შეიქმნა და შედგება საგარეო საქმეთა, იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ექსპერტებისგან. ისინი ექვსი თვის განმავლობაში შეისწავლიან ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, რომელიც საერთაშორისო გადაზიდვებს არეგულირებს, და ეროვნული მთავრობებისთვის მოამზადებენ კანონების დახვეწასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკლესიიდან განკვეთილი მღვდლის, გლდანის მართლმადიდებლური ეპარქიის წინამძღვრის, მამა ბასილ მკალავიშვილის ადვოკატები მკალავიშვილისათვის საოლქო სასამართლოს მიერ შეფარდებულ, სამთვიანი წინასწარი პატიმრობის გადაწყვეტილებას ისევ რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრებენ. მკალავიშვილის წინასწარ პატიმრობაში აყვანის თაობაზე საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, კანონის შესაბამისად, საბოლოოა, თუმცა, როგორც მკალავიშვილის ადვოკატი, ქართლოს ღარიბაშვილი აცხადებს, ისინი საჩივარს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში საქმეში ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე შეიტანენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სხვადასხვა მიზეზით, 250 მოქალაქეს მიმდინარე წელს საქართველოში შემოსვლის უფლება არ მისცეს. საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსის, შალვა ლონდარიძის განცხადებით, მათგან 197-ს ვიზა არ გააჩნდა, ხოლო 14-ს ვადაგასული დოკუმენტაცია ჰქონდა; ამასთან, გაუმართავი დოკუმენტაცია ჰქონდა 22 მოქალაქეს, ხოლო ათს საბუთები საერთოდ არ აღმოაჩნდა. ასევე, საქართველოში შემოსვლაზე უარი უთხრეს და არასასურველ პირად მიიჩნიეს შვიდი მოქალაქე. **პრაიმ-ნიუსი**

# ჩეჩნეთში თავმოკვეთილი ბრიტანელების ნათესავებმა სასამართლო პროცესი მოიგეს

დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა სასამართლომ სამართლიანად ცნო იმ სამი ინჟინრის ოჯახის წევრების სარჩელი, რომლებიც 1998 წელს ჩეჩნეთში გაიტაცეს, დახოცეს და თავები მოკვეთეს. უფრო ზუსტად, ამ სარჩელის სასამართლო განხილვის დაწყების შემდეგ მოსარჩელეებმა და მოპასუხემ გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს და საბოლოოდ სასამართლომ სწორედ ამ შეთანხმების სამართლიანობა აღიარა.

დაღუპულთა ნათესავებმა უჩივლეს კომპანია "გრენჯერ ტელეკომს", რომლის დავალებითაც გაემგზავრნენ ინჟინრები საომარი მოქმედებების ზონაში. მოსარჩელეები კომპანიისგან ფულად კომპენსაციას ითხოვდნენ და მიაღწიეს კიდეც თავისას, თუმცა კომპენსაციის თანხა, რომლის გაღებაც "გრენჯერ ტელეკომს" მოუწევს, არ სახელდება.

როგორც დაღუპულთა ოჯახის წევრები ირწმუნებიან, "გრენჯერ ტელეკომის" მენეჯერებმა გულგრილობა გამოიჩინეს, როდესაც გადაწყვიტეს შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში ფირმის თანამშრომლების გაგზავნა.

სამი ინჟინერი – დარენ ჰიკი, პიტერ კენედი, რუდი პეტჩი ჩეჩნეთში 1998 წლის სექტემბერში ჩავიდნენ. ფირმის კონტრაქტი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე რადიო და სატელეფონო სისტემების დამონტაჟებას გულისხმობდა და ფირმისთვის 300 მილიონი დოლარი შემოსავალი უნდა მოეტანა. "გრენჯერ ტელეკომის" ინჟინრებთან ერთად ჩეჩნეთში "ბრიტიშ ტელეკომის" სპეციალისტიც ჩავიდა. ცხელ წერტილში ჩასვლიდან რამდენიმე დღეში – 3 ოქტომბერს - ბრიტანელები გაიტაცეს. მიმომხილველთა აზრით, გამტაცებელთა ჯგუფს მოსკოვის თეატრალურ ცენტრში მოკლული ტერორისტის ბიძა, არბი ბარაევი ხელმძღვანელობდა. ერთ-ერთი ვერსიით, გამტაცებლებს გამოსასყიდის მიღების სურვილი ამოძრავებდათ, თუმცა ბი-ბი-სი-ს ჟურნალისტები 1998 წლის ამბების გამოძიებისას მივიდნენ დასკვნამდე, რომ, შესაძლოა, ბარაევი უსამა ბინ ლადენის დავალებით მოქმედებდა.

მოსარჩელეთა ინტერესების დამცველი იურიდიული კომპანია აცხადებს, რომ "გატაცებულებს 64 დღის მანძილზე საშინელ პირობებში ამყოფებდნენ. მათ აწამებდნენ და მერე აიძულებდნენ, ეყურებინათ წამებისა და სიკვდილით დასჯის ამსახველი ვიდეოჩანაწერებისთვის". მოლაპარაკებები გამტაცებლებსა და "გრენჯერ ტელეკომის" წარმომადგენლებს შორის წარუმატებელი აღმოჩნდა. ბი-ბი-სიმ მოახერხა ინტერვიუ ჩაეწერა ჩეჩენ აბდურახმან ადუხოვთან, რომელსაც გატაცებულ ბრიტანელებთან ერთად ამყოფებდნენ. მისი თქმით, ბარაევი ინჟინრების მოკვლის საფასურად უზარმაზარ თანხას ელოდებოდა. "მისთვის ეს საღვთო ომივით იყო", - უთხრა ჟურნალისტებს ადუხოვმა. მას შემდეგ, რაც მოლაპარაკების უშედეგობა გაცხადდა, ბრიტანელების გათავისუფლება სპეცრაზმმა სცადა, მაგრამ მათი გეგმა ჩაიშალა. რამდენიმე დღეში ბრიტანელი ინჟინრების მოკვეთილ თავებს გროზნოსკენ მიმავალი ერთი გზის განაპირას მიაგნეს. კიდევ სამი დღე დასჭირდა მათი სხეულების პოვნას.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გაირკვა, რომ ინჟინრების გათავისუფლების ოპერაცია, შესაძლოა, საერთოდაც არ განხორციელებულა.

დაღუპულთა ნათესავების სარჩელის განხილვამ, დაახლოებით, ერთ კვირას გასტანა. მანამდე, რამდენიმე თვის მანძილზე გრძელდებოდა მოლაპარაკებები "გრენჯერ ტელეკომსა" და მოსარჩელეებს შორის, თუმცა, უშედეგოდ. მხარეებმა შეთანხმებას მხოლოდ სასამართლო პროცესის დაწყების შემდეგ მიაღწიეს.

## 43 „ფორდ“ T კალიფორნიიდან დირბორნისაკენ

მსოფლიოში პირველი კონვეიერული ავტომობილი სახელად „ფორდ“ T მონაწილეობას მიიღებს კომპანიის ასწლიან იუბილესთან დაკავშირებულ



სპეციალურ ავტოგადარბენაში. 25 მაისიდან მოყოლებული, 43 ცალი T 3000-მილიან გზას დაადგება კალიფორნიიდან ქალაქ დირბორნამდე, სადაც მდებარეობს „ფორდის“ შტაბ-ბინა. ამ ავტომობილების უმეტესობა 90 წელზე მეტი ხნისაა, თუმცა მათი პატრონები იმედოვნებენ, რომ მშვიდობიანად მიაღწევენ „დანიშნულების“ ადგილამდე, სადაც 12 ივნისს დაიწყება იუბილესთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიებანი, რომლებიც თითქმის ერთ თვეს გასტანს.

## „ლანჩა დელტა ინტეგრალე“ ბრუნდება

იტალიური კომპანია „ლანჩას“ ერთ დროს ევროპაში მეტად პოპულარული „გოლფის“ კლასის მოდელი „დელტა ინტეგრალე“ კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ბარსელონას ავტოსალონზე კომპანიამ გამოაცხადა, რომ ახლო მომავალში ამ ავტომობილის ფანები შეძლებენ ნოსტალგიის გაქარწყლებას - რალის მსოფლიო ჩემპიონატების ვარსკვლავი მალე მეორე სიცოცხლეს დაიწყებს.

ბარსელონაში კი წარმოდგენილი იყო კონცეპტუალური ავტომობილი „გრანტურიზმო სტილნოვო“, რომელშიც კლასიკური „ლანჩას“ ელეგანტურობა გამოსჭვივის, თუმცა აშკარაა, რომ თუ იგი კონვეიერზე მოხვდა, ეს სწორედ „დელტა ინტეგრალეს“ სახელით მოხდება.

## „ფორდის“ მეასმილიონე V8 ძრავი

ონტარიოს შტატის ქალაქ უინძორის ქარხანამ მაისის პირველ დღეს გამოუშვა მეასმილიონე V8 აგრეგატი - 5.4-ლიტრიანი „ტრიტონი“, რომელიც 2004 სამოდელო წლის F-სერიის პიკაპისთვისაა განკუთვნილი.

აღსანიშნავია, რომ ამ ასი მილიონიდან თითქმის მეოთხედი - 22.4 მილიონი ძრავი სწორედ უინძორის ქარხნის მიერაა დამზადებული და მათი უმეტესობა ამერიკაში ყველაზე პოპულარული ავტომობილების, „ფორდის“ F-სერიის პიკაპებზე დამონტაჟდა.

## გარდაიცვალა ალეხანდრო დე ტომაზო



21 მაისს გარდაიცვალა ალეხანდრო დე ტომაზო - იმავე სახელის მქონე პატარა იტალიური ავტოკომპანიის დამაარსებელი და მფლობელი, რომელიც წლების განმავლობაში მცირე სერიით აწარმოებდა სპორტულ ავტომობილებს. კომპანიის პრესრელიზში ნათქვამია, რომ 74 წლის ალეხანდრო დე ტომაზო ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

დე ტომაზო საავტომობილო ბიზნესში ჯერ კიდევ 40-იანი მოღვაწეობდა, როცა მის მიერვე მოდერნიზებულ ავტომობილ „ბუგატი ტაიპ 35“-ით საავტომობილო რბოლებში მონაწილეობდა. იგი მეორე პილოტად მიიწვიეს „მაზერატის“ საქარხნო გუნდში, რომლითაც 1945 წელს მონაწილეობა მიიღო ბუენოს აირესის ათასკილომეტრიან რბოლაში, რის შემდეგაც მალე ის „მაზერატის“ ავტომობილების საქარხნო გამომცდელი გახდა.

თავისი კონსტრუქციის პირველი სარბოლი ავტომობილი კი დე ტომაზომ 1958 წელს შექმნა, რასაც ერთი წლის შემდეგ თავისი სახელის მქონე კომპანიის დაარსებაც მოჰყვა. წარმოებისთვის განკუთვნილი პირველი სპორტული ავტომობილი „დე ტომაზომ“ 1965 წელს გამოუშვა. ეს იყო ლეგენდარული „დე ტომაზო მანგუსტა“, რომლის დიზაინიც ცნობილმა დიზაინერმა ჯუჯარომ შექმნა.

1970 წელს „დე ტომაზო აუტომობილიმ“ „ფორდთან“ ერთად შექმნა ერთობლივი საწარმო, რომელიც 1990 წლამდე აწარმოებდა მეტად პოპულარულ მოდელ „პანტერას“. ბოლო წლებში „დე ტომაზოს“ მარკით მზადდებოდა ავტომობილი „მანგუსტა“, რომელიც მოგვიანებით, საკუთარი სპორტული ავტომობილის საბაზო ვარიანტად გამოიყენა ინგლისურმა MG „როვერმა“.

## „ფორდმა“ საიუბილეოდ ლოგოტიპი შეცვალა

ასწლოვან იუბილესთან დაკავშირებით „ფორდმა“ რამდენადმე შეცვალა თავისი ლოგოტიპი - „ცისფერი ოვალი“, რომელსაც ივნისში, საიუბილეო საზეიმო ღონისძიების დროს კომპანიის მთავარი შენობის თავზე აღმართავენ.

„ეს უბრალოდ აზრის შეცვლა არ გეგონოთ. „ფორდის“ ლოგოტიპი ეპოქის სიმბოლო, კომპანიის სიმბოლოა, რომელმაც პირველმა დაიწყო ავტომობილების მასობრივი წარმოება. რამდენადაც ჩვენთვის ახალი ასწლეული იწყება, გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ეს ისევ ის სიმბოლოა, რომელიც დღესაც საუკეთესო ავტომობილებს, სტაბილურობასა და ცხოვრების უმაღლესი დონეს ასახავს“, - განაცხადა კომპანიის ვიცე პრეზიდენტმა მარკეტინგის საქმეში იან ვალენტიკმა.

1903 წლიდან მოყოლებული, „ფორდი“ ამერიკაში ყველაზე მიღებულ, შინაურ მარკადაა მიჩნეული, რასაც ამ დროის განმავლობაში ჩატარებული პრაქტიკულად ყველა გამოკითხვა ადასტურებს. რაც შეეხება ახალ ლოგოტიპს, მასზე კომპანიის წარწერა იმავე შრიფტით შესრულდება, როგორიც 1909 წელს იყო.

## „ფიატმა“ 699 მილიონი ევრო იზარალა

2003 წლის პირველ კვარტალში კონცერნ „ფიატის“ სუფთა ზარალმა 699 მილიონი ევრო შეადგინა, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 39 მილიონით მეტია. იკლო ავტომობილების გაყიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა, რამაც 12.3 მილიარდი ევრო შეადგინა. ეს კი თითქმის ორი მილიარდით ნაკლებია შარშანდელი ანალოგიური პერიოდის შემოსავალზე.

ბოლო პერიოდში „ფიატი“ უზარმაზარ ზარალს ნახულობს, რაც პირველ რიგში მის პროდუქციაზე მოთხოვნის კატასტროფული კლების შედეგია. კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით კონცერნმა გაყიდა თავის მფლობელობაში შემავალი რამდენიმე კომპანია (სადაზღვევო „ტორო“, საავიაციო „ფიატ ავიო“ და ჯგუფი „ფიდისი“), რითაც რამდენიმე მილიარდი ევრო მიიღო.

პირველი კვარტლის კატასტროფული შედეგების მიუხედავად, „ფიატის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუზეპე მორჩომ განაცხადა, რომ კონცერნი წლეულს შარშანდელზე ნაკლებს იზარალებს.

# „ფორდის“ მომავალი - საშუალო ზომის სედანი „ფიუჩა“



კომპანია „ფორდმა“ გამოაცხადა, რომ ახლო მომავალში საშუალო ზომის კლასში ერთ პლატფორმაზე დამზადებულ რამდენიმე მოდელს გამოუშვებს ბაზარზე. ამ გეგმის შესრულება 2005 წლიდან დაიწყება, როცა გაყიდვაში გამოვა უახლესი ავტომობილი „ფორდ ფიუჩა“.

სტრატეგია გულისხმობს ერთ პლატფორმაზე „ფორდის“ ოჯახში შემავალი სხვადასხვა მარკით (ფორდი, ლინკოლნი და მერკური) რამდენიმე ტიპის (სედანი, უნივერსალი, უგზოობის და დიდი გამავლობის უნივერსალი) ავტომობილის გამოშვებას. რაც ყველაზე მთავარია, ყველა ეს ავტომობილი იაპონური „მაზდა6“-ის პლატფორმაზე დამზადდება.

„ფორდ ფიუჩა“ კომპანიის სამოდელო რიგში დაიკავებს ეგრეთ წოდებულ CD სეგმენტს, რომელიც 2000 წლიდან პრაქტიკულად თავისუფალია - სწორედ იმ წელს შეწყდა მოდელების, „ფორდ კონტურისა“ და „მერკური მისტიკის“ წარმოება.

ნიუ იორკის საავტომობილო შოუზე „ფორდის“ პრეზიდენტმა ნიკ შილმა განაცხადა, რომ „მაზდა6“-ის ბაზაზე კომპანიას გადაწყვეტილი აქვს ათი სხვადასხვა მოდელის წარმოება. ამ ავტომობილს წინა წამყვანი თვლები აქვს და ამიტომ, ის ათი მოდელიც შესაბამისი, ან ყველა წამყვანთვლიანი იქნება. მათ შორის „ლინკოლნის“ მარკით დამზადდება ორი მოდელი, „მერკურის“ მარკით კი - ერთი სედანი. აღნიშნულ პლატფორმაზე წლიურად 800 ათასი ავტომობილის გამოშვებაა ნავარაუდები.

დიდი არჩევანი იქნება ძრავების მხრივაც. ყველაზე მომცრო აგრეგატები ოთხცილინდრიანი იქნება, რომლებსაც გააგრძელებს V6 აგრეგატები. ყველაზე ძვირადღირებული მოდელები კი V8 კონფიგურაციის მძლავრ ძრავებს მიიღებენ. წარმოების დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ კომპანია მყიდველს აგრეგატის ჰიბრიდულ ვერსიასაც შესთავაზებს.

რაც შეეხება „ფორდ ფიუჩას“, ეს ავტომობილი სამოდელო რიგში „ფორდ ფოკუსსა“ და „ფორდ ხუთასს“ შორის დაიკავებს ადგილს. ამ უკანასკნელის გაყიდვების დაწყება 2004 წლისთვისაა დაგეგმილი. ჯერჯერობით გაგრძელდება „ფორდ ტაურასისა“ და „მერკური სეიბლის“ წარმოება, თუმცა ამ ორი მოძველებული მოდელის მომავალი არცთუ ულრუბლოა და როგორც ვარაუდობენ, ბაზარზე „ფიუჩას“ გამოჩენისთანავე მათი წარმოება შეწყდება. მითუმეტეს, უახლოეს მომავალში არ არის გათვალისწინებული მათი მოდიფიცირება.

„ფიუჩა“, რომლის შიდა საწარმოო კოდია CD338, გარეგნულად „ფორდის“ მიერ დეტროიტის წლევანდელ ავტოსალონზე წარმოდგენილ სედან „ფორდ 427“-ს ჰგავს.

რაც შეეხება ავტომობილ „მაზდა6“-ს, მისი წარმოება შარშან დაიწყო „ფორდისა“ და „მაზდას“ ერთობლივ საწარმოში, რომელიც მიჩიგანის შტატის ფლეტ როკშია განლაგებული. იმავე ქარხანაში კომპანია დაამზადებს ახალ „მუსტანგს“.

შილის განცხადებით, „მაზდა6“-ზე არჩევანი იმის გამო გაკეთდა, რომ ეს ავტომობილი აშშ-ში დიდი პოპულარობით სარგებლობს და იქაურ ქარხანაში მზადდება.

პირველ ყოვლისა, აღნიშნული სტრატეგია ითვალისწინებს „ფორდის“ სამოდელო რიგის ფრაგმენტიზაციას, რათა ამით კომპანიის კონკურენტუნარიანობა გაიზარდოს. ის დრო წარსულს ჩაბარდა, როცა ერთი მოდელის გაყიდვების მილიონამდე აყვანის ხარჯზე შესაძლებელი იყო ფონს გასვლა. ახლა „ცისფერი ოვალი“ გაყიდვების იგივე მოცულობის შენარჩუნებას ერთი პლატფორმით და ბევრი სხვადასხვა მოდელითა და მარკით ეცდება.

80-იანი წლების დასაწყისში „ფორდმა“ 7 მილიარდი დოლარი დახარჯა „კონტურისა“ და „მისტიკის“ ბაზარზე წამოწევისთვის, მაგრამ შესაბამისი უკუგება ვერ მიიღო, რადგან ეს მოდელები ევროპაში შეიქმნა იქაური მოთხოვნების გათვალისწინებით, რის გამოც მათ ვერ შეძლეს სხვა ბაზრებზე პოპულარობის მოპოვება. ყოველივე დიდი შეცდომა იყო, რაზეც შილი ამბობს, რომ მსგავსი შეცდომების უფლება კომპანიას აღარ აქვს.

# დებიუტისთვის ემზადება მეხუთე თაობის „გოლფი“



მიმდინარე წლის შემოდგომის დასაწყისში, ფრანკფურტის საავტომობილო სალონზე „ფოლკსვაგენი“ თავისი ფლაგმანის, პოპულარულ მოდელ „გოლფის“ მეხუთე თაობის ავტომობილის დებიუტს გეგმავს.

ეს ავტომობილი თავისი გარეგნობით ახლოს იქნება მეოთხე თაობის „გოლფთან“, მაგრამ გაცილებით „დაკუნთული“ და სპორტული გამომეტყველება ექნება, რითაც ვოლფსბურგული კომპანიის დიზაინერები ხაზს უსვამენ ამ ბესტსელერის მორიგი „გასერიოზულების“ ფაქტს.

ყოველივე შესაბამის ასახვას ჰპოვებს „გოლფის“ ინტერიერზე, რომელიც უფრო სოლიდური, მოცულობითი და კომფორტული გახდება, რასაც პირველ რიგში უკანა მგზავრები იგრძნობენ - თვლებს შორის ბაზა 2.57 მეტრამდე გაიზრდება, რაც სალონის მოცულობას გაზრდის. გარდა ამისა, „გოლფი“ საერთო ზომებითაც გაიზრდება. მისი სიგრძე 4.2 მეტრს მიაღწევს, სიგანე - 1.76 მეტრს, ხოლო სიმაღლე - 1.47 მეტრს. სამაგიეროდ, საბარგული მხოლოდ ათი ლიტრით გაიზრდება და 340 ლიტრი გახდება.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მიიღებს თუ არა ახალი „გოლფი“ ისეთსავე გადასაადგილებელ სავარძლებს, როგორებიც მის ბაზაზე შექმნილ კომპაქტვენ „ტურანს“ აქვს. სამაგიეროდ, ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ სამკარიანი ვერსია მიიღებს სისტემა „იზი ენტრის“ (ადვილი შესასვლელი), რომელიც უკანა სავარძელზე მოხვედრას აადვილებს და რომელიც უკვე გამოიყენება ახალ „აუდი A3“-ზე.

საბაზო ვერსია მიიღებს 1.4-ლიტრიან ძრავს, რომელიც 75 ცხენის ძალას ავითარებს. მძაფრი ემოციების მოყვარული მძღოლებისთვის კომპანია მეხუთე თაობის „გოლფზე“ მყიდველს შესთავაზებს მსოფლიოში პირველ FSI სისტემის ტურბოკმოპრესორიან აგრეგატს. მისი მუშა მოცულობა ორი ლიტრით განისაზღვრება, სიმძლავრე კი 200 ცხენის ძალაზე მეტი იქნება.

გარდა ამისა, ავტომობილი მიიღებს 115 და 150 ცხენის ძალიან აგრეგატებს. ამასთან, ჯერ გათვალისწინებული არ არის GTi ვერსიის დამზადება. უყურადღებოდ არც ის მყიდველი დარჩება, ვინც დიზელის აგრეგატებით აღჭურვილ ავტომობილებს ამჯობინებს - მათ სამ სხვადასხვა მოცულობისა და სიმძლავრის აგრეგატს შორის მოუწევთ არჩევანის გაკეთება.

რა თქმა უნდა, მწარმოებელი არც „გოლფ R32“ მოდიფიკაციას დაივიწყებს, რომელიც მეტად პოპულარულია მძლავრი და შედარებით იაფი ავტომობილების მუშტართა შორის და რომელიც კაპოტქვეშ 250 ცხენის ძალას ფლობს.

მრავალფეროვანი გახდება „გოლფის“ კომპლექტაციაც. მყიდველს შესთავაზებენ საბაზო, „კომფორტლაინ“ და „ტრენდლაინ“ კომპლექტაციებს. ევროპაში საბაზო „გოლფი“ 15 500 ევრო ეღირება და ამ ფასად მყიდველი მიიღებს ავტომობილს, რომელიც აღიჭურვება 75 ცხენისძალიანი აგრეგატით, 6 ცალი უსაფრთხოების პნევმობალიშით, ექსტრემალური დამუხრუჭების სისტემით, შუშის ელექტროამწევებით, აქტიური საკისრულებით, ცენტრალური საკეტით, რომელსაც დისტანციური სამართავი ექნება და კომპაქტ-დისკების დამკვრელი აუდიოსისტემით.

# პირველი სერიის „ბეემვე“ მზადაა პრემიერისთვის



*პირველი სერიის "ბეემვე"*

უახლოეს მომავალში ბავარიული კომპანია „ბეემვე“ რამდენიმე სიახლეს გეგმავს, რომელთა შორისაც სხვებზე არანაკლებ ინტერესს იწვევს სრულიად ახალი, პირველი სერიის კომპაქტური ავტომობილი, რომელიც ჟურნალ „აუტო ბილდის“ ინფორმაციით, პრაქტიკულად მზადაა წარმოებისთვის.

დღეისათვის ცნობილია, რომ 1-ლი სერიის „ბეემვე“ დამზადება 2.65 მეტრი სიგრძის მქონე შასიზე, მთლიანად ავტომობილის სიგრძე კი 4.2 მეტრს მიაღწევს. მისი სიგანე 1.75 მეტრი, სიმაღლე კი 1.4 მეტრი იქნება. ავტომობილის წონა 1125 კილოგრამს არ ასცდება.

„ბეემვესთვის“ სრულიად ახალი ავტომობილი გარეგნობით კომპანიის ახალ სადიზაინერო სტილის შესაბამისი იქნება. იგი გარეგნობით მიუახლოვდება კონცეპტუალურ მოდელ CS1-ს, რომელიც პირველად ორი წლის წინ იქნა ნაჩვენები. გარდა ამისა, მის დიზაინში შესამჩნევი იქნება როდსტერ Z4-თან მსგავსება, რომელიც უკვე გამოსულია გაყიდვაში.

პირველი სერიის „ბეემვე“ აღიჭურვება როგორც ბენზინზე, ასევე დიზელის საწვავზე მომუშავე აგრეგატებით. ესენი იქნება 1.8 და 2 ლიტრი მუშა მოცულობის ბენზინის ძრავები, რომელთა სიმძლავრეც შესაბამისად 125 და 150 ცხენის ძალაა. მათ გარდა მყიდველს საშუალება ექნება, არჩევანი გააკეთოს ორ ტურბოდიზელზეც, რომელთა სიმძლავრეც 115 და 150 ცხენის ძალაა. მოგვიანებით ბაზარზე გამოჩნდება სპორტული მოდიფიკაციები, რომლებიც 200 და 240 ცხენისძალიან ძრავებს მიიღებენ.

გარდა ამისა, პირველი სერიის ოჯახში გაერთიანდებიან სამ და ხუთკარიანი მოდიფიკაციები, უნივერსალი, კუპე და შესაძლოა როდსტერიც.

2004 წლისთვის ნავარაუდებია 40 ათასი ახალი ავტომობილის გამოშვება. ხუთი წლის შემდეგ კი, თუ შესაფერისი მოთხოვნა იქნა, პირველი სერიის „ბეემვეს“ წარმოება წლიურად 215 ათას ცალს მიაღწევს. სამაგიეროდ, ბავარიელებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, თუ რამდენად უნდა გაიყიდოს მათი სიახლე, რომლის დებიუტიც ფრანკფურტის ავტოსალონისთვისაა დაგეგმილი.

# „ფოლკსვაგენს“ პატარა როდსტერი ეყოლება



გერმანულ კონცერნ „ფოლკსვაგენის“ საკონსტრუქტორო შტაბი უკვე მუშაობს სრულიად ახალ მოდელზე - კომპაქტურ როდსტერზე, რომელიც ჟურნალ „აუტო ბილდის“ ინფორმაციით, მალე მოხვდება საავტომობილო ბაზარზე, თუმცა ჯერაც არ გააჩნია სახელი.

ჯერჯერობით მომავალ სიახლეზე რაიმე ტექნიკური ინფორმაცია არ არსებობს. ცნობილია მხოლოდ, რომ ეს იქნება ორადგილიანი ავტომობილი, რომელიც ალბათ ორლიტრიანი ბენზინის ძრავით აღიჭურვება და ამ აგრეგატის სიმძლავრე 150 ცხენის ძალაზე მეტი იქნება. ძრავს შეუწყვილდება სეკვენტალური გადაცემათა კოლოფი (გადაცემათა საფეხურების რიცხვი უცნობია), მოდელის საბაზო ვერსია კი კურსის სტაბილურობისა და მუხრუჭების ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემებს მიიღებს.

წინასწარი ვარაუდით, ამ ავტომობილის პროტოტიპის პირველი ჩვენება შეიძლება წლის ბოლოს, ტოკიოს ავტოსალონზე შედგეს. ამასთან, გამორიცხული არც ისაა, რომ ვოლფსბურგული მარკის გარდა ეს ავტომობილი მყიდველს „ფოლკსვაგენის“ ესპანურმა შტო „სეატმაც“ მიაწოდოს, რომელიც კარგა ხანია, არ მალავს, რომ ანალოგიური მოდელის შექმნითაა დაინტერესებული.

ასეა თუ ისე, ამ ავტომობილით „ფოლკსვაგენი“ კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს საკუთარი სამოდელო რიგის გამრავალფეროვნების საქმეში. და თუ ანალოგიურ მოდელს „სეატიც“ დაამზადებს, ამაში გასაკვირი არაფერი იქნება - ვოლფსბურგში ხომ მიღებულია კონცერნში შემავალი სხვადასხვა კომპანიების მარკით, იქნება ეს „აუდი“, „სეატი“, „შკოდა“ თუ საკუთრივ „ფოლკსვაგენი“, ფაქტობრივად ერთიდაიგივე ავტომობილის გამოშვება.

რაც შეეხება გარდაუვალ „შიდა კონკურენციას“, არც ესაა დიდი პრობლემა - იგივე „სეატი“, „შკოდა“, „ფოლკსვაგენი“ და „აუდი“ თუ ერთმანეთს კლიენტებს ართმევენ, მოგება ისევ კონცერნს უბრუნდება. სამაგიეროდ, უფრო ზარალდებიან კონკურენტები, რომლებიც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, „ფოლკსვაგენისებრი“ გაქანებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან.

„რუსთავი 2 პრინტის" პრეზენტაცია და სხვა B3

საქართველოს ნაკრებს კიდევ სამი თამაში დარჩა... B4

რობერტ დე ნირო - კაცი №31 B7



ნომრის პერსონა

# საბაჟო ზონაში მხოლოდ საბაჟო უნდა მოქმედებდეს

## დავით თარხან-მოურავი: საზოგადოებას დახმარებას ვთხოვ, მე ის მჭირდება

*უკანასკნელ ხანებში, უფრო კი მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა დიდი იმედი გამოთქვა, რომ გაერო-ს გამტაცებლებს სწორედ ადგილობრივი საზოგადოება გასცემდა საკადრის პასუხს და არა ისინი, ვისაც ეს ევალება, ჩვენს სახელმწიფო მოხელეებს ახალი გატაცება შევნიშნეთ - ნებისმიერი დარგის ხელმძღვანელი პრობლემების მოგვარებაში საზოგადოებას თხოვს მხარდაჭერას. თუმცა, გაუგებარია, რით შეიძლება დაეხმაროს საზოგადოების წევრი კონდიტერი, ან მეწაღე - რომელიმე დარგის რომელიმე მინისტრს, ან დეპარტამენტის უფროსს კორუფციის აღმოფხვრასა და მოშლილი სისტემის გაჯანსაღებაში... საზოგადოებასთან ერთად მართვის სურვილი ახალი მოთხოვნაა და კარგია, რომ მოხელეებს არ სურთ, დროს ჩამორჩენ. მაგრამ, პასუხისმგებლობას, რომელსაც ისინი საზოგადოებას აკისრებენ, გადამისამართება უნდა - ისინი თანამდებობებზე საზოგადოებამ კი არა, ქვეყნის პრეზიდენტმა დანიშნა. დღევანდელი ჩვენი "პერსონა," დავით თარხან-მოურავი საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარედ სულ რაღაც ერთი თვეა, დაინიშნა. მანამდე ის ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე გახლდათ და ახალ თანამდებობაზე მისი პირველი მოთხოვნები სწორედ სისტემურ ნოვაციას უკავშირდება - მონაცემთა ერთიანი ბანკის შექმნას და ტვირთების თანამგზავრული კონტროლის სისტემის დანერგვას.*

მაია ჭალაგანიძე

**- დღეს საკმაოდ გაბედული ნაბიჯია საბაჟო სისტემასთან შეჭიდება. რა საფუძველი აქვს ამ გამბედაობას?**

- პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ჩემზე გადამეტებული წარმოდგენა გაქვთ. არ ვდებ თავს იმაზე, რომ ყველა პრობლემას გადავჭრი. ერთია, რომ შევეცდები, მეორე - რა გამოვა.

ამ თანამდებობაზე ჩემი დანიშვნის საკითხი საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვიტა და ამ გადაწყვეტილებას უნდა დავემორჩილო. თუ არადა, რა მინდა სახელმწიფო სამსახურში?

**- რა ნიშნით გამოგარჩიათ პრეზიდენტმა?**

- პეზიდენტის გადაწყვეტილებებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

შემიძლია ცალსახად და გულწრფელად გითხრათ - პრეზიდენტი მთელი თავისი არსებით დაინტერესებულია, რომ საბაჟომ და, საერთოდ, საფინანსო სისტემამ აწყობილი, ნორმალური, არაკორუმპირებული, გამჭვირვალე, არაკონტრაბანდული სახე მიიღოს.

ამ პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა რეფორმების ახალ, სისტემურ ეტაპზე გადასვლაა.

**- უწოდებთ თუ არა წარმატებულს საბაჟოზე თქვენი წინამორბედების მიერ დაწყებულ რეფორმებს?**

- რეფორმები უნდა გაგრძელდეს და ცალკეული მიმართულებები უნდა დაიხვეწოს. არამხოლოდ იმაზე უნდა ვიფიქროთ - რა გაკეთდეს, არამედ - როგორ გაკეთდეს... დღეს ყველაზე დიდი პრობლემაა - როგორ, რა ვადებში, ვინ უნდა შეასრულოს, რა შედეგს ველით...

ნებისმიერი სისტემური რეფორმა საკანონმდებლო, ორგანიზაციულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, საკადრო, საინფორმაციო ცვლილებებს გულისხმობს. უნდა ჩანდეს ამ ღონისძიებების ურთიერთკავშირი. ასეთი დავალებაა - საბიუჯეტო თანხების მობილიზება, შიდა ბაზრის დაცვა და მსოფლიო ბაზართან ინტეგრაცია.

**- როგორ აპირებთ ამის გაკეთებას. დარწმუნებული ვარ, თქვენი წინამორბედებიც ამგვარი ნათელი გეგმებით მოდიოდნენ...**

- დოკუმენტს ჩვენი გეგმების შესახებ უახლოეს მომავალში გამოვაქვეყნებთ. ამისთვის საერთაშორისო ორგანიზაციების, მათი ექსპერტების დახმარებაა საჭირო. აუცილებლად ვაპირებთ, რომ დავეყრდნოთ საერთაშორისო ოფიცრებს.

დღეს არ გვაქვს პრეტენზია იმაზე, რომ ხვალ ყველაზე ჭკვიანურ დოკუმენტს შევქმნით. მას საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოვიტანთ. არ გვეწყინება კრიტიკა. ღია ურთიერთობებისთვის ვართ განწყობილნი. კრიტიკისგან თავდაცვას არ ვაპირებთ და ამ კრიტიკის, განხილვის საფუძველზე შეიქმნება ახალი დოკუმენტი, სადაც მაქსიმალურად იქნება ასახული საზოგადოებრივი მოთხოვნა. ამ დოკუმენტსაც საზოგადოებრივი კონტროლით განვახორციელებთ.

**- ეს კარგია, მაგრამ კონტრაბანდა მძვინვარებს. კონცეფციის საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე რა კონკრეტული ღონისძიებების გატარებას აპირებთ?**

- დღეიდან ბენზინგასამართი სადგურების დღეში ორჯერადი კონტროლი დაიწყო. კონტრაბანდული ნაკადების გაკონტროლების გამკაცრების მიზნით, შეიქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც საგადასახადო ინსპექციის, საბაჟოსა და ლეგიონის წარმომადგენლები შევლენ. ამ ჯგუფში ჩაერთვება "ავლაბრელთა კავშირიც". შეიქმნება სპეციალური ინსტრუქციები მებაჟეებისთვის, სადაც მკაფიოდ დაფიქსირდება მებაჟეთა უფლება-მოვალეობანი. ასევე, საბაჟოსთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციისთვის ურთიერთობის წესები დამუშავდება. დაინომრება საბაჟო დეკლარაციები და ბლანკები, რაც საბაჟო კონტროლის გამკაცრების საშუალებას მოგვცემს.

უახლოეს მომავალში შეიქმნება ერთიანი მონაცემთა ბაზა ყველა იმ სტრუქტურისთვის, რომელთაც, კონტროლის მიზნით, ინფორმაციის ერთმანეთთან გადამოწმება უწევთ (საბაჟო, საზღვრის დაცვის, სტატისტიკის დეპარტამენტები, საგადასახადო ინსპექცია და ა.შ.). შესაძლებელი გახდება ყველა ტვირთის გაკონტროლება თანამგზავრული ხერხით. ინვესტორები გამოთქვამენ სურვილს, რომ ეს სისტემა საქართველოში დაინერგოს. ეს დროის საკითხია.

იცით, რომ წითელი ხიდი დავკეტეთ და უპრეცედენტო რამ მოხდა - დაკეტვიდან 18 დღის განმავლობაში 268 ათასი ლარი შევიდა ბიუჯეტში მაშინ, როდესაც ბოლო წლების განმავლობაში ნული შემოდიოდა. მივიყვანეთ პოლიცია, ლეგიონი, ჩავყარეთ ბლოკები - ელემენტარული მართვაა. ამ ყველაფერს წინააღმდეგობა გავუწიეთ.

**- საბაჟო კონტროლი აქამდე არ იყო?**

- როგორ არ იყო. მაგრამ, კანონია ისეთი, რომ თუ კაცი თვითონ არ შემოვა საბაჟოზე, გვერდიც რომ აუქციოს, კანონდარღვევად არ ითვლება. ჩვენ ეს გვერდითი გზა მოვუსპეთ და იძულებულია, საბაჟოზე შემოვიდეს.

**- ასეთი კაზუისტური უზუსტობები ყველა კანონშია. თანაც, ბევრი ცდილობს ფისკალურ კანონებში საკუთარი ინტერესები ჩადოს. თქვენ რა ძალებით აპირებთ ამის წინააღმდეგ ბრძოლას?**

- ვფიქრობ, რომ საზოგადოებას თავადვე უნდა ამ საკითხების გადაჭრა და თუ რაღაც კეთდება, საზოგადოების დამსახურებაა.

**- კონტროლის პირველი ნაბიჯები გადადგით. როგორც წესი, კონტროლი კორუფციის წყაროა. ამის საწინააღმდეგო მექანიზმები თუ შეიმუშავეთ?**

- შეუძლებელია ყველაფრის კონტროლი. შევეცადეთ, ის ადამიანები შეგვერჩია, ვისაც მართლა უნდა, რომ ამ ქვეყანაში რაიმე გამოსწორდეს. დამიჯერეთ, ყველაფრის კონტროლის კონტროლს ვერ განახორციელებთ.

**- მართალია, მაგრამ საფრთხე მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.**

- დავიწყეთ საქმის კეთება. დანარჩენს ვნახავთ.



*დავით თარხან-მოურავი.*

**- რამდენად ითვალისწინებთ ანტიკორუფციულ რეკომენდაციებს, ბიუროს წევრთა მიერ გამოძიებული კონტრაბანდული საქმეების კურსში თუ ხართ?**

- კონტრაბანდა და კორუფცია ნებისმიერ ქვეყანაშია. ამის შესამცირებლად მაპროვოცირებელი პირობები უნდა მოისპოს. ეს იწვევს საზოგადოებრივი მენტალიტეტის გარდაქმნას და ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანაც სწორედ ესაა. წითელი ხიდის მაგალითი მოგიყვანეთ - ჩვენ კონტრაბანდული გადაზიდვისთვის პირობების მოსპობას შევეცადეთ და ამან შედეგი გამოიღო.

**- წითელი ხიდი, ბენზინგასამართი სადგურები, შემდეგი?**

- ის, რაც წითელ ხიდზე გავაკეთეთ, ყველა გამშვებ პუნქტზე მოხდება. მნიშვნელოვანი საკითხია დასაწყობების, ანუ საქონლის იმპორტში მოქცევის საკითხი და ა.შ. მაგრამ ეს ტაქტიკური, წერტილოვანი დარტყმებია - სტრატეგიული საკითხების დაგეგმვა წინაა.

ვაპირებთ შევხვდეთ სიგარეტის მწარმოებლებს, ბიზნესმენებს, მოვუსმენთ ყველას, რათა ერთად ვეძებოთ კონკრეტული გზები.

**- კონკრეტულად თქვენს უწყებაში როგორ აპირებთ ე.წ. მაპროვოცირებელი პირობების მოსპობას?**

- რატომღაც, ყოველთვის თანამშრომელთა კორუმპირებულობაზე ვფიქრობთ. ეს შეცდომაა. კონტრაბანდული ტვირთის შემოტანის პროცესში ორი მხარე მონაწილეობს - მებაჟეც და შემომტანიც. მხოლოდ თანამშრომლის გამოსწორება შედეგს არ მოგვცემს. ისეთი გარემო უნდა შევქმნათ, რომ თავად შემომტანისთვის აღარ იყოს ხელსაყრელი კონტრაბანდა. ეს თეორიულად შესაძლებელია.

თუ ნავთობის სფეროში მომუშავე ყველა კომპანია ტვირთს თეთრად განაბაჟებს - კონკურენცია დარჩება.

**- ნავთობკომპანიების ბოსები, როგორც წესი, მაღალ ეშელონებში ბუდობენ. მათ აწყობილი სისტემა აქვთ და ბრძოლა გაჭირდება...**

- ვფიქრობ, რომ ამ ადამიანებთან მოლაპარაკება შესაძლებელია. ისეთი აზრი მრჩება, რომ ყველა ეს კომპანია დაინტერესებულია, თეთრი ბიზნესი ჰქონდეს. ოღონდ, სახელმწიფომ უნდა შექმნას იმის პირობები, რომ ყველამ, თუნდაც ყველაზე პატარამ, "შავად" არ იმუშაოს.

**- პატარა ისედაც ვერ მუშაობს, ამინდს დიდი კომპანიები ქმნიან.**

- დღეს სხვა პირობებია. ამ მიმართულებით მუშაობა, მოლაპარაკებები მიმდინარეობს და მეტსაც გეტყვით, თუ ვიღაც ამას არ დაეთანხმება, კონკრეტული ზემოქმედების ბერკეტებიც არსებობს.

**- ხომ ვერ გაგვიმხელთ?**

- რაღაც საიდუმლო მეც უნდა დამრჩეს.

**- რას ელით, როდის გაგიცრუვდებათ იმედები?**

- ძალიან მინდა, რომ ეს არ მოხდეს.

**- სპორტსმენი იყავით** (ბატონი დავითი წარსულში თბილისისა და საქართველოს ჩემპიონი გახლდათ მაგიდის ჩოგბურთში. რედ.) **და გეცოდინებათ, რომ გასამარჯვებლად წასული, ზოგჯერ მარცხდები. ამისთვის მზად ხართ?**

- რთულ სფეროში გადაგყავართ... ადამიანი ცხოვრებაში ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს და, პირველ რიგში, ბრძოლისთვის.

**- თქვენ აპირებთ საბაჟოს რეფორმებს, მაგრამ ფისკალური სტრუქტურები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და ხელისშემშლელი ფაქტორები გაგიჩნდებათ.**

- ეს რომ არ მოხდეს, უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა უნდა გაიმიჯნოს. ყველა თავის ზონაში უნდა მოქმედებდეს და ახლავე ვიტყვი, რომ საბაჟო ზონაში მხოლოდ საბაჟო უნდა მოქმედებდეს.

**- თქვენ ამბობთ, რომ საბაჟოს გარდაქმნა-გაკეთილშობილებით ბევრია დაინტერესებული. არიან ეს ადამიანები თქვენს გვერდით ახალ სამსახურში?**

- არ მიმაჩნია, რომ სისტემის ეფექტურობის ამაღლება გუნდური პრინციპით ხდება და რომ აუცილებლად მხოლოდ შენი გუნდით უნდა აკეთო საქმე. სისტემაში, რომელიც მუშაობს, არ შეიძლება ყველას ერთად გაშვება. პირველ რიგში, მაქსიმალურად უნდა აამოქმედო საკადრო შემადგენლობა და დაინახო შედეგები. ამის შემდეგ უნდა დაიწყოს ადამიანების ეტაპობრივი შეცვლა. ჩვენც ამ გზას ვადგავართ, ერთი კაციც არ შეგვიცვლია, მაგრამ გეგმა შესრულდა.

სისტემა არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ პიროვნულ თვისებებზე. უნდა მოიძებნოს ზღვარი ადამიანის თვისებებსა და სისტემის ფუნქციონირებას შორის. ამ საქმეში არასამთავრობოების მოზიდვას ვაპირებთ.

**- ანუ, აპირებთ არასამთავრობოებთან თანამშრომლობას...**

- თავად ჰკითხეთ - დანიშვნიდან ორ საათში ამ ხალხს მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა და ყოველთვის ექნებათ. მათ მოვუწოდებ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენს ღონისძიებებში. ჩემი და საზოგადოების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. საზოგადოებას დახმარებას ვთხოვ, მე ის მჭირდება. მხოლოდ საზოგადოების დარაზმვით გადაიჭრება პრობლემები და ამას ვერანაირი ძალა ვერ დაუდგება წინ. სწორედ ეს მაძლევს იმედს, რომ ყველა პრობლემა გადაწყდება. ჩემთვის ხელსაყრელია, რომ "60 წუთიც", "24 საათიც" და ნებისმიერი ჟურნალისტი იდგეს წითელ ხიდზე. რასაც ვერ ვაკონტროლებ, თქვენ გააკონტროლეთ.

ვფიქრობთ, რომ გამოცდებსაც საზოგადოება, არასამთავრობოები ჩაატარებენ. ჩვენ მაყურებლის როლში ვიქნებით - საბაჟო მინიმალურად იქნება წარმოდგენილი. მაგრამ, საზოგადოებამაც უნდა იგრძნოს თავისი პასუხისმგებლობა...

**- რა განსაკუთრებული რეჟიმი იქნება ოსეთთან და აფხაზეთთან არსებულ საბაჟო პუნქტებში?**

- ჩემი მოსკოვური ვიზიტი სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა.

**- მხოლოდ ორი მხარე შეხვდით ერთმანეთს?**

- დიახ. რუსეთის საბაჟოსთან ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნასა და ინფორმაციის მიმოცვლის თაობაზე შევთანხმდით. ამას ჩვენი ქვეყნისთვის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების პრობლემის გამო, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის ასევე ცხელი წერტილია ყაზბეგი-ზემო ლარსის პირდაპირი ტრასა... რუსებს ისიც კი უნდათ, რომ ჩვენ სპეციალური საბაჟო ატაშე გვყავდეს. ამ საკითხების გადაწყვეტაში ყველა მხარეა დაინტერესებული.

**- გქონდათ შეხვედრა ევროკომისიის, ევროსაბაჟოს და ამერიკის ოფიციოზის წარმომადგენლებთან. რას შეეხო საუბარი?**

- ჩვენ აუცილებლად მივიღებთ იმ საზოგადოებრივ დოვლათს, რაც ევროკომისიის პროექტებს მოაქვთ. ჯერ კიდევ ინფორმატიზაციის დეპარტამენტში ვამბობდი, რომ არჩევნები იქნება თუ პენსიების გაცემის საკითხი - დაკავშირებულია ყოველი ადამიანისთვის პლასტიკური საიდენტიფიკაციო ბარათის გაცემასთან. ევროკომისია წევრ ქვეყნებში ამ ღონისძიების განხორციელებას აპირებს. ჩვენ გვინდა, ვეზიაროთ ამ პროექტებს. ამისთვის უმნიშვნელოვანესია საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან ჰარმონიზაცია.

ცალკეა ევროსაბაჟო, და გვინდა ვეზიაროთ მათ პროექტებსაც. ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც ევროპულთან არის ჰარმონიზებული, ევროსაბაჟოს სპეციალისტებმა ჩვენთვის შეიმუშავეს. საუბარია მეორადი კანონმდებლობის შექმნაზეც, რაც მებაჟეთა უფლება-მოვალეობების ინსტრუქციების შექმნას ითვალისწინებს. ასეთივე სახელმძღვანელოები უნდა შეიქმნას იმ ბიზნესმენთათვისაც, ვისაც საბაჟოსთან ურთიერთობა უწევს.

აქ უნდა იყოს აბსოლუტურად ცალსახა მოქმედების გეგმა - ჩვეულებრივი ადამიანი კედელზე უნდა კითხულობდეს, რისი უფლება აქვს მებაჟეს. ასევე უნდა კითხულობდეს მებაჟეც. მაშინ ბევრი პრობლემა აღმოიფხვრება.

სხვათა შორის, ეს საკითხი საქართველოში მძიმედ დგას. არსებობს დებულებები, მაგრამ დახვეწას და კონკრეტიზაციის მაღალ დონეს საჭიროებს. ორაზროვნება უნდა აღმოიფხვრას. იგივე მდგომარეობაა სხვადასხვა სტრუქტურების ერთმანეთთან ურთიერთობისასაც. საბაჟო განყოფილებების, სამმართველოების და თავად საბაჟოებს შორის ურთიერთობებიც ამ ფორმით უნდა რეგულირდებოდეს.

არის კიდევ ერთი სფერო, რაზეც ჩვენ ევროსაბაჟოსთან ვთანამშრომლობთ - მართვის სრულყოფა.

**- თუ ინტეგრაციისთვის საჭირო გახდება ჩვენი საბაჟო ტარიფების დაწევა, ხომ არ შეიძლება ამას ფისკალურად უარყოფითი ეფექტი მოყვეს და, შესაბამისად, ამ განზრახვას წინააღმდეგობა შეხვდეს ფინანსთა სამინისტროსგან ან, გნებავთ, პარლამენტისგან?**

- არავითარ შემთხვევაში. ყველაფერი წინასწარ დაითვლება. საბაჟო ტარიფის შემცირება ტვირთბრუნვის ზრდას იწვევს, ასე რომ, საგადასახადო კუთხით პირიქით, ამან გაუმჯობესება უნდა მოიტანოს. მაგრამ, არ შეიძლება ყველა პროდუქციაზე ტარიფის ერთნაირად დაგდება. თუ პროდუქციაზე მოთხოვნილება დიდია და თან ის ქვეყანაში არ იწარმოება, მაგალითად, კომპიუტერული ტექნიკა, მაშინ, ბუნებრივია, ტარიფმა უნდა დაიწიოს. მაგრამ თუ პროდუქცია ჩვენც ჭარბად გვაქვს, მის შემოტანაზე ტარიფიც მაღალი უნდა იყოს.

**- საუბრობენ თქვენს ახლო ურთიერთობაზე პრეზიდენტის ოჯახთან და იმაზეც, რომ თქვენს დანიშვნას ამანაც შეუწყო ხელი.**

- საქართველოს პრეზიდენტთან სიახლოვე კარგი და საშური საქმეა. ის, რომ პრეზიდენტთან ახლო ურთიერთობა მაქვს, ჩემი აზრით, ყველანაირად დადებითი მოვლენაა.

სამწუხაროა, მაგრამ პრეზიდენტის ოჯახს ბევრ რამეს ისეთს აბრალებენ, რაც სინამდვილეში არ არსებობს.

სხვათა შორის, პრეზიდენტის სახელით ბევრი ხალხი სარგებლობს და როცა კი ჩავეძიე, ყოველ ჯერზე აღმოვაჩინე, რომ პრეზიდენტთან არანაირი კავშირი არ აქვს. ყოველი მეორე ცდილობს პრეზიდენტის სახელით სარგებლობას. ძალიან ბევრი მიამიტია და ამის ჯერა. პირად კონტროლზე ავიყვანე და ოჯახის სიახლოვე ვერ დავინახე.

**- როგორ აპირებთ წესრიგის დამყარებას იმ დარგებში, სადაც პრეზიდენტის ოჯახის წევრთა ბიზნეს-ინტერესებია?**

- ყოველ სიტყვაზე ვაგებ პასუხს და ვაცხადებ, რომ თუ პრეზიდენტის ოჯახის წევრი ნავთობის სფეროში მოღვაწეობს - აბსოლუტურად თეთრ ბიზნესს ეწევა. ჩემი ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდგომ თუ მომიტანთ ფაქტს, რომ ნავთობპროდუქტების სფეროში პრეზიდენტის ოჯახის რომელიმე წევრმა არათეთრი ოპერაცია განახორციელა, იმ დღესვე განცხადებას დაგიწერთ და წავალ...








## პოპ-მუსიკა

### გიგანტების ორთაბრძოლა



წინა კვირას მსოფლიო ალბომების ჩარტებში არსებულ სიტუაციას თამამად შეიძლება გიგანტების ბრძოლა ვუწოდოთ. სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა ორი ახალი ნამუშევარი: "რედიოჰედის" Hail To The Thief და "მეტალიკას" St. Anger. ჩარტების ანალიტიკოსები მოუთმენლობისგან კვდებოდნენ – საშინლად აინტერესებდათ, რომელი რომელს დაჯაბნიდა, თუმცა ყველაფერი მეტად მარტივად და ლოგიკურად დასრულდა: "მეტალიკა" ამერიკულ ჩარტებს ჩაუდგა სათავეში, ხოლო "რედიოჰედი" ბრიტანულ ჰიტ-პარადებში დღესაც პირველ პოზიციაზეა.

"რედიოჰედის" რიგით მეექვსე სტუდიურ ალბომს ინგლისში ისე მოუთმენლად ელოდნენ, "მეტალიკა" ნამდვილად ვერ შეეცილებოდა ჩვენი დროის საუკეთესო როკ-ჯგუფს პირველობას. შედეგმაც არ დააყოვნა: გამოსვლისთანავე პირველი ორი დღის განმავლობაში Hail To The Thief 60 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა. რაც შეეხება ალბომს St Anger, აქ მან მესამე პოზიციამდე მიაღწია, და შეიძლება ითქვას, ესეც დიდი მიღწევაა "მეტალიკასთვის". აშშ-ში "მეტალიკას" ახალი ალბომი 420 ათასამდე გაიყიდა პირველივე დღეებში. აღნიშნული ალბომების გარდა, წინა კვირას მსოფლიო მუსიკალურმა საზოგადოებამ ენი ლენოქსის ნამუშევრის გამოსვლაც აღნიშნა. აღსანიშნავია, რომ Bare ლენოქსის პირველი ალბომია უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

### ძეგლი ფრედი მერკურის

ლონდონში, Dominion Theatre-თან ახლოს, იქ, სადაც რეგულარულად იმართება შოუ-წარმოდგენა We Will Rock You, ლეგენდარულ ფრედი მერკურის ძეგლს დაუდგამენ. ქანდაკების სიმაღლე რვა მეტრი იქნება. მართალია, ის უკვე დგას კუთვნილ ადგილას, მაგრამ გამვლელებს ჯერ არ შეუძლიათ მისთვის თვალის შევლება, რადგანაც ქანდაკება ელოდება დათქმულ დროს, 18 ივნისს, როდესაც დაგეგმილია მისი საზეიმოდ გახსნა. ცერემონიალზე სხვა საპატიო სტუმრებს შორის ელოდებიან "ქუინის" წევრებს: ბრაიან მეისა და როჯერ ტეილორს. ძეგლის გახსნა 18 ივნისს, რასაკვირველია, შემთხვევითი არაა. სწორედ ამ დღეს აღინიშნება თეატრალურ სცენებზე შოუ We Will Rock You-ს დადგმიდან ერთი წლისთავი. ლონდონის საზღვრებს მიღმა ბენ ოლტონის სპექტაკლს, სადაც "ქუინის" მუსიკაა გამოყენებული, პირველად მელბურნში 7 აგვისტოს წარმოადგენენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ 18 ივნისს ლონდონში გახსნილი ქანდაკება არ არის მერკურის პირველი ძეგლი. მუსიკოსის გარდაცვალებისთანავე ძეგლი მას 1996 წელს შვეიცარიაში, მონტრეში დაუდგეს.

### დი-ჯეები მოსკოვიდან

"აჭარა მიუზიკ ჰოლში" პირველი საზაფხულო სეზონი გაიხსნა. ამასთან დაკავშირებით, კლუბის პრომოუტერებმა ახალი პროექტები წამოიწყეს. სიახლე სხვადასხვა ქალაქების წამყვანი კლუბების დი-ჯეების გაცნობას ისახავს მიზნად. გუშინ "აჭარა მიუზიკ ჰოლმა" თელ ავივიდან ორი დი-ჯეი: ავი ავიგდარი და ნერიკო წარუდგინა საკუთარ აუდიტორიას; დღეიდან კი ეს კლუბი 12 ივლისის ჩათვლით დი-ჯეების მინი-ფესტივალს Moscow Beat-ს უმასპინძლებს. ფესტივალში ექვსი, მოსკოვში ცნობილი დი-ჯეი მიიღებს მონაწილეობას. ფესტივალი ოთხ დღეზე გადანაწილდება – მოსკოველი დი-ჯეების საღამოები დაგეგმილია 14, 28 ივნისს და 5, 12 ივლისს. ამ დღეებში თბილისელ "კლუბერებს" გაართობენ: დი-ჯეი გრადი, დი-ჯეი ლისტი, დი-ჯეი რუდიკი, დი-ჯეი მელორი, დი-ჯეი ჯეფი და დი-ჯეი ასია. საღამოები კლუბში ტრადიციულად ღამის თერთმეტი საათიდან დაიწყება. იმედია, "აჭარა მიუზიკ ჰოლი" არც ამჯერად გააწბილებს ერთგულ სტუმრებს და კვლავაც საინტერესო და გემოვნებიან მუსიკალურ საღამოებს შესთავაზებს მათ.

### "ნირვანა" კვლავაც საუკეთესოა

პოპულარულმა მუსიკალურმა ტელეარხმა VH1-მა გადაწყვიტა საკუთარი მაყურებლების დახმარებით, გაერკვია უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში რომელია ყველაზე პოპულარული სიმღერა. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ საუკეთესო კომპოზიცია "ნირვანას" Smells Like Teen Spirit-ია. სწორედ ის ჩაუდგა სათავეში უდიდესი ჰიტების ჩამონათვალს.

გამოკითხვაში მეორე ადგილზე მაიკლ ჯექსონი გავიდა სიმღერით Billie Jean, ხოლო მისივე სიმღერამ Beat It-მ მეორმოცე პოზიცია დაიკავა. რა გასაკვირია და ემინემიც მოხვდა თავისი პოპულარული Lose Yourself-ითა და My Name Is-ით ამ ჩამონათვალში. ასევე ორი სიმღერით - Like a Virgin და Ray of Light მადონაც მოხვდა გამარჯვებულთა შორის. დანარჩენ ლიდერებს შორის არიან: Guns N' Roses, U2 (ლეგენდარული ჰიტით One), პრინცი, ვიტნი ჰიუსტონი, "პოლისი".

შეგახსენებთ, 2001 წელს ამ ტელეარხმა საუკეთესო მუსიკალური ვიდეოკლიპები გამოავლინა. მაშინ საპატიო გამარჯვება წილად ხვდა მაიკლ ჯექსონის 11 წუთიან Thriller-ს. წელს ეს სიმღერა გამოკითხვაში აღარ გამოჩენილა. წლევანდელი გამოკითხვის შედეგად, საუკეთესოდ აღიარებული სიმღერების ვიდეოკლიპებს ეს ტელეარხი ხუთი დღის განმავლობაში დაატრიალებს თავის ეთერში. მუსიკალური ვიდეორგოლები მსოფლიოს შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთა და მუსიკოსთა მცირე ინტერვიუების თანხლებით გავა.

იკითხეთ ჩვენგან
გამომცემლობა "ლოგოსის"
ახალი წიგნები
დათო ტურაშვილის "გურჯი-ხათუნი" და აკა მორჩილაძის "მელიქსეთბეგის თბილისი"
საიდუმლოებით მოცული ამბები, სახიფათო ისტორიები და ფათერაკიანი თავგადასავლები ჩვენი ქვეყნის წარსულიდან.



# გამოსამშვიდობებელი სერენადა ბატონი ლოიზინგისათვის

## კონსერვატორია გერმანელ პროფესორს გამოემშვიდობა

მადი სერებრიაკოვა

**"ასეთ კონცერტებს ჩვენ ყველას არ ვუმართავთ"** – აღნიშნა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა მანანა დოიჯაშვილმა გუშინ, კონსერვატორიის კამერული მუსიკის დარბაზში გამართულ გამოსამშვიდობებელ კონცერტზე. ეს, მართლაც, უჩვეულო მოვლენა იყო – კონსერვატორიის სტუდენტებმა და პედაგოგებმა სოაცრად ამაღელვებელი კონცერტი მიუძღვნეს ამიერკავკასიაში გერმანული ენის სწავლების კოორდინატორს ანტონინ ლოიზინგს, რომელიც საკუთარი მისიის დასრულებასთან დაკავშირებით საქართველოდან მიემგზავრება.

რით დაიმსახურა ჰერ ლოიზინგმა ასეთი პატივი?! პირველ რიგში, იმ ღვაწლით, რომელიც მან ქართველ სტუდენტებთან, განსაკუთრებით ვოკალისტებთან გერმანულ რეპერტუარზე მუშაობისას გასწია. რამდენიმე წლის მანძილზე იგი გაკვეთილებსა და მასტერ-კლასებს უტარებდა ახალგაზრდა მუსიკოსებს გერმანულენოვანი მუსიკის სწორი ინტერპრეტაციისა და ენობრივი დეტალების დასამუშავებლად. თავად გერმანელ პედაგოგს დაწყებითი განათლება სწორედ მუსიკალურ სკოლაში აქვს მიღებული (იგი ფლეიტისტია), ამის გამო მისი დამოკიდებულება მუსიკალური წრეების მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული იყო: **"პირველადი მუსიკალური განათლების გამო, ჩემი განსაკუთრებული სურვილი იყო მუსიკალურ წრეებს დავახლოვებოდი. მუსიკოსები განსაკუთრებული ხალხია. მათ არ დაუკარგავთ ის შეგრძნება, რომ ჩვენს ზემოთ რაღაც სხვა ძალაა, რომელსაც უნდა ვემსახუროთ. ისინი არ არიან მეფეები, ისინი იმ ბატონს ემსახურებიან, რომელსაც მუსიკა ჰქვია,"** - აღნიშნავს ბატონი ლოიზინგი.



*ლოიზინგი უსმენს მაესტრო ანდღულაძეს.*

ლოიზინგის ასეთ განწყობას თბილისის კონსერვატორიის მიმართ სავსებით იზიარებენ მისი მასპინძლებიც. როგორც ცნობილი მომღერალი და პედაგოგი, პროფესორი ნოდარ ანდღულაძე აღნიშნავს: **"მისი ღვაწლი განსაკუთრებულია ჩვენი სტუდენტებ-ის, ვოკალისტების მიმართ და რამდენადაც კონსერვატორიას ჩვენ საკუთარ სახლად მივიჩნევთ, იმდენად ჰერ ლოიზინგი ჩვენი ოჯახის წევრად მიგვაჩნია."**

კონცერტი მუსიკალური შინაარსითაც სრულიად განსაკუთრებული გამოდგა. შესრულდა გერმანულენოვანი და ასევე, ქართული ნაწარმოებები: ჰენდელის, მოცარტის, შუბერტის, შტრაუსის, ფალიაშვილის, მშველიძისა და აზარაშვილის არიები თუ რომანსები. კონცერტი ინსტრუმენტულმა ტრიომ გახსნა მაია მამარდაშვილის, რუსუდან კიკნაძისა და მეა ალთუნაშვილის შემადგენლობით. სხვათა შორის, მათთან ერთად ლოიზინგი თავადაც გადიოდა რეპეტიციებს. ვოკალური ნაწილიდან ქათევან ქემოკლიძის, კახა თეთვაძის, სოფიკო ჯანელიძის სოლო ნომრები, მაია თათარაშვილის, გიორგი დარბაიძესა და მამუკა მანჯგალაძესთან ერთად შესრულებული დუეტები გამოირჩეოდა. კონცერტში მონაწილეობა მიიღო, ალბათ, პირველმა და ჯერჯერობით ერთადერთმა კონტრ-ტენორმა საქართველოში გიორგი საფარიანმა, რომლის იშვიათი ხმა განსაკუთრებით ახლოსაა მოცარტის გერმანულენოვან მუსიკასთან.

ამაღელვებელი გამოდგა კონცერტის ფინალი. მაესტრო ანდღულაძემ განსაკუთრებული საჩუქარი უძღვნა ბატონ ლოიზინგს. გერმანელ სტუმარს მან ორი ქართული სიმღერა "გაატანა სამახსოვროდ". ორი "ოროველა": ერთი - მშველიძის მიერ გადამუშავებული ხმისათვის ფორტეპიანოს თანხლებით და მეორე – ტრადიციული ქართული ხალხური ოროველა ინსტრუმენტული თანხლების გარეშე. პირველი თავად ნოდარ ანდღულაძემ შეასრულა. მეორე კი მისმა მოსწავლემ, ახალგაზრდა ტენორმა მამუკა მანჯგალაძემ. ეს ორი ნომერი, ფაქტობრივად, მაესტროსა და შეგირდის სასიმღერო შეპაექრებად იქცა – ამ სიტყვის ყველაზე კეთილშობილური მნიშვნელობით. ნოდარ ანდღულაძის სოლიდურ ასაკშიც კი (გასულ წელს მას 75 წელი შეუსრულდა) შესანიშნავად მჟღერი ხმა და უნაკლო შესრულება მამუკა მანჯგალაძის ხალასმა, წმინდა ქართულმა, თბილმა ტენორმა გააგრძელა. ახალგაზრდა ტენორს ბანი მთელმა დარბაზმა მისცა. ამაღელვებელმა დასასრულმა თავად რექტორიც კი ცრემლებამდე მიიყვანა. მსმენელები კი, ცხადია, ოვაციებს ვეღარ თოკავდნენ.

# მზის მუსიკა ქართულ-რუსული ინტერპრეტაციით

ვერა ნეფარიძე

Viva la Cuba, - ალბათ, ასეთი შეძახილებით გაიხსნება დღეს კლუბ "16 რაუნდში" დაგეგმილი ერთჯერადი მუსიკალური პროექტი. იმის მიუხედავად, რომ კონცერტს კუბური მუსიკის საღამო ჰქვია, გამიჭირდება წინასწარ გითხრათ, რა საერთო აქვს ამ ღონისძიებას კუბასთან, ან იქაურ მუსიკალურ ფესვებთან. ისე, ვისაც ეს ყველაფერი ძალიან აინტერესებს, ალბათ, მაინც ღირს დაესწროს კუბური მუსიკის პირველ საღამოს თბილისში. თუმცა, ამის შეხსენება, ალბათ, ზედმეტიცაა, რადგან რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ბილეთები დღევანდელ კონცერტზე რამდენიმე დღით ადრე თითქმის სულ გაიყიდა.

თავიდანვე იმედები უნდა გაგიცრუოთ და გითხრათ: ვისაც გგონიათ, რომ ეს საღამო კუბელი მუსიკოსების სტუმრობასთანაა დაკავშირებული, ცდებით. არ უნდა დაგაბნიოთ ღონისძიების სახელწოდებამ და უნდა შეემზადოთ, რომ თქვენ ქართველი და რუსი მუსიკოსების ინტერპრეტირებული კუბური მუსიკის მოსმენა მოგიწევთ. თუმცა, რამდენიმე გარემოების გამო, კონცერტი შეიძლება საინტერესო გამოვიდეს. პირველ რიგში, ამის იმედს პროექტში შეკრებილი მუსიკოსების შემადგენლობა იძლევა.

პროექტის შემოქმედებით მხარეს, ბოლო წლებში თბილისში მოღვაწე რუსი პიანისტი, ანდრეი დამერი ხელმძღვანელობს. პროექტის იდეის ავტორი და ორგანიზატორი კი ახალგაზრდა, დამოუკიდებელი პროდიუსერი დათო ნადარეიშვილია. თუ ეს სახელი და გვარი უცხოდ გეჩვენათ, შეგახსენებთ - სწორედ მის სახელს უკავშირდება წელს "სახესა" და Poetry & Motion-ის კონცერტი; სოულის საღამო კლუბ "ნოა-ნოაში" და შარშან კლუბ "ათინათში" გამართული ჯაზ-ფესტივალი. საპროდიუსერო კარიერა დათო ნადარეიშვილმა 1998 წელს კლუბ "ათინათში" დაიწყო ჯაზის საღამოების ორგანიზებით. პირველად სწორედ ამ კონცერტებში მიიღეს მონაწილეობა მოსკოველმა მუსიკოსებმა – ანდრეი დამერმა და საქსაფონისტმა ლევ ორლოვმა. მას შემდეგ ანდრეი დამერი თბილისში მოღვაწეობს და ადგილობრივ მუსიკალურ საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს; ლევ ორლოვი კი ხვალინდელი კუბური მუსიკის საღამოს ერთ-ერთი მოწვეული მუსიკოსია. გუშინწინ "16 რაუნდში" მუსიკოსებმა მორიგი რეპეტიცია გაიარეს. რეპეტიციას ლევ ორლოვის გარდა ყველა, თორმეტივე მუსიკოსი ესწრებოდა. რუსი საქსაფონისტი თბილისში გუშინ ჩამოვიდა.



*ნინო ქათამაძე და ნოდარ ექვთიმიშვილი არატრადიციული ფორმის კონტრაბასთან*

არანაკლებ საინტერესოა პროექტში ნინო ქათამაძის მონაწილეობა. ნინო რასაკვირველია, სახელდახელოდ შეკრებილ ანსამბლში სოლისტია და როგორც გვითხრა, კონცერტში მონაწილეობა მისთვის საკმაოდ სასიამოვნოა: "ეს არის მზის მუსიკა და სიამოვნებით ვუერთდები ამ რიტმებს. ძალიან საინტერესოა ჩემთვის ამ პროექტში მონაწილეობა და ძალიან სასიხარულოც, რადგანაც კარგ მუსიკოსებთან ვურთიერთობ. ყველაზე სასიამოვნო კი ისაა, რომ ბოლო დროს, მოკლე პერიოდში ერთმანეთისგან განსხვავებულ მუსიკალურ პროექტებში მონაწილეობა მომიწია და ეს მრავალფეროვნება ჩემი ცხოვრების ნაწილია". კონცერტზე ნინო ქათამაძე აპირებს შეასრულოს ბავშვობაში დაწერილი რამდენიმე მუსიკალური თემა. კონცერტის ორგანიზატორი კი დარწმუნებულია, რომ საღამო დიდ სიამოვნებას მიანიჭებს სტუმრებს და გარკვეულ გარანტიებსაც იძლევა: "პროექტის წარმატება გარანტირებულია, რადგან ამ საღამოს არ შესრულდება კუბური სიმღერების ასლები, ეს იქნება ცოცხალი ინტერპრეტაცია. გარანტიას ვიძლევი, რომ საათნახევრიანი პროგრამის განმავლობაში ვერავინ მოახერხებს დაჯდომას". იცეკვებენ თუ არა კუბური რიტმებით ნასაზრდოები ანდრეი დამერის დაწერილ კუბურ მუსიკაზე თბილისელები, ამას დღეს საღამოს ვნახავთ.

# პლაკატები, რომლებმაც მსოფლიო აალაპარაკა

ნანა ბასილაშვილი

პოლონეთის რესპუბლიკის საელჩომ, საქართველოს კულტურის სამინისტრომ, თბილისის მერიამ და გალერეა "ქარვასლამ" თბილისელ საზოგადოებას საკმაოდ საინტერესო გამოფენა მოუწყო. 100 მხატვრული ნაწარმოებით წარმოდგენილი, მსოფლიოში განთქმული, პოლონური პლაკატის სკოლის ნიმუშები დღეს "ქარვასლაშია" გამოფენილი.

ეს არ არის არც უზარმაზარი აფიშები, არც ფირნიშები და არც, გადიდებული ფოტოები. გალერეაში გამოფენილი პოლონური პლაკატები მხატვრების მიერ ორიგინალურად გააზრებული ვიზუალური კომუნიკაციის კონცეფციებია, რომლებიც ხელოვნების ნიმუშადაა ქცეული. და როგორც ყველა ხელოვნების ნიმუში, "ქარვასლაში" წარმოდგენილი პლაკატები დამთვალიერებლებში გარკვეულ ემოციებს იწვევს.

აკვარელში შესრულებულ, ილუსტრირებულ პლაკატებზე ორიგინალურად და საინტერესოდაა ასახული ესა თუ ის რეალობა. სხვადასხვა კულტურული და ისტორიული მოვლენები სტილების მრავალფეროვნებით, ორიგინალური გრაფიკული დიზაინითა და ილუსტრაციებითაა ასახული.

"პლაკატი ჩემთვის ტროას ცხენივით იყო, თავისუფლად ქუჩაში მორბენალი და ისეთი რამის მატარებელი რაც, ირგვლივ არსად არ მოიძებნება", - ეს სიტყვები პოლონური სკოლის ერთ-ერთ დამფუძნებელს, იან ლენიცას ეკუთვნის. პერგამენტის ქაღალდზე დაბეჭდილი რეკლამა, რომელმაც 1950-იან წლებში ცივილური ფორმა მიიღო, სრულიად განდგომილი სახით ხელოვნების ნიმუშად იქცა. პოლონური სკოლის პლაკატები ემოციურად დატვირთული, ინტელექტუალურ და ფილოსოფიურ ხასიათს ატარებდა, მასზე თითქმის აბსტრაქტულად, მაგრამ ამავე დროს ძალზედ საინტერესოდ აისახებოდა სოციალური ჭეშმარიტება.



*პოლონური პლაკატები განთქმულია მსოფლიოში*

პოლონური პლაკატების წარმატების საფუძველი, იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული სოციალური ვითარება და ამავე დროს მნიშვნელოვანი მხატვრული ორიენტაცია იყო. პლაკატი პოლონეთში კულტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტად აღიარეს. დაარსდა პლაკატის კოლექციონერების მოძრაობა, იხსნებოდა სპეციალური გალერეები ამ სკოლის შედევრების გასაყიდად.

1950-იანი წლების ბოლოს პოლონეთში პირველი საერთაშორისო პლაკატის ორწლედი დაარსდა. მხატვარ-მეპლაკატეების, ჰენრიკ ტომაშევსკის და იან ლენიცას მიერ 1950-60-იან წლებში ჩამოყალიბებული ვიზუალური კომუნიკაციის კონცეფცია, დღესაც აქტუალურია. ამ დროისათვის პოლონეთი "კედლის მოხატვის ხელოვნების ცენტრად" იყო ცნობილი. თუმცა, გამორჩეული სტილისა და მხატვრული ღირებულებების გამო, მსოფლიო პოლონური პლაკატის სკოლაზე ალაპარაკდა.

პოლონური პლაკატის ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრები დღეს "ქარვასლაშია" წარმოდგენილი. ნამუშევართა შორისაა პოლონური სკოლის დამაარსებლების ტომაშევსკის, ლენიცას, ასევე სვიერჟის, ოლბინსკის, სტაროვიეისკის, სტასისის, ვალკუსის პლაკატები, რომლებიც ძირითადად 1980-90-იანი წლებშია შესრულებული. რამოდენიმე ნამუშევარი 1970-იანი წლებით თარიღდება. გამოფენილ პლაკატებს შორის 2000-2002 წლის პლაკეტებსაც იხილავთ.

ვისაც პოლონური სკოლის შედევრების დათვალიერება გსურთ, პლაკატებისა, რომლებმაც მსოფლიო აალაპარაკა, ეწვიეთ გალერეა "ქარვასლას".

# რა ხდება დღეს, რა მოხდა გუშინ?

## "რუსთავი 2 პრინტის" პრეზენტაცია და სხვა

თამარ სუხიშვილი






ლევან ხერხეულიძის ფოტოები

"რუსთავი 2 პრინტის" დებიუტის ავტორები: ლაშა ბუღაძე, ნიკოლოზ რურუა, გიგი სულაკაური, დათო ტურაშვილი

არც კი ვიცი, რა გითხრათ, უკვე მესამე დღეა დავდივარ წიგნის ფესტივალზე, ვუვლი და ვუვლი წრეებს ფილარმონიის ფოიეს, სათითაოდ ვჩერდები სტენდებთან, ზოგან მცირე ხნით, ზოგან – დიდხანს. არ მოგბეზრდაო – იკითხავთ. რას ამბობთ, რა მომაბეზრებს, როცა ვიცი, რომ კიდევ ერთი წლით მომიწევს ლოდინი მომავალ ფესტივალამდე. თანაც ყოველდღე იმდენ ახალ და საინტერესო ამბავს ვიგებ (ჭორებზე აღარაფერს ვამბობ), მაგალითად იმას, რომ მალე თბილისს ახალი წიგნის მაღაზია შეემატება, იმდენ ახალს აღმოვაჩენ, რომ... ვაგროვებ კატალოგებს, მერე გულმოდგინედ ვფურცლავ და დიდხანს ვიმტვრევ თავს – რომელი ერთი ვიყიდო. იცოცხლე, მართლაც, დიდი თავსატეხია. ჯერ უნდა გაიხსენო, რომელი წიგნი გაქვს ნაყიდი, მერე გონებაში გადათვალო, რისი ყიდვა გსურს (დასათვლელად თითები არ გყოფნის), მერე ჯიბეს გაიკრა ხელი და მიხვდე, რომ შენი შედგენილი საჭირო წიგნების ნუსხა უსაზღვროა, ფული კი – მოგეხსენებათ... და იწყებ ანგარიშს, ხსნი ზეპირ ამოცანებს, ისეთებს, სკოლაში რომ ხსნიდი: ვთქვათ, გაქვთ 15 ლარი, აკა მორჩილაძის ახლად გამოცემული კრებული, სახელად "წიგნი" 7 ლარი ღირს, სოფიო კირვალიძის "ზერიკაობა" - 4,5, კამიუ, რომელიც გამომცემლობა "სანიმ" დასტამბა, 2, 3 და 4 ლარი (ნაწარმოებს გააჩნია). აარჩიეთ აქედან რამდენიმე წიგნი ისე, რომ ამ თანხაშიც ჩაეტიოთ და გზის ფულიც დაგრჩეთ... ამოცანის ამოხსნა თქვენთვის მოგვინდვია. მე ისედაც ბევრი ვიმტვრიე თავი, მაგრამ ღირდა. ბოლოს რამდენიმე წიგნით, ჭრელ-ჭრელი სანიშნეებით, პატარა გურჯი-ხათუნებით (ნახატებით) და სახურავის ბინადარი კარლსონის მშვენიერი პლაკატით ხელდამშვენებული კმაყოფილი დავბრუნდი რედაქციაში.

გუშინდელი დღე ფილარმონიაში არანაკლებ დატვირთული იყო. ამ დღეს, როგორც გაცნობებდით, "რუსთავი 2 პრინტის" პირველი გამოცემების პრეზენტაცია გაიმართა. მკითხველს სამი ახალი წიგნი გააცნეს: ოთარ ჭილაძის რომანი "გოდორი"; კრებული "დღეს" (აქ შესულია დათო მაღრაძის, რატი ამაღლობელის, გიგი სულაკაურის ლექსები, დათო ტურაშვილის მოთხრობები, ლაშა ბუღაძის ქალაქში უკვე გახმაურებული პიესა "Moralite ანუ რა ესიამოვნა ზაზა კოშკაძეს?", აკა მორჩილაძის "ცეცხლისმფრქვეველი") და ნიკოლოზ რურუას "თავისუფლების კანონი" – თარგმანების, ესეებისა და პუბლიცისტური წერილების კრებული.

ოთარ ჭილაძეს წარდგენა არ სჭირდება. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ჩვენი საყვარელი მწერლის ახალი რომანი ფასეული შენაძენია ქართული ლიტერატურისათვის.

კრებული "დღეს" თანამედროვე ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრს აერთიანებს, მასში შესულ ავტორებსაც ჩვენში ყველა კარგად იცნობს. "ეს მწერლები ერთმანეთისგან სტილისტურადაც და ჟანრობრივადაც განსხვავდებიან; ერთი, რაც ამ ავტორებს აერთიანებს - დრო და გარემოა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ," – ასე წარადგინა პრეზენტაციაზე კრებული დათო ტურაშვილმა. ამ წიგნით ცალკეულ ავტორთა ნაწარმოებების გაცნობასთან ერთად მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნება თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესზეც.

"რუსთავი 2 პრინტს" პირველი გამოცემების გამოსვლა მამუკა ხანთაძემ, პირველმა დამოუკიდებელმა გამომცემელმა მიულოცა: "ფეხბედნიერი ყოფილიყოს "რუსთავი 2 პრინტის" საგამომცემლო საქმეში შემობიჯება და ასეთი წიგნებით ხშირად გაეხარებინოს მკითხველიც და გულშემატკივრებიცო". ამ მილოცვას მეორე სართულზე დამონტაჟებული მიკროფონის სიახლოვეს (აქ საპრეზენტაციო ადგილია) შეკრებილმა საზოგადოებამ ტაშით აუბა მხარი.

რაც შეეხება ნიკოლოზ რურუას კრებულს "თავისუფლების კანონი", ეს ავტორის პირველი წიგნია, რომელიც გოკა გაბაშვილმა ლაკონური ფრაზით წარადგინა: "ფიქრი თუ მსჯელობა თავისუფლების შესახებ, რომელიც რევოლუციურად ჟღერს და კარგად გვიჩვენებს იმას, თუ რას ნიშნავს თავისუფლების გააზრებაო", თან იქვე დასძინა: როცა თავისუფლებაზე ფიქრი კონკრეტულ გარემოში რევოლუციურად ჟღერს, ე.ი. ამ გარემოს თავისუფლება აკლიაო. "კრებულში თავმოყრილია ის კლასიკური ნააზრევი, რაზეც უნდა ავაშენოთ ჩვენი საზოგადოება და, ამავე დროს, ინტერპრეტირებულია ეს ნააზრევი ჩვენს გარემოსთან მიმართებით," - ამბობს გიორგი მარგველაშვილი და ხაზს უსვამს ამ წიგნის მნიშვნელობას ქართველი საზოგადოებისათვის. ლაშა ბუღაძემ "თავისუფლების კანონი" მწერლის თვალით შეაფასა: "ეს ტექსტები შეიძლება ვილაცას სპეციფიკურად მოეჩვენოს, მაგრამ ნამდვილად არაა სპეციფიკური, მე ეს ტექსტი ლიტერატურულად წავიკითხე, ავტორი მაგალითებით გვიყვება, თუ რა არის დემოკრატია, წიგნი დრამატურგიულადაა აწყობილი."

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მამუკა ხერხეულიძეს გავესაუბრე, ის "რუსთავი 2 პრინტის" მიერ გამოცემული სამივე წიგნის რედაქტორი გახლავთ: "წიგნების გამოცემის იდეა გაზეთ "24 საათში" დაიბადა. ფაქტობრივად, ეს ჟურნალისტების შედგენილი კრებულებია, მათ შედგენაში მონაწილეობა მიიღეს "24 საათის" რედაქტორმა მამუკა ფაჩუაშვილმა, ეროსი კიწმარიშვილმა და მე. შევარჩიეთ ავტორებიც და თემატიკაც. ჩვენთვის, როგორც ჟურნალისტებისათვის, ლიტერატურულ გემოვნებასთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანი იყო ავტორების მოქალაქეობრივი პოზიცია, რომელიც დღეს ასეთი მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ თუ ლიტერატურულ მნიშვნელობაზე მიდგება საქმე, უკეთესი მწერლების შერჩევა, ალბათ, სხვებსაც გაუჭირდებოდათ. დღეს, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მთავარია, როგორ იყიდება ესა თუ ის პროდუქცია. ამ ავტორების წიგნები ძალიან კარგად იყიდება, ეს შეგიძლიათ "პარნასშიც" შეამოწმოთ. ამ პროექტის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მამუკა ხანთაძე, ნიკოლოზ რურუა და ის ავტორები, რომლებიც ლიტერატურულ კრებულში არიან წარმოდგენილნი. იმედი გვაქვს, რომ "რუსთავი 2 პრინტი" გააგრძელებს თავის მოღვაწეობას და მრავალ ახალ წიგნს შესთავაზებს ქართველ მკითხველს. დღეს ქართველ საზოგადოებას წიგნი სჭირდება. რაც გვჭირს, უწიგნურობის ბრალია. თუ შევძელით და წიგნი მოდად ვაქციეთ, ეს ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს საზოგადოებას გადაარჩენს."

"რუსთავი 2 პრინტის" ახალი გამოცემები დღეს საღამოს შვიდ საათამდე (ამ დროს დაიხურება თბილისის წიგნის მეხუთე ფესტივალი) შეგიძლიათ შეიძინოთ, მერე კი წიგნები ავტომატურად გადაინაცვლებს წიგნის მაღაზიებში.

რა ხდება დღეს, ამას ახალ ლიტერატურულ კრებულში წაიკითხავთ, ხოლო იმას, თუ რა მოხდა გუშინ, ახლავე მოგახსენებთ.

გამომცემლობა "ნეკერმა" ცნობილი მხატვრის - თემო ჯაფარიძის პროზაული ნაწარმოებების კრებული წარადგინა. ეს თემო ჯაფარიძის უკვე მესამე წიგნია "ნიკო ფიროსმანისა" და ლექსების კრებულის - "შეშლილი ქალის ვნებების" შემდეგ. ახალ კრებულში შესულია წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიის შესახებ, ვრცელი მოთხრობა "სარკე ბრმებისთვის" და სხვა. თემო გოცაძის პროზაულმა ნაწერებმა დამარწმუნა, რომ მთელ ხელოვნებას ერთი ფესვი აქვსო, - შენიშნა ზურაბ კიკნაძემ. ამ პრეზენტაციაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, აქ იყვნენ გურამ დოჩანაშვილი, თამაზ ჩხენკელი, ლაშა თაბუკაშვილი და სხვები, და, ალბათ, კიდევ დიდხანს ისაუბრებდნენ თემო გოცაძის შემოქმედებასა და მის პიროვნულ ღირსებებზე, საპრეზენტაციო რეგლამენტი რომ არა.

გუშინვე კიდევ ერთი საინტერესო ერთობლივი პროექტი წარმოგვიდგინეს. მისი ავტორები არიან საგამომცემლო საქმის სწავლების ცენტრი (მამუკა ხანთაძე) და კავკასიური თეატრალური ლაბორატორია (დათო საყვარელიძე). პროექტის მიხედვით, გამოიცემა სერია "ახალი ქართული პიესები". სხვათა შორის, უკვე გამოცემულია ლაშა ბუღაძის "აი ეს სკამი და ის საწოლი", ბასა ჯანიკაშვილის, დათო ტურაშვილისა და ლაშა ბუღაძის "სამი პიესა", თავისუფალ თეატრში რომ დაიდგა, ბასა ჯანიკაშვილის "თითით საჩვენებელი" და ლაშა ბუღაძის "პოლიტიკური პიესა". ახალ კრებულში ლაშა ბუღაძის, მანანა დოიაშვილის, ლაშა თაბუკაშვილის, აკა მორჩილაძის, დათო ტურაშვილის, ალეკო შუღლაძის, შოთა იათაშვილის და ბასა ჯანიკაშვილის ნაწერებია თავმოყრილი. წიგნი კულტურის სამინისტრომ დააფინანსა. როგორც მამუკა ხანთაძემ გვითხრა, პროექტი გაგრძელდება და მის ფარგლებში ყველა თანამედროვე დრამატურგის ნაწარმოები გამოიცემა, ეს კი მარტო ლიტერატურის მოყვარულთათვის კი არა, რეჟისორებისთვისაც ძალიან საყურადღებოა.

ასე ოთხი საათისთვის წიგნის ფესტივალის საპრეზენტაციო სივრცეში ეკრანი დაამონტაჟეს. შეხედე, კინოს აჩვენებენო – გაიძახოდნენ პატარები. ასე დაიწყო პირველი ელექტრონული გამომცემლობის ახალი პროდუქციის დემონსტრაცია ფილარმონიაში. პროექტი "ლიტერატურა კარცერ-ლუქსისათვის" ამჯერად ვაჟაფშაველას სრული კრებულის ელექტრონულ ვერსიას გვთავაზობს. პროექტის ავტორია კახა დავითური, რედაქტორები – მინდია არაბული და ეთერ თათარაიძე, დირექტორი მამუკა ხანთაძე, მხატვარია თენგიზ მირზაშვილი, კონსულტანტი - ვახუშტი კოტეტიშვილი. პრეზენტაციაზე გამომსვლელებმა იმედი გამოთქვეს, რომ ელექტრონული წიგნი თანდათანობით კომპიუტერულ თამაშებს ჩაენაცვლება. კომპიუტერი რომ მქონდეს, აუცილებლად შევიძენდი ამ დისკს, რომელშიც შესულია ვაჟას მთელი შემოქმედება და დიდძალი ბიოგრაფიული (ვერბალური და ვიზუალური) მასალა. კომპაქტ-დისკის მეშვეობით შეძლებთ დაათვალიეროთ ხელნაწერები, წაიკითხოთ გულქან რაზიკაშვილის, სიკო ფაშალიშვილის, სანდრო შანშიაშვილის და სხვათა მოგონებები, მოუსმინოთ აუდიო-ციტატებს ფილმებიდან - "ვედრება" და "ივანე კოტორაშვილის ამბავი". გუშინ ბევრი ვისმინეთ ვაჟას ლექსების ჩანაწერები. არ დამავიწყდება თენგიზ მირზაშვილის გაბრწყინებული სახე, ხმადაბლა რომ აჰყვა სტრიქონებს: "იას უთხარით ტურფასა..."

კიდევ იყო გამომცემლობა "სანის" პრეზენტაციები, ბევრი ემოცია, ცოტა დაღლა, ბევრი ხალხი და, რა თქმა უნდა, უთვალავი წიგნი, რომლებიც ამდენი თვალიერებისგან დაქანცული დამთვალიერებლისთვის დღის ბოლოსკენ უკვე ერთ დიდ ჭრელ ლაქად იქცეოდა. ფილარმონიის ფოიედან გამოსულებს კი ყურში ედგათ მიკროფონის მოგუდული ხმა: "ყურადღება, ყურადღება! 14 ივნისს 13 საათზე ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება." წიგნის ბაზრობა კი საღამოს შვიდ საათამდე იმუშავებს. იჩქარეთ.

# მე მსურს გამოგყვეთ, კომანდანტე!

## პარტიზანი ტანია

ანა კორძაია-სამადაშვილი

*ერნესტო ჩე გევარას გარდაცვალების შემდეგ უკვე ოცდაათზე მეტი წელი გავიდა. მისი თანამედროვე პოლიტიკოსები – ჯონ კენედი, ნიკიტა ხრუშჩოვი, შარლ დე გოლი თუ მაო ძედუნი მსოფლიო ისტორიის კუთვნილება გახდნენ, ჩეს დრო კი არ დამთავრებულა.*




რევოლუციის სიმბოლო ჩე გევარა და მისი "მოწყვეტილი ვარსკვლავი" - პარტიზანი ტანია

დღეს ლეგენდარული კომანდანტეს დაბადების დღეა. თავად ჩეს შესახებ საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ. ჩვენ პარტიზანი ტანიას ამბავს გიამბობთ, ინტერნაციონალისტი მებრძოლის და უცნაური ქალის რევოლუციური მოღვაწეობისა და დიდი ქალური ერთგულების ამბავს.

ის ლიტერატურა, რომელიც პარტიზანი ტანიას შესახებ შეიცავს ცნობებს, ნორმალური ადამიანისთვის სრულიად გაუსაძლისია. ყოველ გვერდზე ისეთ სიტყვათშეთანხმებებს შეხვდებით, როგორიცაა "ლათინოამერიკული კონტინენტის რევოლუციური გარდაქმნა", "თამარას პირადი თვისებები, სიმტკიცე, ნიჭი, პოლიტიკური შეხედულებები და თავდადება"... ადამიანი თითქოს იკარგება, მხოლოდ რევოლუციური მითოსი რჩება. არადა, აიდე-თამარა ბუნკე რევოლუციის სიმბოლო კი არა, ცოცხალი ქალი იყო, რომლის ცხოვრებასაც თამამად შეიძლება ბედნიერი ვუწოდოთ. მას ეგონა, რომ ნათელ იდეას ემსახურებოდა და სწორედ იმ ადამიანს ედგა მხარში, რომელიც ამქვეყნად ყველაზე კარგ მამაკაცად მიაჩნდა.

ჯერ იმას მოგახსენებთ, რაც დანამდვილებითაა ცნობილი. დედამისი საბჭოთა კავშირის მოქალაქე ნადეჟდა ბიდერი იყო, მამა – გერმანელი ერიკ ბუნკე. აიდე-ტამარა, ტამარიტა, 1937 წელს, არგენტინაში დაიბადა, შემდეგ კომუნისტ მშობლებთან ერთად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადავიდა საცხოვრებლად. ის ჰუმბოლტის უნივერსიტეტში სწავლობდა, ჯერ ახალგაზრდული კავშირის, შემდეგ კი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წევრი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბიოგრაფები ამას ხაზგასმით აღნიშნავენ და მის რევოლუციურ სულისკვეთებას აბრალებენ, გდრ-ის მოქალაქისთვის ეს დიდი ვერაფერი მიღწევა იყო – განა საქართველოში ყველა პარტიის წევრი თავდადებული კომუნისტი ბრძანდებოდა? არც ისაა გასაოცარი, რომ გოგონას არგენტინაში დაბრუნება უნდოდა – სხვა თუ არაფერი, არგენტინაში გაიზარდა და იქ თბილოდა მაინც.

ტამარიტას ბავშვობიდან ცხენოსნობა იტაცებდა, კარგად მღეროდა და აკორდეონზე უკრავდა ხოლმე – "იქ, დიდ რანჩოზე". მერე რა, რომ წარმოშობით არგენტინელი არ ყოფილა, მაინც ლათინოამერიკული სული ჰქონდა...

ამ ფონზე, 1960 წლის დეკემბერში, 23 წლის ტამარას ცხოვრებაში ოცდათორმეტი წლის მაიორი, ერნესტო ჩე გევარა დე ლა სერნა შეიჭრა – სოციალისტურ ქვეყნებში მოგზაურობისას, გერმანიაში ლათინოამერიკელი სტუდენტები ინახულა. თამარა მისი თარჯიმანი იყო.

თავადაც მიხვდებოდით, რომ თეთრი, მწვანეთვალება და შავთმიანი, როგორც ამბობენ, საოცრად მომხიბვლელი, თან ენების მცოდნე და გაუგებარი წარმოშობის ახალგაზრდა ქალს შტაზი აუცილებლად "მოჩანგლავდა". ამას არავინ მალავდა, პირიქით, "მაღალ შეგნებად" თვლიდნენ. და უცებ ტამარამ განაცხადა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების გათავისუფლებისთვის საბრძოლად, კუბაზე უნდა გამგზავრება.

საეჭვოა, რომ ჩე კომანდანტეს პატარა თარჯიმნისთვის საგანგებო აღმზრდელობითი სამუშაო ჩაეტარებინა. ჩეს ასეთი ძალისხმევის გაწევა ნამდვილად არ დასჭირდებოდა – თუ ჩემი არ გჯერათ, შეგიძლიათ ახლავე დაეკითხოთ თქვენ გვერდით მჯდომ მანდილოსანს: ათიდან რვა დაუფიქრებლად გეტყვით იმას, რაც ტამარამ თავის დღიურში ჩაწერა: "მე მსურს გამოგყვეთ, კომანდანტე!"

1961 წლის 12 მაისს თამარა უკვე ჰავანაში იყო. რას აღარ აკეთებდა: განათლების სამინისტროში მუშაობდა, ჰავანის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, გერმანულ დელეგაციებს თარჯიმნად დაჰყვებოდა. თან რევოლუციური მილიციის წევრი იყო, ნებაყოფლობით სამუშაოებზე დადიოდა, მასობრივ კამპანიებში იღებდა მონაწილეობას. გარდა ამისა, ნიკარაგუას გაერთიანებული ფრონტის კომანდოსთა მომზადების პროგრამაშიც ჩაერთო. ციტატა მისი ბიოგრაფიიდან: "ასეთია ერთი გოგოს შრომითი მოღვაწეობის ჩამონათვალი. რა მდიდარია მისი ცხოვრება ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ფასეულობებზე გაზრდილ მილიონობით ბოსტნეულივით ადამიანის არსებობასთან შედარებით!" რას იზამთ, ყველას ხომ არ შეხვედრია ჩე გევარა.

1963 წელს "კუბელმა მეგობრებმა ლათინური ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანაში იატაკქვეშეთის პარტიზნობა შესათავაზეს". ტამარიტა, ამიერიდან კი პარტიზანი ტანია საიდუმლო დამწერლობის, რადიოკავშირისა და კონსპირაციის წესების შესწავლას შეუდგა. მას ბოლივიის პროვინციის შესწავლა და იქ სასარგებლო კონტაქტების დამყარება ევალებოდა.

1964 წლის მარტში ტანია მრეწველობის სამინისტროში დაიბარეს, სადაც საბრძოლო დავალება თავად ჩემ მისცა. თავად ჩემ! ასე დაიბადა ლაურა გუტიერეს ბაუერი, არგენტინელი მეწარმისა და გერმანელი ანტიფაშისტი ქალის ასული, "მოყვარული ეთნოგრაფი". დასავლეთ ევროპაში ლეგენდის დასახვეწად გაგზავნილი ტანია ნოემბერში უკვე ბოლივიის დედაქალაქში, ლა-პასაში აღმოჩნდა, სადაც ინდიელების ფოლკლორით გატაცება დაიბრალა და ასე ასრულებდა მაიორ გევარას დავალებას – გამათავისუფლებელი ომის ცენტრალური ბაზის ადგილს არჩევდა.

რას არ ჰყვებიან "ბოლივიური პერიოდის" აღწერისას ტანიას ბიოგრაფები და რევოლუციის მემატიანეები! ბოლივიის თენაპრეზიდენტს, დიქტატორ რენე ბარიენტოს ორტუნიოს ტანიას მიმართ უხამსი ლტოლვაც კი აქვთ აღწერილი. ჰყვებიან, რადიოგადაცემა "რჩევები უიმედოდ შეყვარებულთათვის" ტანიას გასაიდუმლოებული ანგარიშების ღია ეთერით გადაცემის საშუალება იყოო; მოქალაქეობის მისაღებად ბოლივიელს გაყვა ცოლად, ის კაცი კი ბელგრადში წავიდა და აღარ დაბრუნებულაო...

ასე თუ ისე, ტანიამ დავალება წარმატებით შეასრულა: მისი "ეთნოგრაფიული კვლევები" რანჩო "კალამინას" აღმოჩენით და ლა-პასაში ინდიელების ტანსაცმლის გამოფენით დამთავრდა, და ამის შემდეგ ბოლივიაში ურუგვაელი კომერსანტი რამონ ბენიტეს ფერნანდესი ჩამოვიდა. სინამდვილეში ის მაიორი გევარა იყო, ბოლივიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ არმიას ჩაუდგა სათავეში.

მაშ ასე: ჩე ბოლივიაში ჩამოვიდა, ტანია დახვდა... და ჩემ ის არგენტინაში მიავლინა, კვლავ დავალებით. მართალია, მამამისისთვის მოკითხვის ბარათიც გაატანა, სადაც ეწერა: "ჩემი სურვილები ამ მოწყვეტილ ვარსკვლავს გამოვატანე, რომელიც ჯადოქარი მეფის წყალობით შემხვდა..."

ბოლივიაში დაბრუნების შემდეგ ტანია მთაში გახიზნულ ჩეს პარტიზნებთან ერთად იბრძოდა. ლაშქრობაში მამაკაცებს არ ჩამორჩებოდა, მაგრამ მაინც არ გაუმართლა: ავად გახდა, და ჩეს მისი დატოვება მოუწია. თანამებრძოლები ყვებოდნენ, ჩე მრავალგზის ეცადა იმ რაზმის პოვნას, რომელთან ერთადაც ტანიამ ბრძოლა განაგრძოო, მაგრამ კომანდანტესა და "მოწყვეტილ ვარსკვლავს" შეხვედრა აღარ ეწერათ.

1967 წლის 31 აგვისტოს პარტიზანთა პატარა რაზმი მდინარეზე გადადიოდა. მესამე მიდიოდა "გამხდარი გოგო, ღია მწვანე ფერის პერანგსა და დამცავი ფერის ჯარისკაცულ შარვალში, მხარზე გადაგდებული ავტომატითა და ზურგჩანთით". ჯერ ფონს გასული არ იყო, როცა მკერდში ტყვია მოხვდა.

ჩემ მისი დაღუპვის ამბავი მხოლოდ ექვსი დღის შემდეგ შეიტყო – რადიომ გადმოსცა. კომანდანტემ არ დაიჯერა. კვლავ მის თანამებრძოლებს რომ ვენდოთ, ტანიას დაღუპვიდან ორმოცი დღის თავზე თავადაც ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ "მოწყვეტილი ვარსკვლავის" ჩაქრობის ამბავი ამერიკელთა მიერ გავრცელებული რიგითი ჭორი ეგონა.

*ინფოთეკა*

## გაზა ჩინეთისთვის არ ემეტებათ

ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბ "სტოკპორტ ქაუნთის" პოლ გასკოენი ჩინელებისთვის არ ემეტება და მისი სამშობლოში დაბრუნება სურს. როგორც SoccerAge იტყობინება, "სტოკპორტ ქაუნთის" მწვრთნელი კერლტონ პალმერი, რომელიც გასკოენის ყოფილი თანაკლუბელი გახლავთ, 36 წლის თანამემამულესთან "განსუ ტიანმადან" თავისთან გადაბირებაზე მოლაპარაკებას აწარმოებს.

"ძალიან მინდა გაზას შეძენა. დარწმუნებული ვარ, მას კიდევ ბევრი შეუძლია. მოედანზე მისი გამოჩენაც კი გამოაცოცხლებს მეორე დივიზიონს. რაც მთავარია, მისი მსგავსი ფეხბურთელის ყოლა კლუბის სხვა მოთამაშეებზეც დადებითად იმოქმედებს. მე მას "სტოკპორტში" გადმოსვლაზე ველაპარაკე. ის ჩემი კარგი მეგობარია და მე მჯერა მისი", - "Stockport Express"-თან საუბარში აცხადებს პალმერი.

## არგენტინულ დერბიმდე ბომბი ააფეთქეს

"სან ლორენცოსთან" დერბიმდე ორი კვირით ადრე, ოთხშაბათს, არგენტინული კლუბის "ჰურაკანის" ოფისში ბომბი აფეთქდა. ამის შესახებ განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა მარსელო ბუენაგამ. მისი თქმით, კუსტარული ბომბი კლუბის შტაბბინის შესასვლელთან აფეთქდა და კარი ჩამოაგდო, თუმცა, არავინ დაშავებულა.

საერთოდ, ამ კლუბების მატჩები ყოველთვის დაძაბულად მიმდინარეობს და თან ახლავს ინციდენტები. საქმეში პოლიცია ჩაერთო. მისი გადაწყვეტილებით, "ჰურაკანისა" და "სან ლორენცოს" დერბი კვირას, დილით, 11 საათზე ჩატარდება. მატჩის ასე ადრე დანიშვნას უსაფრთხოების მოტივით ხსნიან. "ჰურაკანის" გულშემატკივრები შავი ფორმით აპირებენ მატჩზე მისვლას, რადგან "ბოკა ხუნიორსთან" წაგებული (0:4) შეხვედრის შემდეგ მათმა კლუბმა უმაღლეს დივიზიონში დარჩენის ყველანაირი შანსი დაკარგა.

ბომბის ამბავი პირველი არ არის კლუბისთვის. შარშან, ოქტომბერში, კლუბს შენობაში დადებული ასაფეთქებელი მოწყობილობის შესახებ შეატყობინეს, რის გამოც გუნდის ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები შენობიდან გაიყვანეს, თუმცა, განგაში ცრუ აღმოჩნდა. კლუბში მიაჩნიათ, რომ მაშინდელი მუქარა "სან ლორენცოს" კლუბიდან გამქრალ დროშას უკავშირდება. როგორც ამბობენ, დროშა უცნობმა დამნაშავეებმა მოიპარეს.

## "ვიტესს" მერია შეეწევა

ჰოლანდიური არნემის მერიამ კლუბი "ვიტესი" გაკოტრებისგან იხსნა. "SoccerWay"-ს ცნობით, "ვიტესი", რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატი მე-15 ადგილზე დაასრულა, სერიოზულ ფინანსურ სიდუხჭირეს განიცდიდა. ამ საცოდაობის შემხედვარე არნემის საქალაქო საბჭომ გადაწყვიტა, კლუბს დახმარების ხელი გაუწოდოს - სტადიონის იჯარისთვის 24 მილიონი ევრო გამოუყოს, 5 მილიონი კი ვალად გადასცეს.

## ტესტირებამ "მაკლარენი" იმსხვერპლა

ფორმულა 1-ის მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერმა, "მაკლარენის" ფინელმა პილოტმა კიმი რაიკონენმა ტესტირებისას ახალი ბოლიდი დაამტვრია. თუმცა, ირწმუნებიან, რომ საჯინიბოს გეგმებზე ეს ავარია გავლენას არ მოახდენს.

"ავარია ბარსელონაში, მანევრირებისას მოხდა, - კანადის საკვირაო გრან-პრიმდე მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა რაიკონენმა. - არც მე დავშავებულვარ და ბოლიდის შერემონტებაც არ უნდა იყოს ძნელი საქმე".

რაიკონენის განცხადების მიუხედავად, ფაქტია, რომ ბოლიდი საკმაოდ დაიმტვრა და ამის გამო მომდევნო დღისთვის დაგეგმილი ტესტირებაც გადავადდა.

"რაღაც მომენტში მანქანაზე კონტროლი დავკარგე. არ ვიცი, რა მოხდა. შესაძლოა, საბურავი დაეშვა, ან კიდევ სხვა რამ მოხდა. ამის გამო ბოლო მოსახვევი ვერ გავიარე".

## პირველი უძვირფასესი შვედი

NHL-ის კლუბის "ვანკუვერის" კაპიტანი მარკუს ნესლუნდი ლიგის სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ ცნეს. ნესლუნდი პირველი შვედია, რომელსაც კანადის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ლესტერ პირსონის სახელობის პრიზი ხვდა წილად. ჯილდოს მილება კი დამოკიდებულია NHL-ის ჰოკეისტთა გამოკითხვის შედეგებზე.

"კოლეგების ასეთი გადაწყვეტილება მეამაყება. თუმცა, მეგონა, რომ პრიზს პიტერ ფორსბერგს გადასცემდნენ. ამიტომ, როდესაც გამოკითხვის შედეგები შევიტყვე, გაოცებული დავრჩი", - კოლეგების გაჰკვირვებია ნესლუნდს.

*TV-სპორტი*

**შაბათი. 14 ივნისი**

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 1998/99 სეზონი. "ბავარია" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
14:55 "პოსტსკრიპტუმი"
15:25 ევრო-2004. საბერძნეთი - უკრაინა
17:05 "გაიტანე"!
17:20 განვლილი სეზონის გახსენება. "ბაიერი" - "ბავარია"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. "ბაიერი" - "ბავარია"
21:05 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 1998/99 სეზონი. "ინტერი" - "სპარტაკი"
22:50 განვლილი სეზონის გახსენება. "მანჩესტერ სიტი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
00:35 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:15, 17:00, 19:30 "პრეს-ცენტრი"
11:15, 19:45 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
11:45 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. მე-5 თამაში
15:00 გოლფი. "US Open". დღე მეორე
17:15 ცხენოსნობა. რუსეთის თასი. დღე მეორე
18:25 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მატჩი მე-3 ადგილისთვის. პირდაპირი ტრანსლაცია
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 მაგიდის ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი
20:25 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:30 ცურვა. "Mare Nostrum Swimming Series"
23:00 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი
01:15 ახალი ამბები
01:30 წრიული ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ავტომობილებს შორის
02:25 02:25-დან 11:00-მდე შესვენება
05:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. მე-5 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი
12:00 ავტორბოლა. ლე-მანი
13:00 ავტორბოლა. ლე-მანი
14:30 ავტორბოლა. ლე-მანი
15:30 ავტორბოლა. ლე-მანი
15:45 მოტორბოლა. კატალონიის გრან-პრი
16:15 მოტორბოლა. კატალონიის გრან-პრი
17:00 მოტორბოლა. კატალონიის გრან-პრი
18:15 ავტორბოლა. ლე-მანი
21:15 ახალი ამბები
21:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
23:15 ავტორბოლა. ლე-მანი
00:00 K 1
02:00 ახალი ამბები
02:15 მულტისპორტი
02:45 ექსტრემალური სპორტი
03:15 ჩოგბურთი. ATP ტურნირი. დიდი ბრიტანეთი
04:15 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში

*ფეხბურთი*

# ჯერ არაფერი დასრულებულა!

### საქართველოს ნაკრებს კიდევ სამი თამაში დარჩა...

აკა ტონია

ძალიან ძნელი და უსიამო საქმეა, როდესაც წაგებული მატჩის შთაბეჭდილებებს იხსენებ. ვფიქრობდი, რა დამეწერა, რა მომეთხრო თქვენთვის და კარგი ვერაფერი გავიხსენე, მხოლოდ ჩვენი მარცხი მიტრიალებს თავში და კიდევ ის, რაც მანამდე მოხდა...

თუ როგორ იმგზავრა საქართველოს ნაკრებმა და როგორ მიდიოდა წინასამატჩო მზადება, დუბლინიდან გწერდით. საგაზეთო რეპორტაჟებისა და ფოტოების გარდა, მატჩის დღეს "რუსთავი 2"-შიც მქონდა რამდენიმე პირდაპირი ჩართვა. ვინც ეს რეპორტაჟები ნახა, იმასაც გაიგებდა, თუ როგორი კარგი და საბრძოლო განწყობა გვქონდა დუბლინში ჩასულებს. განწყობა, მართლაც, შესანიშნავი იყო, მოგებაზეც ვფიქრობდით, თუმცა...

ალბათ, ისიც გემახსოვრებათ, რომ ტელეეკრანიდან საქართველოს ნაკრების შემადგენლობა დაგისახელეთ და დავამატე, რომ გიორგი ქინქლაძე სათადარიგო ფეხბურთელთა შორისაც კი არ იყო. ზოგი, ალბათ, მკითხავს, თუ რატომ არ დავაკონკრეტე ქინქლაძის არყოფნის მიზეზი. პასუხად მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არ მინდოდა, ქართველი გულშემატკივრების განწყობა უსიამოვნო ინციდენტზე საუბრით გამეფუჭებინა. დარწმუნებული ვარ, ქინქლაძის არყოფნის ნამდვილი მიზეზი მატჩის დაწყებამდე რომ გაგეგოთ, ისეთ განწყობაზე დადგებოდით, ვინმეს რომ ცივი წყალი გადაესხა თქვენთვის. მატჩი დასრულდა და ახლა, ალბათ, უკვე შეიძლება დეტალებზე საუბარი, თუმცა, საამისო სურვილი არც ახლა მაქვს. მოკლედ გეტყვით: შუშაკმა ქინქლაძე ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა, ეს უკანასკნელი გაბრაზდა და ნაკრები მიატოვა. "მიატოვა", ალბათ, პირობითად შეიძლება ითქვას. ქინქლაძე არსად არ წასულა, თუმცა, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ უნდოდა და ამიტომ არც სტადიონზე წამოსულა მეგობრების საქომაგოდ. ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ სიცხიანი იაშვილის საპატრონოდ სასტუმროში დარჩა. შუშაკმა სამწვრთნელო ეთიკა არ დაარღვია და მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზეც არ გათქვა სიმართლე - ქინქლაძის არყოფნის მიზეზად კვლავ მოწამვლა დაასახელა.

მართლა ავად კი შოთა არველაძე იყო. მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით, ნურავინ იტყვის, რომ ბიჭებმა თავი არ დადეს. წაგებას ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, ირლანდიაში კი ჩვენს გუნდს თავგანწირვა არ აკლდა. მატჩის შემდეგ ტელევიზიისთვის შოთა არველაძისგან უნდა ამელო მოკლე ინტერვიუ. გასახდელში შესულს კი ძალიან ცუდი სურათი დამხვდა: შოთა ავად იყო. შავ დღეში ჩავვარდი. ძნელი იყო, წაგების შემდეგ, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ფეხბურთელისთვის შემეხსენებინა, რომ დაპირებული ინტერვიუ მოეცა. გიორგი დემეტრაძემ გადამარჩინა. საშხაპიდან პირდაპირ ჩემკენ გამოემართა. როდესაც გიორგის ვესაუბრებოდი, არველაძე დავინახე. ფეხზე ძლივს იდგა, თუმცა, პირობა არ გატეხა და მაინც მოვიდა. ვინც ეს გადაცემა ნახა, ისიც ემახსოვრება, რომ შოთა მალევე გაუჩინარდა. ახლა, როცა უკვე თბილისში ვართ, მინდა, მადლობა გადავუხადო შოთა არველაძეს და გიორგი დემეტრაძეს, ჩვენს ყველა ფეხბურთელს.





*შოთა არველაძემ თავგანწირვით ითამაშა, გიორგი ქინქლაძემ კი ნაკრები მიატოვა*



*ქართველი გულშემატკივრები "ლანსდაუნ როუზე".*

აკა ტონიას ფოტოები

სტადიონიდან პირდაპირ აეროპორტში გავემგზავრეთ, თუმცა, გაცილებით უფრო პატარა შემადგენლობით. იმედი მაქვს, არ იფიქრებთ, რომ გულშემატკივართაგან ვინმემ თავშესაფარი მოსთხოვა ირლანდიელებს. თბილისში არ წამოსულან ჩვენი ლეგიონერები, რომლებიც თავიანთ კლუბებში უნდა დაბრუნებულიყვნენ. დუბლინში დარჩა ივო შუშაკიც, რომელიც შემდეგ ხორვატიაში გაემგზავრა.

დუბლინში დარჩა შოთა არველაძეც, თუმცა, არა იმის გამო, რომ "რეინჯერსში" უნდა დაბრუნებულიყო. შოტლანდიის ჩემპიონატი დამთავრდა და შოთაც თბილისში აპირებდა ჩამოსვლას, მაგრამ მან საავადმყოფოში ამოყო თავი. შოთასთან ერთად დუბლინში დარჩნენ რეზო არველაძე და ჩვენი ნაკრების ექიმი დიმიტრი ზაალიშვილი. მადლობა ღმერთს, ახლა ყველაფერი კარგადაა. შოთა, რეზო და ბატონი დიმიტრი გუშინ ღამით დაბრუნდნენ თბილისში.

უკანა გზაზე თვითმფრინავში იყვნენ ნაკრების მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომლებიც ქართულ კლუბებში თამაშობენ. ლეგიონერთაგან მხოლოდ გიორგი დემეტრაძე ჩამოვიდა. განწყობა, ცხადია, ვერ იყო ისეთი, როგორიც დუბლინისკენ გზაზე. ყველანი ცუდ გუნებაზე ვიყავით და თვითმფრინავში სამარისებური სიჩუმე იდგა. უმეტესობას ეძინა.

რა მოხდა ირლანდიაში? მინდა, რომ დუბლინში მომხდარი ამბებიდან შედარებით პოზიტიური ავარჩიო და წერილიც ამით დავამთავრო. ქართველებმა ირლანდიელებთან სამი მატჩი გავმართეთ. ახალგაზრდულმა ნაკრებმა ფრედ – 1:1 ითამაშა, თუმცა, აშკარა უპირატესობას ვფლობდით და გამარჯვებასაც ვიმსახურებდით. ეროვნული ნაკრები დამარცხდა. მესამე მატჩი კი... მესამე მატჩი ჩვენ, ქართველმა ჟურნალისტებმა ვითამაშეთ ირლანდიელი კოლეგების წინააღმდეგ და, ახალგაზრდული გუნდების მსგავსად, ფრედ დავასრულეთ. ირლანდიელები ოცამდე იყვნენ, ამიტომაც ხშირად იცვლებოდნენ. ჩვენ კი მხოლოდ 11 კაცი გვყავდა, თანაც, არაჟურნალისტებიც დავიმატეთ. საქართველოს ჟურნალისტთა ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა გერმანელმა ინგომაც, რომელიც საქართველოს ნაკრების საქომაგოდ გამოემგზავრა დუბლინში. ჩვენ 0:4-ს ვაგებდით, საბოლოოდ კი მატჩი 5:5 დასრულდა. ასე რომ, ნუ იტყვით, ქართველებმა გოლის გაშვების შემდეგ ყურების ჩამოყრა იციანო. ყურების ჩამოყრას არც საქართველოს ნაკრები აპირებს. წინ კიდევ სამი თამაშია და ჩვენი ნაკრები ამ მატჩების მოსაგებად იბრძოლებს. ასე რომ, ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა!

# კიდევ ერთხელ ირლანდია-საქართველოს შესახებ







აკა ტონიას ფოტოები

მიხეილ აბაიშვილი

თბილისში ჩამოსულმა, საქართველოს ნაკრების მიმართ იმდენი ლანძღვა და კრიტიკა მოვისმინე... ამ გარემოებამ მაიძულა, დავბრუნებოდი დუბლინურ მოვლენებს და მეცადა, გამერკვია, შეიძლებოდა თუ არა იმ მატჩის დადებითი შედეგით დასრულება?

არავინ იფიქროს, თითქოს ამ პუბლიკაციით ნაკრების, მისი ფეხბურთელების და მწვრთნელების დაცვას ვცდილობ. ფაქტია: საქართველოს ეროვნულმა გუნდმა კიდევ ერთი უსახური მატჩი ჩაატარა და დამსახურებულად დამარცხდა. და მაინც, რამ განაპირობა ეს უსახურობა?

საზოგადოდ, ირლანდიის ნაკრების სამშობლოში დამარცხება ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელია. რომელიმე ოპონენტი იტყვის, რომ ირლანდიელები სწორედ ამ შესარჩევ ციკლში, ექვსი თვის წინ დამარცხდნენ საკუთარ მოედანზე შვეიცარიის ნაკრებთან (1:2). ცნობისთვის: ეს ირლანდიაში "მწვანეების" მესამე მარცხი იყო ბოლო 17 (!) წლის განმავლობაში.

### ირლანდიელი გულშემატკივარი - მეთორმეტე ფეხბურთელი?

იმისთვის, რომ დუბლინში ირლანდიის ნაკრები დაამარცხო, რამდენიმე სერიოზული წინააღმდეგობა უნდა დაძლიო. პირველ რიგში, "მეთორმეტე ფეხბურთელს" არ უნდა შეუშინდე. მიხვდით, ალბათ, გულშემატკივარს ვგულისხმობ. საფეხბურთო მატჩს ბევრ ქვეყანაში დავსწრებივარ. მინახავს ინგლისელი ფანების სიგიჟე "უემბლიზე", იტალიელ ტიფოზთა გამაყრუებელი ჟრიამული, გერმანელების, ფრანგების, პორტუგალიელების, ბერძნების, ნორვეგიელებისა თუ სხვა ევროპელების გულშემატკივრობის კულტურა, მაგრამ ის, რაც დუბლინის "ლანსდაუნ როუდზე" ვიხილე და მოვისმინე, ფანტაზიის ყოველგვარ საზღვარს სცილდება. მთელი 90 წუთის განმავლობაში, საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ფერში - მწვანეში გამოწყობილი 36 ათასი ირლანდიელი ფანი, დიდიან-პატარიანად, არც გაჩერებულა და არც გაჩუმებულა. მათი ყიჟინა ხან საჰაერო დაბომბვის ხმებს გამოსცემდა, ხან სადღესასწაულო სიმღერებში გადაიზრდებოდა, ხან მთელ ტრიბუნებს ვეებერთელა ცოცხალ ტალღას გადაატარებდა. ამ სახის გულშემატკივრობას აშკარად ორმაგი დატვირთვა ჰქონდა – ეს ყიჟინა სტუმარ გუნდზე დამთრგუნველად მოქმედებდა, თავისიანებს კი გაჩერების, ძალების დაზოგვის საშუალებას არ აძლევდა და ირლანდიელმა ფეხბურთელებმაც, ბოლო წამამდე უმაღლეს ტემპში იბრძოლეს.

ჩვეულებრივ, გულშემატკივარს მეთორმეტე ფეხბურთელად მოიხსენიებენ ხოლმე. მე თუ მკითხავთ, 11 ივნისის მატჩში გულშემატკივარი მთავარი, პირველი ფეხბურთელი იყო.

### მოწინააღმდეგე

ირლანდიის ნაკრებმა არადამაჯერებლად, ორი მარცხით დაიწყო შესარჩევი ციკლი. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ როი კინს დამშვიდობებული ეს გუნდი აუტსაიდერობისთვის იქნებოდა განწირული. რამდენად მცდარი აღმოჩნდა ეს შეხედულება, ყველა დარწმუნდა. "ახალი ცოცხით" – ბრაიან კერით გაძლიერებულმა ირლანდიის ნაკრებმა შინ და გარეთ, ერთიმეორის მიყოლებით დაიწყო მეტოქეების დამარცხება და ქულების დაგროვება. ყველას გაახსენდა, რომ ეს გუნდი დაუმარცხებლად დაემშვიდობა კორეა-იაპონიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს და ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

ბრაიან კერიმ თავის ფეხბურთელებში საკუთარი ძალების რწმენის გაცოცხლებაც შეძლო, ყველა სათამაშო რგოლიც კარგად დააბალანსა და გუნდის თამაში ისეთ ავტომატიზმამდე აიყვანა, რომ, ისეთი ფეხბურთელის გამოკლებამაც კი, როგორიც დამიენ დაფია, ამ მექანიზმის - ირლანდიის ნაკრების გამართულ მუშაობაზე გავლენა ვერ მოახდინა.

### კალენდარი

ბევრი მიიჩნევს, რომ კალენდარს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენს ქვეჯგუფში განვითარებული მოვლენები საწინააღმდეგოს მეტყველებს. უეფამ ირლანდიელებს, პრაქტიკულად, 6 საზაფხულო ქულა აჩუქა, როდესაც ზედიზედ ორი საშინაო მატჩი დაუნიშნა სავარაუდოდ სუსტ მეტოქეებთან - ალბანეთთან (7 ივნისს) და საქართველოსთან (11 ივნისს). ასეთი დამოკიდებულებით ევროპის საფეხბურთო კავშირი მიანიშნებს, რომ მას ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არ სჭირდება ისეთი ღარიბი, უსახელო და კომერციულად წამგებიანი გუნდი, როგორიც საქართველოა.

### "შინდისფერი ლეგიონი"

ამ მატჩის წინ ივო შუშაკმა ნამდვილი ლაზარეთი გახსნა: ტრავმების გამო ნაკრებს გამოაკლდნენ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები - კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ნემსაძე, კვირკველია, იაშვილი და ქინქლაძე. ეს თითქმის მთელი გუნდია. საქართველო ბრაზილია არ გახლავთ, რომ ასეთი დანაკლისი სხვა ფეხბურთელებით უმტკივნეულოდ, სრულფასოვნად აანაზღაუროს. საყრდენი ნახევარმცველების პოზიციაზე რეხვიაშვილ-დიდავას დაყენებით, შუშაკმა გარისკაო, ვერც ვიტყვი, რადგან მას სხვა არჩევანი, უბრალოდ, არც ჰქონდა. ეს გაორებული ცენტრი საქართველოს ნაკრების ყველაზე სუსტი რგოლი აღმოჩნდა, რის გამოც, დაცვისა და შეტევის ხაზებს შორის ჩვენს გუნდში სრული ვაკუუმი წარმოიქმნა და მასპინძლებს დიდი უპირატესობა მიანიჭა. დაცვაც ბევრ შეცდომას უშვებდა, თავდამსხმელებიც (განსაკუთრებით, დემეტრაძე) ვერ მოქმედებდნენ ეფექტიანად, მაგრამ ეს ყველაფერი მოედნის შუა ხაზის დაკარგვის შედეგია.

### გამართლება

იმაზე საუბარს, რომ პირველი გოლი უსამართლოდ დანიშნული ჯარიმის შემდეგ გავიდა, ხოლო მეორე გოლის გატანის დროს რობი კინი ჯერ თამაშგარე მდგომარეობაში იყო, ხოლო შემდეგ ბურთს ხელითაც "წაეთამაშა", აზრი აღარა აქვს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ პირველი გოლი ლომაიას კარში (რომელმაც ვერც ერთხელ ვერ იხსნა თავისი გუნდი) პირველი ტაიმის სულ ბოლო, 45-ე წუთზე გავიდა. არ გაგვიმართლა: სულ ერთი წუთიც რომ გაგვეძლო, შუშაკი შეძლებდა რაღაცის მოფიქრებას. რის - ვერ გეტყვით, მაგრამ მან საქართველოში მოღვაწეობის ორი წლის მანძილზე ბევრჯერ დაამტკიცა, რომ მეორე ტაიმის სპეციალისტია.

ასე რომ, ამ მატჩის წინ გაჩენილი ქართული ოპტიმიზმი საკმაოდ უსაფუძვლო გამოდგა და დოჰერტის გოლთან ერთად დომინოს პრინციპით დაიშალა.

ჭადრაკი

# აზმაიფარაშვილი ევროპის ჩემპიონია


ზურაბ აზმაიფარაშვილი

სტამბულში დასრულდა ევროპის მეოთხე პირადი ჩემპიონატი ჭადრაკში. შეჯიბრებაში 42 ქვეყნის 207 მოჭადრაკე მონაწილეობდა. წარმატებით იასპარეზა ქართველმა დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 9,5 ქულა დააგროვა და კონტინენტის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. აზმაიფარაშვილმა მეოთხე ცდაზე მიაღწია საწადელს. წინა პირველობაზე ქართველი დიდოსტატი მესამე იყო. წლეულს კი ბადალი არ ჰყავდა.

აღსანიშნავია, რომ აზმაიფარაშვილმა მთელი ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. მე-12 ტურში შავი ფიგურებით, ენდშპილში, შესანიშნავ სტილში დაამარცხა ჰოლანდიელი დიდოსტატი ლუკ ვან ველი და ბოლო ტურის წინ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ გამარჯვების შემთხვევაში აზმაიფარაშვილი ჩემპიონის ტიტულს ინაღდებდა. ის ნახევარი ქულით უსწრებდა რუს ვლადიმირ მალახოვს და გერმანელ ალექსანდერ გრაფს.

მე-13 ტურში აზმაიფარაშვილი სწორედ გრაფს შეხვდა, მალახოვი კი - კონსტანტინ საკაევს. ყველასთვის მოულოდნელად, მალახოვი თითქმის უბრძოლველად, მე-10 სვლაზე დაუზავდა თანამემამულეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ გრაფთან შეხვედრაში ქართველ დიდოსტატს ყაიმიც ხელს აძლევდა. საჩემპიონო პარტია არცთუ ხანგრძლივი აღმოჩნდა. აზმაიფარაშვილმა მეტოქეს გასაქანი არ მისცა. მოჭადრაკეებმა სულ 18 სვლა გაითამაშეს და ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ქართველმა დიდოსტატმა 9,5 ქულა დააგროვა და, ევროპის ჩემპიონობასთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონატის საგზური და ჩემპიონისთვის განკუთვნილი 32 000 დოლარიც მოიგო.

კრივი

# კრივი და ანგელოზების ქალაქი

ბიბა ბურასაშვილი



კლიჩკოსთან შესახვედრად ლუისი პენსილვანიაში ემზადება

REUTERS

*მორჩა. გადაწყვეტილი ამბავია. თუ აქამდე იოტისოდენა ეჭვი მაინც არსებობდა, ახლა ყველაფერი გაირკვა. ერთმაც და მეორემაც კონტრაქტი საკუთარი ხელმოწერებით დაამშვენეს. აწი მათ მხოლოდ გონგი თუ გაყრის. 21 ივნისს ლოს ანჯელესის "სტეპლს სენთერი" დიდ კრივს უმასპინძლებს. წყალი არ გაუვა. რინგის ერთ კუთხეში ბრიტანელი ლენოქს ლუისის ბანაკი გამაგრდება, მეორეში - უკრაინელი ვიტალი კლიჩკოსი. შეთანხმება საბოლოოა. ბილეთებიც ელვის სისწრაფით იყიდება და რამდენიმე დღეში მოლარეებს ორთაბრძოლის ნახვის მსურველთა უარით გასტუმრება მოუწევთ. ბილეთის ფასი კი 75-დან 950 დოლარამდე მერყეობს.*

მას შემდეგ, რაც კანადელმა კირკ ჯონსონმა - ლუისის 21 ივნისის მეტოქემ გასულ პარასკევს ტრავმა მიიღო, კრივის მამებს ბევრი არ უფიქრიათ და ბრიტანელს 31 წლის ვიტალი კლიჩკოზე ჩამოუგდეს სიტყვა. ბევრი არც ლუისს უფიქრია და უკრაინელთან ჩხუბი ისურვა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ორთაბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე ერთ მეტოქეს მეორე ცვლის. როგორც წესი, პრომოუტერები ცდილობენ, დათქმულ დღეს, დათქმულ ადგილზე ჩხუბი არ ჩაიშალოს და ყველა ღონეს ხმარობენ, მეტოქეს მეტოქე გამოუძებნონ. საუკეთესო მაგალითად 1991 წელიც გამოდგება, როდესაც ევანდერ ჰოლიფილდს ატლანტაში "ომნის" რინგზე სრულიად უტიტულო ბერტ კუპერი შეაჭიდეს. მაშინ ჰოლიფილდი მაიკ ტაისონთან საბრძოლველად ემზადებოდა, თუმცა, მატჩამდე ორი კვირით ადრე "რკინის მაიკმა" ტრავმა მიიღო და, ბუნებრივია, მათი ჩხუბიც ჩაიშალა, თუმცა, არ ჩაშლილა თავად წარმოდგენა. პრომოუტერები მიდგნენ-მოდგნენ და ჰოლიფილდს იტალიელი ფრანჩესკო დომიანი წარუდგინეს. მაგრამ ისე მოხდა, რომ არც აპენინელს ეღირსა რინგზე ასვლა. იტალიელის გამოვარდნით ბერტ კუპერს მიეცა დიდ მოკრივესთან ორთაბრძოლის შანსი.

ვიტალი კლიჩკოსთვისაც ლუისთან ჩხუბი ერთგვარი შანსია, გახდეს დიდი მოკრივე, თუ, რა თქმა უნდა, ლუისს WBC (საბჭოს) მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს აართმევს.

"ბრძოლა სრულ 12 რაუნდამდე არ გაგრძელდება, - კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ დაიქადნა 37 წლის ბრიტმა მსოფლიო ჩემპიონმა. - სულაც არ ვაპირებ, საქმე გავირთულო. ამაში ჩემთვის ფული არავის გადაუხდია. კლიჩკო, რომელიც, მისი სიტყვებით, დიდი ხანია, ჩემთან ჩხუბს ელის, მიხვდება, თუ რა არის ნამდვილი უსიამოვნებები. მას დიდი გასაჭირი ელის. ძალზე ფრთხილად უნდა იყოს საკუთარ სურვილებთან. 21 ივნისს იგი მთელი სიგრძე-სიგანით იგემებს, რა ძალა აქვს უმაღლესი კლასის მსოფლიო ჩემპიონს".

ვიდრე ბრიტანელი უკრაინელს ნოკაუტით ემუქრება, ლუისმა ვარჯიშზე ერთი ისეთი დარტყმა იგემა, რომ ძირს გაიშხლართა. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი არაოფიციალური წყარო ირწმუნება, რომ საღამოს ვარჯიშზე ლუისმა სპარინგ-პარტნიორისგან დარტყმა გაატარა და რინგზე დაეცაო.

საკუთარი შეგირდის იმედი აქვს ემანუელ სტიუარტსაც, თუმცა, აცხადებს, რომ ბრძოლისთვის უკეთ მოსამზადებლად ლუისს ერთი-ორ ტანმაღალ ბიჭს დავუქირავებო: "ლენოქსისთვის ერთი-ორი მაღალი ბიჭის აყვანას ვაპირებ, რათა ვიტალისთან საბრძოლველად უკეთ მოემზადოს. ვფიქრობ, ცდებიან ისინი, ვისაც ჰგონია, რომ ლენოქსი არცთუ ისე კარგ ფორმაშია. იგი ძალზე კარგ სპორტულ ფორმაშია. მეტიც: ლენოქსი ვიტალის მეხუთე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდებს".

ლუისის ბანაკს მუქარაში არც ვიტალის მწვრთნელი ფრიც ზდუნეკი ჩამორჩება: "თუ ლენოქსი ვიტალის მეხუთე რაუნდში ნოკაუტით ემუქრება, მაშინ ვიტალი იძულებულია, ლენოქსს დაასწროს და მეოთხე რაუნდში გაუშვას ნოკაუტში".

ბუნებრივია, 21 ივნისის ორთაბრძოლისთვის გამალებით ემზადება უკრაინელიც - ახლად შემატებულ ოთხ სპარინგ-პარტნიორს უკვე თავ-ყბა გაუერთიანა. "მიხარია, რომ ოცნების ასრულების ზღურბლთან ვდგავარ. ლოს ანჯელესში ჩხუბის შესაძლებლობაც სასიამოვნოა. ეს დიდი ბრძოლა იქნება".

რაც შეეხება ბრძოლის მასპინძელ ლოს ანჯელესს - ანგელოზების ქალაქს, აქ მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონის სატიტულო ორთაბრძოლა ბოლოს 44 წლის წინათ გაიმართა. მაშინ, 1958 წლის 18 აგვისტოს, ფლოიდ პეტერსონმა 13-რაუნდიან ორთაბრძოლაში ტექნიკური ნოკაუტით როი ჰარისი დაამარცხა და მესამედ დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ლოს ანჯელესს სხვა სასეირო ჩხუბისთვისაც უმასპინძლია, მაგრამ არა ასეთი მნიშვნელობის.

1973 წლის 10 სექტემბერს მუჰამედ ალიმ ჩრდილო ამერიკის კრივის ფედერაციის (NABF) ჩემპიონის ტიტული მესამედ, ამასთან, რემატჩში კენ ნორტონთან დაიცვა.

**P.S.** ამასობაში ვიტალი კლიჩკო ლუისის დასამარცხებლად თითოეულ ნიუანსს ჩაჰკირკიტებს. იმისთვის რომ ლენოქსის სუსტი და ძლიერი მხარეები შეისწავლოს, ფილმ "Ocean's 11" (ჩვენში "ოუშენის 11 მეგობრის" სახელით რომ არის ცნობილი), ალბათ, რამდენჯერმე დაატრიალებს. რა შუაშია აქ ჰოლივუდის კინოინდუსტრიის ნაწარმი? საქმე ის არის, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში ლუისი და ვიტალის ძმა, ვლადიმირი, ერთმანეთთან არკვევენ ურთიერთობას. მართალია, მათი დაპირისპირება სპექტაკლია, მაგრამ ვიტალის მიაჩნია, რომ 21 ივნისის ორთაბრძოლამდე დადგმული შოუდანაც შეუძლია, მეტოქის საბრძოლო მანერაზე გარკვეული ინფორმაცია მიიღოს.

"მათ (ვლადიმირი და ლუისი) 20-ჯერ გაიარეს ამ სცენის რეპეტიცია. ეს არ გახლდათ ნამდვილი ჩხუბი, თუმცა, ყოველი მოძრაობა სწორედაც რომ ნამდვილი იყო. ერთი სიტყვით, დეტალები გულდასმითაა შესასწავლი. ფილმიდან მიღებული გამოცდილებით თუ მოგონებებით მეხმარება ვლადიმირიც, რომელსაც კარგად ახსოვს, როგორ მოძრაობდა ლუისი".

ბილიარდი

# "ივერია" ივერიისთვის

პაატა თოთაძე

მეზობელი მყავდა, შესანიშნავად თამაშობდა ბილიარდს. იმ პერიოდში სპორტის ეს სახეობა გარკვეულწილად აკრძალული იყო - კრიმინალურ სპორტად ითვლებოდა. ყველაფრის მიუხედავად, ის ჩემი მეზობელი დღედაღამ კიით ხელში იდგა. ბილიარდი ჭადრაკია მოძრაობაშიო - ერთხელ ასეთი რამ თქვა და მეზობლების დაინტერესებას ცდილობდა.

ალიოხინის ეს სიტყვები გუშინ მეორედ გავიგონე ბილიარდის კლუბ "ივერიაში". ბილიარდის განვითარებასა და სპორტსმენთა ბოლოდროინდელ წარმატებებში ამ კლუბს უდიდესი წვლილი მიუძღვის. შარშან, 5 მარტს ჩამოყალიბებულ კლუბს ხელმძღვანელობს თეიმურაზ ფეიქრიშვილი, რომელიც საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია. ხელმძღვანელი კი დავით ალექსიძეა. თბილისში ჩამოსვლამდე თეიმურაზ ფეიქრიშვილი რუსეთში მოღვაწეობდა და ამჟამადაც რჩება რუსული ბილიარდის საერთაშორისო პროფესიული ლიგის ვიცე-პრეზიდენტად.

ბილიარდის ფედერაცია 1992 წელს ჩამოყალიბდა, ოთხი წლის შემდეგ კი მას ეროვნულის სტატუსი მიენიჭა. 1994 წელს საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე კლასიკურ პირამიდაში მეორე, 2000 წელს 18 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე კი მესამე ადგილი დაიკავა. წლეულს სანკტ-პეტერბურგის მსოფლიო ჩემპიონატზე პაატა ხმალაძე მეცხრე ადგილზე გავიდა. ამჟამად ქართველი სპორტსმენი ალმა-ათაშია, სადაც აზიის თასის გათამაშებაში იღებს მონაწილეობას. ბილიარდი არაოლიმპიური სახეობაა და ამიტომ სახელმწიფო არ აფინანსებს. იმ ხარჯებსაც, რომლებიც სპორტსმენთა ტურნირებზე გასაგზავნადაა საჭირო, ფედერაციის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი იღებენ. მომავალში ქართველებს კიევში ევროპის ჩემპიონატზე, ბალტიის თასზე, ამერიკულ პულში ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა ელით. რაც შეეხება აქაურ ტურნირებს, ახლა ფედერაცია პულში, სახეობა ცხრიანში ატარებს საქართველოს ჩემპიონატს, წლის ბოლომდე ბათუმში, მოსკოვის პირამიდაში, თბილისში კი პირამიდაში ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატები. სპორტის ეს სახეობა მსოფლიოში ძალზე პოპულარულია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მსოფლიოს ტელეარხებზე ხშირად ნახავთ შეჯიბრებას ბილიარდის სხვადასხვა სახეობაში. ინგლისში კი მსოფლიო ჩემპიონს უმას რაინდის წოდებას უბოძებენ ხოლმე.

ზემოთ "ივერიის" როლი აღვნიშნეთ ბილიარდის განვითარებაში. ეს იმაში გამოიხატება, რომ საქართველოს ნაკრების წევრებს სავარჯიშოდ კლუბში გარკვეული დრო აქვთ გამოყოფილი. იქვე არსებობს ბავშვთა სკოლაც, სადაც ბავშვები უფასოდ ვარჯიშობენ და თამაშობენ. ასეთივე კლუბი, ფედერაციის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის ხელშეწყობით, გაიხსნა რუსთავშიც, სადაც ბავშვებს და ნაკრების წევრებს უფასოდ შეუძლიათ თამაში. ასე რომ, კლუბი მხოლოდ კომერციულ საქმიანობას არ ეწევა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე.

ჩვენში რატომღაც მიაჩნიათ, რომ ბილიარდს მამაკაცი უნდა თამაშობდეს. თუმცა, კლუბში მისულმა, არაერთი ქალბატონი ვნახე. ვითომ ქალები უფრო აზარტულები არიან, როგორც ეს ერთერთმა მათგანმა თქვა, თუ, უბრალოდ, ბილიარდის თამაში მოდაში შემოდის?

ნაფიფქი



ნინო I

# კონი მონტოია ძმები შუმახერების წინააღმდეგ

კოლუმბიელი პილოტი ხუან პაბლო მონტოია დღემდე პერსპექტიულ და იმედისმომცემ სპორტსმენად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 28 წლისაა და ჯერ არ გამხდარა მსოფლიო ჩემპიონი. მონტოიას იმ ეპოქაში მოუხდა ცხოვრება, როცა ფორმულა 1-ს ერთპიროვნული მბრძანებელი ჰყავდა - მიხაელ შუმახერი, კაცი, რომელმაც ხუთჯერ მოიგო ჩემპიონის ტიტული და მეექვსედაც ცდილობს კვარცხლბეკზე შედგომას, თუმცა, ამჯერად სერიოზულად უშლიან ხელს მეტოქე საჯინობოს ლიდერები კიმი რაიკონენი, დევიდ კულჰარდი და ხუან პაბლო მონტოია. მონაკოს რბოლამ ნათლად აჩვენა, რომ უფროს "შუმის" მხოლოდ "მაკლარენის" პილოტები როდი უწევენ კონკურენციას, "უილიამსიც" არანაკლებ სახიფათოა - მონტოია და "შუმის" ძმა რალფიც ხომ მუდამ მის დამარცხებაზე ოცნებობენ. მონტოიამ მონაკოში გაიმარჯვა და "უილიამსის" საჯინიბო ჩემპიონატის მოგებაზე ალაპარაკდა. მიხაელ შუმახერს კიდევ ერთხელ დაემუქრნენ და ფიასკო უწინასწარმეტყველეს. საწყალი "შუმი", რამდენს უძლებს!

ხუან პაბლო მონტოია და მისი მეუღლე კონი ძმები შუმახერებისა და მათი მეუღლეების მიმართ რატომღაც მეტად აგრესიულად არიან განწყობილნი. კონი ფრაიდელი, კოლუმბიელი ლამაზმანი, სულ იმის ცდაშია, როგორმე აჯობოს კორა ბრინკმანს, რალფ შუმახერის ავსტრიელ მეუღლეს. იმის მიუხედავად, რომ ხუან პაბლო და რალფი ერთი გუნდის წევრები არიან, კონი და კორა ერთ-


კონი მონტოია

მანეთს ვერ იტანენ. თუ საშუალება მიეცემა, კონი არასოდეს ამბობს უარს კორას გაკრიტიკებაზე - ხან გამომწვევი ჩაცმულობის გამო კიცხავს, ხან - თავისუფალი ქცევისთვის. "მე არასოდეს ჩავიცვამდი ისე თამამად, როგორც კორა იცვამს. ეს საერთოდ არ არის ჩემი სტილი", - ამბობდა კონი ბრაზილიის რბოლის წინ, როცა ორივე კინაღამ ტელევიზორთან დასვეს თავიანთი ქმრების სანახავად, რადგან გუნდის ბოსი ფრენკ უილიამსი მიიჩნევდა, რომ კორას და კონის ბოქსში ყოფნა რალფ შუმახერს და ხუან პაბლო მონტოიას ხელს უშლიდა რბოლაზე კონცენტრირებაში.

კონი მონტოია სულაც არ ფიქრობს, რომ რბოლის დროს მეუღლეზე უარყოფით გავლენას ახდენს. პირიქით, დარწმუნებულია, რომ ხუან პაბლოს ეხმარება კიდეც წარმატების მოპოვებაში. "ჩემს გარეშე ის საოცრად უმწეოა. სულ უკან დავსდევ, ყველაფერს ვაკეთებ მისი გულისთვის. არასოდეს იცის, სად არის მისი ტანსაცმელი ან სხვა ნივთები. მოუწესრიგებელია, მაგრამ მე ეს არ მაღელვებს. სიამოვნებით ვუგვარებ ყველა ყოფით პრობლემას, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემი ხუანი ამას იმსახურებს", - განუცხადა კონიმ "ბილდის" კორესპონდენტს.

კონიმ და მონტოიამ ფლორიდაში, რესტორანში გაიცნეს ერთმანეთი. ის-ის იყო, კონის მადრიდის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სახელმწიფო გამოცდა ჩაებარებინა და გახარებული ჩანდა. კონი მონტოიასთან მივიდა და ავტოგრაფი სთხოვა. მისმა სილამაზემ იმდენად მოხიბლა კოლუმბიელი პილოტი, რომ უცნობ ფანს ავტოგრაფი კი არ მისცა, ტელეფონის ნომერი სთხოვა. მაშინ ორივეს მეგობარი ჰყავდა და ამიტომ ნახევარი წლით მოცდა მოუხდათ. 2001 წლის შემოდგომაზე მონტოიამ კონის წინადადება მისცა და თანხმობაც მიიღო. 2002 წლის 27 ოქტომბერს კარტახენის სანტო ტორიბიოს კათედრალში ჯვრისწერა გაიმართა. ცერემონიალზე დასასწრებად წყვილმა 300 საპატიო სტუმარი მიიწვია. მათ შორის იყო კოლუმბიის პრეზიდენტი, რომელიც კონის მამის თანაკურსელი ყოფილა. თავისი კოლეგებიდან ხუან პაბლო მონტოიამ დაპატიჟა მხოლოდ "ფერარის" ბრაზილიელი პილოტი რუბენს ბარიკელო, რომელთანაც კოლუმბიელს გულითადი მეგობრობა აკავშირებს. არც რალფი და არც მიხაელი ქორწილში არ მიუწვევიათ. სხვათა შორის, კარტახენში ასეთი დიდი ზეიმის გადახდა არცთუ უხიფათო იყო. ქორწილამდე ერთი დღით ადრე ბოგოტაში ბომბი აფეთქდა, მეზობელ ქალაქ მედელინში კი ხელჩართული ბრძოლები მიმდინარეობდა. მოკლედ, კოლუმბიაში, როგორც ყოველთვის, გვარიანი არეულობა იყო. ამის მიუხედავად, ქორწილმა მშვიდობიანად ჩაიარა, კარტახენის მოქალაქეებმა კი ხეირიც ნახეს - სენსაციას დახარბებულ ფოტოგრაფებს 27 000 ევროდ მიაქირავეს სახლის აივნები, საიდანაც კარგად ჩანდა ეკლესიიდან გამოსული წყვილი.

ასეთი დიდი ამბით დაქორწინებული ხუან პაბლო მონტოია და კონი ფრაიდელი დღემდე რჩებიან ოჯახური ბედნიერების ნიმუშად. კონი არც ერთ რბოლას არ ტოვებს, ყველგან თან ახლავს მეუღლეს. მონაკოს რბოლის მოგების შემდეგ კი მონტოია და კონი უკვე მიხაელ შუმახერის დამარცხებაზე ოცნებობენ. "ხუანს ძალიან გაუხარდა, როცა მიხაელ შუმახერმა 2006 წლამდე გააფორმა კონტრაქტი "ფერარისთან". მას სურს, სწორედ შუმახერის დაძლევით მოიპოვოს ჩემპიონობა. დარწმუნებული ვარ, შეძლებს კიდეც ამ ჩანაფიქრის განხორციელებას", - თამამად აცხადებს კონი. როცა მას ეკითხებიან, როგორი ურთიერთობა აქვს მიხაელის მეუღლე კორინასთან, კონი მხრების აჩეჩვით პასუხობს: "მე მას თითქმის არ ვიცნობ. აქამდე ერთი სიტყვაც კი არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. რაზე უნდა გველაპარაკა? აი, როცა ხუანი ჩემპიონი გახდება, მერე ვნახოთ".

ასეთია კონი - ენაწყლიანი, ხალისიანი, გაბედული, საკუთარ თავში დარწმუნებული, ლამაზი და, ცოტა არ იყოს, თავხედიც. სამხრეთამერიკული ტემპერამენტი მუდამ პირველობისკენ უბიძგებს, ჩრდილში ყოფნას ვერ იტანს. მაგრამ შეძლებს თუ არა დიდებაზე მეოცნებე კონი, ყველას ყურადღება მიიქციოს და შუმახერებზე გამარჯვებით დატკბეს, ეს მხოლოდ ხუან პაბლო მონტოიას სისწრაფეზეა დამოკიდებული.





"ბინული"

საშუალო სკოლა "ბინული" არის კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია მალალზნეობრივი და ინტელექტუალური პიროვნების ჩამოყალიბებაზე და უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უწყვეტობას; სკოლაში ხორციელდება უცხო ენების და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გაღრმავებული სწავლება, რითაც ხდება ადრეული პროფილირება. სკოლა უზრუნველყოფს სწავლებისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას ახალგაზრდობის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და ამაღლებისათვის, ხელს უწყობს დამოუკიდებელი და სამეცნიერო საქმიანობის ჩვევების გამომუშავებას.

სკოლა შედგება ორი ცენტრისაგან: სასწავლო მეთოდური ცენტრი და ბავშვთა აღზრდის ცენტრი.

სასწავლო მეთოდური ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

1. დაწყებითი ელემენტარული სკოლა (პირველი - მეექვსე კლასები)
2. ძირითადი (პროფილური) სკოლა (მეშვიდე - მეცხრე კლასები).
3. ლიცეუმი (უმაღლესზე ორიენტირებული სწავლება).

სკოლაში მოსწავლე მიიღება კონკურსის საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს მიმღები კომისია. კომისიის შემადგენლობაში პედაგოგებთან ერთად მონაწილეობს ფსიქოლოგი და ლოგოპედი.

სკოლაში ჩარიცხვის დროს ყურადღება ექცევა მოსწავლის მზაობას ინტენსიური ინტელექტუალური საქმიანობისათვის.

2003-2004 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს I-IV კლასებში.

**მისამართი:** დიღმის მასივი, III კვარტალი. 147-ე საშუალო სკოლის შენობა, საერო სკოლა "ბინული". ტელ: 52-98-84.




# აფიშა

## თეატრები

**მარჯანიშვილის თეატრი**
ვოლკანოს თეატრის სპექტაკლი "სიყვარული", რეჟ. ნაიჯელ ჩერნოკი
დას: 20:00 სთ; ფასი 8 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"ზამთრის ღამის სიზმარი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ

**თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,5 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
პრემიერა "ღამე მშვიდობისა დედა", რეჯ. ნინო ლიპარტიანი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**ძველი გალერეა**
ჰოლანდიელი მხატვრის ანელის მიდდელის პერსონალური გამოფენა "საქართველოს სახე"

**„ქარვასლა„**
პოლონური პლაკატის გამოფენა

**N გალერეა**
პეტრე ბლიოტკინის 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა

**უნივერსი**
ირაკლი სუთიძის ნამუშევრების გამოფენა

**„ორიენტი"**
პეტრე ბლიოტკინის ნამუშევრების გამოფენა

## კინოთეატრები

**„ამირანი"**
"ჭუჭა ცხვირა"
დას: 13:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"მატრიცა 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
"დანიშნულების ადგილი"
18:00; 22:00 სთ; ფასი 7,8
"მდევარი"
დას: 20:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი"**
"X მენი 2"
დას: 15:00; 19:30 სთ; ფასი 5,7 ლარი
"დიდი ძარცვა"
დას: 17:30; 21:30; ფასი 5,9 ლარი

**„ელისო"**
"დიდი ძარცვა"
დას: 15:00 სთ; ფასი
"X მენი 2"
დას: 18:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

**კინოს სახლი**
ფრანგულ-გერმანული ფილმების დღეები
"ევროპა, ევროპა/ ჰიტლერიუნგე სალომონი", აგნიშკა ჰოლანდი
დას: 14:00 სთ. (ორიგინალური ვერსია)
"ვარდების ბაღი", რეჟ. იშტვან საბო
დას: 16:30 სთ. (ქართულ ენაზე)
"ჰანუსენი", რეჟ. ფონს რადემაკერსი
დას: 19:30 სთ.
დასწრება თავისუფალია

# TV პროგრამა 14 ივნისი

## რუსთავი - 2

08.00 კლასიკა
09.00 კურიერი
09.20 დრაკონთა მომთვინიერებლები
10.00 ჯადოქარი
10.45 საბ.ფილმი „ოქროს ვარდის გამოქვაბული"
12.00, 15.00 კურიერი
12.20 სიმფსონები
12.50 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.15 სერიალი „კოლომბო"
18.00, 02.00 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
19.15 დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები"
20.05 სერიალი „მეწამული ყვავილი"
21.00 კურიერი PS
22.00 საოჯახო ტოტო
22.30 ფსიქო. მხ.ფ. „უგზოუკვლოდ დაკარგული" რეჟ: კოსტა გავრასი.
02.20 მხ.ფ."მალენა" მთ. რ-ში: მონიკა ბელუჩი.
04.00 ღამის ჯაზი

## პირველი არხი

08.00, 15.00 მოამბე
08.15 „ზოოპარკი"
08.30 მხ. ფილმი „მილიონი ფუნტი სტერლინგის ბანკნოტი"
10.00 დილის პაემანი
11.05 მხიარული კარუსელი
11.35 მხ. ფილმი „დათქმული შეხვედრა"
12.55 „მეტრო"
13.30 კვალი
14.00 დოკ. ფილმი „ცეკვის ბრწყინვალება"
14.25 „საქართველო, დრო, მოვლენები"
15.15 მხ.ფილმი „მენავთობე ქალები"
16.45 საწინდარი
17.20 მულტსერიალი „დაკარგული სამყაროს თავგადასავალი"
17.45 დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები"
18.00 „ვესტნიკი"
18.45 „თბილისის დროით"
19.05 ენერგია
19.35 გინდ დაიჯერეთ გინდ არა
20.00 ცაიტნოტი
21.10 ტელესერიალი „ძვირფასი მარიანა"
22.00 „ფორტუნა"
22.40 პროფათეული
23.15 მხ. ფილმი „მე თქვენ მიყვარხართ"
01.00 მოამბე
01.10 ღამის ჯაზი

## პირველი სტერეო

09.00 მუსიკა
10.00 ტოროლა
13.00 ფილმი
15.00 მუსიკა
16.00 ფილმი „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა"
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
19.50, 20.15 სველი ხაზი
21.15 ქართული მუსათეული
22.35 კვირის საუკ. ლექსები
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 „ბრავო" „იმპერია" მთ. რ-ში ჯონ ლეგუიზიამო.
01.50 „ღამურა" „ვამპირები-2". მთ. რ-ში ჯონ ბონ ჯოვი.
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 ორატორი
19.40 სერიალი „ქალბატონები ზღვისპირეთიდან"
20.30 „ახლო ხედი"
21.00 „ვმესტე"
21.30 წარსულის ტერიტორია
22.00 მხ. ფილმი „მსაჯული დრედი"

## კავკასია

12.00 მხ. ფილმი „რობინ ჰუდი"
15.00 მხ.ფილმი „მგლის საქმე"
17.00 მხ. ფილმი „პოლიციის აკადემია"
19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
19.15 დოკ. ფილმი
21.00 მხ. ფილმი „ჩვილის გასეირნება"
22.30 მხ. ფილმი „გენერალი"
00.30 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 2"

## იბერია

08.00 ანონსი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „შურისძიება"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10 დოკ. ფილმი
15.15 მხ. ფილმი
17.30 მუსიკა 18.00, 19.30 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი
21.00 დოკ. ფილმი
22.40 სერიალი „საჰაერო პოლიცია"
23.30 მუსიკალურ ტალღაზე
01.30 მხ.ფ. „დევნილი"
02.40 ღამის ფილმი

## მეცხრე არხი

09.30 მულტფილმი „მხიარული მელოდიები"
09.55, 15.15, 17.50, 18.50 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი"
11.00 სერიალი „მოჯადოება"
11.55 დოკ. ფილმი „მსოფლიო ფერწერის ისტორია" მე-36.
12.20 მხ. ფილმი „მამა და მხოლოდ მამა"
14.15 „ტელემეტრი"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 „ყვითელი კვადრატი"
15.30 სერიალი „სირინოზები"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი"
19.00 „საუბრები სტუდიაში"
20.00 დოკ. სერიალი „ფაქტზე დაჭერა" მე-3ს.
21.15 ფილმი-კონცერტი. ჯგუფი „ქრამბერისი".
22.35 მოკლ.მხ.ფილმი „ნონი და ალექსი"
23.00 „ცხელი ცხრიანი"
00.20 მხ. ფილმი „შემცვლელი მასწავლებელი".

## იმედი

08.59 ქრონიკა
09.05, 13.30, 01.20 იმედის მელოდიები
10.20 ანიმაციური სერიალი „მითიური მეომრები" 1-ლი ს.
10.50 ფანების კინოკლუბი „მაისის ღვინო"
12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
13.05 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
13.35 თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ"
14.30 სპ. პროგრამა „ესტაფეტა"
15.05 რეტროსკოპი „ივანის ბავშვობა"
17.10 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის"
18.00 „ერთხელ ჰოლივუდში"
18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა"
19.30 სერიალი „ნირო ვულფი"
20.30 „ერთხელ ჰოლივუდში"
21.00 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი" მე 12-ს.
22.45 „საღამოს ღიმილი"
23.00 „კლიპ-ლოტო"
23.30 მხ. ფილმი „ესკორტი 2" (მ.ბლანი).

## აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
10.25 სათავგადასავლო ფილმი „ექვსი დღე, შვიდი ღამე"
12.10 კომედია „კანადური ბეკონი"
13.40 მუსიკა
13.50 თრილერი „მკვლელები"
16.10, 19.20, 22.40, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი „საიდუმლო იარაღი"
17.30 სათავგადასავლო ფილმი „ალმასის კუნძული"
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
19.30 „პრესდაიჯესტი"
19.35 „ყველანი ვართ პატარები"
19.45 დოკუმენტური ფილმი
20.30 თრილერი „განამადგურებელი"
22.20 „სათქმელი"
23.00 Слово
00.40 „ქართული კინო"
02.10 დოკუმენტური ფილმი
03.20 დოკუმენტური ფილმი
04.05 თრილერი „პრეტენდენტი"

## VII არხი

18.10 მოგილურები
19.00 „აჩიკუდა
19.20 „ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით
19.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.50 ღამის კაპრიზი
20.40 რაგბი - ახალი ზელანდია - ინგლისი
22.25 აუდიო - ვიდეო - ტელე
23.00 „კინოკლუბი „ - „ცივი გული". მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ-ჰონ რიდლი. როლებში: დევიდ კარუზო, კელი ლინჩი.
00.25 კომპიუტერული თამაშები
00.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი.
02.20 კომპიუტერული ტექნიკა

## OPT

07.10 Сериал „Китайский связной"
08.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости
08.10 Сериал „Приключения Геркулеса"
09.00 Док.фильм „До Земли и обратно"
10.00 „Слово пастыря"
10.15 „Здоровье"
11.10 „Смак"
11.30 „Тайны века". „Пропавшая экспедиция Рокфеллера"
12.10 „Тайны забытых побед". „Оружие победы. Ил 2"
12.40 „Смехопанорама"
13.20 „Путешествия натуралиста"
13.50 „Чтобы помнили...". Ю.Васильев
14.35 Дисней-клуб: „Геркулес"
15.10 „Русская рулетка"
16.00 „Спасатели. Экстренный вызов"
16.35 „Новые чудеса света". „Райский сад"
17.05 „Пришельцы. Фотография на память"
17.35 „Ералаш"
17.55 Док.сериал „Живая природа"
19.10 Комедия „Афоня" 2
0.55 „Кто хочет стать миллионером?"
22.00 Время
22.30 Боевик „Возвращение универсального солдата"
00.05 Первая национальная музыкальная премия
03.00 Комедия „Мафия"

## PTP

07.00 Комедия „Королевская регата"
08.25 Мультсериал „Джеки Чан"
09.05 Студия „Здоровье"
09.40 Золотой ключ
10.00 Сборная России
10.25 Военная программа
10.45 Утренняя почта
11.20 Сто к одному
12.15 Сам себе режиссер
13.15 В поисках приключений
14.10 Клуб сенаторов
15.00, 21.00 Вести
15.20 Худ.фильм „Счастливая, Женька!"
17.00 Мелодрама „Крамер против Крамера"
19.00 Моя семья
20.00 Аншлаг
21.25 Зеркало
21.50 Честный детектив
22.15 „Кубок юмора-2003". „Веселый концерт"
23.40 Худ.фильм „Зависть богов"
02.25 Концерт композитора В. Назарова
03.20 Чемпионат мира по автогонкам „Формула-1". Гран-При Канады.
04.35 Сериал „Клоун"

## НТВ

07.25 Боевик „Тот, кто нежнее"
09.00, 13.00, 17.00 „Сегодня"
09.15 Сериал „Голубое дерево"
09.55 „Без рецепта". Доктор Бранд
10.30 „Весь Жванецкий". „...И мы довольно неискренние"
11.05 „Кулинарный поединок. Е.Воробей и К.Балаханов"
12.00 „Квартирный вопрос. Детский сад"
12.50 Спорт „Лотто 6 из 49"
13.40 „Служба спасения"
14.10 Комедия „Блондинка за углом"
15.55 „Вкусные истории"
16.05 „Своя игра"
17.20 „Женский взгляд". О.Видов
18.00 Мелодрама „Есть о чем поговорить"
20.00 „Совершенно секретно. Минздрав предупреждает"
20.50 Боевик „Агент национальной безопасности"
22.00 „Личный вклад" с А.Герасимовым
23.00 Боевик „Обсуждению не подлежит"
01.00 „Все сразу!"
01.35 Худ.фильм „Клют"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

**იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის 25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74**

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425**

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"-ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

იყიდება 1,5 -ოთახიანი ყაველაშვილის ექსპერიმენტული ბინა დიდ დიღომში, ს/ფ 6000. 53-46-91.

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

**იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12**

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-74-56 მამუკა.**

ქირავდება სახლი დიდი ეზოთი შუა წყნეთში, მუდმივი ცივი და ცხელი წყლით, აუზით და ყველა პირობებით. 22-87-41, 887 570257.

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

## კომერც. ფართი

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

## მანქანები

**სასწრაფოდ!**
**იყიდება BMW-728 1998 წლის. ტელევიზორი, კლიმატკონტროლი, პროგრამული სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, პარკტრონიკები.**
**ფასი: 13 500$**
**ტელ: 899 182227**




იყიდება ოპელი სენატორი 6 ცილინდრიანი ძრავით 2,6 1991 წლის გამოშვება, სრული ელპაკეტით. ფასი: 3500$. ტელ: 899-28-30-52.

**იყიდება BMW-320, 2 -კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.**

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

## სხვადასხვა

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ფეხის ასადგმელი ქამრები, სუპინატორები ბრტყელტერფიანებისთვის და ორთოპედიული ბალიშები. ტ. 53-46-41.




ფუნქციონირებს მოსწავლეთა ბანაკი თბილისის ზღვაზე 09.00-დან 17.00 საათამდე, ორჯერადი კვებით. 95-32-42, 95-18-49, 95-00-56 მერი სვანიძე.

იყიდება მაღაზია დიდ დიღომში. ტელ: 53-51-36

**ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.**
**მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".**
**ტელ: 39-46-30, 899 978757**
**მაკა ან ცეზო.**

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.**
**ტელ: 899 584855**






# ...სამაგიეროდ იცოცხლებს ატიკუს ფინჩი, მობი დიკი, ჯო ბრედლი...


ჟურნალისტი ჯო ბრედლი პრინცესა ანას ჰკოცნის


გრეგორი პეკი კანში


კადრი ჰიჩკოკის ფილმიდან Spellbound. გრეგორი პეკი და ინგრიდ ბერგმანი

მისი სიკვდილის მიზეზი კი: ასაკი

გუშინ საღამოს ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი გრეგორი პეკის დაკრძალვის დეტალები. მთელი დღის განმავლობაში კი, ამერიკული კინოს კერპის გარდაცვალების გამო, სინანულს გამოთქვამდნენ ცნობილი ადამიანები.

1998 წელს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნას ხანდაზმული, მაგრამ მაინც ძალიან სიმპათიური გრეგორი პეკი თავის ფრანგ მეუღლესთან, ყოფილ ჟურნალისტ ვერონიკ პასანისთან ერთად დაესწრო. პარიზში წყვილი თავად ჟაკ შირაკმა მიიწვია. გუშინ დამწუხრებული პრეზიდენტი ამბობდა: "გრეგორი პეკი იყო არა მხოლოდ ამერიკული კინოს დიდი წარმომადგენელი, არამედ კაცი გამორჩეულად დიდი კულტურით, დიდი გულით. ის ზრუნავდა ადამიანებზე და აწუხებდა მთელი მსოფლიოს ბედი".

გუშინვე მსახიობი ჩარტლონ ჰესტონი გარდაცვლილი კერპის შესახებ ამბობდა: "ჩვენ ერთად ვითამაშეთ "დიდ ქვეყანაში". გრეგორი პეკი ერთ-ერთი იყო იმ იშვიათ მსახიობთაგან, რომლებიც ბუნებრივად არიან დაჯილდოებულნი იუმორის ნამდვილი გრძნობით, კეთილშობილებით, შინაგანი ძლიერებით და მაღალი სულით".

აშშ-ს კინოაკადემიის პრეზიდენტი ფრენკ პირსონი კი დასძენდა: "კინოინდუსტრიამ დაკარგა ერთ-ერთი ყველაზე დიდი მსახიობი და ღირსეული მოქალაქე".

სხვათა შორის, ერთ დროს პირსონის თანამდებობაზე თავად გრეგორი პეკი მსახურობდა. ხოლო თითქმის იმავე პერიოდში დემოკრატები ცდილობდნენ, პეკი კალიფორნიის გუბერნატორობაზე დაეთანხმებინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ (სამაგიეროდ რონალდ რეიგანის შემთხვევაში მსახიობის პოლიტიკაში ჩაბმა იოლად მოახერხეს რესპუბლიკელებმა).

მართალია, პეკი თანამდებობას მაინც კინოს სამყაროს ამჯობინებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 60-იანი წლებიდან დაწყებული, მას არ გამოუტოვებია არც ერთი საპროტესტო აქცია, რომელიც, მისი აზრით, სიმართლეს ემსახურებოდა. გამოდიოდა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც დიდ პატივს სცემდა საკუთარ შვილს, როგორც პატრიოტს, რომელიც ვიეტნამში იბრძოდა. მონაწილეობდა ამერიკის სიმსივნით დაავადებულთა ფონდის მიერ მოწყობილ აქციებშიც, მაგრამ ასეთი აქტიურობის მიუხედავად მუდამ უარობდა, მე ფილანტროპი ნამდვილად არ ვარო, "უბრალოდ, ვმონაწილეობ იმ აქციებში, რომლისაც მჯერა", - დასძენდა ის. მეტიც, კანის კინო-ფესტივალის ხშირი სტუმარი, მოხუცი პეკი, პირველ რიგში, სწორედ საქველმოქმედო აქციებს ესწრებოდა...

მოკლედ, დღის და, შეიძლება ითქვას, კვირის მთავარი თემაც გრეგორი პეკის სიკვდილი იყო. ის ხუთშაბათს გამთენიისას, 87 წლის ასაკში საკუთარ სახლში გარდაიცვალა. მას სასთუმალთან ეჯდა ერთგული ცოლი, რომელთან ერთადაც პეკმა 48 წელი იცხოვრა და ბოლომდე ეჭირა მომაკვდავი გრეგორის ხელი. ვერონიკის თქმით, მოხუცი მშვიდად იწვა, მერე თვალები დახუჭა, თითქოს, იძინებსო და მეორე წამში უკვე აღარ იყო. უბრალოდ, ასაკის გამო გარდაიცვალაო, - დასძინა პეკის პრესაგენტმა მონრო ფრიდმენმა.

არადა, ხანდაზმულობის მიუხედავად, პეკი იმდენად ხშირად ჩნდებოდა საზოგადოების წინაშე, რომ მასზე ამბობდნენ, 87 წლის ასაკშიც ვარსკვლავად დარჩაო. მას ხომ ერთი კვირის წინ არგუნეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი ჯილდო: ამერიკული ფილმის ინსტიტუტმა მისი პერსონაჟი ატიკუს ფინჩი ფილმიდან "ნუ მოკლავ ჯაფარას" საუკეთესო დადებით გმირად აღიარა. ამავე როლისთვის წლების წინ პეკს "ოსკარიც" გადასცეს. გუშინ კინოაკადემიის პრეზიდენტი შენიშნავდა: "ირონიულია, აკადემიამ მას დაუფასა ის როლი, რომლის თამაშიც პეკს ყველაზე ნაკლებ სჭირდებოდა, რადგან ის ხომ ცხოვრებაშიც ატიკუს ფინჩი იყოო". ამას თავად მსახიობიც აღიარებდა. "ნუ მოკლავ ჯაფარას" შესახებ ის ამბობდა: "ამ ფილმში ჩავდე ყველაფერი, რაც გამაჩნდა – მთელი ჩემი გრძნობები და ცოდნა, ჩემი წარმოდგენები ოჯახურ ცხოვრებაზე და მამებისა და შვილების ურთიერთობებზე, ჩემი შეხედულებები რასობრივ უთანასწორობაზე".

პეკი განსაკუთრებული სითბოთი იხსენებდა კიდევ რამდენიმე ნამუშევარს, მათ შორის "ჯენტლმენების შეთანხმებასაც". სხვათა შორის, იმ ეპოქისთვის ეს ფილმი საკმაოდ სენსაციური პროექტი იყო. აგენტი პეკს აფრთხილებდა: "შენ ეს-ესაა კინოინდუსტრიაში თავი დაიმკვიდრე. ქვეყანაში კი ანტისემიტიზმი მძვინვარებს. ნუ დათანხმდები ამ წინადადებას, იქნებ, ამ ფილმმა შენს კარიერაზე უარყოფითადაც იმოქმედოს". თუმცა, მსახიობმა რჩევა არ გაითვალისწინა იმიტომ, რომ არ ულალატა თავის მორალურ პრინციპებს და, ალბათ, ამიტომაც ჩაიწერა ეს ფილმი თავისი საყვარელი ნამუშევრების სიაში. თუმცა, იყო ისეთი ეპიზოდიც მის ცხოვრებაში, რომლის გამოც ძალიან ნანობდა: "გული მწყდება, რომ High Noon-ში შემოთავაზებული როლი არ მივიღე (როლზე მერე გერი კუპერი დაამტკიცეს). ახლა ხომ ბუხრის თავზე ერთის ნაცვლად "ოსკარის" ორი სტატუეტი მექნებოდა"...

კარგად ახსოვდა ის პირველი შთაბეჭდილებაც, რაც 9 წლის ბიჭუნაზე კინომ მოახდინა. 1925 წელი იყო. გამზრდელმა ბებიამ პატარა გრეგორი კინოში წაიყვანა "ოპერის მოჩვენების" სანახავად. "მოჩვენების სახის დანახვამ ისე შემაშინა, სახლში სულ აძაგძაგებული წავედი. ქუჩის ორივე მხარეს ევკალიპტის ხეები იდგა, გაჩაჩხული ტოტებით, რაც კიდევ უფრო მზარავდა. ამიტომ გზის შუაგულში მივაბიჯებდით მე და ბებია". შემდეგ სამხედრო აკადემიაში მიაბარეს და მკაცრი კათოლიკური განათლება მიაღებინეს. სწორედ ამ პერიოდში პეკს მღვდლობა უნდოდა. თუმცა, ძალიან მაღალი და ძალიან მორცხვი ბიჭი ბერკლის უნივერსიტეტში სწავლისას რეჟისორმა შენიშნა და სპექტაკლზე მობი დიკის როლის შესასრულებლად მიიწვია.

ეს იყო პეკის პირველი თამაში. შემდეგ ორი სახელიდან – ელდრედ გრეგორიდან მან პირველი მოიშორა (მსახიობი ბავშვობიდანვე ვერ იტანდა ამ სახელს, რომელიც დედამ ტელეფონების წიგნში იპოვა და ახალშობილ პეკს დაარქვა) და 138 დოლარით ხელში, ნიუ იორკში გაემგზავრა – მსახიობი რომ გამხდარიყო. 1939 წლის ნიუ იორკის ისტორიულ ბაზრობაზე ის პროდუქტს დაატარებდა და ჰყიდდა, ბოლოს ახოვანი და ძალიან სიმპათიური პეკი ბროდვეიზე შენიშნეს და მისცეს პირველი როლი სპექტაკლში "დილის ვარსკვლავი"... სწორედ ასე დაიწყო იმ კაცის სამსახიობო კარიერა, რომელიც შემდეგ უკვე მთელმა მსოფლიომ გაიცნო და შეიყვარა.

...სამი წლის წინ კანის კინოფესტივალზე მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად ჩასულმა გრეგორი პეკმა ასეთი ფრაზა თქვა: "მეკითხებით, დღემდე არიან თუ არა კინოს რომანტიკული გმირები? გიპასუხებთ, რომ – არა, არავითარ შემთხვევაში".

შესაძლოა, რომანტიკული კინოს ეპოქა, მართლაც, წარსულს ჩაბარდა... გარდაიცვალა თავად გრეგორი პეკიც – რომანტიკული გმირის ნამდვილი სიმბოლოც. თუმცა, გრეგორი პეკი ისტორიას მაინც შემორჩა, როგორც ყველა დროის საუკეთესო დადებითი პერსონაჟის შემქმნელი, რომელიც მაყურებელს დღემდე აღელვებს.

## ოცეულები



### ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ოცეული

| | ფილმის დასახელება | კვირის შემოსავალი | რეჟისორი | მსახიობი |
|---|---|---|---|---|
| 1. | 2Fast 2Furious | $50,472,480 | ჯონ სინგლტონი | პოლ უოკერი, ევა მენდესი |
| 2. | Finding Nemo | $46,589,649 | ენდრიუ სტენტონი | ალბერტ ბრუკსი, ვილემ დეფო, ჯეფრი რაში |
| 3. | Bruce Almighty | $22,358,715 | ტომ შედიაკი | ჯიმ კერი, ჯენიფერ ანისტონი |
| 4. | The Italian Job | $13,163,133 | გერი გრეი | მარკ უოლბერგი, შარლიზ თერონი, ედვარდ ნორტონი |
| 5. | The Matrix Reloaded | $9,186,342 | ენდი და ლერი ვაჩოვსკები | კეანუ რივზი, მონიკა ბელუჩი, ლორენს ფიშბერნი, ჯადა პინკეტ-სმითი |
| 6. | Daddy Day Care | $4,613,566 | სტივ კერი | ედი მერფი, სტივ ზანი, ანჯელიკა ჰიუსტონი |
| 7. | X2:X-Men United | $3,006,643 | ბრაიან ზინგერი | ჰიუ ჯეკმენი, ჰალი ბერი, რებეკა რომინ-სტამოსი |
| 8. | Wrong Turn | $2,654,013 | რობ შმიდტი | ელიზა დუშკუ, დესმონდ ჰარინგტონი |
| 9. | The In-laws | $1,978,398 | ენდრიუ ფლემინგი | მაიკლ დუგლასი, ალბერტ ბრუკსი, კენდის ბერგენი |
| 10. | Bend it Like Beckham | $942,320 | გურინდერ ჩადჰა | პარმინდერ ნაგრა, კეირა ნაითლი |
| 11. | Down With Love | $888,723 | პეიტონ რიდი | რენე ზელვეგერი, ევან მაკგრეგორი |
| 12. | Holes | $691,297 | ენდრიუ დევისი | ზიგურნი უივერი, ჯონ ვოიტი |
| 13. | The Lizzie McGuire Movie | $641,130 | ჯიმ ფოლი | ჰილარი დაფი, ადამ ლემბერგი, ჰელი ტოდი |
| 14. | A Mighty Wind | $464,389 | კრისტოფერ გესტი | ბობ ბალაბანი, ჯენიფერ კულიჯი |
| 15. | Anger Management | $366,698 | პიტერ სიგალი | ადამ სენდლერი, ჯეკ ნიკოლსონი, მარისა ტომეი |
| 16. | Identity | $316,330 | ჯეიმს მენგოლდი | ჯონ კიუზაკი, რეი ლიოტა, ალფრედ მოლინა |
| 17. | Spellbound | $304,719 | ჯეფ ბლიცი | ჰარი ალტმანი, ანჯელა არენივარი |
| 18. | Winged Migration | $292,790 | ჟაკ პერინი | ჟაკ პერინი (მთხრობელი) |
| 19. | Bringing Down the House | $269,066 | ადამ შენკმენი | სტივ მარტინი, ქვინ ლატიფა, ჯოან ფლოურაითი |
| 20. | L'Auberge Espagnole | $268,005 | სედრიკ კლაპიში | რომან დურისი, ოდრი ტატუ, ფრედერიკო დანა |

# რობერტ დე ნირო - კაცი №31


"პლეიბოის" დამფუძნებელი რობერტ დე ნიროს თავის გოგონებთან ერთად ესტუმრა


რობერტ დე ნიროს ღვაწლი დაუფასეს

1973-2003 – ეს ის პერიოდია, რომლის განმავლობაშიც ამერიკული ფილმის ინსტიტუტი წლის უმნიშვნელოვანეს პრიზს გასცემს და აჯილდოებს კინემატოგრაფის ყველაზე ღვაწლმოსილ პიროვნებას.

1973 წელს ჯილდოს პირველი მფლობელი 79 წლის ჯონ ფორდი გახდა –ვესტერნებისა და ომის თემატიკაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმების ცნობილი რეჟისორი, რომლის კინოკარიერაზეც 1971 წელს პიტერ ბოგდანოვიჩმა დოკუმენტური ფილმი გადაიღო. იმავე წელს ფორდმა შექმნა კიდევ ერთი დიდი ფილმი "ვიეტნამი, ვიეტნამი". ხოლო ამერიკული ფილმის ინსტიტუტის ჯილდოს მიღებიდან რამდენიმე თვეში ღვაწლმოსილი რეჟისორი გარდაიცვალა.

მას შემდეგ ინსტიტუტმა კინოს კიდევ ბევრი ღირსეული წარმომადგენელი დააჯილდოვა: ორსონ უელსი (ორიოდე წლის წინ კი, მის "მოქალაქე კეინს" საუკეთესო ამერიკული ფილმების ასეულში პირველი ადგილი არგუნა), უილიამ ვაილერი, ბეტ დევისი, ჰენრი ფონდა, ალფრედ ჰიჩკოკი, ფრედ ასტერი, ჯონ ჰიუსტონი, ფრენკ კაპრა, ბილ უაილდერი, ჯეკ ლემონი, გრეგორი პეკი, კირკ დუგლასი, სიდნი პუატიე. 1990-იანი წლების ბოლოსა და ახალი საუკუნის დასაწყისში კი უკვე კინოში გაწეული დამსახურებებისთვის სპეცჯილდო ჩვენი დროის გმირებს გადაეცათ: ჯეკ ნიკოლსონს, კლინტ ისტვუდს, სტივენ სპილბერგს, მარტინ სკორსეზეს, რობერტ ვაიზს, დასტინ ჰოფმანს, ჰარისონ ფორდს, ბარბრა სტრეიზენდს და შარშან – ტომ ჰენქსს.

ახლა თავად გადაწყვიტეთ, 2003 წლამდე "ჩვენი დროის გმირებდან" ვინ აკლდა ღირსეულთა ამ ჩამონათვალს? რა თქმა უნდა, მსახიობი, რეჟისორი, "ტრიბეკას" კინოფესტივალისა და კინოსტუდიის დამფუძნებელი – რობერტ დე ნირო. ამ კვირაში ამერიკულმა ინსტიტუტმა სწორედ ეს ნაკლი გამოასწორა და სპეცჯილდო 60-ზე მეტი ეკრანული პერსონაჟის შემქმნელ მსახიობს გადასცა. ამით დე ნიროც მოხვდა იმ საპატიო სიაში, რომელიც ამერიკული კულტურის კერპებს აერთიანებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დე ნირო უკვე ოფიციალურად გახდა ის კაცი, რომლითაც ამერიკული კულტურა ამაყობს.

დაჯილდოების ცერემონიალი, თავისი ჰოლივუდური საზეიმო ვახშმითურთ კოდაკის თეატრში გაიმართა. ულვაშებიანი დე ნიროს პატივსაცემად ყველა დამსწრე მამაკაცს შავი ჰალსტუხი ან შავი ბაფთა ეკეთა. მთელი საღამოს განმავლობაში ბევრი, გაცილებით ახალგაზრდა მამაკაცის შურიან მზერას გრძნობდა ჟურნალ "ფლეიბოის" დამფუძნებელი, ჰიუ ჰეფნერი, რადგან ის კოდაკის თეატრში "ფლეიბოის" გოგონების მთელი ამალით გამოცხადდა. სუსტი სქესის ასეთი მშვენიერი წარმომადგენლების "დაცვას" კი აბა, რომელი მამაკაცი არ ინატრებდა.

მარტინ სკორსეზე, ლეონარდო დი კაპრიო, ჯოდი ფოსტერი, ჯო პეში და კიდევ ბევრი სხვა სტუმარი იმ საღამოს მხოლოდ რობერტ დე ნიროზე საუბარს აპირებდა. თუმცა, ამერიკული ფილმის ინსტიტუტმა ვერც ასეთ საზეიმო წუთებში დაივიწყა ამერიკული კინოს მთავარი კერპი, გრეგორი პეკი და მისი გარდაცვალების გამო საღამოს ფორმატი თავისთავად შეიცვალა. მსახიობებმაც წინასწარმომზადებული სიტყვები გადააკეთეს და დე ნიროსთან ერთად პეკის დამსახურებებიც გაიხსენეს:

"ბიჭები ბრაზილიიდან" გადაღებების დროს ერთ სცენას პეკთან ერთად ვთამაშობდი. ვერც კი გადმოგცემთ, რა კარგად მექცეოდა. ერთ-ერთ ეპიზოდში ჩვენ ერთამენთს ვაკოცეთ და მაშინვე მივხვდი, რომ მასავით კოცნა არავის შეეძლო", - რობერტ დე ნიროს მაგივრად გრეგორი პეკზე ალაპარაკდა კომიკოსი მსახიობი ენი მირა.

"პეკი ჩემთვის მამაკაცურობის განსახიერება იყო. "რომაული არდადეგები" 30-ჯერ მაქვს ნანახი და ვერაფრით მოგიყვებით იმ იდუმალი ფანტაზიების შესახებ, რომელთა გმირიც ფილმის ნახვის თითოეულ ჯერზე გრეგორი პეკი გახლავთ", - თემა განავრცო ტომ კრუზის ყოფილმა მეუღლემ, მსახიობმა მიმი როჯერსმა.

კინოსტუდია "დრიმუორქსის" დამფუძნებელმა ჯეფრი კაზენბერგმა კი დასძინა: "პეკი ჰოლივუდის გული იყო. მისი გარდაცვალებით ჩვენი გულების ნახევარი დავკარგეთ".

სხვათა შორის, რობერტ დე ნიროს ეს ლირიკული გადახვევა არ სწყენია. პირიქით, ის თავს წინდაწინვე უხერხულად გრძნობდა, რადგან არ სურდა, ყურადღების ცენტრში მხოლოდ თვითონ ყოფილიყო. ასე რომ, გრეგორი პეკს ყურადღების ნაწილი მან სიამოვნებით "გაუყო" და ზედმეტ გაწითლებასაც გადაურჩა.

თუმცა, ასეა თუ ისე, დე ნირო მაინც გახდა ამერიკული კულტურის ერთ-ერთი კერპი. ამ საპატიო ჯილდოს ის თავის ორ "ოსკართან" ერთად, ალბათ, სათუთად გაუფრთხილდება. ბრაიან დე პალმას, მარტინ სკორსეზეს, ბერნანდო ბერტოლუჩის, ალფონსო კუარონს და სხვა ცნობილ რეჟისორებს კი სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრებათ დე ნირო გადასაღებ მოედანზე. იხილო მსახიობის წამიერი, ბუნებრივი გარდაქმნა სულ სხვა ადამიანად და შემდეგ ამ ადამიანის შინაგანი ბრძოლები – ეს ხომ, მართლაც, დაუვიწყარი სანახაობაა. "ტაქსის მძღოლი", "ნათლიმამა", "შიშის კონცხი", "კარგი ბიჭები", "მძვინვარე ხარი", "ერთხელ ამერიკაში", "ნიუ იორკი, ნიუ იორკი"... – ეს ის ფილმებია, რომლებსაც კარგ ფილმებად სწორედ რობერტ დე ნიროს თამაში აქცევს.

სხვათა შორის, ნიუ იორკში დე ნირო უყვართ არა მხოლოდ, როგორც კარგი მსახიობი, არამედ როგორც ერთგული ნიუ იორკელიც. მისი კინოფესტივალი "ტრიბეკა" ხომ, პირველ რიგში, მანჰეტენის ბიუჯეტს ავსებს ხოლმე. 11 სექტემბრის შემდეგ უტურიზმოდ დარჩენილ ქალაქს სწორედ დე ნიროს მიერ დაარსებული ღონისძიება დაეხმარა - ფესტივალმა ნიუ იორკში 150 ათასი სტუმარი მიიზიდა და ქვედა მანჰეტენის კრიზისში მყოფ ეკონომიკას 10 მილიონი დოლარი შესძინა. მეტიც, ტერაქტების პირველ დღეებში, დე ნიროს რესტორანი "ტრიბეკა გრილი", პარტნიორ კაფეებთან ერთად, უფასო სადილებით უმასპინძლდებოდა მოხალისეთა რაზმებს, რომლებიც მანჰეტენის ნანგრევებისგან გაწმენდაზე მუშაობდნენ.

ერთი სიტყვით, დე ნირო მართლა არის ის კაცი, რომლითაც ამერიკულმა პოპკულტურამ უნდა იამაყოს. დიდი მსახიობი და ნამდვილი პატრიოტი – ეს ხომ ამერიკული სრულყოფილების კლასიკური გაგებაა. ასეთია დე ნიროც.



### MTV-ის საუკეთესო კლიპების ოცეული

| | შემსრულებელი | სიმღერა |
|---|---|---|
| 1. | ბასტა რაიმსი და მერაია კერი | I Know What You Want |
| 2. | 50 Cent და ნეიტ დოგი | 21 Questions |
| 3. | "მეტალიკა" | St. Anger |
| 4. | აშანთი | Rock Wit U (Awww Baby) |
| 5. | Fabolous Lil'Mo | Can't Let You Go |
| 6. | ფინქი | Feel Good Time |
| 7. | Evanescence | Bring Me To Life |
| 8. | ჯო ბადენი | Pump it Up |
| 9. | ჯასტინ ტიმბერლეიკი | Rock Your Body |
| 10. | კელი კლარქსონი | Miss Independent |
| 11. | რუბი | Blueside |
| 12. | Chevelle | Send the Pain Below |
| 13. | Jaheim | Put that Woman First |
| 14. | უეინ უანდერი | No Letting Go |
| 15. | ჯეისონ მრაცი | The Remedy (I Won't Worry) |
| 16. | The Roots და კოდი ჩესნატი | The Seed 2.0 |
| 17. | მონიკა | So Gone |
| 18. | Staind | Price to Play |
| 19. | ჯენიფერ ლოპესი | I'm Glad |
| 20. | Floetry | Say Yes |

## მსახიობი თუ მოდელი?



ჯოდი კიდი

მიუხედავად იმისა, რომ ექვსი თვის განმავლობაში სამსახიობო ხელოვნებას ეუფლებოდა და ბრჭყვიალა "ჰოლივუდური" ღიმილიც კი გაიკეთა, ჯოდი კიდი ამბობს, ჯერჯერობით მსახიობობას არ ვაპირებო. 24 წლის სუპერმოდელი და პოლოს თავდადებული მოთამაშე გადასაღებ მოედანს კვლავ პოდიუმს ამჯობინებს. მისი თქმით, მოდელობას იმდენი დრო მიაქვს, რომ კინოსთვის ჯერ არ სცალია.

არადა, სულ ცოტა ხნის წინათ ჯოდი ამბობდა, რამდენიმე როლს სიამოვნებით ვითამაშებდიო. იქვე თავის კოლეგებსაც გაჰკრა კბილი – მათ მსახიობობის არაფერი გაეგებათ, მხოლოდ ფონად სხედან და წვენს წრუპავენ ხოლმეო. მისი მეგობარი, ტარკვინ საუსველიც დარწმუნებული იყო, რომ ჯოდი შესანიშნავი მსახიობი იქნება. "ერთხელ გადაღებების დირექტორმა თქვა, ჯოდი პროფესიონალი მსახიობის კვალობაზე მეტისმეტად მაღალიაო. რა სისულელეა! შეხედეთ ტომ კრუზს – პატარა ტანისაა, მაგრამ მის ოსტატობას ეს ნამდვილად არ უშლის ხელს".

## სოთბის სიახლე

სოტბის აუქციონზე პოლ გოგენის L'Apparition იქნება გამოფენილი. უკვე ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ ეს ნამუშევარი უკანასკნელად ნახა.

L'Apparition მხატვრის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე იყო შექმნილი და ტაიტისა და ჰივა ოას კუნძულებზე ცხოვრების ჟამს შექმნილი პრიმიტივისტული ნამუშევრების სერიას ეკუთვნის. უკანასკნელად ის 1944 წელს გაიყიდა და დღემდე კერძო კოლექციაში ინახებოდა.

იმედოვნებენ, რომ 23 ივნისს გამართულ აუქციონზე ნამუშევარი 15 მილიონ დოლარად გაიყიდება. გოგენის ყველაზე ძვირადღირებული შედევრი კი Mata Mua გახლავთ, რომელიც 1989 წელს მისმა დღევანდელმა მფლობელმა 24 მილიონ ამერიკულ დოლარად შეიძინა.

## ახალი მკერდი

ბრიტნი სპირსს ახალი, სილიკონის მკერდი ექნება! ვისაც გაუხარდება, ყველას შეეძლება, ხელი მოჰკიდოს! ცხადია, ცოცხალ ბრიტნის კი არა, მის ცვილის გამოსახულებას, რომელიც ლონდონში მადამ ტიუსოს მუზეუმს ამშვენებს.

მუზეუმის წარმომადგენელმა ამაყად გამოაცხადა: "ამერიკელი პოპ-ვარსკვლავის ფიგურა ძალიან სექსუალური იქნება. მკერდისთვის ხელის მოკიდებასაც შეძლებთ, და თან გაითვალისწინეთ – ეს ბრიტნის ფიგურის სრულყოფისაკენ გადადგმული მხოლოდ პირველი ნაბიჯია."

ნეტა, კიდევ რას უპირებენ ბრიტნი სპირსს?

## აღმოსავლეთის ქარი



მოდას აყოლილი

ადრე თუ გვიან ნებისმიერ ევროპელ დიზაინერს აღმოსავლეთი დააინტერესებს ხოლმე. ხანდახან ეს წამიერი გატაცებაა, რომელსაც ან რამე ნახატის ნახვა ან საინტერესო ადამიანის გაცნობა იწვევს. ხანდახან კი ორიენტი აკვიატებულ იდეად იქცევა.

წელს აღმოსავლეთმა ყველა წამყვანი მოდის სახლი დაიპყრო. ალპური მოტივები და პერუელი ინდიელების ეგზოტიკა დავიწყებას მიეცა. ამჟამად ყველაზე მოდური ჩინეთი და იაპონიაა, განსაკუთრებით თავდადებულები კი მონღოლეთსა და ვიეტნამს მიადგნენ.

მაშ ასე: აღმოსავლეთის ქარმა მოიტანა ძვირფასი ქსოვილები, ძირითადად, ბუნებრივი აბრეშუმი, ფარჩა, უზარმაზარი ნაქარგობები. მოკლედ, ამ სეზონზე მოდის აყოლა საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნება იქნება, მაგრამ ნამდვილად ღირს, რადგან ელეგანტურებიც იქნებით და ეგზოტიკურებიც.

თუ იაპონიასა და ჩინეთს მივუბრუნდებით, ცხადია, კიმონოს თავს ვერ ავარიდებთ. მის მსგავსად შეკერილი ატლასის კაბა ("რალფ ლორენი"), გახსნილი სახელოები ("პაკო რაბანი") მართლაც ძალიან ლამაზია, და ამ სამოსის ჩაცმა ყველაზე მაღალ საზოგადოებაში, ყველაზე მნიშვნელოვან წვეულებაზეც შეიძლება. ჩინური ნაციონალური ტანსაცმელი მაღალ საყელოს და ღრმად შეჭრილ ქვედაბოლოს გვთავაზობს, ოღონდ, ცხადია, "იასბერგის" მოდელის მსგავსად, ჩინელ ქალებს ბიკინი არ უჩანთ ხოლმე.

უბრალო მოკვდავებსაც იოლად შეუძლიათ, თავიანთ ტანსაცმელში აღმოსავლური ელემენტები შეიტანონ. ნებისმიერ კაბას ერთი, თუნდაც ფსევდოაღმოსავლური ნაქარგობაც რომ დავუმატოთ, მიზანი უკვე მიღწეული იქნება.

რაც ფერს შეეხება, აქ დიდი ფიქრი არ დაგჭირდებათ: რაც გაგიხარდებათ! რაც უფრო ჭრელი იქნებით, მით უკეთესი.




სასტუმრო თბილისი მარიოტი და კორტიარდ მარიოტი აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ თანამდებობებზე

ფინანსური განყოფილება

1. ბუღალტერი (მინიმუმ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება, ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა)
2. კომპიუტერული სისტემების სპეციალისტი (მინიმუმ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება, ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა)

კვებისა და სასმელების განყოფილება

1. რესტორნის მენეჯერი (ადგილობრივ რესტორნებში მუშაობის გამოცდილება მენეჯერის თანამდებობაზე, ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა)

2. ღონისძიებათა მენეჯერი (ღონისძიებების და ბანკეტების მოწყობა და ორგანიზება, კვებით მომარაგების სტანდარტების ცოდნა, ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა)

3. კვებისა და სასმელების განყოფილების ზედამხედველი (ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება, ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა)

4. მზარეული (მინიმუმ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება,სასურველია ინგლისური ენის ცოდნა)

5. მიმტანი (მინიმუმ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება, აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა)

6. ბარმენი (მინიმუმ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება, აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა)

ოთახების მართვის განყოფილება

1. მისაღები განყოფილების თანამშრომელი (აუცილებელია კომპიუტერის და ინგლისური ენის ცოდნა, სასურველია ოფისში მუშაობის გამოცდილება)
2. დაცვის თანამშრომელი (მინიმუმ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება დაცვის თანამშრომლის თანამდებობაზე, აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა)
3. დამლაგებელი (სასურველია ინგლისური ენის ცოდნა)
4. გამაჯანსაღებელი ცენტრის თანამშრომელი (სპორტული ინსტრუქტორის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება,აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა)

საინჟინრო განყოფილება

1. მთავარი ინჟინერი (მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება ტექნიკურ სფეროში ბოლო 5 წლის განმავლობაში და ინგლისური ენის საფუძვლიანი ცოდნა)

2. საინჟინრო განყოფილების ზედამხედველი (ტექნიკურ სფეროში მუშაობის გამოცდილება ბოლო 3 წლის განმავლობაში და ინგლისური ენის ცოდნა სასურველია)

3. ინჟინერი (ტექნიკური განათლება და შესაბამისი 2 წლიანი მუშაობის გამოცდილება, ინგლისური ენის ცოდნა სასურველია)

ანკეტების გაცემა და მიღება იწარმოებს 10 დან 20 ივნისამდე სასტუმროს შესასვლელში ჯანტურიას ქუჩიდან ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 2 საათიდან 5 საათამდე. მიღებული ანკეტები უკან არ ბრუნდება. გასაუბრება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 2 საათიდან 5 საათამდე, შემდეგ ტელეფონზე: 77-91-79

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

## წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

## კროსვორდი





თემო მაჭავარიანის ნახატი.

ჩვენთან თბილისში

# კიდევ ერთ არარეგლამენტირებულ უპასუხისმგებლობასთან დაკავშირებით

ზურაბ ნემსაძე
ვატო ლეჟავა

ჩვენი წერილი მიზნად არ ისახავს არქიტექტორ ლერი გოშაძის სტატიაში "ვის სჭირდება და ვის არა თბილისის გენერალური გეგმა" ("24 საათი" N147 (347) 31.05.03.) "თბილისის განაშენიანების წესების" შეჩერების მოთხოვნის არგუმენტების კრიტიკულ ანალიზს. მით უფრო, რომ ეს წერილი წარმოადგენს ამავე გაზეთში (N119 (331) 3.05.03) გამოქვეყნებული „საქართველოს არქიტექტორთა კავშირთან არსებული "თბილქალაქპროექტის" შემოქმედთა კავშირის" წერილის "გასალაშინებულ" ვარიანტს, რომელზეც ბატონ ლერისაც აქვს ხელი მოწერილი და რაზეც პასუხი უკვე გავეცით ("24 საათის" N 133 (345) 17.05.03).

ასე, რომ არგუმენტები ორივე მხრიდან არის წარმოდგენილი. გამგები გაიგებს. არჩევანის გაკეთება კი გადაწყვეტილების მიმღებთა კომპეტენციას წარმოადგენს. ისინი დუმან. ეტყობა, დუმილი მართლაც "ოქროა"...

ამჯერად, ჩვენი მიზანი სრულიად კონკრეტულია და სცილდება ქალაქთმშენებლობით პრობლემატიკას.

არ გავამახვილებთ ყურადღებას რამოდენიმე სხვა არაკორექტულ პასაჟზე, მაგრამ, როგორც რეგლამენტის ავტორები, ბატონი ლერი გოშაძისაგან მოვითხოვთ პასუხს ზემოთ აღნიშნულ წერილში მის მიერ გაკეთებულ შემდეგ განცხადებაზე:

"რეგლამენტის შექმნა თავს იდო ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ (ავტორები: ზ. ნემსაძე - თემის ხელმძღვანელი; ვ. ლეჟავა, თ. ჯეირანაშვილი). **ამ საქმიანობისათვის ხელისუფლებამ გამოჰყო 40 ათასი ლარი. ...იქნებ სჯობდა ამ თანხით მოგვევლია ის მეცნიერული კადრები, რომლებიც მოღვაწეობდნენ "თბილზნიიეპში" და დაუსაქმებლობისაგან გაქრობის პირზე არიან".** (!!!; ხაზგასმა ჩვენია)

ბატონი ლერი მისთვის ჩვეული ოსტატობით ახერხებს ამ ერთ აბზაცში ეჭვქვეშ დააყენოს:

ავტორთა კვალიფიკაცია;

სახელმწიფო თანხების ხარჯვის ეფექტურობა;

თემის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც წესების მომზადების პერიოდში ურბანიზაციისა და მშნებლობის მინისტრის მოადგილე იყო, თანამდებობის მართებულად გამოყენების საკითხი, და

რეგლამენტის გარშემო შექმნილ კონფლიქტში, უწყებრივი ნიშნით, "თბილზნიიეპი"-ს კოლექტივის სახით, ჩართოს არქიტექტურული საზოგადოების კიდევ ერთი ნაწილი.

სწორედ ამიტომ, მოვითხოვთ გაზეთ "24 საათის" დამატება "დედაქალაქის" შემდეგ ნომერში ბატონმა ლერი გოშაძემ განმარტოს:

**რა კავშირშია მის მიერ დასახელებული თანხა ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში წესების მომზადების პროცესთან.**

ვთავაზობთ, ბატონმა ლერიმ ან უტყუარი ფაქტებით დადასტუროს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში წესების მომზადებისათვის გაწეული სამუშაოს კავშირი მის მიერ მითითებული თანხასთან (40 ათასი ლარი), ან ასეთი კავშირის არარსებობის შემთხვევაში, საჯაროდ მოიხადოს ბოდიში. წინააღმდეგ შემთხვევაში, წესების ავტორები უფლებას ვიტოვებთ, ჩვენი ღირსებისა და პროფესიული რეპუტაციის შელახვისათვის, უშუალოდ ბატონი ლერისაგან სამართლებრივი გზით მივიღოთ ფინანსური კომპენსაცია, იმ ოდენობით, რა განსხვავებაც არის მის მიერ დასახელებულ და რეალურ დანახარჯებს შორის.

P.S. ბატონი ლერი ბრძანებს, რომ წესებში: "იმ "ფარისეველთა" გავლენა იგრძნობა, რომლებიც ამ "რეგლამენტის" შექმნის დროს ავტორებმა გვერდზე ამოიყენეს, იგრძნობა გადახრები "ინტერესთა ჯგუფის" სასარგებლოდ"-ო.

*გრძნობისა* რა მოგახსენოთ, ეტყობა ეს თვისება ბატონ ლერიზე ნაკლებად გვაქვს განვითარებული, ვარაუდით კი ჩვენც გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ რეგლამენტის შეჩერებისა და გაუქმების მომხრეთა გვერდით ის ფარისევლები დგანან, რომელთაც დედაქალაქის მიწების გაყიდვისა და ტროტუარებზე და სატრანსპორტო კვანძებში პროექტების შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვების გაცემის ცოდვები რეგლამენტის არასრულყოფილების საბაბით სურთ ჩამოწერონ.

ის, რომ ამჯერად ბატონ ლერის გრძნობები ღალატობენ, ადასტურებს მისი მოსაზრება, თითქოსდა რეგლამენტში "წითელი ხაზების" ფარგლებში მშენებლობის აკრძალვის ნორმის "...არ შეტანამ გამოიწვია გაძლიერებულ შეტევა ტროტუარებზე, სატრანსპორტო კვანძებში, სადაც შენდება ავტოგასამართი სადგურები, რესტორნები, კაფეები, ანუ ეს ტერიტორიები იყიდება".

იქნებ ბატონმა ლერიმ, როგორც გამოცდილმა ქალაქთმშენებელმა შეგვახსენოს, როდის იყო დაშვებული მოქმედი ქალაქთმშენებლობითი ნორმებით, რომელთაც მხოლოდ ავსებს "განაშენიანების წესები", "წითელი ხაზების ფარგლებში" მშენებლობა, ან ვინ და როდის გააუქმა ეს აკრძალვა, რომ მისი შეტანა აუცილებელი გამხდარიყო თბილისის "განაშენიანების წესებში", რომლის არსიც უფლებრივი ზონირების, ჩვენთვის ახალი კატეგორიის, დამკვიდრება გახლავთ და არა მთელი ქალაქთმშენებლობითი პროცესის სრული რეგლამენტირება.

# შეთქმულება მოქალაქეთა წინააღმდეგ

შალვა თევდორაძე

ვფიქრობ, ბევრ ჩვენგანს გაცნობიერებული აქვს, რომ ჩვენს ქვეყანაში მოქმედებენ "კოორდინირებული" ინფრასტრუქტურები, რომელთა "საქმიანობაც" თანაზომიერია იმ ხიფათისა, რომელიც სხვა ქვეყნებისაგან შეიძლება ვიგრძნოთ. ანალოგიურად, ჩვენი უმეცრება, სიზარმაცე და გულგრილობა თანაზომიერია იმ ხიფათისა, რომელსაც მთავრობა-ოპოზიციისაგან ვგრძნობთ. რატომ არ დავდივართ არჩევნებზე? იმიტომ, რომ სანიმუშო არამზადა გვეპატიჟება? არა, იმიტომ, რომ არ ვანიჭებთ სათანადო მნიშვნელობას და თანაც გვეზარება.

ეს აბსტრაქტული შესავალი გავუკეთე მტკივნეულ საკითხს, თბილისში გაჩაღებულ მშენებლობას, რადგან, თანხმობის შემთხვევაში, თქვენს თანადგომას ვითხოვ.

ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში თქვენს ყურადღებას გავამახვილებ სათაყვანებელი უნივერსიტეტის შენობის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ტერიტორიაზე. საბედნიეროდ მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ პროექტები მუშავდება დიდი ენთუზიაზმით. ეს ძალზე ხელსაყრელი ადგილია "ინვესტორებისთვის" და "არქიტექტორებისთვის", რადგან აღნიშნულ ადგილას დგას ერთ.., ორ... და სამსართულიანი სახლები, ხოლო აპირებენ ააშენონ თორმეტ.., თექვსმეტ... და ოცდახუთსართულიანი შენობები, რაც, ჩემი აზრით, დღევანდელი არქიტექტურული მდგომარეობის გათვალისწინებით, ყოვლად დაუშვებელია.

ცოტა ხნის წინ ვნახე ახალაშენებული "პრესტიჟული" სახლი. უხარისხობაზე წერით თავს არ შეგაწყენთ. ასეთი პატარა ზომის კიბის უჯრედი მე არ მინახავს... და ეს შენობაში, სადაც ბინებია სამასკვადრატულმეტრიანი.

ცოტა ხნის წინ დავესწარი არქიტექტორთა საბჭოს სხდომას, სადაც განიხილებოდა ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე, უნივერსიტეტთან ახლოს, ორი ოცდახუთსართულიანი სახლის პროექტის ვერსია. მხოლოდ ერთმა, ახალგაზრდა არქიტექტორმა, სამართლიანად თქვა, რომ შემოთავაზებული ვერსია ჰგავდა უცხო სხეულს, უადგილო ადგილას, რისთვისაც მას მადლობას ვუხდი და ვუსურვებ, გზიდან არ გადაუხვიოს. მეორემ აშენების შემთხვევაში "შტუკატურკის" მაღალი ხარისხი მოითხოვა მაშინ, როდესაც არათუ კანონიერი საპროექტო დავალება არ ჰქონდა გაცემული, არამედ პროექტიც (სრული მნიშვნელობით) არ ჰქონდა ნანახი. საბჭოს რამდენიმე წევრის საუბრიდან აზრი ვერ გამოვიტანე, გარდა იმისა, რომ მათ გაუგებარ ლაპარაკს კორუფციის სუნი უდიოდა. ხოლო ერთ-ერთმა საინტერესო რამ თქვა: ეს ტერიტორია აუცილებლად სარეკონსტრუქციოა, რადგან მანდ განთავსებული სახლები მეტასტაზებივითაა მოდებულიო. მე ვეთანხმები მას, მართლაც სარეკონსტრუქციოა, მაგრამ მეტასტაზებს უფრო მრგვალი სახლები ჰგავს, რომლებსაც დღეს მრავლად აშენებენ.

ვის შეიძლება მოსწონდეს მრგვალი სახლები ან მრგვალი ოთახები? ჩემი აზრით, უმეცარ ადამიანს... უმეცარია აგრეთვე არქიტექტორი, რომელსაც ვირტუალური ფარგალი მოუმარჯვებია და თავს იმართლებს იმით, რომ დამკვეთის სურვილს ახორციელებს, სინამდვილეში კი თვითონაც მოსწონს მრგვალი ფორმები, მით უმეტეს ზედმეტი კვადრატული მეტრები.

ტრიალ მინდორზე "ინვესტორმა" აკრძალული გზებით ნაშოვნი ფულით, "არქიტექტორს" რაც უნდა ის გააკეთებიოს. მაგრამ არქიტექტურის უმთავრესი კანონის თანახმად, ისტორიულ ძეგლთან, როგორიც უნივერსიტეტია, ერთმაც და მეორემაც, კეთილი ინებონ და ისეთი რამ ააგონ, რაც გარემოს შეეფერება.

ალბათ დამეთანხმებით, შვილის სიყვარული კარგი მემკვიდრეობით უფრო ფასდება, ვიდრე მოფერებით ან "კანფეტის" ჩუქებით. თუკი გვიყვარს ჩვენი ხალხი და შთამომავლობა, მივმართოთ მეცნიერებას, გავუფრთხილდეთ ჩვენს საუნჯეს, ჩვენს სიცოცხლეს. შევეცადოთ მივაღწიოთ ურთიერთობრივ თანხმობას, რომელსაც მოაქვს ბედნიერება და სიმდიდრე მთელი სამშობლოსათვის.

ვფიქრობ, უნივერსიტეტთან რა უნდა გაკეთდეს და რა არა, ეს ფართო საზოგადოების გადასაწყვეტია და საკმაოდ დიდი ხნის შრომასა და განსჯას მოითხოვს.

კონტექსტი

# კულტურული მემკვიდრეობის ინტეგრირებულ დაცვასთან დაკავშირებული თანამშრომლობის პროგრამისა და ტექნიკური დახმარების წესები

**მუხლი 1**

## წესების გამოყენების სფერო და საგანი

1. წინამდებარე წესებში მოყვანილი თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამა მიზნად ისახავს, დახმარება გაუწიოს ევროპული კულტურული კონვენციის წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ, რეგიონალურ თუ ადგილობრივ ხელისუფლებას, მათი თხოვნით, მათი კულტურული მემკვიდრეობის ინტეგრირეული კონსერვაციის თუ რეაბილიტაციის რთული პრობლემების გადაჭრაში.

2. წესების გაგებით, კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს ძეგლებს და ადგილებს, როგორც ამას განმარტავს ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია, და აგრეთვე არქეოლოგიური მემკვიდრეობის ელემენტებს, როგორც ეს განმარტებულია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენციის (გადასინჯული) 1-ლ მუხლში. ძეგლის მცნება გულისხმობს ნაშენ სტრუქტურებს, მათ დეკორატიულ ელემენტებს და ნაგებობებს.

3. თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების განაცხადები შეიძლება ეხებოდეს არქიტექტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვას, კონსერვაციას, რეაბილიტაციას, მართვას, გამოყენებას და ხელახლა გამოყენებას, პეიზაჟებისა და ადგილების დაცვას და კეთილმოწყობას, მათთან დაკავშირებულ ურბანიზმის პრობლემებს, ასევე მოძრავი ქონების რესტავრაციას და შენარჩუნებას.

4. თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამა უნდა ეყრდნობოდეს საერთაშორისო კონსულტაციის აუცილებლობას, წარდგენილი პრობლემების განსაკუთრებული ინტერესის, სირთულისა თუ უნიკალურობის გამო.

**მუხლი 2**

## თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამის პასუხისმგებელი ორგანო

1. კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტი (CC-PAT) წარმოადგენს, კულტურული თანამშრომლობის საბჭოს (CDCC) ჩარჩოებში, კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციასთან დაკავშირებული თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამის პასუხისმგებელ ორგანოს.

2. კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტი ქმნის თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების სამუშაო ჯგუფს, რომელიც შედგება ხუთი წევრისაგან და რომელთა მისია განსაზღვრულია მე-4 მუხლის მე-6 პარაგრაფში.

3. მინისტრთა კომიტეტი მუდმივად ღებულობს ინფორმაციას პროგრამის დაწყებისა და მიმდინარეობის შესახებ.

**მუხლი 3**

## თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამის ხასიათი

1. თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამამ შეიძლება მიიღოს ექსპერტის რეკომენდაციის სახე, რომელიც პასუხობს წინამდებარე წესების ძალით მიღებულ განაცხადში დასმულ შეკითხვებს და/ან მრავალეროვნული სახელოსნოების ფორმა, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ექსპერტები და სწავლობენ კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციასთან დაკავშირებულ ტექნიკურ პრობლემებს.

2. წარმოდგენილ რეკომენდაციებში მოცემულია შესწავლის მეთოდები და კონცეფციისა და გადაწყვეტის პრინციპები. თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამის კომპეტენციაში არ შედის არც კონსერვაციის და კეთილმოწყობის სამუშაოთა წარმოება, არც ამ სამუშაოების მოსამზადებელი პროექტები.

3. თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომელსაც მართავს ევროპის საბჭო, მოიცავს მხოლოდ იმ ფინანსურ დახმარებას, რომელიც განმარტებულია მე-6 მუხლში.

**მუხლი 4**

## განაცხადების განხილვა

1. 1-ლ მუხლში ნახსენები განაცხადი ეგზავნება ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების დიპლომატიური ხელისუფლების მეშვეობით.

2. ევროპის საბჭოში წარდგენილი დოსიე უნდა შეიცავდეს:

- ორგანიზაციის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე შედგენილ წერილს, სადაც განმარტებულია თხოვნის საგანი.

- გრაფიკულ დოკუმენტებს ან ფოტოსურათებს, რომლებიც განმარტებითი ბარათის საილუსტრაციო მასალას წარმოადგენს.

3. გენერალური მდივანი ამოწმებს, მისაღებია თუ არა წესების გათვალისწინებით განაცხადი და ატყობინებს პასუხს ავტორს.

4. თუ განაცხადი მისაღებია, გენერალური მდივანი განიხილავს დოსიეს:

- თუ საჭიროა, მოსთხოვს შესაბამის ორგანოებს დამატებით ინფორმაციას;

- შეადგენს წარდგენის ბარათს, რომელშიც მოკლედ ასახულია თხოვნის საგანი;

5. გენერალური მდივანი გადასცემს თავის წინადადებებს კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტს.

6. სამუშაო ჯგუფი

- გამოთქვამს აზრს, თუ რა მსვლელობა უნდა მიეცეს განაცხადს და რა ფორმით უნდა განხორციელდეს თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამა;

- დანიშნავს, კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის სხვა წევრებთან შეთანხმებით, ექსპერტს ან ექსპერტებს, რომლებსაც დაევალებათ ამ პროგრამის შესრულება.

7. თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამისთვის შეთავაზებული ექსპერტები უნდა იყვნენ საკმარისი გამოცდილებისა კულტურული მემკვიდრეობის იმ კონკრეტულ საკითხებში. ეს გამოცდილება შეიძლება მიღებული იყოს როგორც სახელმწიფო სამსახურში, ასევე კერძო სტრუქტურებში.

8. როდესაც სამუშაო ჯგუფს რამდენიმე განაცხადი ეგზავნება, მათ უნდა შეადგინონ პრიორიტეტის სია, არსებული საშუალებების და მოთხოვნილი ჩარევის საჩქაროების გათვალისწინებით.

**მუხლი 5**

## თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამის ორგანიზება

1. თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამა მდგომარეობს მომთხოვნი ხელისუფლების თანხმობით ადგილზე ექსპერტისა თუ ექსპერტების მივლინებით, რომლებმაც უნდა გააკეთონ დასკვნა და ჩამოაყალიბონ რეკომენდაცია და/ან იმსჯელონ პრობლემებზე პროფესიონალურ სახელოსნოში.

2. ევროპის საბჭოს სამდივნო ამზადებს მისიას კომპეტენტურ ორგანოებთან და დანიშნულ ექსპერტებთან შეთანხმებით.

3. ექსპერტისა თუ ექსპერტების რეკომენდაციები ჩამოყალიბდება მისიის ანგარიშში, რომელიც გაეგზავნება სამდივნოს სამი თვის ვადაში. იგი დიპლომატიური არხებით გადაუგზავნის მას ხელისუფლებას, რომელმაც ჩამოაყალიბა თხოვნა, აგრეთვე სამუშაო ჯგუფის წევრებს და კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის სხვა წევრებს.

4. მისიის ანგარიში ინფორმაციის სახით ეგზავნება კულტურული თანამშრომლობის საბჭოს და მინისტრთა კომიტეტს. იგი ქვეყნდება ევროპის საბჭოს სამუშაო დოკუმენტებში და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

**მუხლი 6**

## თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამის დაფინანსება

1. როდესაც თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამის მიზანია დიაგნოზის დასმა და რეკომენდაციის ჩამოყალიბება, ექსპერტების მივლინების ხარჯებს და აგრეთვე ანგარიშის ავტორების ჰონორარს თავზე იღებს ევროპის კულტურის ფონდი, კულტურული თანამშრომლობის საბჭოს მიერ ამ მიზნებისთვის გამოყოფილი კრედიტების ფარგლებში. ადგილზე ექსპერტების ყოფნის ხარჯებს იღებს მიმღები მხარე.

2. ექსპერტებს აქვთ უფლება, თუ ამას ვითარება მოითხოვს, წარადგინონ ერთ-ერთი მთავარ მომხსენებლად. მთავარ მომხსენებლად დანიშნული ექსპერტის ჰონორარი შესაბამისად გაიზრდება გამოყოფილი კრედიტების ფარგლებში.

3. როდესაც თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამის ფორმა სახელოსნოა, მივლინებისა და ადგილზე ყოფნის ხარჯებს იღებს ევროპის საბჭო, მაგრამ ჰონორარები არ გაიცემა.

**მუხლი 7**

## თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების მისიის შედეგები

1. კულტურული მემკვიდრეობის საქმიანობის ჩარჩოებში ევროპის საბჭო:

- აღმოუჩენს დახმარებას იმ ხელისუფლებას, რომელიც მოითხოვს თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების მისიის შემდგომ კონტროლს, დიაგნოსტიკის გაღრმავებაში თუ მიცემული რეკომენდაციების განხორციელების სტადიაზე. შესაძლებელია ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარება, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს;

- უზრუნველყოფს, როცა ეს საჭიროა, კავშირს სახელმწიფოებს, ევროპის საბჭოს ორგანიზაციებსა და სხვა მონაწილე ორგანიზაციებსა თუ ფონდებს შორის, ეროვნული თუ საერთაშორისო მასშტაბით, თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების მისიის შედეგად დასახული სამუშაოების დასაფინანსებლად.

- ხელს უწყობს საჩვენებელი პროექტების განხორციელებას საჭირო იურიდიული თუ ფინანსური მექანიზმების შექმნით და გამრავლების ეფექტის მიღწევით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას, რომელმაც უკვე მიიღო ევროპის საბჭოს დახმარება თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების მისიის სახით, საჭიროდ თვლის ჩაატაროს დამატებითი კვლევა ან ექსპერტების დამატებითი აზრი მიიღოს, მივლინების ხარჯებს და ჰონორარებს გაიღებს მომთხოვნი მხარე და არა ევროპის საბჭო.

**მუხლი 8**

1. ხელისუფლება, რომელმაც გააკეთა მოთხოვნა თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების მისიისა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ურთიერთთანამშრომლობის პროგრამა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს უმზადებს ანგარიშს, რომელიც ასახავს ამ პროგრამის თუ პროგრამების შედეგებს.

2. ანგარიში გაიგზავნება თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების მისიის მოწყობიდან ან ურთიერთთანამშრომლობის პროგრამის შემთხვევაში, მისი დამთავრებიდან ორი წლის ვადაში ეს ანგარიში გადაეცემა კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტს და კულტურული თანამშრომლობის საბჭოს და გამოქვეყნდება გამოცემაში "კულტურული მემკვიდრეობა".

ტროტუარებო, წერეთ თქვენი მემუარები

# გოგონა ყვავილით - ესტა

ანა კორძაია-სამადაშვილი

*გახსოვთ "როგორ მოვიპაროთ მილიონი"? "დიდებული კაცი ყოფილა ბაბუათქვენი," ეუბნება პიტერ ო`ტულის გმირი ოდრი ჰეპბერნს, "ზებიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ..."*

თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად, ოთხი ქანდაკება უნდა ყოფილიყო, ოთხი წელიწადის დრო. მაგრამ ავტორს არ დასცალდა, და ამიტომ ქანდაკებას, რომელიც სასტუმრო "ივერიის" ეზოს ამშვენებდა და დღეს ამ არცთუ მშვენიერ ადგილას უყურადღებოდ და უსიყვარულოდაა მიგდებული, "გოგონა ყვავილით" ჰქვია. არადა, "გაზაფხული" ყოფილა.

"გაზაფხული" ძალიან ლამაზია. ამაში ალბათ ყველა დამეთანხმება, ვისაც კი ოდესმე "ივერიის" შენობაში ფეხი შეუდგამს და, მით უმეტეს, რესტორნის აივნიდან გადმოუხედავს. თუ არ გინახავთ, ამის გამოსწორება იოლად შეიძლება – ისევ იქა დგას, სად წავიდოდა, ისიც კი შეგიძლიათ, სხვა ღირსეულ მოქალაქეებს მიბაძოთ და ზედ უხამსობები მიაწეროთ. მართალია, ყვავილს ვეღარ მოტეხავთ – უკვე მოტეხეს, და ზემოდან ნაგავსაც ვეღარ დააყრით – ღვთისნიერმა ხალხმა მისი გადახურვა სცადა.

"გაზაფხულის" ამბავი პირველად მისი ავტორის, გურამ კორძახიას ქალიშვილმა, ქეთევანმა მიამბო. ჩემდა სამარცხვინოდ, გურამ კორძახიას შესახებ არაფერი ვიცოდი, სანამ ამ ჟღალთმიან ქალბატონს არ გავიცნობდი, რომელიც უდავოდ ლამაზი ქალია და რომელმაც ამაყად მომახსენა, მამაჩემს ვგავარო. გურამ კორძახიას სახელი დღეს მის მეგობრებს, მათ შვილებს და პროფესიონალთა ვიწრო წრეს თუ ეუბნება რამეს. არადა, ერთ დროს ამ მოქანდაკეს მთელი საბჭოთა კავშირი იცნობდა: მოსკოვში აღმართული მაიაკოვსკის ძეგლი სწორედ მისი ქმნილებაა. "მოსკოვში მაიაკოვსკი გახსოვს?" "აბა, რა!" ო, რა დაგვავიწყებს ქართველებს მოსკოვს! ჩვენი თანამემამულეები ძეგლს კარგად იცნობენ, მის ავტორს კი – ნაკლებად. გურამ კორძახიას მეგობარი, ბატონი გოგი ოჩიაური მოყვა, როცა ჩემს სტუდენტებს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის აუცილებლობის შესახებ ვესაუბრებოდი, დასტურად თუნდაც გურამ კორძახია მოვიყვანე – მისი სახელი მრავალ მომავალ მხატვარს არც გაეგონაო.

მაგრამ ამჟამად ჩემი მიზანი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ქართველი მოქანდაკის ბიოგრაფიის მოთხრობა არაა – ვერც მოვახერხებ, და რომც მოვახერხო, მეტისმეტად სუბიექტური ვიქნები. მე "გაზაფხულის", ანუ "ყვავილიანი გოგონას" შესახებ გიამბობთ.

გურამ კორძახიას მეგობარს, მხატვარ გოგი ოჩიაურს, "გაზაფხულის" შექმნის ქეთი კორძახიასეულ ვერსიაში ცოტა ეჭვი ეპარება. მისი თქმით, გურამი შეკვეთებით დიდად განებივრებული არასოდეს ყოფილა, ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, რომ მნიშვნელოვანი რამე, მით უმეტეს, ერთბაშად ოთხი ქანდაკება წინასწარ დაეგეგმაო. ალბათ ბატონ გოგის უფრო დაეჯერება – ის დრო, როცა ქანდაკება შეიქმნა, ქეთევანს საერთოდ არც ახსოვს.

ამ ქანდაკების ნახვა ნამდვილად ღირს, თუნდაც იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა გახლავთ: 1959 წელს შექმნილი "გოგონა ყვავილით" პირველი შიშველი ნატურის გამოსახულებაა, რომელიც საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას დაიდგა.

მისი შექმნის ისტორია კი ასეთი გახლავთ: ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე, ირაკლი ოჩიაურსა და გურამ კორძახიას სახელოსნო ჰქონიათ. როდესაც ირაკლის ძმამ, გოგი ოჩიაურმა სამხატვრო აკადემია დაამთავრა, ისიც "შეიკედლეს".

სად იყო და სად არა, ყიფშიძის ქუჩაზე, მოქანდაკეების სახელოსნოში, ორი უცნაური გოგონა მობრძანდა. მძიმე დრო იყო – თუ აცტყობთ, ჩვენს დალოცვილ მხარეში რატომღაც სულ მძიმე დროა, და არ ვიცი, საიდან, მაგრამ საშოვარზე წამოსული ორი გოგონა თბილისში აღმოჩნდა. ერთის სახელი ბატონ გოგის არ ახსოვს, მეორე კი უნგრელი ესტა იყო.

რატომღაც ყველა, ვისაც ეს ამბავი მოვუთხრე, უმისამართოდ ხითხითებს და მრავლისმეტყველად ფრუტუნებს. სულ ტყუილად! ბატონი გოგის თქმით, მათი "მდგმურები" ძალიან კარგი გოგოები იყვნენ, მხიარული და მოკრძალებული. ღამის სათევად მხატვრებმა მათ თავიანთი სახელოსნო დაუთმეს და საჭმელ-სასმელსაც უზიდავდნენ.

გურამ კორძახიას "გოგონა ყვავილით" სწორედ უნგრელი ესტა გახლავთ. შესანიშნავი მოდელი ყოფილა. თბილისში მხოლოდ მისი გამოსახულება დარჩა, ესტა კი წავიდა, სად – არ ვიცით. თავდაპირველად გურამმა ის თაბაშირში გამოძერწა და ამით აპირებდა ამ ქანდაკებასთან ურთიერთობის დამთავრებას. მაგრამ "ცისფერ გალერეაში", გამოფენაზე გატანილმა ნამუშევარმა საზოგადოებაზე, განსაკუთრებით კი ბატონ ტონი კალანდარიშვილზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის მარმარილოში გამოთალეს და იმხანად ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ადგილას, სასტუმრო "ივერიის" ეზოში მიუჩინეს ბინა.

ახლაც იქ დგას, მაგრამ ველარავინ ხედავს. ვინც ხედავს, ისიც აღარად აგდებს. გარწმუნებთ, "გოგონა ყვავილით" თუ "გაზაფხული" – როგორც გაგიხარდებათ – ასეთ ხვედრს ნამდვილად არ იმსახურებს.

არადა, რა ლამაზი გოგო ყოფილა უნგრელი ესტა!..



გურამ კორძახია



ასეთი იყო "გოგონა ყვავილით".



"გოგონა ყვავილით" დღეს.

ქალაქური პროზა

ზაზა თვარაძე

# სიზმარი

ყმაწვილობისას თამაზი ეკლესიაში არ დადიოდა. ეკლესიაში სიარული დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც სკოლა დაამთავრა და ჯარიდან დაბრუნდა. მაშინ შეინახა პირველად მარხვა, თქვა პირველად აღსარება და ასე გახდა სიონის ეკლესიის მრევლთაგანი. ამ ნაბიჯის გადადგმა მან გაბედა დედისა და ოჯახის ახლობელი ქალის, ელისოს ჩაგონებით. ეს ორი მანდილოსანი უკვე კარგა ხანია იყო, რაც აქტიური მორწმუნეები გამხდარიყვნენ. მანამდე არც მათ იცოდნენ ეკლესიის ადგილსამყოფელი. მათი მისვლა ეკლესიაში განაპირობა პირადი ცხოვრების მოუგვარებლობამ და ახალი პატრიარქის არჩევამ. ამ ახალი პატრიარქის წყალობით იმ წლებში ეკლესიას ძლიერ მოემატა მრევლი. თუ მანამდე სიონის ტაძარში წირვაზე ათიოდე მლოცველიც ძლივს იდგა, ახლა ტევა აღარ იყო. აქ მოდიოდნენ ცხოვრებისაგან გაუბედურებული და დაუკმაყოფილებელი ადამიანები: შინაბერა ქალები, რომელთაც თავიანთი იდეალი ამქვეყნად ვერსად მოენახათ; მამაკაცები, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ თავიანთი ხვედრით; ახალგაზრდები, რომლებიც გრძნობდნენ, რომ ღმერთს მათს გულში ჩაედო რაღაც ისეთი, რასაც ამ ქვეყანაზე დამფასებელი არ გამოუჩნდებოდა. იყვნენ ისეთები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ჩვენი ბედკრული ერის აღორძინება სწორედ ამგვარი - რელიგიური გზით უნდა წარმართულიყო, და ისეთებიც, რომლებიც ეკლესიას აღიქვამდნენ, ვითარცა ცხოვრებისა და მოქალაქეობის ბუნებრივ ასპარეზს. ეს იყო ნამდვილი საეკლესიო ბუმი. უამრავი ხალხი იდგა წირვა-ლოცვებზე, უსმენდა მღვდელმსახურებას, მიდიოდა აღსარების სათქმელად, საზიარებლად, ზეთის საცხებლად, - და იმართებოდა უზარმაზარი რიგები, სადაც ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა - ერთნი საკურთხევლისაკენ მიიწევდნენ, რათა იქ პატრიარქს მათთვის მირონი ეცხო. მეორენი, უკვე მირონცხებულნი, ისევ უკან მოიკვლევდნენ გზას, და ტრიალებდა ადამიანთა შეუცნობელი მორევი, რომელიც თავის წიაღში ითრევდა და ერთი მიმართულებით მიდენიდა ყოველი მათგანის აზრსა და გრძნობას. მწყაზარი სახის, კეთილად მოღიმარი პატრიარქი იდგა და მტკიცე ხელით აღბეჭდავდა ცხოვართა შუბლებზე უფლის ჯვარცმის ნიშანს. ამ დროს მთელს ამ მორიალე დარბაზში ვრცელდებოდა ნელსურნელება. ისმოდა მრევლის გაწევ-გამოწევა და ხმაჩახშობილი ყაყანი. ადამიანები ერთმანეთს ეჯახებოდნენ და მერე ნეტარი სახით ითხოვდნენ პატიებას. შავანაფორიანი ჭაღარა მღვდლები ყორნებივით აიქნევდნენ ხოლმე საცეცხლურიან ხელებს და ანაზდად წართქმით შესძახებდნენ რაღაცას, რაზედაც გუნდი დანგრეული სამხმოვანებით პასუხობდა. ახალგაზრდა, ახალნერგი დიაკვნები და მნათეები პირგამეხებული ჩამწკრივებულიყვნენ სამღვდელმთავრო ტახტის გასწვრივ და სერიოზულად ადევნებდნენ თვალყურს რიტუალის მსვლელობას. მათს სახეებზე იკითხებოდა ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვა და ამგვარად - ყოველდღიურობისაგან სრული მოწყვეტა. ხანდახან ხალხის ტალღა მძლავრად მიაწყდებოდა ღვთისმსახურთა მწკრივს და მაშინ რომელიმე ჭარმაგი მოძღვარი იმერული კილოთი შესძახებდა: "რიგი დაიცავით, რიგი! ყველა ერთად ნუ მოდიხართ!". ტაძრის კუთხეებში, ხატების სიახლოვეს, გაქვავებული სახით იდგნენ წვეროსანი ახალგაზრდები, რომლებიც აქ შემოსვლისთანავე გარდაიქმნებოდნენ სრულიად სხვა ქვეყნის მოქალაქეებად. ისინი ცდილობდნენ, ზედაც არ შეეხედათ თავსაფარმოხურულ გოგონებისთვის, რომლებიც თავდახრილი, სწრაფი ნაბიჯით ჩაივლიდნენ ხოლმე ჭაბუკების წინაშე და ირიბ მზერას შეავლებდნენ მათს არწივისებურ პროფილებს. ზოგიერთ ახალგაზრდას ხელში სკვნილი ეჭირა და დინჯად მარცვლიდა. გასასვლელში რამდენიმე გლახა შეჯგუფულიყო. მათ შორის - ერთი გონებასუსტი. შიგნით, მრევლში მიმოდიოდა რუხ სამოსში გახვეული ფსიქოპათი კაცი, რომელიც მგელივით აკვესებდა თვალებს და თავისი ხაზგასმული უტაქტობითა და ეკლესიის წესთა არადჩაგდებით იწვევდა ზოგიერთ სხვა წესიერ ფსიქოპატთა და არაფსიქოპატთა კონფუზს. საღამოს ბინდი შავ რძესავით ჩაღვრილიყო ტაძრის დარბაზში, სანთლებიდან ადენილი ალი ტაძრის კედლებსა და თაღებს მჭვარტლავდა, შავ ფარილად ედებოდა XIX საუკუნის ფსევდოსლავურ მხატვრობას - მხოლოდ საკურთხევლის გუმბათში გამოსახული ღვთისმშობლის სახე ჩანდა მკაფიოდ. ეკლესიაში რემონტი იყო. უკანა კედელთან, კარიბჭის ორსავე მხარეს, მარჯვნივ და მარცხნივ, აღემართათ მაღალი ხარაჩოები, რომლებიც ხალხის მოძრაობას კიდევ მეტად აფერხებქდა. მათს მიღმა უკვე ილანდებოდა ახალი, ნეოთბილისური მხატვრობის კონტურები. ფრესკაზე ერთგან მოჩანდა ახალგაზრდა ქალი, მას გრძელთითებიანი ხელის მტევანი რაღაც ირიბად დაეხარა დაბლა - თითქოს რაღაცას უკუაგდებდა, და ფეშენებელურ მოგრძო სახეზე ეწერა ამაყი განურჩევლობა და მხატვრის მიდრეკილება სტილიზაციისადმი. იქვე ფრესკაზე ჩანდა ვილაც ცეტი ბერიკაცი, - მას გაოცებული მზერა მიეპყრო საკუთარი ფეხის თითისათვის. ეს ფეხის თითი უცნაურად გაფშეკოდა განზე და სხვა თითებისაგან განცალკევებით ეჭირა. ეს იყო გრძელი ცერა თითი, რომელიც პატრონს აჯანყებოდა და ახლა იგი, სუტანაში გახვეული ეს თმაგაცვენილი ბერიკაცი, იჯდა და განცვიფრებული დასცქეროდა თავის ამ სულელ თითს. გარედან, სანაპიროს მხრიდან, მოისმოდა მანქანების გრუხუნი და სიგნალები. პროჟექტორების შუქი ჯიქურ მიბრჯენოდა სიონის ტაძრის კედლებს და მოციმციმე შარავანდედში ხვევდა მთელს შენობას. ახალი ფრესკები შეიცავდა თავის თავში რაღაც ასეთს (ალბათ ეს იყო ბაცი ფერით გამოსახული უზარმაზარი წრეები და ნახევარმთვარეები, თავისთავად, უთუოდ წმიდათა შარავანდედებზე რომ მიანიშნებდნენ) - ეს ახალი ფრესკებიც შეიცავდა რაღაც ისეთს, რაც, მანქანების გუგუნთან ერთად, კაცს კოსმოდრომის ასოციაციას აღუძრავდა. თითქოს მთელი ეს ზემსწრაფი, ფრთებშემართული შენობა, ეს მოდერნიზებული ნოეს კიდობანი, თავის ბორტზე ამდენი ცხოვარით, საცაა მიწას მოსწყდებოდა და ვარსკვლავთშორის სივრცეებისკენ აიღებდა გეზს - გარეთ კი დარჩებოდა ყოველი სიბინძურე, ყოველი ბოროტება, სიგიჟე და სიკვდილი, რომლებსაც, ქალაქის ისტერიულ კივილში, სამუდამოდ წარლვნიდა დროის წყალუხვი და ულმობელი მდინარე.

თამაზის ოჯახს რამდენიმე წლის წინ დიდი უბედურება დაატყდა თავს. - გარდაიცვალა მამა. ეს იყო ბრგე, კეთილად აღნაგი, ლომისებრი გარეგნობის, მაგრამ უკვე ქონმოდებული და თმაშეთხელებული კაცი. იგი დინჯად გადახედავდა ხოლმე თავის ოჯახობას და ულვაშებს ოდნავ შეატოკებდა. ამ დროს მის მოგრძო თვალებიდან გამოსჭვიოდა კმაყოფილება და სიმტკიცე. მაგრამ თავისი ცხოვრების ორმოცდამეათე წელს ამ მრისხანე და თანაც კეთილ, იმპულსურ და ოჯახისმოყვარე ადამიანს ტვინში სისხლი ჩაექცა და სამუდამოდ დაიძინა. დარჩნენ თამაზი, დედა და და, რომლებმაც, სამივემ, სხვადასხვანაირად განიცადეს ოჯახის თავის დაკარგვა. ერთგვარი სიხარულნარევი სასოწარკვეთილება. დედა თამაზივით ტანდაბალი ქალი იყო, საქმიანი და მოფუსფუსე. დამთავრებული ჰქონდა სამუსიკო სასწავლებელი და როდესაც თავის მომავალ მეუღლეს შეხვდა, დედ-მამა და ძმები უშლიდნენ მასზე გათხოვებას. რადგან მიაჩნდათ, რომ მათს წრეს არ ეკადრებოდა ამ მდგომარეობის სიძე. - თამაზის მამა საავტომობილო გარაჟში მუშაობდა - თანამედროვე გაგებით იგი მწყემსი იყო, მექანიკური ცხენების მწყემსი. დაიხრებოდა, დაკუნთულ ხელებს ამოსდებდა მცირელიტრაჟიანი მანქანის ძარას და თითქმის მუხლამდე სწევდა. როდესაც თამაზის დედამ თავისი მომავალი მეუღლე გაიცნო, მისი ვაჟკაცური ბუნებითა და კეთილი გულით ისე მოიხიბლა, რომ მიუხედავად მამა-ძმების წინააღმდეგობისა, დაუფიქრებლად გაჰყვა და ბოლომდე უდრტვინველად ემსახურებოდა. თამაზი რომ წამოიზარდა, მამა უკვე გარაჟის დირექტორის მოადგილე იყო, ოჯახში ფული შემოჰქონდა, მაგრამ, საკუთარი პატიოსნების გამო, არც იმდენი, რომ ბავშვებს თავზე გადასვლოდათ. მოვიდოდა სამსახურიდან დაღლილი, ან, შაბათს, ბაზრიდან - დატვირთული, და მიუჯდებოდა მაგიდასთან თავის ადგილს. სანამ პატარები იყვნენ, თამაზის უმცროსი და, მაია, სადილობის წინ მუხლზე შეასკუპდებოდა დაღლილ მამას და ისიც სიამოვნებით ეფერებოდა ასულს, რაზედაც თამაზს მტანჯველი შურის გრძნობა მოიცავდა, და ეგონა, რომ დედ-მამას იგი მიგდებული და მოძულებული ჰყავდათ. "თინა, მოიტა წნილიანი" - ბუზუნით იტყოდა მამა და ეს სიტყვები თითქოს სამარადისო ტკიფარივით აღბეჭდილიყო მათი სამზარეულოს მაღალ გუმბათზე. მაია მამის მუხლებზე ჟღურტულებდა. თამაზი გაფაციცებული იჯდა და უთვალთვალებდა, როგორ შემოჰქონდა დედას ორთქლამდინარე მათლაფა, რა მძლავრი მოძრაობით ფშვნიდა მამა პურს და შემცბარი დასცქეროდა თავის წვრილ ხელებს.

მაგრამ ერთხელაც ეს ერთგული და ლომის მსგავსი კაცი მოკვდა. მოკვდა, გაქრა და მის ნაცვლად ოჯახს დარჩა მხოლოდ უსულო ნივთების კომპლექტი: - მისი შარვლები და პიჯაკები, თეთრი და მოკლესახელოიანი პერანგები, ქამრები, ჰალსტუხები, იუგოსლავიური და საბჭოთა ფეხსაცმელები, ჟურნალებისა და წიგნების შეკვრა, საფულე, გიტარა, პორტსიგარი, რამდენიმე მუნდშტუკი, მომხიბლავი ქალების ფოტოსურათების დასტა, და ქალის ბარძაყების ფორმის თხილის სამტვრევი. დარჩა აგრეთვე დაგორგოლავებული წინდები - ზოგი სრულიად უხმარი, კარგა ხნის ნახმარი, სხვადასხვა ფერისა და ყაიდის უამრავი დაგორგოლავებული წინდა, რომლებსაც ეჭირა ტანსაცმლის კარადის მთელი ქვედა უჯრა.

სახლში რომ დაბრუნდნენ, იმ ადგილას, სადაც კუბო იდგა, სრული სიცარიელე დახვდათ. დედამ მაგიდაზე დადო ქმრის გადიდებული სურათი და ტირილით დაემხო ზედ. - თამაზმა ამას მხოლოდ წამით შეასწრო თვალი - ბიძებმა და დეიდამ მსწრაფლ მეორე ოთახში უკრეს თავი. მაშინ იგი თოთხმეტი წლის იყო. ნათესავები გარს შემოერტყნენ თამაზს და დაუწყეს მხარზე ხელის მოჭერა და ჭკუის დარიგება - ამ გზით ცდილობდნენ, სიმძიმე შეემსუბუქებინათ დაობლებული ოჯახისთვის.

მამის გარდაცვალება მეხივით დაატყდათ - მამა ოჯახში ყველაფერი იყო. და ახლა მის ადგილას აღარაფერი დარჩა, სრულიად აღარაფერი - დედა მთელს დღეებს ტირილში ატარებდა და ვეღარაფერს აბამდა თავს. თამაზი და მაია გამუდმებით ჩხუბობდნენ. ამის გამო ოჯახში არც ერთს არ მიუწევდა გული, მაგრამ ოჯახს გარეთაც ვერაფერს ნახულობდნენ სანუგეშოს - სკოლაში გამეფებული იყო ძალადობა, სიცრუე და ცინიზმი. უმამოდ დარჩენილი თამაზი მძაფრად განიცდიდა ამას, თავს დაუცველად გრძნობდა და მის ფსიქიკაში შრეებად ლაგდებოდა სხვადასხვანაირი კომპლექსი და შფოთვა. ისიც და მაიაც გულჩათხრობილი და მორიდებული ბავშვები იყვნენ, მაგრამ, მაია, თავისი ძლიერი ხასიათით, უფრო მეტად ჰგავდა მამას - მამასავით ლომურად იცოდა წარბების აზიდვა და თუკი ერთხელ რამეს გადაწყვეტდა, მერე ვეღარაფრით გადაათქმევინებდი. თამაზს კი ბორკავდა თავისი უუნარობა და სიმორცხვე. იგი ფიქრობდა, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ თვითონ უნდა ეტვირთა ოჯახის მოვლა-პატრონობა. ამაში თავი არა მარტო ვალდებულად მიაჩნდა, არამედ ნევროტული პატივმოყვარეობაც იგივეს აფიქრებინებდა - მას უნდა ეტვირთა ქვეყნიერების მთელი ტვირთი. თამაზის კლასელები უკვე დავაჟკაცებულნი იყვნენ. ზოგი წვერ-ულვაშსაც იპარსავდა. ჯიბეში მუდამ ჰქონდათ ფული და მამათა მანქანების გასაღებები. თამაზს კი წვერ-ულვაში ჯერაც არ ამოსვლოდა და ფაქიზ სახეზე მუდამ ჩაფიქრებული გამომეტყველება ეფინა. ვერაფრით გაბედავდა თანატოლების თავზეხელაღებულ ცხოვრებაში ჩართვას. მაგრამ, ამის მიუხედავად და, შესაძლოა, ამიტომაც, მას ყველა სხვაზე მეტი პატივმოყვარეობით სურდა, ნამდვილი კაცი ყოფილიყო და დაემწყემსა თავისი დანგრეული ოჯახი. დაემთავრებინა სკოლა, გამოსულიყო ძლიერი და პატივცემული, ჰყოლოდა ცოლ-შვილი, და ვაჟიშვილებს შორის ერთ-ერთისათვის დაერქმია მამის სახელი - იაკობი. წარმოიდგენდა, როგორ ჩაჯდებოდა სავარძელში, როგორ იხმობდა თავისთან პატარა კობას. ისიც დაუზარებლად მოირბენდა მამის წინაშე, თვალებგაბრწყინებული შეაჩერდებოდა და მაშინ თამაზი ეტყოდა: "ჩაირბინე, შვილო, კრევეტკები და პივა ამომიტანე". "ახლავე, მამა!" - შესძახებდა პატარა და მალე ხამანწკაც და ლუდიც იქ იყო. ამ თვისებების გამო, იმის გამო, რომ თამაზი მგრძნობიარე და მეოცნებე გახლდათ, და თან - არაჩვეულებრივად პატივმოყვარე, ხოლო მაია კი - მტკიცე, თამამი და დამოუკიდებელი, დაძმას გაუთავებელი ჩხუბები ჰქონდათ. დედას, ქმრის სიკვდილის მერე, პერმანენტული თავის ტკივილები დასჩემდა. თავზე ხელებშემოჭდობილი იჯდა სამზარეულოში და ნახევრად გონებამიხდილს ჩაესმოდა შვილების ჩხუბი და აყალმაყალი. თამაზი ცდილობდა, რაც შეიძლება მრისხანე სახე მიეღო და ბოხი ხმით ეღრიალა. მაიას კი, თუმცა საერთოდ უხმო და ჩუმი იყო, თუ საჭიროება მოითხოვდა, თავისი შეუპოვარი ბუნების შესაბამი ხმა ჰქონდა და ისე დაჰყვიროდა ხოლმე, რომ თამაზს მამის ღრიალი აგონდებოდა. - მამამ ერთადერთხელ უღრიალა ბავშვობისას და მაშინ ეს ღრიალი ქვეყნიერების დაქცევას ჰგავდა. დედა იჯდა, ღონემიხდილი უსმენდა შვილების წივილ-კივილს, უხმოდ იტანდა. იტანდა, იტანდა, მერე ვეღარ იტანდა და ისიც იკივლებდა: "გეყოფათ! გეყოფათ! რა ამბავია, თქვე არაადამიანებო! რას მიშვრებით, გინდათ მომკლათ?! თქვე უსინდისოებო! თავი მისკდება! თავი მისკდება ტკივილით! თქვენ კიდევ ზედ მიმატებთ!"... - ამას შესძახებდა ისეთი სასოწარკვეთით, თავისი წვრილი და ქალიშვილობისდროინდელი უძლური ხმით, რომ მოჩხუბრები მყისვე ჩუმდებოდნენ და თამაზს გულში ეღვრებოდა საშინელი სიბრალული და მწველი ნაღველი, და გრძნობდა, რომ მის ირგვლივ ყველაფერი თავდაყირა დგას, საგნებს და ადამიანებს აღარ გააჩნდა თავიანთი ჩვეულებრივი მდგომარეობა და ერთმანეთის მიმართ მტრულ და უსულგულო, სიკვდილის მომტან იარაღებად ქცეულიყვნენ. ყოველი მათგანი, ეგოცენტრული და შეუვალი, სხვისთვის მიუწვდომელი და უმოწყალო არსება იყო, და თამაზი ფიქრობდა, რომ მხოლოდ მას ჰქონდა უფლება დარღვეული ჰარმონიის აღდგენისა. მაგრამ ამის ნებისმიერი მცდელობა უეჭველად ისევ მაიასთან შეტაკებით მთავრდებოდა.

ერთადერთი, ვინც მის ცხოვრებას ანათებდა, იყო გოგო, რომელიც უყვარდა, ეს გოგო თამაზს პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა, ისე მოხდა, რომ ერთხელ, სკოლის დერეფანში მდგარს, ვილაცამ თვალებში ჩახედა. ეს იყო მასზე ერთი წლით უმცროსი გოგონა, მის მომიჯნავე საკლასო ოთახში რომ სწავლობდა და თამაზს აქამდე მხოლოდ ერთხელ, ისიც გაკვრით ჰყავდა შემჩნეული. და ახლა, სკოლის ნაღვლიან დერეფანში მდგარს, ამ გოგომ შემთხვევით თვალებში ჩახედა. ამ ჩახედვით თამაზის ცხოვრებაში დაიწყო სრულიად ახალი ერა. გოგოს სახელად მანანა ერქვა. - მის ნათელ, მოწყლისფერო თვალებში თამაზი გადაეხსნა სრულიად ახალი სამყარო, - ის, რაც ამქვეყნად არ იპოვება, და რის ნახვასაც ინატრებდა მრავლის უმრავლესი ნარჩინებული თუ არაწარჩინებული ადამიანი. მის თავზე თითქოს იელვა. თამაზი კარგა ხანს გონს ვერ მოეგო. მანანამ კი თვალი მოაშორა და მისი ნაზი ტანი უკვე დერეფნის ბოლოში მიირწეოდა, იქ მოსწავლეთა ქაოტურ და არეულ-დარეულ ფიგურებს შორის. თამაზი დიდხანს იდგა ერთ ადგილას. მერე იგრძნო, რომ მის გულში გაიხსნენ ჯერაც უცნობი საქანელები და იქიდან გადმოხეთქილმა ნიაღვარმა წარლეკა ყველაფერი, რაც მყარად დალექილიყო მისი ტანჯული ფსიქიკის შრეებში. ამის შემდეგ მისი ცხოვრება იქცა გამუდმებულ მოლოდინად და ამ მადლისა თუ წყალობის გამუდმებულ სურვილად. - დღისითაც და ღამითაც მას მანანას თვალები ელანდებოდა, შორეული, ცეცხლოვანი, ლბილი რკალებით, სადაც იშლებოდა გონებით მიუწვდომელი უცხო სახეები, უცნაური მცენარეული ბაღები და ამ ბაღებში ქროდა ცოცხალი და ელექტრონული მუხტით გაჯერებული ჰაერი. თამაზი დადიოდა, როგორც მთვარეული, სკოლის გრძელ დერეფნებში, ხან აქ, ხან იქ ამოჰყოფდა თავს ნაცრისფერ ფორმაში გამოწყობილი მისი უსუსური ფიგურა და ამ ფიგურის ეფემერულ არსებობაში, მის შიგნით, უხილავად იშლებოდა მიუწვდომელი და, ამავე დროს, ნამდვილად არსებული - სხვა ყველაფერზე მეტად არსებული - სამოთხისებრი სამყარო. ეს ტანდაბალი ნაცრისფერი მაკეტი დადიოდა ქუჩებში, სკოლის დერეფანში, ეზოში, სახლში. მის ირგვლივ სახიფათო ღრიალით ქროდნენ მანქანები, ერთმანეთს ხმაურით ეჯახებოდნენ ადამიანებად წოდებული გაუგებარი არსებები, და ამ კბილანებსა და ხრახნებს საცაა თითქოს ისიც უნდა ჩაეთრიათ, და ითრევდნენ კიდეც, და ისიც ტრიალებდა სკოლის, ქუჩის და ოჯახის გაუთავებელ ბეტონსადღვებელში, და იდღვიბებოდა სხვა ქვებთან ერთად, როგორც ერთი ჩვეულებრივი ბრტყელი რიყის ქვა, ყოველ დასვენებაზე გამოვიდოდა კლასიდან ფერმკრთალ დერეფანში, მოსწავლეების აღრიალებულ და გადახლართულ, ხეთქებად სხეულებს შორის, და ჩაივლიდა - დაძაბული და გახევებული, წელში უკან გადაზნექილი. ხელმარცხნივ ფანჯრებში მოჩანდა სკოლის ეზოში მდგარ ნაძვთა კენწეროები, ხელმარჯვნივ - საკლასო ოთახთა კარნი. აქ, თავისი საკლასო ოთახის წინ იდგა, ან დაქალებთან ერთად დასეირნობდა მანანა. თამაზი გაივლიდა, თვალის კუთხით უყურებდა. მანანას დაქალები ირონიულ მზერას აყოლებდნენ ტანმორჩილ რაინდს და თამაზი თავს ისე გრძნობდა, თითქოს დასათვალიერებლად გამოფენილი ექსპონატი ყოფილიყო. მანანას მეგობარმა გოგონებმა უკვე ყველაფერი იცოდნენ მის შესახებ, - რადგან ერთ დღეს თამაზმა მანანას წერილი მისწერა. დიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ფურცელზე დაწერა ერთადერთი სიტყვა, ბეჯითად მოაწერა სახელი, გვარი, კლასის ნომერი და საერთო ნაცნობის დახმარებით, მალე ამ უსტარმა მანანას პალტოს ჯიბეში ამოყო თავი. ამის შემდეგ რამდენიმე დღე შიშით და იმედით ელოდა თავისი კადნიერი მოქმედების შედეგს. მაგრამ შედეგი სრულიად გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა. ერთ შესვენებაზე მასთან მივიდა ვილაც თავმომწონე უფროსკლასელი და მთელი კლასის თანდასწრებით სასტიკად გააფრთხილა, რომ თუ წერილების წერას თავს არ დაანებებდა და, საერთოდ, თუ ამ გოგოს არ შეეშვებოდა, ალიყურს აჭმევდა. ამ მუქარამ სულ მთლად გაანადგურა მისი სიმშვიდე. მისი მგრძნობიარე და პატივმოყვარე ბუნება შეძრწუნდა იმის წარმოდგენაზე, რომ შესაძლო იყო ამხანაგების და, მით უმეტეს, მანანას წინაშე ვილაცას მისთვის სილა გაერტყა. ამის შემდეგ გაუმძაფრდა საკუთარი უღირსობის გრძნობა. ასე გავიდა წელიწადი. მისი სიყვარულის შესახებ ყველამ გაიგო. ეს კიდევ უფრო დამამძიმებელი გახდა თამაზისთვის. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ვერაფრით გაბედავდა, ვერც კი დაუშვებდა მანანასთან მიახლოებას, თუნდაც ერთი სიტყვის თქმას. ეს იყო არაამქვეყნიური არსება, რომელსაც ხელით ვერ შეეხებოდა. ამის გამო ამხანაგები დასცინოდნენ. ერთხელ ერთმა მეტიჩარა და გაპრანჭულმა ბიჭმა, რომელიც მასთანაც ამხანაგობდა და მანანასთანაც - რაც თამაზს სიხარულით ავსებდა და თან უზომოდ შურდა - პირდაპირ უთხრა, რომ მანანა მას ზედაც არ შეხედავდა, რადგან თამაზი ცუდად იყო ჩაცმული და მის ოჯახში სიდუხჭირე სუფევდა. ეს სიტყვები ღრმად ჩარჩა გულში, გრძნობდა, რომ თავისი სიყვარულის ობიექტი მისთვის თანდათან უფრო მიუწვდომელი ხდებოდა. ერთხელ მოზარდ მაყურებელთა თეატრში შეხვდა. და მისმა სილამაზემ იმდენად დაარეტიანა და იმდენად მიუწვდომელი ეჩვენა იგი და იმდენად ამაო - თავისი გრძნობა, რომ შებრუნდა და უკანმოუხედავად გაიქცა. უკნიდან ესმოდა ამხანაგების ხარხარი და ერთი თავგასული ამხანაგის შეძახილები: "თამაზ! თამაზ! სად გარბიხარ ბიჭო! ვაი, შე ფარჩაკო!". ისინი ამ დროს უკვე მერვე კლასში იყვნენ. ქალიშვილები და ჭაბუკები, დადიოდნენ თეატრში, კინოში. მანანას უკვე რამდენიმე კავალერი დაჰყვებოდა. ყველანი - უფროსები, ძლიერები და ფსიქოლოგიურად მდგრადები. ხანდახან მანანას გამო ჩხუბიც ხდებოდა. ერთხელ თამაზსაც მოუწია მის გამო ჩხუბი თავის ტოლ და მასსავით უშანსო, მაგრამ ამის მიხვედრის ვერშემძლებელ ბიჭთან. რატომღაც ამ ყმაწვილმა, რაკი მანანასთან დაახლოების არანაირი შანსი არ ჰქონდა, საჭიროდ მიიჩნია, რომ ის დაბრკოლება მაინც ჩამოეშორებინა, რაც, მისი აზრით, მისთვის შედარებით იოლი გადასალახავი იყო, და ამ მხნე შემართებით აღძრულმა სწორედ თამაზის გალახვა მოიწადინა. იჩხუბეს ერთი ერთზე. სკოლის მიმდებარე უკაცრიელ გვირაბში. ამხანაგები მათ წრედ შემოერტყნენ ირგვლივ და აგულიანებდნენ. თამაზი იბრძოდა - თავისი სურვილისდა საწინააღმდეგოდ, თავს იცავდა, უტევდა, ესმოდა ამხანაგების ღრიალი და თვან თვალები ცრემლით ევსებოდა - იმდენად შორს იყო ამ მომენტში მისგან მანანა და იმდენად უაზრო იყო ეს უშედეგო ბრძოლა. მანანა უკვე დედოფალივით დადიოდა სკოლაში. მის გარშემო ტრიალებდნენ ტანმაღალი დახვეწილი კავალერები, უფრო გარე ორბიტებზე განლაგებულიყვნენ თამაზის რაყიფივით ბოთე, ან დაბალი წარმოშობის შავ-შავი მოხულიგნო თაყვანისმცემლები. თამაზი კი არც ერთ კატეგორიაში არ გადიოდა - იგი ოცნებაში დაატარებდა მანანას სახეს. თუმცა მისი სახე კარგად არც კი იცოდა, რადგან იმ პირველი შეხვედრის მერე პირდაპირ შეხედვას ვერ უბედავდა. ეს არ იყო კონკრეტული წარმოსახვა - ახსოვდა მხოლოდ მისი წყლისფერი თვალები.

დრო გავიდა. თამაზი წამოიზარდა. და თანდათან მისი სიყვარული გახმა. გახმა და წარსულს შეუერთდა. თამაზის გულში მისი ადგილი დაიჭირა სიცარიელემ, კუშტმა სიამაყემ და გრძნობამ, რომ ისიც დამოუკიდებელი კაცია. მაგრამ უსიყვარულოდ ცხოვრება ძნელი იყო. ამიტომ ამოარჩია ერთ-ერთი, თავისი აზრით - ხელმისაწვდომი გოგო, რომელიც პარალელურ კლასში სწავლობდა, და თავს დირექტივა მისცა, რომ შეჰყვარებოდა. მართლაც, სულ მალე უკვე ეს ახალი გოგო უყვარდა, სახელად - დალი. თამაზს მოსწონდა მისი ტან-ფეხი, თვალ-წარბი, ტუჩ-პირი, უბრალო ჩაცმულობა, და ფიქრობდა, რომ ეს გოგო სწორედ შესაფერისი იყო მისთვის. ამხანაგებმა თამაზის ეს ახალი გატაცებაც გაიგეს და იმდენი მოახერხეს, რომ დალი და თამაზი ერთმანეთს შეახვედრეს. გაცნობა შედგა. რამდენიმე დღის შემდეგ თამაზმა სიყვარული აუხსნა დალის. დალიმ მოსაფიქრებლად ერთი კვირა სთხოვა, ერთი კვირის შემდეგ კი ბოდიშითა და უარით გაისტუმრა. ასე დამთავრდა თამაზის მიჯნურობის ისტორია.

წლები გადიოდა - რის ვაივაგლახით, დედის თავის ტკივილებით, მაიასა და თამაზის გამუდმებული ჩხუბებით. მაშინ ისინი ჯერაც არ დადიოდნენ ეკლესიაში. არ დადიოდა ეკლესიაში არც დედის მეგობარი ქალი, სახელად ელისო, რომელიც მათს ოჯახში შინაური იყო და თამაზმა და მაიამ ბავშვობიდანვე გულისო შეარქვეს. ეს იყო დედის ბავშვობის მეგობარი, მარტოხელა ქალი, რომელიც მოვიდოდა, დაუჯდებოდა დედას და საათობით ებაასებოდა. მაგრამ ქმრის გარდაცვალების მერე დედამ რაღაც აუხსნელი მიზეზის გამო ეს ერთადერთი მეგობარიც ჩამოიშორა. ჩამოიშორა აგრეთვე ორიოდე გამიჯნურებული კაცი, რომლებიც ჯერაც ახალგაზრდა ქვრივთან დაახლოება ეწადათ.

მაიაც გაიზარდა და შეიცვალა. გახდა ამაყი, გულდახურული ქალიშვილი, რომელიც რაღაც თავისი, გაუგებარი და რომანტიკული კანონებით ცხოვრობდა და თუ რამის ამოიჭრიდა გულში, მერე მთელი არსებით საკუთარი მიზნის მონა ხდებოდა. ასე შეუყვარდა მას უნივერსიტეტში სწავლისას თავისი მათემატიკის ლექტორი. ეს კაცი ცოლშვილიანი იყო, ამავე დროს, მაიაზე გაცილებით უფროსი. ამიტომ მაიას სიყვარულიც უპასუხო და კარჩაკეტილი დარჩა. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძნელდა მასთან ურთიერთობა. თამაზი ამ დროს უკვე ოცდაერთი წლის იყო, მაია - ოცის, მამის სიკვდილიდან შვიდი წელი იყო გასული. და მათი ცხოვრება მიდიოდა ისევ არეულად, მარტოობაში, დედის თავის ტკივილებში, და-ძმის ჩხუბში. ასე გრძელდებოდა, ვიდრე ერთ დღეს მათთან არ დაბრუნდა დედის ძველი მეგობარი ელისო, რომელიც ბოლო წლების მანძილზე მათთან თითქმის აღარ გამოჩენილიყო. ელისო ამ დროს უკვე აქტიურად დადიოდა ეკლესიაში და ალბათ წუხდა, რომ თავისდაუნებურად ასე მარტო მიატოვა გაჭირვებაში ჩავარდნილი ძველი მეგობარი, თანაც ალბათ უნდოდა მისიონერული ვალიც მოეხადა. იგი დაბრუნდა და თან მოიტანა სრულიად ახალი ცხოვრება - ეს იყო ეკლესიური ცხოვრება, რაზედაც მანამდე არც დედასა და არც შვილებს წარმოდგენა არ ჰქონდათ - მათ სიონის ტაძრის ადგილსამყოფელიც კი არ იცოდნენ. პირველი დედამ შედგა ფეხი ტაძარში. ამან მის ცხოვრებაში ახალი ინტერესები შემოიტანა. იგი და ელისო ერთად ესწრებოდნენ წირვა-ლოცვებს, იქიდან დაბრუნებულები ისხდნენ სამზარეულოში, ძველებურად სვამდნენ ყავას და საათობით მასლაათობდნენ. ოღონდ ამჟერად უკვე - მართლმადიდებლურ საკითხებზე. მალე მათ მაიაც შეუერთდა და, თავისი ჩვეული შეუპოვრობითა და სიბეჯითით, სულ მთლად გადაეშვა საეკლესიო ცხოვრებაში. იგი ჩამოშორდა ძველ მეგობრებს, გარდა იმათი, ვინც მასთან ერთად დაიწყო ეკლესიაში სიარული. შეიძინა სხვა, ახალი, ეკლესიური მეგობრები. გაიჩინა მოძღვარი, რომლის დაუკითხავად უკვე ნაბიჯსაც აღარ დგამდა. გალობდა გუნდში, ეხმარებოდა მესანთლეებს, წმენდდა შანდლებს და ამზადებდა სამარხულო კერძებს. დედა კი გამუდმებულ პანაშვიდებს უხდიდა განსვენებულ მეუღლეს, დადიოდა შავი კაბით და სხვა მეუღლედაკარგულ ქალებთან ერთად უსმენდა პატრიარქის დამამშვიდებელ ქადაგებებს. საკვირველი იყო, რომ მას, ეკლესიაში მისვლისთანავე, ჩვეული თავის ტკივილები აბსოლუტურად მოეხსნა.

"რას ჰგავხარ, ბიჭო, თამაზ" - ეუბნებოდა დედა - "მალე ოცდახუთის გახდები და კაცს არ ჰგავხარ, ცოლშვილი შენ არა გყავს, საქმეს შენ არ აკეთებ, ეკლესიაში შენ არ შედიხარ... ეეეჰ, რა უნდა გელაპარაკო, რატომ საცოდავი მამაშენი ვერ გხედავს ახლა"... - სინანულით აქნევდა დედა თავს. და თამაზიც გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც უნდა შეცვლილიყო - ასე ამაოებაში და ფარულ ბოღმებში ხარშვა აღარ შეიძლებოდა. ასე მის სიკვდილი ეწერა. დედა და ელისო სამზარეულოს მაგიდას მისხდომოდნენ, წინ ყავის ჭიქები ედგათ. დედა, ჩვეულებისამებრ, სიგარეტს ეწეოდა. სამზარეულოს ფანჯრიდან გვიანი ზამთრის მზის სხივები შემოდიოდა, მათი ფანჯრის წინ ჭადრის გაშიშვლებულ კენწეროებზე მომცრო ბურთები ეკიდა. სხივები ეცემოდა მაგიდაზე მდგარ ყავის ჭიქებს, საფერფლესა და საფერფლეზე ჩამოდებულ სიგარეტს. ყავისა და თამბაქოს კვამლი ზანტად მიიზლაზნებოდა მზის თბილ სხივებში და ზემოთ ჩრდილოვან ჰაერს ერწყმოდა. დედამ ყავის ფინჯანი ხელში აიღო, სამზარეულოში შემოსულ თმააბურძგნულ თამაზს შეხედა და ელისოს უთხრა:

"შეხედე ერთი, რას დაემსგავსა! დაყიალობს ავარასავით, სახლში შუაღამემდე არ ბრუნდება, ლოთობს. ეს იმედი ჰქონდა მამამისს მაგისი?"

"რა გინდა, ქალო!" - ჩაიბურტყუნა თამაზმა და თმაზე ხელი გადაისვა - ის უკვე დიდი, დამოუკიდებელი ბიჭი იყო.

"რა მინდა და ის მინდა, რომ კაცს დაემსგავსო!" - მოკლედ მოუჭრა დედამ.

ელისომ თამაზი აათვალიერა და წარბების აწევით თქვა:

"იცი რას გეტყვი, თინა, ამას, შენ რო იცოდე, არაფერიც არ უჭირს. ცოტა ნორმალურად უნდა ჩაიცვას, თმა დაივარცხნოს, და მორჩა და გათავდა".

"აბა კი, ეგ უშველის! - სარკასტულად თქვა დედამ და ყავის ჭიქას მიუბრუნდა - უსაქმურია და ზარმაცი. სამსახურში არაფერს აკეთებს, ოჯახში თითს ვერ გაანძრევინებ, ცოლის მოყვანა რა არის, ისიც ეზარება!"

ელისო დაფიქრდა და მერე თქვა:

"მე გეტყვი, მაგან რა უნდა გააკეთოს. მივიდეს ერთხელ მამა დავითთან, აღსარება უთხრას, ეზიაროს... თამაზ, ბიჭო, გესმის? მიდი მამა დავითთან და აღსარება უთხარი. დამიჯერე, არ შეიძლება ამან არ დაგამშვიდოს. ჯერ ერთი თავისთავადაც კარგია, მერე კიდე, მამა დავითი ერთი კარგად დაგარიგებს ჭკუას. რაც არ უნდა იყოს, ახალგაზრდა კაცია. შენისთანა ბევრი უნახავს".

"ეეჰ, აღსარება არა!.. სააღსარებო რა გამიკეთებია!" - ხელი ჩაიქნია თამაზმა და დაძაბულად გაიცინა.

"ჰო, შენ იცინე, და სადაც მიგიყვანს მასეთი ცხოვრება, დაინახავ" - თქვა ელისომ და დედასთან მასლაათი განაახლა.

თამაზი კი ოთახში გამოვიდა და დაიწყო ფიქრი, რომ იქნებ მართლაც დაეძლია სიმორცხვე და ერთი აღსარება ეთქვა - იქნებ მაშინ მაინც შველებოდა რამე. მაგრამ როგორ უნდა გაემხილა მთელი ის სიბინძურე, რაც მის კომპლექსებით სავსე და ჩამპალ გულში ტრიალებდა. მთელი ის არაადამიანური გრძნობები და წარმოსახვები, რაც წლების მანძილზე უკვე მისი შემადგენელი ნაწილი გახდა და აწ უკვე, ალბათ სამუდამოდ, მის ბუნებად ქცეულიყო. რომელი მღვდელი არ განცვიფრდებოდა და ზიზღით არ შეხედავდა, როდესაც მისგან მოისმენდა გულში ჩამარხულ პათოლოგიურ ვნებებს, სექსუალურ ფანტაზიებს, შურისა და ჩახშული აგრესიის ავადმყოფურ გამოვლინებებს, რომლებითაც, ერთადერთით, ავსებული იყო მთელი მისი შინაგანი ცხოვრება და თვით მთელი საარსებო სივრცე. ან თვალი როგორღა უნდა გაესწორებინა ამის შემდეგ მოძღვრისათვის?!. არა, არა! ქუჩიდან შემოიჭრა მანქანის გაბმული გუგუნი, იკარუსის კივილნარევი სიგნალები და მუხრუჭების ხმა. მისი ფანჯრის წინ მტრედების გუნდმა ჩაიქროლა და მეზობელ შენობას მიეფარა. დედა და ელისო დერეფანში გამოსულიყვნენ და იქ რაღაცას ფართიფურთობდნენ. ისმოდა ტელეფონის ციფერბლატის ტრიალის ხმა - დედა ტელეფონზე რეკავდა. "უთხარი, მწუხრის ტიპიკონი წამოიღოს" - გამოსძახოდა ელისო. "მალე, ქალო, მალე! დაგვაგვიანდება" - ისმოდა მისი ხმა. თამაზი ფანჯარას მოშორდა და დერეფანში გავიდა. "მიდიხართ?" - ჰკითხა ქალებს. - მათ უკვე პალტოები ეცვათ. ელისოს ხელში რაღაც წიგნი ეჭირა.

"აჰა, გამომართვი - მიმართა მოულოდნელად თამაზს - აიღე და წაიკითხე. ზიარების ლოცვებია. აღსარებას რომ იტყვი, მერე ამას წაიკითხავ და ეზიარები, თუ გაზიარა მღვდელმა. ჰა! გამომართვი!" - ელისო გადაშლილ წიგნს თამაზს აჩეჩებდა ხელში - აი, აქიდან დაიწყე და აქამდე მიდი. - ხელით აჩვენებდა - ამ ძირითად ლოცვებს ჯერ ნუ წაიკითხავ. მარტო შესავალი ლოცვები იკითხე. თამაზმა წიგნი ჩამოართვა.

"ელისო! ელისო! გამოადგი ფეხი, რას ჩარჩი მანდ! ქუჩაში ეთერი გველოდება!" - ამოსძახოდა დედის ხმა სადარბაზოდან.

"აბა ჩაო" - თქვა ელისომ, თამაზს ხელი დაუქნია, გავიდა და კარი მიიჯახუნა. თამაზი წიგნით ხელში დარჩა ცივ დერეფანში. სადარბაზოდან ჩახშობილად ისმოდა დედისა და ელისოს ურთიერთმიმართული შეძახილები. მერე ესენიც მიწყდა. თამაზმა კარი გადარაზა, ოთახში შებრუნდა, მაგიდასთან დაჯდა და წიგნი წინ დაიდო. ეს იყო საეკლესიო კალენდარი, გადაშლილი ზიარების ლოცვებზე. "დასაწყისი ლოცვები" - ეწერა პირველ გვერდზე. თამაზმა რამდენიმე სტრიქონს გადაავლო თვალი, მაგრამ ვერაფერი იგრძნო. გადაშალა. "სძლისპირი. ტროპარი. სძლისპირი. ტროპარი"... - კიდევ გადაშალა - "ფსალმუნი 22, ფსალმუნი 115... "უფალო შეგვიწყალე. 40-გზის"... მეტანია რაოდენიცა გენებოს"... სძლისპირი... ტროპარი, ხმა 3... ხმა 7... ლოცვა წმიდისა დიდისა ბასილისა... ლოცვა წმიდისა სიმეონ მეტაფრასისა 3... მისივე - 4..." მერე აქა-იქ ტექსტსაც შეავლო თვალი - "მეზვერე და ვითარცა უძღები,.." - წაიკითხა ერთგან. "მასწავე მე სრულყ..." "მკვიდრებულად და ეგო ჩემ შორის თანა..." მისი თვალი თავისთავად მისდევდა შემდეგ სიტყვებს: "ვითარცა არა ულირს იჩინე შესვლად და სერობად ცოდვილთა თანა, სახლსა სიმონ კეთროვნისასა, ეგრეთვე სათნო იყავ შემოსვლად სახლსა მდაბლისა სულისა ჩემისასა, კეთროვანსა და ცოდვილსა"... "განსწმიდე სული

## ქალაქური პროზა

ჩემი და ხორცნი, გონება და გული, თირკმელნი და ნაწლევნი, და ყოვლითურთ განმაახლე, რამეთუ ვარ უფსკრული ცოდვათა"... კიდევ ერთი ფურცელი გადაშალა და ამოიკითხა: "რომელი ცოდვა არა ვქმენ, რომელი ბოროტი არ გამოვისახე სულსა შინა ჩემსა. და საქმითა ვქმენ სიძვა, მრუშება, ამპარტავნება, მთრვალობა, სიცილი უჯერო, სიძულვილი, შური, უძღებება, სახმართმოყვარება, ანგარება, დიდებისმოყვარება, ტაცება, უსამართლობა, საძაგლის შეგინება, ხდომა, წყევა, უსჯულოება, ყოველნი საცნობელნი ჩემნი და ყოველნი ასონი შევაგინე, განვხრწენ, უხმარ ვყვენ, და ყოვლითურთ საფარდულ ეშმაკთა ვიქმენ და უსჯულოებანი ჩემნი აღემატნეს თავსა ჩემსა"... - კითხულობდა თამაზი. რამდენიმე სტრიქონი გამოტოვა და განაგრძო: "ყოველი არაწმინდება დავისახე სულსა შინა ჩემსა, ყოველი ბოროტისმეტყველება და ხელოვნება საეშმაკო, განმხრწნელობა, ხდომა, ჩუკენობა, წულთმხრწნელობა, და სხვანი რიცხვით ბევრნი ვნებანი არა მოაკლდეს ჩემგან" - ეწერა მის წინ. თამაზი შეკრთა. "ჩუკენობა, მგონი, ანანიზმი უნდა იყოს. მაგრამ ეს წულთმხრწნელობა რაღაა? ნუთუ პატარა ბავშვების გარყვნაზეა ლაპარაკი?!" - იფიქრა და კვლავ წიგნში ჩარგო თავი: "ყოვლადსაკვირველი მეუფეო, ძვირუხსენებელო უფალო, საკვირველ ჰყავ წყალობა შენი ჩემზედა - ეწერა იქვე - რამეთუ არა სანადირო ვიქმნე გონიერისა მგლისა". სხვა ლოცვა იოანე ოქროპირისა... სხვანი ესე მეტაფრასისანი... შემდგომად ტროპარი ესე: "დამატკბე სიყვარულითა... მერმე ლოცვა ესე... და კვალად: სერობასა საიდუმლოსა შენისასა".

ამ სიტყვებით ტექსტი მთავრდებოდა.

თამაზმა წიგნი დახურა და დაფიქრებული შეაცქერდა ფანჯარას. მზე ანათებდა. ნაძვის კენწერო ნელა ირხეოდა ნიავზე. ზედ იჯდა და ხმამაღლა ჩხაოდა ყვავი.

"რამეთუ მე ვარ უფსკრული ცოდვათა" - იფიქრა თამაზმა და გაიზმორა... გარედან შემოდიოდა ქუჩის ხმაური და მანქანების სიგნალები.

... ცხოვრება კვლავ თავისი გზის მიღოღავდა. თამაზი დადიოდა სამსახურში, შინ დაბრუნებულს ხვდებოდა სამარხვო ან არასამარხვო სადილი, დედა, მაია, ელისო, ხანდახან მაიას ამხანაგებიც მოდიოდნენ და ოთახი ქალებით ივსებოდა. აქ იყვნენ ყოფილი თანაკურსელები, ამჟამად მაიასთან ერთად ეკლესიის ერთგული წევრები. გოგონები, რომელთაც ბედმა არგუნა გაუთხოვრად დარჩენა - ყოველ შემთხვევაში, ამ დრომდე მაინც. ზოგიერთი მათგანი ფრიად სიმპათიური იყო და თამაზი მუშტრის თვალით უყურებდა, განსაკუთრებით - ორს, მაიას ყოფილ თანაკურსელებს, რომელთაც ადრიდანვე იცნობდა - ნინოს და ასმათს. ნინო იყო ნათელ-მოყვითალოთვალებიანი გოგო, რომელსაც სახეზე ანგელოსის მსგავსი გულუბრყვილობა ეხატა. ასმათი კი - ოდნავ უფრო მაღალი, შავგვრემანი, მუქ და ნუშისებრთვალებიანი ქალიშვილი, რომელსაც ჰქონდა მოგრძო სახე და ზედა ტუჩი ვნების აღმძვრელად წამოწეოდა წინ. ეს გოგონები უწინაც დადიოდნენ მაიასთან, ისხდნენ, მუსიკას უსმენდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ და მხიარულად კისკისებდნენ. ზოგჯერ თამაზიც გამოვიდოდა ხოლმე მათთან, დაჯდებოდა და გოგონების საუბარში ერთვებოდა. იგი ცდილობდა მძლავრი და დამოუკიდებელი კაცის შთაბეჭდილება დაეტოვებინა ქალიშვილებზე. ხუმრობდა, ყველაფერს აბუჩად იგდებდა და თავის თავგადასავლებს ყვებოდა. მაია ამრეზილი ღიმილით შესცქეროდა და დაცინვით ამბობდა: "კაი ერთი, კაი, რას გვატყუებ!" - გოგოები კი მხიარულად კისკისებდნენ და აღტაცებით შეჰყურებდნენ თამაზს. ხანდახან თამაზის რომელიმე ამხანაგიც შეესწრებოდათ. ამ დროს თამაზის გულში ფათურს იწყებდა ეჭვის ჭია - შიშობდა, ვაითუ გოგონებს მასზე მეტად მისი ამხანაგი მოსწონებოდათ. მით უმეტეს, თუ ეს იყო ლევანი - და ამის გამო განსაკუთრებით მკვეთრი და უხეში ხდებოდა. ეს თვისება ამხანაგებმაც შეამჩნიეს და ერთხელ ლევანმა პირდაპირ უთხრა კიდეც. თამაზმა ამ შენიშვნაზე კიდევ უფრო უხეშად უპასუხა, თუმცა, მაინც გულზე მოხვდა და გადაწყვიტა, სულმოკლეობის ასეთი მომენტები აღარ გამოევლინა. შემდგომში, როდესაც გოგონებმა ეკლესიაში დაიწყეს სიარული, მათი შეკრებების ხასიათი შეიცვალა. - მუსიკა და სიგარეტი გაქრა. ახლა ისინი ისხდნენ, საქმიანად საუბრობდნენ, საქმიანად იცინოდნენ და საქმიანად ჭორავდნენ ვიღაცას. და თამაზსაც ნაკლები დარჩა მათთან სალაპარაკო, თუმცა კი მაინც ფიქრობდა - იქნებ რომელიმე მათგანი ცხოვრების თანამგზავრად გამოდგომოდა? ისე, მაინც, რომელი უფრო შეეფერებოდა - ნინო თუ ასმათი? - ფიქრობდა თამაზი და ისევ უჩუმრად ადარებდა ამ ორ ქალიშვილს. მალე მათ დაემატა მესამე კანდიდატიც - მაიას ეკლესიაში შეძენილი ამხანაგი - ირინა. ეს იყო გამხდარი, მაღალყვრიმალებიანი, ფიზიკურად მეტად მიმზიდველი ქალიშვილი. თამაზი ფიქრობდა, რომ ამ გოგოში იყო რაღაც ცხოველური. იგი, თავისი უცნაური აგებულების, კატისებრი გამოხედვისა და ირაციონალიზმის გამო თამაზს უფრო მიუწვდომელი და მისთვის შეუფერებელი ეჩვენებოდა და ეგონა, რომ თვითონ, როგორც მამაკაცი, ასეთ ქალს ვერ დააკმაყოფილებდა. ამ დროს თვალწინ უდგებოდა სხვა, მისი აზრით - ხერხემლიანთა კლასისა და ლომისებრთა გვარის მამაკაცთა კრებითი სახე. მაიასთან სხვა ამხანაგებიც დადიოდნენ, რომელთა სახელებისა და მეტსახელების დახსომება თამაზმს არც უცდია. მაია, რომელიც რაღაც შინაგანი მუხტის წყალობით მეგობრებში მუდამ ლიდერობდა, ამაყად შემოუძღვებოდა ხოლმე თავის ამალას და ოთახი წამსვე ივსებოდა კაბებისა და მანდილების ფრიალით, ქალიშვილთა კისკისით, გადაძახილებით, გაოცებისა და სიხარულის გამომხატველი შეკივლებებით. სამზარეულოში დუღდა ჩაიდანი, ცხვებოდა სამარხვო ნამცხვარი, დედა და ელისო სვამდნენ ყავას, ერთვებოდნენ ახალგაზრდების საუბარში და მთელი სახლი ემსგავსებოდა ქალთა პანსიონს, სადაც თამაზი ბებერი ძაღლივით ეგდო სავარძელზე, ზერელედ ხუმრობდა, სიმპათიურად იღიმებოდა და თავის გულს ჩაჰკირკიტებდა. იგი წარმოიდგენდა, რომ ერთ დღეს, როდესაც ყველანი ეკლესიაში იქნებოდნენ გაკრეფილი, შემთხვევით კარზე მოადგებოდა ირინა, რომელსაც თამაზი მაშინვე მაჯაში ხელს სტაცებდა და ხანგრძლივი და მწველი მზერით ჩახედავდა თვალებში. ქალიშვილი ჯერ წინააღმდეგობას გაუწევდა, მაგრამ მერე თანდათანობით დანებდებოდა და თამაზი იყო მხურვალე მიჯნური, რომლის მძლავრ მკლავებში სიამოვნებისგან დნებოდა კარაქისფერი ქალი. მეორე მხრივ, მისი წარმოსახვა სწვდებოდა მომავალ წლებს. აქ უკვე იგი იყო ოჯახის მამა, ოჯახის სრული მეუფე და ბატონ-პატრონი. ჰყავდა ცოლი, შვილები, და მათგან უმცროსი - სახელად იაკობი. ჰქონდა საკუთარი სახლ-კარი, ცხენი, იარაღი, ძაღლები. ამ დროს მის გულში იღვიძებდა მამური და მშობლიური გრძნობა, და ფიქრობდა, რომ სინამდვილეში მუდამ ერჩივნა პატრიარქალური წესრიგი. თუმცა, ეს ორივე წარმოსახვა წარმოსახვად რჩებოდა. უძრავი თამაზი კი უფრო და უფრო ეძვებოდა ფსკერისკენ და ვერავითარი კონკრეტული ნაბიჯი ვერ გადაედგა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში ლევანი - თავისი ამხანაგი - არ შეხვდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## ქალაქური პოეზია

გიორგი მირზაშვილი

■ ■ ■

სტუმარი მაგიდასთან. ნამცხვარი "იდეალი".
ქენჯნა სინდისის, სევდა თბილისის.
საფერფლე ნიკელირებული. პრემია დევალვირებული.
გიტარა ჰავაის, სიტარა შანკარის.
ყანჩელი თბილისშია, ლენონი კომპაქტ-დისკზე.
ღამის კურიერში - ეკა ხოფერია.
ბოთლი "ენისელი", ძველი კოლექცია.
ყავა ხსნადი "ჩიბო", ჩაი ცეილონის,
სუფრა ნეილონის.
პური "თბილისური", ლიმონი ქართული.
სტუდია-დიალოგი, არხი "იბერია".
"კმარა" ტროტუარზე. ისევ დეპრესია,
10 ივნისია, "Life could de a dream"...
ისმის რადიოში...
ანდრო ბუაჩიძე - "მოძრაობა წრეში",
ზუსტი რეცენზია, არ მაქვს პრეტენზია.
ტაქსი სამარშრუტო - თვალებმიბნედილი
ხალხით გატენილი.
თილი ფიალაში, მწერი მაგიდაზე.
"მზერა" გამჭოლია, ინგა გრიგოლია,
ხმა ომახიანი, სრული იდილია.
უცხოა ჩემთვის უსაქმოდ ჯდომა,
ალექსეი სტახანოვი, სიზიფეს შრომა,
ეკლესიასტე - გეგმა ვადამდე...
ვისთვის?
როდემდე?
სადამდე?

■ ■ ■

ჩამოსასხმელი ღვინო და არაყი.
ქუჩა ძნელაძის, არჩილი აღარ არი...
ედმონდ გაბრიელი. დარბაზი ცარიელი.
წითელი ხიდი. კომში ცისფერი.
ოქროს ზვინები. ნარინჯის ველი.
მანანა სავარძელში. ნამცხვარი გემრიელი.
მძღოლი თამაზი - "ალდაგი ასისტანსი".
ტატყანი ხელოსნების. ყაყანი მეზობლების.
ჩაქუჩი პნევმატური. გათხარეს ქიაჩელი.
"ოჯახის გაზეთი" - ნუკრი მანჯგალაძე.
პარკეტი სველი. კედელზე აბლაბუდა.
გამთენიისას კონიაკი დააყუდა.
ხედი იგივე. ზებრა ჩაიდანი.
სერგო ქობულაძე - "ქალი დოქებით" -
მუყაო, ზეთი. წლები 30-=იანი.
გუგუნი. როკ ენდ როლი. "Good Golly Miss Molly".
კახეთის გზატკეცილი. ყველი გუდის.
ღვინო საფერავი. იურა კრასნი - რეისი ტრანზიტული.
მოსკოვი. კატერი. ნიუ-იორკი. აღარ არი...
ოპერა სამგროშიანი. შავი ლაქები. თეთრი ქალი.
წამხდარი ქალაქი, წამხდარი ხალხი.
თავზევით ძალა ნამდვილად არი...

■ ■ ■

შპს "მარცხი". პური შეშაზე. BMW ბართან.
ზარი ტელეფონის - ნანა კანდელაკი -
მორიგი შეკვეთა: თაიგული ვარდისფერ ფონზე.
როგორ ჩაივლის აუქციონი?
წყალბადის ზეჟანგი 3%-იანი.
გაბზარული სარკე გარდერობის, შედეგი ლოთობის.
დღეა მზიანი. მაისის 24. 12 საათი და 10 წუთი.
ლოდია მოსულა, არავინ დახვდა.
ლუდი ჩამოკიდა კარის სახელურზე.
"ესპერალი" - აბის ნახევარი, დილაობით შინიდან გასვლამდე.
ალიკა სეფისკვერით. ნაბიჯი ჩქარი. მიიძუძგება.
ეძებე ქალი.
კლუბი "სარდაფი". 6 თებერვალი. პრეზენტაცია. ვარ არეული.
გაზეთი "რეზონანსი", რეპორტაჟი სრული -
"მხატვარი რომელიც ლექსებით ხატავს" - ლელა ოჩიაურის.
17 საათი და 5 წუთი. პერანგი მოკლესახელოებიანი. გაზაფხული.
ჭიქა ფაიფურის, აზიის რუკით მოხატული.
ქვევრი თუ ჭური? გოგრა თუ კვახი?
ჯანჯუხა, ჩურჩხელა, თათარა, ფელამუში.
აყვავდა ნუში.
რგოლი რეზინის. სრული ამნეზია. ავარჯიშე მარცხენა ხელი.
"ოლეტეტრინი". პაჭკორიას წამალი "საყმაწვილო".
არ მიწივლო!
ისევ ორიანი.
გრეტა კობიძე,
მათემატიკა,
ვერ ავითვისე,
არ მევასება.
19 საათი, 25 წუთი. ეთერი პირდაპირი. სად არის "ოქროპირი"?
მე-9 არხი. გია მაჩაბელი. "საუბრები სტუდიაში".
დაუკავშირდით: 75-33-63. მალამო "კოლხური". ჩაი "ასსამი".
ისევ - "- მაროჟნიე!",
ისევ მწერები,
ისევ სტუმრები,
ისევ დაცხება,
ისევ ზაფხული,
ახალი წიგნი გამოვა,
ივნისის ბოლოს ნატო ჩამოვა.

■ ■ ■

ნიავი. ქიაჩელი. №13.
ანგრევენ. შენობა ასწლიანი.
დარჩა აივანი.
ნახარში ნიახურის და ქიშმიშის.
ვინ მიშლის -
დალევას,
არევას,
ყიალს,
ბორიალს?
შროშანი, ვარდი გამხმარი.
ხალხი ნახმარი.
საყდრის კედელთან
სამხარი ყარიბის.

ვაკე. წარდგენა "პარნასში" -
"ნიკალა" - მესამე ტირაჟი,
"კულტურა - ნაკლი მეფური",
კემბრიჯის ოქროს მედალი.

კეფა მელოტი,
ყოფილი ლოთი,
შარვალი ხაკის,
ზაფხული მოდის.
რამდენი წლის ხარ?
ორმოცდაორის.

■ ■ ■

*ბებიაჩემის მარიკა აბრამიას ხსოვნას*

ტყავის ქურთუკი. ბაკენბარდები. ბარდები სანაგვეზე.
შარვალი კლოში ზოლებიანი. ხან მღერის, ხან ბღავის.
ვგლიჯე სიფათი საყვარელ ბელინსკის ასფალტს.
ქალბატონი დარეჯანი - სამი გადასხმა. წვეთოვანი.
თადარიგიანად ჩავედი სარდაფში სურსათ-სანოვაგით.
რა უხიაგიც ვიყავი, ისეთი დავრჩი. ახია შენზე, იჯექი სახლში.
დევნილი მემანქანე ვოვა, სათვალე რქისჩარჩოიანი სქელი
შუშებით - მოლაპარაკე, მოღიმარი. გვარი იმერული,
აქცენტი - მარგალური.
ცალ ხელში ჭიქა, ცალში სიგარეტი. გაზეთი ქონით გაპოხილი,
ტარანი, მინის ტარა, არაყი, ლუდი, სად არის ლიანდაგი?
ბალასტი,
ბაქანი,
ტამბური,
ჯაყჯაყი,
სასადილო სადგურის, კოვზი და ჩანგალი ალუმინის,
ცხარე ხარჩო, ცივი "შუამთა", მუშამბა თეთრი. ღამეა...
ვმკურნალობ.
მავნეა სასმელი.
ღვიძილი,
სიზმარი.
ვისთვის ვწერ, მითხარი?
ჭრიალებს კარი. ისევ აცივდა.
აღდგომა. სუფრა. დოქი "რეგიდრონი".
ქუჩის მხარეს ფანჯრის წინ ლურჯი "ოპელი", ძველი მოდელი.
მზე გამოვიდა,
ვერ დაგშორდები,
დაგელოდები...
ვაგროვებ ნაგლეჯებს - ეპიზოდების, ამქრების,
ლოთების, ძაღლების, დახლიდარების...
დღეს მაისია, თანაც პირველი - დღე სოლიდარობის.
ვულოცავ ყველას:
ზანტებს და სხარტებს,
მუშებს და გლეხებს,
ლენჩებს და მარდებს.
ტრიალებს ლენტი მაგნიტოფონის -
უძლებს, მოძველდა, უჭირს...
თეთრი ნატურმორტი თეთრი თაიგულით, სქელი მონასმი -
ფიცარი, ზეთი.
თევზის რესტორანი, ლოქო ქინძმარში,
ხის ნედლი მასალა ელიავაზე. დახლი, ლურსმანი, ჭანჭიკი,
ქანჩი.
ფასები - დაბალი, ხელმისაწვდომი.
ხის ცეხი, ნახერხი, დაზგის ხმა - შემზარავი.
გ ა ა ს წ ა რ ი...
კედლები შენობის ატკეჩილი, ტელეფონი შავი, მიშას
მეზობელი,
სადარბაზო, ლამპიონები,
კიბეები - სტილი მოდერნი.
კიროვის ქუჩაზე -
ხილბოსტნეულის მაღაზიასთან.
ფერადი რეკლამა - ბავშვთა
სამყაროს თავზე. ღამე.
გრიბოედოვის აღმართი,
დამწვარი საბურავი.
ზურგჩანთა რიგიდან.
"ზვიგენის კბილი".
მუქი ლურჯი შარვალი, პერანგი ბამბის - "აბრამსის" ფირმის,
ფეხსაცმელი ტყავის - იანის...
დავდივარ, ვფიქრობ, ვიხსენებ, ვიგონებ, ადრე მფრინავი
ყოფილა...
კედლებზე ბზარი, ლარნაკში - ბზა.
ობობას ქსელი, სარკმელში - ცა.
ვიგინდარების ბრიგადა. შრაშუნი ლანჩების, წკარუნი
მელოდიური მობილურების...
რა გინდათ?
გიტარის გრიფი, ხმა ხრინწიანი, წავიდა ვისოცკი...
სიმღერა დატოვა...
აღმართი მოსკოვის. ძველი მეგობრები.
ყოფილი ყორღანოვი, ახლა - ქიაჩელი.
სველი ლაბადა. გვაჩერებს ნაცნობი.
პუდრის და ვალერიანის სურნელი. სახლში მომინდა.
- თვალისთვის კარგია "ალბუციდი"...
ზონარი შემეხსნა, მიკრავენ.
"ქსოვილები" მელიქიშვილზე, ნეონის ქალი - რეკლამა
მაღაზიის...
დიდი ასანთის კოლოფი... ზემელზე ვბრუნდებით.
იპოდრომთან ხრიოკი ადგილია. ნივთია ბევრი
გადაყრილი - ჟანგმოდებული. გამომადგება.
ეზო პავლოვის. ვარ დინოზავრი, ანდა ვიყავი...
ჩაჭედე ლურსმანი. ზამბარა დაჭიმე, რამე გამოვა.
დაფრინავს ჩრჩილი. ზეთი ზეითუნის. ძეხვი მიქოიანის.
დელისი, ბაზრობა. სიმთვრალეს სიფხიზლემ აჯობა.
თავს ძალას დავატან, სწორ გზაზე დავდგები.
ფსიქოთერაპია, ფსიქოანალიზი, პტეროდაქტილი,
არქეოპტერიქსი.
უწყვეტი კადრები, ცხელება ღამის, წითელი ტელეფონი,
სიფათი მარქსის,
პენსიონერი ვალიდოლით, ხის გრძელი სკამი.
საათი აფთიაქთან აღარ არი...
ზამბახი ლამაზია, მე ვარდი მირჩევნია...
სახელოსნო გალაკტიონის ძეგლთან, ბოლო სართული,
ედმონდის გვერდზე.
ნატურმორტები, მოწაფეები, ტუმბოები, მუყაოები,
მოლბერტები, ტილოები - დაგრუნტული, დაუგრუნტავი,
გადაწერილი, გადაღუნული, გადაჭიმული, დამსკდარი,
პალიტრები - ზოგი ნახმარი, ზოგიც უხმარი. უთხარი:
როგორ შეხედონ, რა დაინახონ, რა შეიგრძნონ...

■ ■ ■

ანტიციკლონი ციმბირიდან. ბოთლი "ნაბეღლავი"
სად იყავი?
სველდება პიჯაკი. ავდექი ადრიანად. ამინდი ავდრიანი.
ქოლგა არ მჭრიდება.
ყაზბეგის აღმართზე "შევროლე" არ დგას.
როდის დადგება ნამდვილი გაზაფხული.
რეპეტიცია გენერალური, პრეზენტაცია, კახა ბაკურაძე,
მასმედია, ოვაცია.
კლუბი "სარდაფი", სპექტაკლი "მიმიკრია",
მიმები, რკინის კონსტრუქცია.
კაკლის არაყი ნისიად, თხილის გოზინაყი.
ვაჟა გიგაშვილი - დიალოგი არშემდგარი.
ფიჟერო ბუხართან ხალხს მოძღვრავს, ქადაგებს.
მოლარე ქეთი. დამესხა რეტი. კედელთან მივწექი.
ვიძინებ. მაღვიძებენ.
სახლამდე ტაქსით მიმაცილებენ, არ დამაყვედრებენ.
ასხმას დაკარგულს გასაღებების
ღვინის სარდაფში მახვედრებენ.

■ ■ ■

სილა ოხრისფერი ბავშვთა სამყაროს ვიტრინაში.
მალამო თურმანიძის მიტკალზე თხლად წასმული.
როყიო ხმა ყურმილში - საიდან არის?
- თქვენ საიდან გნებავთ?

სასოწარკვეთილი, იმედდაკარგული თავს ყულფში
გავყოფდი...
ვალები გასტუმრებული. ლოგინთან ბოთლი წყლით.

■ ■ ■

მაღაზია-სალონი "სანსეტი" გილოცავთ გაზაფხულის
დადგომას!
სანაგვე ყუთთან საუზმობს ბომჟი.
- კუკლა მაწონი! - წყნეთელი მალხაზა.
მშიერი ტაქსისტი. ისევ ქვითრები, ისევ ვალები,
ისევ დუქნები, ისევ კლუბები, ისევ ბარები.
რით ვერ დამშვიდდი? რით ვერ დაწყნარდი?
უიმედობა. "ტელეიმედი". თეთრი ცხელება,
სპორტის ამბები,
ღამის ხილვები,
საფოსტო ყუთში - წმინდა წერილი.
ფეხსაცმლის ზონარს ვეძებდი,
ვერ ვნახე, დაკარგულიყო...

### "ხახვის ცრემლები"

ორაგული "ნიკალაში". ცივი ჩაი. თბილისი. გამზირი
რუსთაველის,
სახეები უცნობი. საქსოფონი. ფილმი "ხახვის ცრემლები".
გადარჩება ჩოხელი? კარგი კადრია. ლიუბეკის ქუჩები.
შპილები.
დაჰყვება ვიდეოკამერით. ეწყობიან ერთმანეთს.
დედის მონოლოგი.
დაღლილი მუსიკოსი.
**LONG LEGGED GIRL WITH THE SHORT DRESS ON**

კიროვის პარკში გავისეირნებ. შევაგროვებ გირჩებს.
თქვენც გირჩევთ.
მომბეზრდა სარდაფი ღვინის. ამ პარკში გავიზარდე.
სილა, პასკები.
ბინტი სტერილური. სმა გადაბმული. დროა გაჩერდე.
საქმეს მიხედე, კმარა...
ელექტრონული, კომპიუტერული, ატონალური მუსიკა.
ჰარისონის გიტარა მიყვარს.
**LONG LEGGED GIRL WITH THE SHORT DRESS ON**

გემრიელია მაკარონი, ზოგიერთს ძალიან უყვარს.
მე მირჩევნია სუკი ძროხის.
ტაფამწვარი ლორით. მალერი. მთვარე სარკმელში.
სარკეში სპარსული ნოხი.
ორგანზეც უკრავს. ფლეიტაც აჟღერდა, ლუდი კარგია,
როკი კი უფრო.
ადის კიბეზე. რეპეტიცია. გერმანელები.
მისდევს კამერით.
დღე იწურება.
**LONG LEGGED GIRL WITH THE SHORT DRESS ON**

კიბეები ისევ. გიუნტერ გრასი. გიორგი.
კონტრაბასი. გერშვინი.
სად არის პარკერის კასეტები? კვარტეტი წმინდა
პეტრეს ტაძარში.
დო. რე. დორე დიდი მხატვარია.
მდორედ მიიზლაზნება დრო.
სალამურზეც უკრავს. მუსიკა ბალეტისათვის. მოტოციკლეტი.
აპლოდისმენტები.
**LONG LEGGED GIRL WITH THE SHORT DRESS ON**

რეზო გზაშია. პროფილი სიგარეტგაჩრილი. სიმპათიური.
მიგნება ლევანის.
მოწაფეები. დერეფანი. პერანგი გასარეცხია?
დილაა თუ ღამეა? "კვალი".
მუსტინი. ტიტრები. ფინალი.
სასულე ორკესტრს დირიჟორობს.
ისევ რიტმი. რიტმი ბონგების.
თეთრი კოლონადა. მომენატრა.
**LONG LEGGED GIRL WITH THE SHORT DRESS ON**
**LONG LEGGED GIRL WITH THE SHORT DRESS ON**

ჩვენთან თბილისში

# ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმი კლუბ-რესტორან "ემიგრანტში"

ნესტან თათარაშვილი

სამშენებლო და სარესტავრაციო სფეროში განსჯის, კრიტიკისა და ანალიზის გარეშე დატოვებული მცდარი გამოცდილება დღემდე დაუბრკოლებლად და "წარმატებით" გრძელდება. ეს უკვე ყველასათვის ცნობილია და ერთი და იგივეს გამეორება ჩვენთვისაც მოსაბეზრებელი ხდება, მაგრამ რა ვქნათ, არ ვისაუბროთ ამ თემაზე? არ გაცნობოთ, რა მდგომარეობაშია ჩვენი არქიტექტურული მემკვიდრეობა? ვფიქრობთ, ამის ცოდნა დღეს ყველასათვის აუცილებელია, მით უმეტეს, რომ ამჯერად არა დაზიანებულ, არამედ განადგურებულ და პატივაყრილ შენობაზე - ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურულ ძეგლზე, ვაშლოვანის ქ. №6, გვსურს მოგითხროთ.

ამბის ცხადად წარმოჩენისათვის თხრობის დაწყება ცოტა შორიდან მოგვიწევს. როგორც ცნობილია, საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საბჭოთა პერიოდში შექმნილმა ძეგლთა დაცვის სამმართველომ ძველი ინერციით განაგრძო მუშაობა. საჭირო რეორგანიზაციისა და ახალი სტრატეგიის შეუმუშავებლობის გამო, აგრეთვე ქვეყანაში გამეფებული უკანონობის, კორუფციის, დაფინანსების თანდათანობითი შემცირებისა და სხვა ბევრი არსებითი პრობლემის ზეგავლენით ეს ოდესღაც მრავალმხრივი ფუნქციის მქონე ორგანიზაცია ბიუჯეტზე ჩამოკიდებულ, სუსტ სახელმწიფო რგოლად იქცა, რომელიც ჯეროვნად ველარც ძეგლებს იცავდა და ვერც უხელფასოდ დარჩენილ საკუთარ სპეციალისტებს.

ძეგლების მეპატრონედ მიჩნეულმა საქართველოს კულტურის სამინისტრომ მისდამი დაქვემდებარებული ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი 2002 წლის 18 მარტს ახალი დებულებით აღჭურვა. სამწუხაროდ, ეს დოკუმენტი წინასწარი კვლევისა და შესწავლის, ქვეყნის სამომავლო ინტერესების, არსებული რეალობისა და დარგის თავისებურებების გაუთვალისწინებლობით შედგა. ამასთანავე, ახლად დაკომპლექტებისას სრულიად არ გაანალიზდა ამ სამსახურის ნაკლი თუ ღირსება, დაშვებული შეცდომები თუ წარმატებები, არსებული მატერიალური თუ გონებრივი რესურსები. ძველი ხელმძღვანელი მშვიდად მოიხსნა, ახალი - უმტკივნეულოდ დაინიშნა. საერთოდ არ მიეცა შეფასება ამ ორგანიზაციის წარსულს, არ მოხდა მისი მომავლის სერიოზული განსაზღვრა. ყველაფერი კვლავ საბჭოთა აზროვნებითა და მიდგომებით განხორციელდა. ცოტათი ადრე მსგავსი სტილით მომზადდა აგრეთვე საქართველოში გამოსული კანონიც "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ". საბჭოურ-კორუფციულმა მოქმედებებმა თავის ზენიტს მიაღწია აგრეთვე ქალაქის მუნიციპალიტეტსა და მისდამი დაქვემდებარებულ არქიტექტურის სამსახურშიც.

საუბედუროდ, ამ ყველაფრის საგანგაშო შედეგები კონტროლის პალატისა თუ პროკურატურის კარადებში კი არაა მიჩქმალული, ისინი აქვეა, ჩვენს გარშემო. ეს არის სამუდამოდ დამახინჯებული ლანდშაფტი, ძველი უბნების ავთენტური იერის დამანგრეველი, უზარმაზარი და უსახო შენობები, დაშენება-მიშენებით თუ რემონტებით "რესტავრირებული" უნიკალური შენობა-ძეგლები, პარკებში წამომართული "ელიტარული სახლები"... მართალია, ვერ ხედავენ, მაგრამ დღეს ბრმებმაც კი კარგად უწყიან, რა სახეს იღებს გარემო ჩვენს დედაქალაქში, კარგი მხედველობის მქონენი კი ჩვეული გულქვაობითა და ოსტატობით აგრძელებენ ქალაქის დამახინჯებას, კანონის დარღვევასა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას. სხვადასხვა აქციებსა თუ პუბლიკაციებში ამ მიმართებით უკვე მრავალჯერ განხილულა ესა თუ ის შემაშფოთებელი მოვლენა, მაგრამ თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე ხდება: პასუხის მაგიერ - საკითხის სრული იგნორირება, დამნაშავეებისა და კანონაღმასრულებლებისაგან - თავხედური დუმილი და გულგრილობა.

ზემოთ აღნიშნული კანონი - "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" (1999 წ. 25 ივნისი. კანონი პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე და ევროსაბჭოს კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის დახმარებით მოამზადა კულტურის სამინისტრომ, პარლამენტარმა გ. შაიშმელაშვილმა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა, რომლის უფროსიც კულტურის მინისტრის ოჯახის ახლობელი დ. ნინიძეა) შორს არის სრულყოფილებისაგან, მაგრამ ახლისა და კარგის მიღებამდე ისევ ამის გათვალისწინებაა აუცილებელი. აქ გარკვევითაა აღნიშნული, ვის ევალება კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

კანონი გვამცნობს, რომ, "1. კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვას ახორციელებენ საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ან/და სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. 2. კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქმნება სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო. 3. სამინისტრო კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში განხორციელებულ საქმიანობას" (კარი II, მუხლი 5, პუნქტი 2). გარდა დეპარტამენტთან არსებული ამ საბჭოსი, კანონით განისაზღვრა, რომ "საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით საქართველოს პრეზიდენტთან იქმნება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო. თავისი სტატუსით საბჭო არის სამთავრობო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 12 მაღალკვალიფიციური სპეციალისტით. საბჭო იქმნება 5 წლის ვადით და მოქმედებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად" (კარი II. მუხლი 11, პუნქტი 1; 2; 3).

ახლახან გამოვიდა ამ კანონის ცვლილებები და დამატებებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ძეგლთა დაზიანების ოპერატიულად აღკვეთისათვის საჭირო ღონისძიებებისა და მისი აღმასრულებლების განსაზღვრა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები - საკანონმდებლო თვალსაზრისით კვლავ მოუგვარებელია. აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ სერიოზული პრობლემაც: როცა ხდება ძეგლის დაზიანება (უნებართვო რესტავრაცია, რემონტი, გადაკეთება, არქიტექტურულ-კონსტრუქციული დეტალების შეცვლა და ა.შ.) და მისაღებია დაუყოვნებელი, უსწრაფესი ზომები ამის აღსაკვეთად, მუდამ უდიდეს დაბრკოლებებს ვაწყდებით, რადგან ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიმართვის მიუხედავად, რაიონული პოლიციის წარმომადგენლები გვიმტკიცებენ, რომ ეს მათ კომპეტენციაში არ შედის და ამის განსახორციელებლად საჭიროა მივმართოთ სასამართლოს.

ამ თემაზე შეკითხვით მივმართეთ პარლამენტარ გ. შაიშმელაშვილს, რომელიც არსებული კანონების შედგენის უშუალო მონაწილეა. აღმოჩნდა, რომ ეს ფუნქცია გააჩნია მხოლოდ არქმშენინსპექციას და სასამართლოს. ცხადია, რომ არსებულმა კანონმა ვერ გაითვალისწინა ძეგლების დაცვის მიმართებით უმთავრესი პრობლემის - მათი დაზიანების დაუყოვნებელი აღკვეთის საჭიროება და ეს საპასუხისმგებლო საქმე დაუდევრად მიანდო ორ ისეთ უწყებას, რომლებსაც აღნიშნული ქმედების დასადასტურებლად და შესამოწმებლად გარეშე ექსპერტების მოწვევა სჭირდებათ, რაც გარკვეულ დროსთანაა დაკავშირებული, და ეს მაშინ, როცა წუთებსაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ, ამიტომ - კომენტარი ზედმეტია.

ამ საკითხს იმიტომ ვეხებით, რომ ჩვენ მიერ განსახილველი შენობის განადგურება დასაწყისშივე დავაფიქსირეთ, მაგრამ რომ არა მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის უფროსის პ. ჟღენტის პირადი გულისხმიერება, მიმდინარე სამუშაოებს ვერაფრით შევაჩერებდით. თუმცა, საბედისწერო შედეგი თავიდან მაინც ვერ ავიცილეთ, და ჩვენდა სავალალოდ, ამაში ავტორთან ერთად მთავარი დამნაშავე კორუმპირებული ჩინოვნიკები ან უმეცარი დამკვეთ-შემსრულებელნი კი არ აღმოჩნდნენ, არამედ საქართველოს რეორგანიზებული ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს კომპეტენტური და ავტორიტეტული წევრები, ისინი, ვინც თავდებად დაუდგნენ ავტორს, ვაჟა ორბელაძეს, და უსაფუძვლოდ ენდნენ მის "პატიოსან" სიტყვას იმის შესახებ, რომ საბოლოოდ ამ ძეგლზე ყველაფერი თავდაპირველი სახით აღდგებოდა. თუმცა ასეთი დაპირება ორბელაძეს მაინც არ ათავისუფლებდა იმისგან, რომ სამუშაოების დაწყებამდე წარმოედგინა ძეგლის სრული ანაზომი დეტალების ასლებითურთ, დოკუმენტური ფოტოები, სხვადასხვა სპეციალისტთა (ხელოვნებათმცოდნე, კონსტრუქტორი, გეოლოგი, შელესილობის, ლითონისა და ხის რესტავრატორი) კვლევები და შესაბამისი დასკვნები.


აივნის ფრაგმენტი უკანა ეზოს მხარეს. 1983 წ.


რესტავრაციამდე. 1997 წ.

ძეგლი რომ ხელის ხლებამდე უნდა დეტალურად დაფიქსირდეს და ჯეროვნად გამოკვლეულ იქნას, ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა ყველასათვის. სხვანაირად როგორ შემოწმდება ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოს ვარგისიანობა? მეცნიერული მიდგომის გარეშე რა განსხვავება იქნება მასა და სხვა შენობებს შორის; თუ ძეგლიც უბრალო შენობასავით დღეს მოდური რემონტით გავაახლეთ, როგორ ფიქრობთ, ის კვლავ ძეგლად დარჩება? ხოლო რაც შეეხება ქვეყნისა და საზოგადოების ურთიერთობებს, უკვე დიდი ხანია ეს შესაბამისი კანონებით რეგულირდება და არა მავანთა პატიოსანი სიტყვით.

ვაშლოვანის ქ. №6 სახლის II სართულზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები 2002 წლის ივნისში, ტელეგადაცემა "თბილისი და თბილისელებისათვის" მოსამზადებელი გადაღებების დროს სრულიად შემთხვევით შევამჩნიეთ და მეორე დღესვე ამავე გადაცემით ვაცნობეთ საზოგადოებას. შეგახსენებთ, რომ ეს შენობა ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურულ ძეგლს და საქართველოში მოდერნის სტილის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა. მსგავს სახლებში ეზოს მხარეს მიმართული მოდერნული დეკორით შესრულებული ხის ტრადიციული აივნები, ზოგადად ინტერნაციონალური სახის მოდერნში, ჩვენი ეროვნული, ტრადიციული ნიშნის შეტანას ადასტურებს. მსგავსი აივნები, საუბედუროდ, მხოლოდ ოთხიოდე თუ შემოგვრჩა თბილისში და დასანანია, რომ აღნიშნული სახლის აივნები, ყველაზე ადრეული და საუკეთესო იყო მათ შორის. საგულისხმოა, რომ გარდა მხატვრული ღირებულებებისა, ამ შენობას მემორიალური მნიშვნელობაც გააჩნდა. აქ, II სართულზე, ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ (1945-1953 წწ.) გარდაცვალებამდე ცხოვრობდა შესანიშნავი მეცნიერი და უდიდესი ეროვნული მოღვაწე, დღეს ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული - ექვთიმე თაყაიშვილი. შენობის პირველ სართულზე უცხოვრია, აგრეთვე, აჭარის საზოგადო მოღვაწეს ჰაიდარბეგ აბაშიძეს.

სატელევიზიო გადაცემის შემდეგ დაგვიკავშირდა ვ. ორბელაძე, რომელიც იყო როგორც საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს, აგრეთვე პრეზიდენტთან შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს ე.წ. თორმეტკაცას წევრი. აღმოჩნდა, რომ თურმე ის ხელმძღვანელობდა ამ სამუშაოებს. მან დაგვამშვიდა, რომ ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით მიდიოდა. გარდა ამისა, ვ. ორბელაძემ გვითხრა, რაკი შენობაში ყველაფერს უცვლელად ვინარჩუნებთ, მხოლოდ დაზიანებულ არქიტექტურულ-კონსტრუქციულ ნაწილებს ვაახლებთ, და აგრეთვე მხოლოდ "სულ ცოტათი" ვაფართოებთ უკანა ეზოს მხარეს არსებულ აივნებს, ამიტომ ძეგლის პროექტის შედგენა საჭიროდ არ მივიჩნიეთო; რაც შეეხება არქიტექტურულ ძეგლზე ნებისმიერი სახის სამუშაოების ჩატარების ნებართვას, რაც აუცილებელია ყველასათვის, გვიპასუხა, რომ ასეთი ნებართვა აქვს და ის გაცემულია დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თ. ნათიძის მიერ. ჩვენ მოვიძიეთ ეს დოკუმენტი. მასში (წერილი №02/270. 05.06.02 წ.) ნათქვამია:

- დეპარტამენტი თანახმაა, ძეგლად აღრიცხულ სახლს (ვაშლოვანის №6) ჩაუტარდეს რემონტი და გამაგრებითი სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

1. ვაშლოვანის ქუჩაზე გამომავალი ფასადი შენარჩუნდეს უცვლელად.

2. არ გაიზარდოს შენობის მოცულობა მიშენებისა და დაშენების ხარჯზე.

დეპარტამენტის ხელმძღვანელობა სთხოვს არქიტექტორ ვაჟა ორბელაძეს, დეპარტამენტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრს, რათა მშენებლებს გაუწიოს სათანადო კონსულტაცია.

ამბებს თანმიმდევრობით რომ მივყვეთ, მოგახსენებთ, რომ დეპარტამენტისაგან ეს პასუხი გაეცა ვაშლოვანის ქ. №6 ბინის მეპატრონის მოქ. გ. წკეპლაძის დეპარტამენტში შემოსული განცხადების საფუძველზე (შემოსული წერილი №253. 04.06.2002, რომელსაც დეპარტამენტის თავმჯდომარის კ. ტრაპაიძის რეზოლუცია ახლავს: "ბ-ნ თ. ნათიძეს, გთხოვთ, მისცეთ ნება მთავარი ფასადის სახის სრული შენარჩუნებითა და მოცულობების

## ჩვენთან თბილისში

დაცვით"), სადაც ის აღნიშნავდა, რომ მისი ბინა დაზიანებულია და მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა მიწისძვრის შემდეგ, ამიტომ იგი თავისი ხარჯებით აპირებს ბინის კაპიტალურ შეკეთებას და დეპარტამენტისაგან ითხოვს თანხმობასა და დახმარებას. სანამ მომდევნო საკითხზე გადავიდოდე, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ წკეპლაძე (თუ ის არის ამ წერილის ავტორი) ცრუობს, რადგან სახლის ტექნიკური მდგომარეობა იმდენად დამაკმაყოფილებელი იყო, რომ დეპარტამენტის მიწისძვრის შედეგების შემსწავლელი შტაბის წევრებს მასზე დაზიანებების ამსახველი ბარათიც კი არ შეუვსიათ. და თუ დაზიანებები არსებობდა, ეს მხოლოდ ხანდაზმულობითა და მოუვლელობით იყო გამოწვეული, და არა მიწისძვრით. თანაც მაშინ, როცა ბინას უკვე აშკარად ახალი მეპატრონე ჰყავდა, განცხადებას რატომღაც კვლავ ძველი მეპატრონე წერდა. თუმცა, შეიძლება საბუთებით ბინა ჯერ კიდევ მის სახელზე ირიცხებოდა, მაგრამ სად იყო ამ დროს ის სავალდებულო ხელშეკრულება, რაც კანონით ძეგლთა დაცვის დეპარტამენტსა და ძეგლის ძველ და ახალ მესაკუთრეს შორის უნდა არსებულიყო, ან თუ არ იყო, რატომ არ დაიდო? მით უმეტეს, როცა გაცხადდა, რომ ძეგლზე მალე აღსადგენი სამუშაოები დაიწყებოდა?

მიუხედავად ვ. ორბელაძისადმი ჩვენი კანონიერი მოთხოვნისა, რომ საბჭოზე პროექტის სათანადო ფორმით დამტკიცებამდე ძეგლზე მიმდინარე ნებისმიერი სამუშაო დაუყოვნებლივ შეეჩერებინა, მან გვიპასუხა, რომ ის რესტავრაციის სფეროში 40 წლის სტაჟის მქონე არქიტექტორია და ჩვენგან არ ესწავლება ძეგლებთან ურთიერთობა, და თუ სურვილი გვაქვს, ჩვენ დავსვათ საბჭოს წინაშე ეს საკითხი. სამუშაოები კვლავ გამალებული ტემპით მიმდინარეობდა, ამიტომ 18 ივნისს მოხსენებითი ბარათით მივმართეთ დეპარტამენტის უფროსს და ვთხოვეთ სათანადო რეაგირება. მან დაუყოვნებლივ გაიზიარა ჩვენი თხოვნა, წერილობით მიმართა მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის უფროსს და მოითხოვა ძეგლზე უკანონო მოქმედებების აღკვეთა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათანადო რეაგირებამ არ დააყოვნა და სამუშაოები მართლაც შეჩერდა. მალე ეს საკითხი ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ოფისში მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე დავსვით, მაგრამ, საზოგადოების არ იყოს, ჟურნალისტებიც დიდი ინერტულობით მოეკიდნენ ამ შემთხვევას.

გარკვეული დროის შემდეგ, ვ. ორბელაძემ პროექტი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარადგინა. მანამდე კი თავის კოლეგებს ამ საბჭოდან: დიმიტრი თუმანიშვილს, გიორგი მარსაგიშვილსა და ნიკოლოზ ვაჩეიშვილს ადგილზე უჩვენა ძეგლზე მიმდინარე სამუშაოები. ორბელაძემ შესაბამისი განმარტება მისცა მათ და დაარწმუნა, რომ შენობის გამაგრების შემდეგ ყველაფერს თავდაპირველი სახითა და ავთენტური დეტალებით აღადგენდა. ისინიც ერთსულოვნად დაეთანხმნენ და სრული ნდობა გამოუცხადეს.

მართალია, თხრობა ცოტა გაგვიგრძელდება, მაგრამ არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ, რომ მსგავსი სიტუაცია დაფიქსირდა აგრეთვე არქიტექტურული ძეგლის, პუშკინის ქ. №1/3 შემთხვევაში. მისი რეკონსტრუქციის ავტორმა, ლ. მეძმარიაშვილმა (ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა) პირობა მისცა საბჭოს, რომ უკანონოდ დანგრეულ შენობის ფასადს კვლავ თავდაპირველი სახით აღადგენდა და სულ მალე წარმოადგენდა ამის ამსახველ პროექტს. დღეს, როცა ეს პროექტი ჯერ საბჭოზე არც გატანილა, ნახევრად დანგრეული სახლის ახლოს უკვე გაჩნდა მომავალი ნაგებობის გამოსახულებით დამშვენებული სარეკლამო დაფა. ძველი ჯერ კიდევ ყველას კარგად ახსოვს. ამიტომ, მკითხველმა თავად შეაფასოს, რამდენად არის პროექტის ავტორი სიტყვის პატრონი და როგორი "სიზუსტით" უპირებს იგი აღდგენას ცნობილი თბილისელი არქიტექტორის ალბერტ ზალცმანის მიერ XIX საუკუნეში აგებულ შესანიშნავ შენობას. გასათვალისწინებელია, რომ მის გვერდით მდებარე საქართველოს ბანკის შენობასაც თავის დროზე საბჭოსა და მეძმარიაშვილის ნებართვით ჩაუტარდა სანიმუშო "რესტავრაცია", რომლის შედეგები და ახალი, ელვარე გუმბათები, დღეს შორი მანძილიდანაც კი კარგად ჩანს.

მაგრამ, დავუბრუნდეთ ჩვენს განსახილველ ძეგლს. სამწუხაროდ, არც მაშინ და არც მერე, უკვე სხდომაზე, პროექტის განხილვისას, არავის გაუჩნდა კითხვა: კონსტრუქციულად მყარ და მდგრად შენობას რაში სჭირდებოდა ასეთი ფუნდამენტური "გამაგრება", მასიური რკინაბეტონით სართულშუა გადახურვისა და სახურავის გამოცვლა და, საერთოდ, რა მიზნით ხდებოდა მისი მოცულობის ასეთი გაძლიერება? ცნობილი იყო სახლის მემორიალური ღირსებაც და განა ქართველთათვის წმინდა სახელი, ექვთიმე, არ ავალდებულებდა საბჭოს, რომ წინასწარ სცოდნოდა, რა დანიშნულებას შეიძენდა ეს სახლი მომავალში? მით უმეტეს, რომ სავალდებულო წესებიც ამას მოითხოვდა ერთმნიშვნელოვნად.

აშკარა დარღვევებითა და არასრული სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიუხედავად, საბჭომ დაამტკიცა ეს პროექტი, რომლის დეტალური განხილვა უკვე სტატიის კი არა, სასამართლოზე გასატანი სარჩელის თემაა. სრულიად აშკარაა, რომ ეს პროექტი, "ვაშლოვანის ქ. №6 II სართულის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია", რომელიც უკვე სათაურშივე მცდარია, იმიტომ, რომ ეს არ არის არც რესტავრაცია და არც რეკონსტრუქცია და, ამასთანავე, გარდა II სართულისა, სამუშაოები I სართულის გარკვეულ ნაწილსაც მოიცავდა თავიდანვე, ძალზე შორს დგას კანონისა და სავალდებულო წესებისაგან. საბჭოზე პროექტი განიხილეს 2002 წლის 29 ივლისს. სხდომას თავმჯდომარეობდა დეპარტამენტის მთავარი არქიტექტორი მალაქია დვალი, სწავლული მდივანი იყო ლეილა თუმანიშვილი. ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ნიკოლოზ ზაზუნიშვილი, დიმიტრი თუმანიშვილი, მამა ბესარიონი (მენაბდე), თამარ ნემსაძე, გელა ჯაფარიძე, გურამ ყიფიანი, ლერი მეძმარიაშვილი, გიორგი მარსაგიშვილი, ვაჟა ორბელაძე. პროექტი დამტკიცდა სრული ერთსულოვნებით, ყოველგვარი შენიშვნებისა თუ შეკითხვების გარეშე. აი, ასე გადაწყდა ამ ძეგლის ბედი, რომელიც, ჩვენდა საუბედუროდ, ალბათ არც პირველია და არც უკანასკნელი.

რაც შეეხება ხშირად ნახსენებ სავალდებულო წესებს, აუცილებელია ამის შესახებაც მოგცეთ მოკლე განმარტება: იმის გამო, რომ ძეგლებთან ნებისმიერი სახის სამუშაოს განხორციელება სამეცნიერო საქმეთა რანგს განეკუთვნება, ის სავალდებულო სამუშაოთა გარკვეულ თანამიმდევრულ სისტემასა და სპეციფიკურ მეთოდიკას ითვალისწინებს, რომელიც იქმნება საერთაშორისო სარესტავრაციო გამოცდილებისა და კულტურული მემკვიდრეობის კანონის საფუძველზე და სავალდებულოა ყველასათვის. ძეგლთა დაცვის სფეროში საბჭოთიდან ნაანდერძევი წესების ინერციული მოქმედებების შესაცვლელად, და აგრეთვე სამეცნიერო მუშაობის აღსადგენად, დეპარტამენტის ხელოვნებათმცოდნეების, ც. ჩაჩხუნაშვილისა და მ. სურამელაშვილის უშუალო ინიციატივითა და დიდი აქტიურობით, 2001 წლის 29 მაისს დეპარტამენტის ძველმა უფროსმა დაამტკიცა უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი: ხუროთმოძღვრულ ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების სავალდებულო ნიმუში. მისი მნიშვნელოვანება გაიზიარა ახალმა ხელმძღვანელმაც და შესაბამისი ბრძანებით (№03/17 15.04.2002) დაამტკიცა: 1. ხუროთმოძღვრულ ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების სავალდებულო წესი და 2. საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან არსებული სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე წარსადგენი პროექტების თანმხლები სავალდებულო დოკუმენტაციის ნუსხა.

აშკარაა, ამ პოზიტიური მოვლენის განუხრელი დაცვა ამ დარგისათვის შელახული მეცნიერული ღირსების რეალურად დაბრუნებას და საქმის სწორად წარმართვას უზრუნველყოფდა. ამ წესის გაცნობა ჩვენი მოქალაქეებისათვის (და განსაკუთრებით მათთვის, ვინც შენობა-ძეგლის მობინადრე ან მესაკუთრეა) აუცილებელია და მათ ამჯერად შემოკლებული სახით გაგაცნობთ: ე.ი. პირველი ეტაპია - საპროექტო წინადადების წარდგენა; მეორე - ესკიზური პროექტი; მესამე - მუშა პროექტი; მეოთხე - შუალედური ანგარიში პროექტის განხორციელების პროცესში; მეხუთე - სამეცნიერო ანგარიში; მეექვსე - სრული დოკუმენტაციის პაკეტის ერთი ეგზემპლარის ჩაბარება ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის არქივში და მეშვიდე - ძეგლის მიღება. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მხოლოდ თითოეული მათგანის დამტკიცებისა და განხორციელების შემდეგ შეიძლება მომდევნო ეტაპზე გადასვლა.

ცხადია, ამ წესებისა და აგრეთვე კანონის ცოდნა, სავალდებულოა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებისა და სპეციალისტებისათვის, მაგრამ მის გვერდის ავლას ხშირად ცდილობენ თავად ის პირები, ვისაც უშუალოდ ევალება წესების თანმიმდევრობის დაცვა და ჩატარებული სამუშაოების კონტროლი. სწორედ ასეთ სამწუხარო შემთხვევაზე ვსაუბრობთ ახლა და ისმის კითხვაც: რატომ აუარა გვერდი ავტორმა და სამეცნიერო საბჭომ ასე აშკარად კანონსა და სავალდებულო წესებს, იმას, რასაც თავად სხვებს ავალებენ და უმოწმებენ? აქ უკვე სხვა, ურთულეს საკითხს ვაწყდებით: საერთოდ ითხოვს თუ არა ეს საბჭო ყველასათვის სავალდებულო წესების დაცვას და ჯეროვნად ამოწმებს განსახილველ დოკუმენტაციას? იცავს კანონს? საინტერესოა, ვინმე თუ დაინტერესებულა ამ საკითხის შესწავლითა და შემოწმებით. ამის გაკეთება კი, ვფიქრობთ, სასწრაფო და გადაუდებელია.

აშკარაა, ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაში შედარებით უკანა პლანზე გადადის სახლის მფლობელის, ე.წ. დამკვეთის ბრალეულობა. მან გადაწყვიტა თბილისში კლუბ-რესტორან "ემიგრანტის" გახსნა და გახსნა კიდეც. ვინ აურჩია ეს სახლი და როგორ მოხდა მისი შესყიდვა, ეს ჩვენთვის უცნობია. სამაგიეროდ, ახლა უკვე ყველასათვის ცნობილია, თუ ვისი ნებართვით და როგორ წარიმართა რესტორნად და მუზეუმად მისი გადაკეთება. ქალაქმა შეიძინა ეგზოტიკური "რესტორანი მუზეუმითურთ", ქვეყანამ კი დაკარგა ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლი, ასი წლის წინათ, 1903 წელს აშენებული მოდერნის სტილის საცხოვრებელი სახლი.

დღეს ამ შენობას ავთენტური დეტალების იმდენად უმცირესი ნაწილებიღა შემორჩა (I სართულზე მცხოვრები ჭურაძეების საცხოვრებელი ბინის ფრაგმენტები), რომ ნამდვილად შეუძლებელია მისი, როგორც ძეგლის, სიცოცხლის გახანგრძლივება, თუნდაც კომის მდგომარეობაში. გარდა იმისა, რომ სახლი დღეს სულ სხვა ფერისაა, მის მთელ პერიმეტრზე - ფასადებზე, სახურავზე, ფასადის წინ ტროტუარზე, ინტერიერსა და ეზოშიც გაჩენილია დიდი რაოდენობის ახალი ფორმები და ნაწილები, რომლებიც ძველის მსგავსი ფორმით არის შესრულებული, რაც უფრო ტრაგიკომიკურ იერს აძლევს ამ შენობას. ვფიქრობთ, ამ არქიტექტურული გაუგებრობისათვის აუცილებელია ძეგლის სტატუსის დაუყოვნებელი ჩამორთმევა. ეს უკვე აღარ არის საქართველოს ეროვნული ძეგლი, ეს მხოლოდ და მხოლოდ ორბელაძის, ბუღაძისა და სხვათა შემოქმედების უშუალო ნაყოფია. თუ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სამეცნიერო საბჭო და ჩვენი სპეციალისტების უმრავლესობა ამას არ ეთანხმება და მხარს კვლავ ორბელაძეს უჭერს, ცხადია, ეს საქართველოში ახალი სარესტავრაციო ეპოქის დადგომას მოასწავებს. უმრავლესობის წინააღმდეგ, ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია, მორჩილად დავხევთ ვენეციის ქარტიას და შემწყნარებლურად დაველოდებით ამ დარგში ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მთავარი სამეცნიერო-მეთოდური საბჭოსა და ორბელაძის ახალი მეთოდოლოგიური მიგნებების დაკანონებას.

ისე, ძალიან საინტერესოა ჩვენი ოპონენტების იმ არგუმენტების მოსმენა, რაც გაამართლებს ამ სახლის გაკლუბ-გარესტორნებას და ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლის დაღუპვას. ხომ აშკარაა, რომ სახლს სული და ხორცი გააძრეს და მის მაგიერ ყველგან უგემოვნებისა და "ა ლა მოდერნის" კორიანტელი დააყენეს. საერთოდ, დღეს თანამედროვე ქართველ არქიტექტორებსა და დიზაინერებში მოდერნის სტილით დიდი გატაცება შეიმჩნევა. ეტყობა, ქართველთა სული და გული საუკუნის წინ მას უმიზეზოდ არ დაუპყრია. საქართველოში მოდერნის საოცარი პოპულარობა ჩვენი ხალხის ერთსულოვანმა თაყვანისცემამ განაპირობა და რეალობაა, რომ ის დღესაც ბევრი ჩვენგანის აღფრთოვანებას იწვევს. მაგრამ განა ასე ძნელია ახლის შექმნამდე კარგად გავეცნოთ ძველ გამოცდილებას, შევისწავლოთ, რას ვქმნიდით საუკუნის წინ? შემდეგ კი გავიზიაროთ, ახლა რას და როგორ ვაკეთებთ. ნუთუ შესაძლებელია ტრადიციის ასე დასამარება და გემოვნების თითქმის უკვალოდ გაქრობა...

კლუბ-რესტორან "ემიგრანტის" შესაქმნელად დახარჯული უზარმაზარი თანხა კარგად მეტყველებს მეპატრონის მაღალქონებრივ შეძლებაზე. მდიდარი ადამიანი ყიდულობს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლს. განა ხშირია ასეთი რამ? რა მოხდებოდა, რომ კაკაბაძის სურვილები, მიზნები და საშუალება ამ ძეგლის სასიკეთოდ და თავად ამ ადამიანის სასარგებლოდ მიგვემართა; ცხადია, თავად პატრონი ვერ არჩევს ნამდვილ ხელოვნებასა და შეთითხნილ სიყალბეს, მაგრამ ხომ ასეთი გაუგებრობებისა და საფრთხის თავიდან ასაცილებლად არის გამოგონილი წესები, კანონები. ბოლოს და ბოლოს რა გამოვიდა: გავანადგურეთ ძეგლი, პატრონს კი შევაჩეჩეთ გაუფასურებული შენობა, რომელიც დღეს ქვეყანაში არსებული ტოტალური უკანონობისა და უგონობის საუკეთესოდ ამსახველია. მწარედ მოატყუეს ბინის პატრონი და სამუდამოდ შეიწირეს მშვენიერი სახლი. დაზარალებულია საქართველოც და მისი სანქტ-პეტერბურგელი "ემიგრანტი" ბიზნესმენიც. მაგრამ ვინ დარჩა მოგებული? არავინ. თუ მას, ვინც ამ რესტორნის "აღმშენებლობით" (ვგულისხმობთ არქიტექტორ-დიზაინერებსაც და აგრეთვე მშენებელ-ინჟინრებსაც - მალხაზ გიგაურსა და რეზო ნებიერიძეს) გაფულიანდა და თავი მოგებული ჰგონია, ძალიან ცდება, რადგან ასეთი საქმეები დავიწყებას არასოდეს ეძლევა.




ახალი წარწერა ფასადზე.




რესტორანი ღიაა, მობრძანდით!

და მაინც რატომ მოხდა, რომ მაინცდამაინც რუსეთში, ამ ჩვენს საბედისწერო ქვეყანაში, მოღვაწე ერთმა ქართველმა, ივანიშვილმა, სოლოლაკის ხეივანი მოგვისპო, მეორემ კი, კაკაბაძემ, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი მორალურად და ფიზიკურად გაგვინადგურა ქალაქის ცენტრში. ალბათ მათ თავიანთი თანამემამულეების მხრიდან მსგავსი ვანდალიზმის ხშირი მაგალითები და ქვეყანაში დამკვიდრებული უკანონობა აძლევთ სტიმულს. და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ეს არნახული უბედურება საზოგადოების მხრიდან დღეს ყოველგვარი რეაგირების გარეშე რჩება, ამ ადამიანებს კი სამუდამო ცოდვა ედებათ, და რისთვის: მათ რომ გონიერი და სინდისიერი თანამზრახველები ჰყავდეთ, ამასთანავე, უკანონობა და კორუფციაც ასე ფრთაგაშლილი არ იყოს ქვეყანაში, ამ მავნე საქმეებში არაფრით გაერეოდნენ, რადგან ვის-ვისს და, ბიზნესმენებს კი არ ესწავლებათ უკანონო ქმედებებით მიღწეული, მოკლევადიანი მოგებით გამოწვეული სამომავლო ზარალის სიმძიმე და მისი მწარე შედეგები.

ვაშლოვანის ქ. №6 რესტავრაცია-ადაპტაცია და იქ წმინდა ექვთიმეს სახლ-მუზეუმის მოწყობა ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ, 1983 წელს, ჩემს სადიპლომო ნაშრომში გვქონდა განზრახული მე და ჩემი დიპლომის ხელმძღვანელს ბატონ სისო კინწურაშვილს. 1986 წელს, კულტურის სამინისტროს ინიციატივით, მის განხორციელებას თითქოს აღარაფერი უშლიდა ხელს, მაგრამ რადგან ვერ მოხერხდა ერთი მოსახლის განსახლება, საქმე სამომავლოდ გადაიდო. შემდგომმა წლებმა კი თავისი აურზაურით ეს კეთილი განზრახვა ყველას დიდი ხნით დაავიწყა. კარგია, რომ ბატონი სისო ვერ მოესწრო თავისი უსაყვარლესი შენობის ასე განადგურებას. ძველი თბილისის მკვლევარი და უანგარო ქომაგი, ის ერთადერთი იყო ჩვენს ინსტიტუტში მოღვაწე ქართველი მეცნიერებიდან, ვინც ღირსეულად აფასებდა არასერიოზულ მოვლენად მიჩნეულ მოდერნის სტილის არქიტექტურას და ასაბუთებდა მის დიდ მნიშვნელობას საქართველოს უახლეს ისტორიაში. ბატონი სისოს სურვილი, მოდერნის არქიტექტურის კვლევისა და გამოვლენის თვალსაზრისით, ნაწილობრივ შევასრულეთ. მოვაწყვეთ ფოტოგამოფენაც, რომელიც მის ხსოვნას მივუძღვენით. გამოფენამ წარმატებით ჩაიარა ჩვენშიც და ევროპაშიც, მაგრამ ამ შენობების დაცვა-გადარჩენა გადაულახავ დაბრკოლებად გვაქვს ნაქცევი.

შეგახსენებთ, რომ უმძიმესი დაზიანებები განხორციელდა და ამჟამადაც (ზოგჯერ ძეგლთა დაცვის სამეცნიერო საბჭოს ნებართვით) ხორციელდება ბევრ საერთაშორისო (თუ გავითვალისწინებთ, რომ მოდერნი, ეროვნულის გარდა, ევროპული მემკვიდრეობის ნიმუშებს მიეკუთვნება) მნიშვნელობის შენობებზე თბილისში და სხვა ქალაქებშიც. ამის კარგი მაგალითებია ეროვნული ბანკის შენობა (ლეონიძის №3), საქართველოს ბანკი (პუშკინის №3), საცხოვრებელი სახლი - რუსთაველის №37 (ე.წ. მელიქ-აზარიანცის სახლი), სამშობიარო (კოსტავას №38), კინოთეატრი "აპოლო" (აღმაშენებლის №135), ყოფილი უნივერმაღი (მარჯანიშვილის №7), კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი (მარჯანიშვილის №8), აღმაშენებლის №27/6, საჯარო ბიბლიოთეკის IV კორპუსი (გუდიაშვილის №7), წმინდა ქეთევან წამებულის №3. ეს ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ ჩვენ მიერ განხილული სახლის მსგავსად, მათთვის ძეგლის სტატუსის ჩამორთმევა გარდაუვალი გახდება, რადგან, ვიმეორებთ, ძეგლი-შენობა მინიჭებულ სტატუსს მხოლოდ იმ განსაკუთრებული ღირსებებისათვის იმსახურებს, რაც მისი ავთენტურობით არის განპირობებული და არა ახალი შემოქმედების შედეგად გაჩენილი ნაწილებითა და დეტალებით. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა აღნიშნული შენობების მფლობელებთან დაუყოვნებლივ უნდა გააფორმოს სავალდებულო სახელმწიფო ხელშეკრულება, რათა ეს ისედაც შელახული ძეგლები მომავალში მაინც დავიცვათ სრული განადგურებისაგან.

დავუბრუნდეთ ჩვენს თემას: დიდი დანანებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროექტის ავტორისა და სამეცნიერო საბჭოს წევრების კანონით განპირობებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში სავსებით შესაძლებელი იყო ამ ძეგლის სანიმუშო რესტავრაცია-ადაპტაცია. იქ თავის ადგილს დაიჭერდა წმინდა ექვთიმეც, და თუ შეუძლებელი გახდებოდა სახლის ახალ ფუნქციასთან მისი ხსოვნის ღირსეული მისადაგება, დარჩებოდა მხოლოდ მემორიალური დაფა. ცხადია, რესტორანში არსებული "მუზეუმი", რომლის ავ-კარგზე ზედმეტია ლაპარაკი, მხოლოდ დამკვეთ-შემსრულებელთა მიერ ნამუსის მოწმენდის მიზნით არის გაკეთებული. საზოგადოება თუ ჯერ ვერ ხვდება, როგორ შეურაცხყვეს ამით წმინდანი, ან რა მიზანმიმართულად დაღუპეს არქიტექტურული ძეგლი, ეს ერთმნიშვნელოვნად ჩვენი საერთო უბედურებაა, რომელიც მალე უნდა გადავლახოთ და გონზე მოვეგოთ.

ვაშლოვანის ქ. №6 მაგალითი ჩვენთვის საშიში პროცესების დაწყების მანიშნებელია: ერთი, რომ თავად სპეციალისტები არღვევენ კანონს და ამით ამდაბლებენ, აუფასურებენ მის მნიშვნელობას; მეორე, სათუოს ხდიან ქვეყანაში კულტურის სამინისტროსა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის საჭიროებას და, მესამეც, დღეს შეძლებული მოქალაქეების ინტერესში ექცევა უკვე ჩვენი ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლების დასაკუთრება. რომელიმე შენობა-ძეგლში ხვალ, მრავალი ღარიბი მობინადრის ნაცვლად, ერთი მდიდარი და ძლიერი მფლობელი მოგვევლინება. როგორ ვაპირებთ ამ პირობებში ძეგლის დაცვას? ალბათ, ეს დიდი პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა გავითავისოთ და ყველა ღონე ვიხმაროთ, რომ, როგორც სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოთხოვნაში ვიყავით ერთსულოვანნი, ასევე ჩვენი კულტურის რეალური დაცვისათვის გავერთიანდეთ და დავიცვათ კანონი; მოვითხოვოთ კანონის დაცვა. აგრეთვე შეძლებისდაგვარად ნათლად განვუმარტოთ ძეგლთა შეძენის მოსურნეებს, რომ ამ ძველი შენობების ნამდვილი ფასი მხოლოდ მათი ავთენტურობის, თავისთავადობის შენარჩუნებით არის განპირობებული და არა შთამბეჭდავი "რემონტ-რესტავრაციის" ჩატარებით. ავუხსნათ, რომ საწინააღმდეგო შემთხვევაში ისინი, გარდა იმისა, რომ კანონს დაარღვევენ და ადრე თუ გვიან ამაზე პასუხს აგებენ, სწრაფად იწნევენ დიდ ფინანსურ ზარალს. რაც ალბათ არავისთვის არ უნდა იყოს სასიამოვნო.

რომელი ერთი უნდა აღვნიშნოთ: დავით სარაჯიშვილის საფლავზე დადგმული საეკლესიო მაღაზია (ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში), რუსთაველის ძეგლთან არსებული "მაკდონალდსი" (ავტორი - ვ. ორბელაძე), მთაწმინდის პანთეონთან ახორხლილი საცხოვრებელი სახლები, უსახური რესტორნებით გადაჭედილი რიყე, ბეტონის კოშკებით დაფარული ბეთლემი, აბანოთუბანში ამოზრდილი მთისხელა სასტუმრო... ამ გრძელ სიას ახლა კლუბ-რესტორან "ემიგრანტში" არსებული წმინდა ექვთიმეს "მუზეუმიც" დაემატა; რა იქნება შემდეგ? სატელევიზიო არხებზე უკვე ტრიალებს კლუბ-რესტორან "ემიგრანტის" სარეკლამო რგოლი, რომელიც ტელემაყურებლებს აცნობს ახალი რესტორნის მისამართსა და ტელეფონს, და ყველა სტუმარს დროის საუკეთესოდ გატარებას ჰპირდება. რეკლამაში ჯერჯერობით არაფერი ისმის წმინდა ექვთიმეს შესახებ, თავად შენობასაც იქ არსებული "მუზეუმის" აღმნიშვნელი წარწერა ჯერ არ გააჩნია, მაგრამ ფასადზე დამაგრებული საბჭოთა დროინდელი ლითონის მემორიალური დაფა ახლა ოქროსფერი წარწერით დამშვენებულმა თეთრი მარმარილოს ფილამ შეცვალა, რომლის სიახლოვეს დიდი ზომისა და თანამედროვე მასალებით შესრულებული წრიული ფორმის სარეკლამო ნიშანია, წარწერით - კლუბი "ემიგრანტი".

გულჩვილმა მკითხველმა მეპატრონის დასაცავად შეიძლება შემოგვწუწუნოს კიდეც, რა ქნას ამაზე მეტი, რაც შეეძლო პატივი სცა იმ კაცს, სხვა რა ექნა, აბა მთელ სახლს მაგას ხომ არ დაუთმობდა? მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, ასეთ დროს კარგად გავიხსენოთ, რომელ კაცზეა ლაპარაკი. მის ყოფილ საცხოვრებელ სახლში რესტორნის მოწყობას, უმჯობესი იყო კაკაბაძეს იქ ისევ თავად ეცხოვრა. მაგრამ მან საცხოვრებლად სხვა ქვეყანა და ქალაქი აირჩია. თბილისში კი რესტორნის გაკეთება გადაწყვიტა.

კაკაბაძემ შეიძლება თავიდან არც იცოდა (თუმც კი ძლიერ გვეეჭვება) ვის ნაქონ სახლს ყიდულობდა სარესტორნედ, მაგრამ როცა გაიგო, უკან მაინც არ დაიხია და ექვთიმეს ხსოვნას იქ მუზეუმის გახსნით "სცა პატივი". აშკარად თუ ფარულად ამას მიესალმა სრულიად საქართველოს ეკლესია, პრეზიდენტი, მთავრობა, კულტურის სამინისტრო, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი და სამეცნიერო საბჭო, მერია, ჩინიანი თუ უჩინო...

ჩვენ კი ამას ვერასოდეს შევურიგდებით.

თქვენ?

*მინაწერი: წერილში ნახსენები არიან ძალზე პატივსაცემი პიროვნებები. ჩვენ მზად ვართ, "დედაქალაქის" ფურცლები დავუთმოთ განსხვავებულ აზრს.*

გახუნებული აფიშა

# პირველი ქართული პროფესიული თეატრის დახურვა

მარიკა წულაძე

გამორჩეული ადამიანის გარეშე შეუძლებელია რაიმე საზოგადოებრივი საქმე გაკეთდეს. სწორედ ასეთი გამორჩეული იყო გიორგი ერისთავი. მასთან და საზოგადოების პროგრესულ ნაწილთან იყო დაკავშირებული პროფესიული ქართული თეატრის გახსნა, რომელსაც დროთა განმავლობაში მთავრობამ და საზოგადოების რეაქციულმა ნაწილმა ეჭვის თვალით დაუწყო ყურება. "თეატრი ცხოვრების სარკეაო" - ასეთი პოზიციით მოღვაწეობდა გიორგი ერისთავი. "სარკეში ჩახედვა" კი ყველას არ მოსწონდა, არ მოსწონდა კრიტიკულად ასახული სინამდვილე და ამიტომ გ. ერისთავსაც, როგორც "არასაიმედო" პიროვნებას, ისე "უყურებდნენ". ბოლოს და ბოლოს, მოახერხეს კიდეც მისი თეატრისგან ჩამოშორება და ამით ვარაუდობდნენ, რომ ქართული თეატრი თავისთავად შეწყვეტდა არსებობას. ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ ქართულ მოწინავე საზოგადოებას არ დაედანაშაულებინა ქვეყნის ხელისუფლება. ამიტომ მისი მხრიდან გრძელდებოდა ოფიციალური მხარდაჭერა.

გიორგი ერისთავის შემდეგ ხელისუფლებამ თეატრის ხელმძღვანელად დრამატურგი ზურაბ ანტონოვი დანიშნა, მაგრამ ანტონოვი ცოტა ხნის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა. ისევ ხელისუფლება ერევა ქართული თეატრის ცხოვრებაში და ხელმძღვანელად ერისთავის უახლოეს თანამებრძოლს ივანე კერესელიძეს ნიშნავს.

ვინ იყო ივანე კერესელიძე?! შეეძლო თუ არა მას ქართული თეატრის არსებობისთვის საჭირო საქმეები ეკეთებინა?! ამაზე პასუხი მისი ბიოგრაფიის თვალის გადავლებამ შეიძლება მოგვცეს.

ივანე კერესელიძე დაიბადა თბილისში, 1829 წელს. მამამისი, ივანე, დასავლეთ საქართველოდან იყო გადმოსახლებული და ცხოვრობდა თბილისში. ითვლებოდა გონიერ კაცად, დაახლოებული იყო არა მარტო აქაურ არისტოკრატიასთან, არამედ მეფისწულებთანაც კი, განსაკუთრებით მეფე ერეკლე მეორის ქალის თეკლე ბატონიშვილის ოჯახთან და ამას მოჰყვა შედეგად ის, რომ თავისი შვილი ივანე თეკლე ბატონიშვილს მოანათვლინა. ივანე პატარაობიდანვე ბატონიშვილის ოჯახში იზრდებოდა. იქვე ისწავლა წერა-კითხვა და შეეჩვია წიგნების კითხვას. სასკოლო ასაკის როცა გახდა, იმავე თეკლე ბატონიშვილმა მოაწყო სასწავლებლად კერძო სკოლაში, შემდეგ კი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. ივანე კერესელიძემ სწავლის კურსი დაასრულა 1850 წელს. ის ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს დადიოდა თბილისში გამართულ ქართულ და რუსულ წარმოდგენებზე და სასცენო ხელოვნება იზიდავდა. მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციის წრეში ტრიალმა, თეკლე ბატონიშვილის ოჯახმა (რომელთა ხშირი სტუმრები იყვნენ პატრიოტულად განწყობილი ადამიანები) ახალგაზრდა ივანეს ჩაუნერგა სამშობლოსადმი სიყვარული და საზოგადოებრივი საქმიანობისადმი ინტერესი. სასწავლებლის დასრულების შემდეგ თავისი ქვეყნის ბედ-იღბლით დაინტერესებულმა ყმაწვილმა კაცმა გადაწყვიტა, ემუშავა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე. ამ მიზნით დაუახლოვდა თეატრს და მის ხელმძღვანელს გიორგი ერისთავს. ამ უკანასკნელმა კი დროულად აუღო ალღო ივანე კერესელიძის სურვილსა და მისწრაფებებს და ის თავის თანაშემწედ დანიშნა. ივანე კერესელიძემ, გარდა იმისა, რომ პრაქტიკულად ეცნობოდა და სწავლობდა სათეატრო საქმეს, ამავე დროს ხელი მოჰკიდა პიესების წერას და გადმოკეთება-თარგმნას. იმავე 1852 წელს რუსულიდან თარგმნა ანბანის შესასწავლი წიგნი. ერთი წლის შემდეგ კი თარგმნა "საკითხავი წიგნი ახალ-მოსწავლეთა ყრმათათვის". ორივე ცალკე წიგნად გამოსცა. ის საერთოდ ბევრს ზრუნავდა ხალხში წერა-კითხვის გავრცელებაზე. 1856 წელს კი თვითონ შეადგინა და გამოსცა "ანბანი ახალ-მოსწავლეთა ყრმათათვის". ამავე პერიოდში დაიწყო მოთხრობებისა და ლექსების წერაც. 1857 წლიდან მან იკისრა ჟურნალ "ცისკრის" რედაქტორ-გამომცემლობა და ამ საქმეს უძღვებოდა 1875 წლამდე. ამას გარდა, იგი სცემდა სხვადასხვა ხასიათის წიგნებს და ავრცელებდა მოსახლეობაში; ასე რომ, ივანე კერესელიძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო, მაგრამ ამ საქმიანობათა შორის მისთვის ყველაზე მთავარი თეატრალური საქმე გახლდათ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თეატრიდან შემოსავალი საცხოვრებლად და თვით საზოგადო საქმეების მოსაგვარებლად არ ჰყოფნიდა. ამიტომ ის ერთი პერიოდი მუშაობდა აღმზრდელად თბილისის პირველ გიმნაზიაში, ხოლო როცა გამოცემასთან დაკავშირებით მუშაობა გაურთულდა, შეიძინა საკუთარი სტამბა.

ყველაფერი ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ივანე კერესელიძისთვის თეატრის ხელმძღვანელობა თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარბიელი იქნებოდა. თითქოს მას უნდა შეძლებოდა ქართულ თეატრალურ მოღვაწეთა წინამძღოლობა გაეწია - გაეკეთებინა თეატრის არსებობისთვის საჭირო საქმეები. თუმცა ეს იმ დროს ძალზე რთული იყო, რადგან მთავრობა მხოლოდ გარეგნულად უჭერდა მხარს თეატრს, არსებითად კი თეატრის მტრების პოზიციას იზიარებდა. მტრები ქართულ თეატრს ბევრი ჰყავდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ძალზე დიდი იყო ქართული მოწინავე საზოგადოების მხარდაჭერა და ხელაღებით მის დახურვას ვერავინ კისრულობდა. სირთულე იყო თეატრის შიგნითაც - მას მოაკლდა ორი ავტორიტეტული, ძლიერი მოღვაწე და დრამატურგი გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი. გარდა ყველაფრისა, ეს ნიშნავდა იმას, რომ თეატრისათვის დრამატულ ნაწარმოებთა წერა ძალზე შემცირდებოდა; ამას გარდა თეატრის დირექცია ისევ ავიწროვებდა ქართულ თეატრს: ბილეთების სიძვირე, და ქართული სპექტაკლების სხვაზე მიბმა და დაუფინანსებლობა... ივანე კერესელიძეს ყველა ეს საკითხი უნდა მოეწესრიგებინა.


ლადო გუდიაშვილის ნახატი.

თავდაპირველად მან ხელი მოჰკიდა დაფინანსების საკითხს. ამის შესახებ ივანე კერესელიძემ განცხადება შეიტანა დირექციაში, მაგრამ დირექციამ საკითხი ისე გააჭიანურა, რომ ეტყობოდა იქიდან არაფერი გამოვიდოდა.

შემდეგ კერესელიძემ ქართული დრამისთვის მოითხოვა ცალკე დღეები. ამ მოთხოვნას გამოეხმაურა საზოგადოების ერთი ნაწილი და პრესა. თეატრის დირექცია ამჯერად იძულებული გახდა საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიში გაეწია და დათმობაზე წასულიყო. მან ქართული სპექტაკლებისთვის გამოყო ცალკე დღეები.

შემდეგ კერესელიძემ მოითხოვა ბილეთების ფასის შემცირება. მას ამ საკითხშიც გამოექომაგა პრესა. დირექცია აქაც წავიდა დათმობაზე. დაწესდა ასეთი ფასები: ადგილი ლოჟაში - 2 მან., სავარძელი პარტერში - 75 კაპ., სკამი - 50 კაპ, და ადგილი ქანდარაზე - 20 კაპ. ე.ი. ფასები გაანახევრეს.

მდგომარეობის ასეთმა გაუმჯობესებამ თეატრისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. მაყურებლებს კვლავ მიეცათ შესაძლებლობა, მისულიყვნენ ქართულ წარმოდგენებზე... მსახიობებიც გამხნევდნენ და ენერგიულად მოჰკიდეს საქმეს ხელი.

1854 წლის 22 დეკემბერს ქართულმა დასმა, დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ, დადგა პირველი დამოუკიდებელი წარმოდგენა. თეატრი გაჭედილი იყო მაყურებლით. ამით წახალისებული მსახიობები მთელი თავისი არტისტული გატაცებით ასრულებდნენ როლებს და მაყურებელიც მათ მხურვალე ტაშით აჯილდოებდა. შემდეგში მ. თუმანიშვილი გაზეთ "კავკაზში" დაწერს ქართული წარმოდგენების შესახებ: "უკვე რამდენიმე წარმოდგენა სრული წარმატებით ჩატარდა. ადგილობრივი მრავალფეროვანი მოსახლეობის ყველა ფენა უფრო მეტი ხალისით ისწრაფვის თეატრისკენ". მართლაც, თუ პირველ ხანებში მხოლოდ პარტერი იყო სავსე "კეთილშობილი მაყურებლით" და აივანი ცარიელი იყო, არ ჩანდა მოსახლეობის დემოკრატიული ნაწილი, ხოლო შემდეგ პარტერი გაიცალა და აივანი აივსო ახალი მაყურებლით, ახლა ორივე სავსე იყო.

ქართული თეატრის ასეთმა გამოცოცხლებამ, როგორც ეტყობა, ჩააფიქრა კავკასიის უმაღლესი მთავრობა, რომელსაც ამ დროს სათავეში ედგა გენერალი მურავიოვი. ქართული თეატრის წარმატების გზაზე დადგომა არ მოეწონა დირექციასაც და იგი ისევ აყენებს დოტაციის მოხსნის საკითხს. ის ამტკიცებდა: ქართულ თეატრს იმდენი შემოსავალი აქვს, რომ შეუძლია თავი შეინახოსო. ამის შედეგად კი თეატრს დოტაცია იმ სეზონშივე სავსებით მოუსპეს. დატოვეს შენობაში და მისცეს უფასოდ განათება და მუსიკა. მიუხედავად ამისა, საქმე მაინც კარგად მიდიოდა.

ბრძოლა ქართული თეატრის წინააღმდეგ ამით არ დამთავრებულა: ნიკოლოზ პირველის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მთელ იმპერიაში გამოცხადდა 6 თვით სამგლოვიარო დღეები. ყველგან შეწყდა სანახაობების ჩვენება. წარმოდგენების გამართვა თბილისის თეატრებმაც შეწყვიტეს. პარალელურად 1855 წლის მარტში გამოჰყო თბილისის თეატრების საქმიანობის შემსწავლელი კომიტეტი. კომიტეტმა საქმე შეისწავლა ისე, რომ ქართულ თეატრს არც შეხებია. ამით ქართული თეატრისთვის მუშაობის აღდგენის საშიშროება დადგა. მით უფრო, რომ მურავიოვი ახალ მეფეს ალექსანდრე მეორეს სწერდა: "ვერ ვბედავ გავწიო ამ საქმისთვის იმაზე მეტი ხარჯები, რაც თქვენი ბრძანებით არის დამტკიცებული. განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მთელ ყურადღებას ნთქავს საომარი მდგომარეობა... ამის გამო არავითარი შესაძლებლობა არ არის, თბილისის თეატრები არსებობდეს ისეთი მასშტაბით, როგორც ამჟამად არის". ახალმა მეფემ მურავიოვის მოსაზრებები მოიწონა და შედეგად ამას მოჰყვა ის, რომ ქარვასლის შენობაში, გლოვის დღეების გასვლის შემდეგ, წარმოდგენის გამართვის უფლება მხოლოდ რუსულ თეატრს მისცეს. ქართული კი დარჩა გზაშარაზე. ივანე კერესელიძე ბევრს იბრძოდა, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ დამთავრდა. ერთადერთი გამოსავალი დარჩა - თვითონ ექირავებინათ რომელიმე დარბაზი და გაემართათ იქ წარმოდგენები. აი, ამის თაობაზე ივანე კერესელიძემ თავის მოგონებებში დაწერა: "საშველი არსაით იყო. ჩვენ შევიყვარეთ მთელი ტრიუპპა, ზოგიერთი გარეშე პირებიც მივიპატიჟეთ და ბევრი ბაასის შემდეგ გადავწყვიტეთ გვექირავებინა დიდი სახლი, გაგვეკეთებინა იქ სცენა და გაგვემართა წარმოდგენები. მე მოვიპოვე სათეატრო დიდი მამაპაპური დარბაზი... ვისესხე ფული, ორასი თუმანი, გავაკეთებინე ერთი იარუსი, ლოჟები, დავადგმევინე სკამები, დავახატვინე დეკორაციები და დავიწყეთ წარმოდგენები იმ პირობით, რომ ნახევარი შემოსავალი უნდა დარიგებოდა აქტიორ-აქტრისებს და მეორე ნახევრით გასტუმრებულიყო ვალი".

ამნაირად, ქართული თეატრი თავისი საკუთარი მაყურებლის იმედად დარჩა, თავის საკუთარ შემოსავალზე. სამწუხაროდ თეატრის შენობა მოწყობილობით ძლიერ ღარიბი იყო და მაყურებლის ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილება თითქმის შეუძლებელი გახლდათ. მაგრამ თეატრის მესვეურნი ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ქართული თეატრის არსებობა, შემდეგ თანდათან გაეუმჯობესებინათ მისი შემოქმედებითი მუშაობა. ამასობაში კი არისტოკრატია და მაღალი მოხელეები თეატრს სავსებით ჩამოშორდნენ, მისი ჭირისუფალი შეიქმნა ქალაქის დემოკრატია. შემოსავალი ყველაფერს ვერ წვდებოდა და ვალები ყოველდღე იზრდებოდა, ხოლო დამხმარე არსაიდან ჩანდა.

ივანე კერესელიძემ კიდევ ერთხელ სცადა და მიმართა წერილით მთავრობას - დაესრულებინათ ქართული თეატრი ქარვასლაში, რაზეც მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა ბებუთოვმა პასუხს თავი აარიდა. ამას დაემატა მწერალ გრაფ სოლოგუბის ქართული თეატრის წინააღმდეგ გამოსვლა - მან ამ თეატრს "ბალაგანი" უწოდა. ამაზე პასუხი არავის გაუცია...

საბოლოოდ ყველაფერი თეატრის ნივთიერი გაკოტრებით დამთავრდა: ივანე კერესელიძეს შემოელია სახსრები, არ ჰქონდა საშუალება, მსახიობებისთვის ხელფასი ეძლია და დასი დაიშალა. თეატრიც დაიხურა. თეატრის ხელმძღვანელი ასე აღწერს თეატრის დასასრულს:

"ვალი თავისას თხოულობდა, სახლის ქირა თავს დაგვაწყდა, საჩივარი აგვიტეხეს, ლოჟები, სკამები, დეკორაციები დაგვიყიდეს ნახევარ ფასად და ჩემი ტრიუპპა დარჩა ცარიელი, რა არა დაგვრჩა რა. ტრიუპპა დაიშალა. ზოგი სად წავიდა, ზოგი სად. მე დავრჩი ვალებში ჩაფლული. გიმნაზიაში ვმუშაობდი და ჩემი ჯამაგირი სამი წლის განმავლობაში სულ მოვალეებს მიჰქონდათ".

გიორგი ერისთავის მიერ დაარსებული და ქართული მოწინავე საზოგადოების ნალოლიავები თეატრი გაუქმდა ექვსნახევარი წლის არსებობის შემდეგ - 1856 წლის ივნისში.

თითქოს კრახით დამთავრდა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმე, თითქოს გაიმარჯვა იმ ფენამ, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავისთვის, ან იმპერიის დაცვისათვის იბრძოდა. თითქოს მოკვდა მნიშვნელოვანი "ძარღვი" ქართული აზროვნებისა, პროგრესისკენ სწრაფვისა. თითქოს ზეიმობდნენ გამარჯვებას "პატარა ადამიანები", მაგრამ საქართველოს ცოტა ხანში მოემატება ახალგაზრდობა, რომელიც ისევ მიუბრუნდება ერისთავის მნიშვნელოვანი საქმის კეთებას და "ძარღვი", რომელიც ბევრს გაწყვეტილი ეგონა, ისევ დაიწყებს "ფეთქვას"... ქართული პროფესიული თეატრი აღდგენილ იქნება... მაგრამ ამას გარკვეული დრო და გამორჩეულ ახალგაზრდა მოღვაწეთა გამოჩენა დასჭირდა...

ავოეე!


ფუნიკულიორის პლატო


ინგოროყვას ქუჩა

ბესო გულაშვილის ფოტოები

# 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔᲐ

## ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაცია

**1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ეს დეკლარაცია რომ ბავშვებისათვის გასაგები და ხელმისაწვდომი გაეხადა, მსოფლიო ასოციაციამ - "სკოლა, როგორც მშვიდობის ინსტრუმენტი" თხოვნით მიმართა ჟენევის (შვეიცარია) უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ლექტორებსა და სტუდენტებს, მოეხდინათ ამ დოკუმენტის ტექსტის ადაპტირება. აი, როგორ გამოიყურება ამ გადაკეთებული ტექსტის ზოგიერთი ფრაგმენტი:**

***მუხლი პირველი:*** ბავშვები იბადებიან თავისუფლებად, ამიტომ აუცილებელია ისე მოვეპყრათ მათ, როგორც თავისუფალ ადამიანებს.

***მუხლი მეორე:*** ბავშვს აქვს უფლება, სარგებლობდეს ყველაფრით, რასაც ეს დეკლარაცია ღაღადებს - მიუხედავად იმისა, თუ იგი სხვა ენაზე ლაპარაკობს; თუ მისი კანის ფერი სხვანაირია; თუ იგი სხვანაირად ფიქრობს; თუ ის სხვა რელიგიას აღიარებს; თუ იგი შენზე ღარიბია ან მდიდარი; თუ იგი სხვა ქვეყნის მოქალაქეა.

***მუხლი მესამე:*** შენ გაქვს ცხოვრების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.

***მუხლი მეშვიდე:*** კანონი ყველასათვის ერთია, - მის წინაშე ყველა ერთნაირად აგებს პასუხს.

***მუხლი ოცდამეექვსე:*** შენ გაქვს უფლება: იარო სკოლაში; ისწავლო და არაფერი გადაიხადო ამაში; დაეუფლო რაიმე პროფესიას, ან გააგრძელო განათლების მიღება შენი შეხედულების მიხედვით.

***მუხლი ოცდამეშვიდე:*** შენი შრომა უნდა იყოს დაცული, რათა თავისუფლად ისარგებლო მათი შედეგით.

***მუხლი ოცდამეცხრე:*** შენ გაკისრია მოვალეობანი იმ ადამიანების მიმართ, რომელთა შორისაც ცხოვრობ და რომლებიც გაძლევენ საშუალებას, განავითარო საკუთარი პიროვნული თვისებები.

კანონი არ ართმევს ადამიანს თავისუფლებასა და უფლებებს, მაგრამ, ამავე დროს, იძლევა იმის საშუალებას, რომ თითოეულმა თქვენგანმა პატივი სცეს სხვას და იმის იმედიც გქონდეს, რომ შენც დაგაფასებენ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

# აქ შეგიძლიათ, ყველაფერზე ილაპარაკოთ



"არტ-ჰოლის" ბავშვები სტუმრად "24 საათში"

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

## კლუბის ახალი წევრები

**პატარა სახლის დიდი ოჯახი – ეს "არტ-ჰოლია", ხელოვნების საყმაწვილო ცენტრი, სადაც ბავშვები სკოლიდან შვიდი გაკვეთილის შემდეგაც კი ყოველდღე დაუზარებლად გარბიან. "არტ-ჰოლის" გარეშე მე ერთი უბრალო ბავშვი ვარ", - ამას 10 წლის ბაჩო ნორაკიძე, ზუსტად ორი წლის წინ, იმ გაზეთში წერდა, რომელიც თავიდან ბოლომდე "არტ-ჰოლის" ბავშვებმა გამოსცეს. სტატიები, რუბრიკები, სტილი, დიზაინიც კი უფროსებმა მთლიანად პატარებს მიანდეს. "თქვენი მეგობარი", - ასე ერქვა ამ გაზეთს, რომელსაც ბებია-ბაბუების თაობაც კი ერთი ამოსუნთქვით კითხულობდა. შარშან "არტ-ჰოლელებმა" გაზეთის მხოლოდ შვიდი ნომრის გამოშვება მოასწრეს, მერე... მერე კი, როგორც ხდება ხოლმე, უფულობის გამო, დროებით, სექტემბრამდე, ბავშვებმა კალმები და დიქტოფონები გვერდზე გადადეს.**

**დღეს ეს ბავშვები "24 საათის" დამატება "საბავშვოს" კლუბის სტუმრები არიან.**

## დღეს კლუბში ბავშვთა უფლებების დეკლარაციაზე საუბრობენ, "მარად ცოცხალი მიუნჰაუზენი", - ასე ჰქვია კიდევ ერთ სასაუბრო თემას



ჯაბა ზარქუა



ნინო გაჩეჩილაძე



ბაჩო ნორაკიძე

***ჯაბა ზარქუა:*** *უფროსებო, გვაცალეთ ბავშვობა და ნუღარ წამოგვაძახებთ: ახლა უკვე დიდები ხართო!*

*სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჩვენი კეთილდღეობა – უამისოდ არ შეიძლება.*

■ ■ ■

*ტელეფონით შეთანხმებას მივაღწიე ბინ-ლადენთან. მან მითხრა, რომ აშშ-ს ჩაბარდება და ციხეში იჯდება მთელი ცხოვრება. თავისთავად, შეწყვეტს ახალგაზრდა ტერორისტების აღზრდას, სამაგიეროდ მან პრეზიდენტ ბუშისგან უნდა მიიღოს ავღანეთისა და სხვა მუსლიმანური ქვეყნების ხელშეუხებლობის ხელწერილი. ასე ჩავსვი ციხეში უსამა ბინ-ლადენი, ნომერ პირველი ტერორისტი და თავიდან ავაცილე სამყაროს მესამე მსოფლიო ომი.*

*ნათქვამია, "სიფრთხილეს თავი არ სტკივაო", მეგობარს დროის მანქანა ვთხოვე და ნოსტრადამუსთან გავემგზავრე, ვესაუბრე და შევაცვლევინე ყველა წინასწარმეტყველება. არც საბჭოთა კავშირი შექმნილა, არც მსოფლიო ომები ყოფილა, არც ლენინი, სტალინი და ჰიტლერი დაბადებულან...*

---

***ნინო გაჩეჩილაძე:*** *მშობელი, რომელიც ცუდად ექცევა ბავშვს, უნდა დაისაჯოს.*

*ყველა ბავშვიან ოჯახს უნდა ჰქონდეს "ბავშვთა უფლებათა კონვენცია", რომელსაც ბავშვიც წაიკითხავს და მშობელიც.*

■ ■ ■

*გუშინ დილით, როცა მხიარულად მივიჩქაროდი სკოლისკენ და ხუთიანებზე ვოცნებობდი, უეცრად ოთხ ვაჟკაცს შევხვდი. ავიხედე და გავოცდი, – აბა, თუ გამოიცნობთ, ვინ იყვნენ? რა თქმა უნდა, მუშკეტერები. ათოსი, პართოსი, არამისი და დარტანიანი. დამპირდნენ, რომ ჩვენს გადასარჩენად იბრძოლებენ, თბილისში სიტუაციას მოაწესრიგებენ და ყველაფერს უკეთესობისკენ შეცვლიან. ველოდები, როდის აასრულებენ სიტყვას. დაელოდეთ თქვენც!*

---

***ბაჩო ნორაკიძე:*** *ტერორისტებმა ჯორჯ ბუში გაიტაცეს და გამოსასყიდად ოცი მილიონი დოლარი მოითხოვეს. ედუარდ შევარდნაძე სასწრაფოდ დამიკავშირდა და დახმარება მთხოვა. მაშინვე გავფრინდი ამერიკაში... ვისაც ჩემი მუშტი მოხვდა, დედის დასატირებელი გახდა. ბოლოს, ბანდის მეთაურთან მივაღწიე ... იყო თეთრკანიანი, გახდა ლურჯკანიანი. ჩემი წყალობით გათავისუფლებულმა ჯორჯ ბუშმა ერთი მილიონი დოლარი საქართველოს ანგრიშზე გადმორიცხა.*

---

***მარიამ მუქერია:*** *ბავშვთა უფლებათა კონვენცია ყველაგან დიდი ასოებით უნდა იყოს გამოკრული, რომ ყველამ ყურადღება მიაქციოს.*

*ვფიქრობ, მშობელსა და ოჯახის წევრებს რომ პატივისცემა სჭირდება სახელმწიფოსგან, თუ თითოეული ადამიანისგან, ეს კონვენციისა და კანონების გარეშეც უნდა გვესმოდეს.*

*ჩემი აზრით, ბავშვი სრულწლოვანი უნდა ხდებოდეს მაშინ, როცა თვითონ ჩათვლის თავს დამოუკიდებლად.*

■ ■ ■

*ჩამოვაყალიბე გაერთიანებული ქვეყნების ბავშვთა ორგნიზაცია. შედგა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრა და გამოითქვა საერთო აზრი: აუცილებელია, შეიქმნას ისეთი კარუსელი, რომელსაც მსოფლიოს ყველა ქალაქის ულამაზეს პარკებში შეეძლება გაჩერება. ბავშვები იმოგზაურებენ იქ, სადაც მოესურვებათ, თანაც უამრავ მეგობარს შეიძენენ. ამ კარუსელის შექმნის მიზანია, ბავშვების დამეგობრება და მსოფლიოში მშვიდობის დამყარება.*

*გადაწყვეტილებას ხელს აწერენ ორგანიზაციის დამფუძნებლები: მარიამ მუქერია - 9 წლის, მსოფლიოს ბავშვები, ყველა ქვეყნის პრეზიდენტები.*

---

***ბესო ნორაკიძე:*** *ალბათ დამეთანხმებით, რომ მშობლების უფლებების შეზღუდვა, ჩვენი უფლებების შეზღუდვის ტოლფასია.*

■ ■ ■

*მე, ბესიკ ნორაკიძემ, გადავწყვიტე ამეშენებინა ახალი საოცრება - სასტუმრო "გალაქტიკა". როგორც იცით, ცნობილი არქიტექტორი გახლავართ, თანაც მდიდარი. ამიტომაც, სასტუმროს აშენება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ისეთი უნიკალური რამ შევქმენი, რომ მთელი მსოფლიო პირდაღებული შემოგვყურებს. წარმოიდგინეთ გულის ფორმის მქონე შენობა, რომელიც 180 ათას კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული და ნახევარ მილიონ ადამიანზეა გათვლილი. ჩვენს განკარგულებაშია 4 აუზი, ფეხბურთის, კალათბურთის, ჰოკეის, ჩოგბურთის, რაგბის, ხელბურთის და ფრენბურთის მოედნები, 15 ათას კვ.მ-ზე გადაჭიმული ზოოპარკი, რომელიც სამ ნაწილად არის გაყოფილი: მწერების, ცხოველების და ფრინველების განყოფილებებად. აქვეა კარუსელები და ატრაქციონები. ახლა, ნომრებს არ იკითხავთ? ნომერი ექვსოთახიანია, თანაც თითოეულ დამსვენებელს "მერსედესის" ფირმის ბოლო გამოშვების ავტომობილი ემსახურება. სასტუმრო "გალაქტიკა" შემკულია 17 ათასი ფერით. სწორედ იმდენით, რამდენსაც ადამიანის თვალი არჩევს. ეს ყველაფერი 64 მილიონი გირვანქა სტერლინგი დამიჯდა.*

*ჰო, მართლა, ფული არ გამაგონოთ! კლიენტს დავუსვამ სამ მარტივ შეკითხვას და, თუ სამივეზე სწორედ მიპასუხებს, სასტუმროს კარი ღიაა!.*

---

***თათა კილაძე:*** *მე დროის მანქანა გამოვიგონე. შუა საუკუნეების ინგლისში გადავწყვიტე გამგზავრება, მაგრამ წლები ამერია, ჰასტინგის ბრძოლაში ამოვყავი თავი და კინაღამ ისრით განმგმირეს. სასწრაფოდ*



მარიამ მუქერია



ბესო ნორაკიძე



თათა კილაძე

შევიცვალე კურსი და ძველ საბერძნეთში გავემგზავრე, პირველ ოლიმპიურ თამაშებზე. ეს საოცარი, ენით აუწერელი სანახაობა იყო... გადავწყვიტე, ჩემი გამოგონება სხვებსაც შევთავაზო. თუ გნებავთ, ასეთ მანქანას კიდევ დავამზადებ, ოღონდ, იცოდეთ: მანქანას მიიღებს ის, ვინც ხალხს დაეხმარება. სამწუხაროდ, ისტორიას ვერ შევცვლით, მაგრამ ის კი შეგვიძლია, რომ მომავალი უფრო ლამაზი გავხადოთ. ერთი სიტყვით, საქმე ყველას გვეყოფა. გახსოვდეთ: თუ მანქანას მხოლოდ გასართობად გამოიყენებთ, მასაც დაკარგავთ და არც დროში მოგზაურობის შთაბეჭდილებები გემახსოვრებათ.

**თათია გოგიტიძე:** კანონის გათვალისწინებით, სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს ბავშვების აღმზრდელებს და იზრუნოს მათ განვითარებაზე, მათი შესაძლებლობების გამოვლენაზე, მაგრამ, დღესდღეობით, ბევრი ბავშვი მოკლებულია ამ ყურადღებას, რადგან სახელმწიფოს არა აქვს შესაძლებლობა, დახმარება გაუწიოს აღმზრდელებს და ბავშვებს. თუმცა, მე იმედს არ ვკარგავ, რომ ეს ყველაფერი მალე გამოსწორდება.

ძალიან მეცოდებიან ბავშვები, რომლებსაც სწავლის სურვილი აქვთ და საამისო საშუალება კი არა გააჩნიათ. ამ შემთხვევაში მათი ინტერესები დაცული არ არის, რაც ძალიან საწყენია. ჩემი აზრით, ყველა ბავშვს ნატვრისთვალი გვჭირდება.

■ ■ ■

ძალიან მაინტერესებს, როგორი იქნებოდა საქართველო ტყუილის გარეშე. ცხოვრება ტყუილის გარეშე, თუნდაც, ერთი დღით. გაუჭირდებოდათ თუ არა ადამიანებს - მასწავლებელსა და მოსწავლეს, გამყიდველსა და მყიდველს, დირექტორსა და დამლაგებელს, პრეზიდენტსა და პოლიტიკოსს, მინისტრებსა და უმუშევრებს.

წარმოვიდგინე ეს დღე და, რატომღაც, გამახსენდა ღამის კურიერის სტუდიაში მოწვეული პოლიტიკოსები, რომლებიც კამათის დროს მხოლოდ "სიმართლეს" ამტკიცებენ. წარმოვიდგინე ასეთი დღე არჩევნების დროს! შედეგი თქვენთვისაც ნათელი იქნება!

რა ხასიათზე იქნებოდნენ ადამიანები დღის ბოლოს, - მძიმე დღე გვქონდაო, თუ ნეტავ ყველა დღე დღევანდელის მსგავსი იყოსო. ვიმედოვნებ, რომ ასეთი დღე აუხდენელ ოცნებად არ დარჩება.

**სოფო კოპალეიშვილი:** სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ბავშვს, რომლის მშობლები არ, ან ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ძნელია ბიუჯეტიდან დიდი თანხის გამოყოფა, მაგრამ ჩვენ ხომ მომავალი თაობა ვართ. ასე, რომ, მაქსიმალურად დაიხარჯეთ, ბავშვებო.

**მარიამ ჩიხრაძე:** თუ სახელმწიფო რაიმეს მოიმოქმედებს ჩვენს დასაცავად, ყველა ბავშვის აზრი უნდა გაითვალისწინოს.

სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს ბავშვის მშობლებს, მაგრამ მას ბავშვისთვის არ სცალია და მშობლისთვის მოიცლის?

■ ■ ■

ნეტავ, ფული არ არსებობდეს ამ ქვეყნად.

**თაკო ფოფხაძე:** სახელმწიფო და მშობელი უნდა ეცადონ, რომ ზიანი არ მოგვაყენონ. ბავშვი ძალიან სათუთი არსებაა და მას განსაკუთრებული დაცვა, ყურადღება სჭირდება.

ბავშვებს შეგვიძლია, ჩვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ვუჩივლოთ მთავრობას. ასე, რომ - "გაფრთხილდით!" ნუ შეეცდებით ჩვენს მოტყუებას.

■ ■ ■

ყოველთვის მაწუხებდა ერთი ფაქტი, როცა ჩვენთან დღეა, დედამიწის მეორე მხარეს ღამეა. ავდექი და, მზე გავამრავლე, - ორ პატარა მზედ გადავაქციე. ამის შემდეგ მთელი დედამიწა თანაბრად განათდა.


თათია გოგიტიძე


სოფო კოპალეიშვილი


მარიამ ჩიხრაძე


თაკო ფოფხაძე

**კლუბი ელის მკითხველთა წერილებს. მოგვწერეთ, რა დავარქვათ კლუბს? შეგიძლიათ, დაგვირეკოთ ტელეფონზე: 20-24-24, დამატება "საბავშვოს" კლუბი.**

## ტინეიჯერები ცდიან კალამს

### პითაგორა - რიცხვთა ხელმწიფე

ერთ დროს რიცხვთა სამეფო, დღევანდელისაგან განსხვავებით, თურმე, მცირე მასშტაბების მქონე სახელმწიფო იყო. მას სათავეში მეფე პითაგორა ედგა.

ერთხელ, როცა მამალმა იყივლა და მზე ცაზე ამობრძანდა, პითაგორას სასახლეში გამოჩნდა უვიცთა სამეფოს დესპანი. მან სასახლეში შესვლა ვერ გაბედა და წერილი სახელგანთქმულ ფოსტალიონს - "ორიანს" გადასცა. წერილით უვიცთა ხელმწიფე პითაგორას ომს უცხადებდა.

დაინიშნა ბრძოლის დღე 13 რიცხვში. პითაგორამ იცოდა, რომ ეს რიცხვი ბედნიერების მომტანი არ იყო და ჯარი არ გაგზავნა, უბრალოდ, გაამაგრა ციხე-სიმაგრეები და დაიწყო ფიქრი ბრძოლაზე.

მეორე დღეს პითაგორას ლაშქარმა ისეთი მაგალითები დააყარა უვიცებს, რომ თავები გაუბრუა და დაამარცხა.

ასე დარჩა პითაგორა რიცხვთა და მეცნიერთა სამეფოს ტახტზე.

**ლაშა მესხი**
*მერვეკლასელი, ქუთაისის წმიდა ნინოს სახ. გიმნაზიის მოსწავლე*

### პიპო

პატარა ბიჭი, სახელად პიპო, ბაღში ველოსიპედით მისეირნობდა. იგი ძალიან სუსტი და საცოდავი შესახედავი იყო. იქვე, შორიახლოს, ორი მოზრდილი ბიჭი იდგა: დაბალი, მსუქანი უჩა, და გუგა – გამხდარი და უზომოდ აწოწილი. მათაც მოუნდათ სეირნობა და გადაწყვიტეს, პატარა ბიჭისთვის ველოსიპედი წაერთმიათ, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. უჩამ თქვა: პირველი მე დავჯდები, რადგან ყველაზე ძლიერი და მსუქანი ვარო. მე კი ყველაზე მაღალი ვარ, თანაც პირველმა შევამჩნიე ველოსიპედი, ამიტომაც მე უნდა დამითმოო, - უპასუხა გუგამ.

რომ ვერ მორიგდნენ, დაიჭირეს პიპო და ჰკითხეს: – ჩვენ ორში უფრო ძლიერი რომელიაო. პიპო, მიხვდა, რომ უფროს ბიჭებს ვერ მოერეოდა და აკანკალებული ხმით მიუგო: – რომელიც უფრო ჭკვიანია, იმან დაუთმოს მეორესო. ერთმანეთს ჯიბრით არც გუგა და არც უჩა ველოსიპედს არ გაჰკარებიან. პიპომ კი სწრაფად მოჰკურცხლა და ბევრიც იცინა, რადგან ჭკუით აჯობა ორ სულელს.

**მარიამ მუქერია**
*მეოთხეკლასელი, თბილისი*

### წიგნი

წიგნი. უამრავი ფურცელი, უამრავი წერტილი, მძიმე, სიტყვა, წინადადება. ისინი რაღაცას ამბობენ, საფიქრალს გვიჩენენ, მაგრამ ... მათ ენა რომ ჰქონდეთ, უფრო ბევრს იტყოდნენ.

აი, დიდ ბიბლიოთეკაში, ერთ წიგნს ყელში ამოუვიდა დამტვერილ თაროზე მოწყენილი ჯდომა და თქვა თავისი სათქმელი, თქვა ყველაფერი, მაგრამ სხვა წიგნებმა დასცინეს და გააჩუმეს. მე ავედი მასთან, მოვეფერე და გავესაუბრე.

- რატომ ხარ მოწყენილი?
- ერთი წელია, ვერავინ დავაინტერესე.
- მერე რა?
- მერე რა და, მომბეზრდა თაროზე ჯდომა.
- ვისი ხარ?
- დიდი ბელადის, ლენინის.
- ჰოო... ახლა ვიცი, რატომ არ გკითხულობენ.
- რატომ?
- იმიტომ, რომ კომუნისტური ხანა გავიდა და ლენინს აღარავინ იხსენებს, ის კი არა, მისი წიგნები დაწვეს კიდეც.
- რაო?
- ხო, ხო, ზოგმა დაწვა.

წიგნმა ცრემლებად ასოები ჩამოყარა.

**სოფიო კოპალეიშვილი**
*თბილისი*


დავით აღმაშენებელი. ლაშა მესხი (ქუთაისი), 14 წლის.


ნატურმორტი. იანა ტ. (სარაევო), 8 წლის.


ხედი ფანჯრიდან. გიორგი ქუმსიაშვილი (თბილისი), 6 წლის.


უცნობი სამყარო. შიზუკა ტ. (ტოკიო), 12 წლის.


ჟირაფები. მარტინი კ. (კანადა), 6 წლის.


ფრენა. უპასნა ს. (ინდოეთი), 10 წლის.

# ტოკიოს დისნეი ლენდი 20 წლისაა



**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, გემახსოვრებათ, კალიფორნიის "დისნეი ლენდი" მოვინახულეთ. დღეს იაპონიის დედაქალაქს ვესტუმრებით და ტოკიოს სახელგანთქმულ პარკს დავათვალიერებთ, რომელიც წელს დაარსებიდან 20 წლისთავს ზეიმობს.**

თეონა მიქაბერიძე

ტოკიოს დისნეი ლენდი მთელი წლის განმავლობაში სავსეა ხალხით. მოზრდილებიცა და ბავშვებიც დიდი სიამოვნებით სტუმრობენ მას. ვინც ამერიკის დისნეი ლენდში ყოფილა, მისთვის სასიამოვნოც კი იქნება იმ განსხვავებების აღმოჩენა, რაც ამ ორ "ლენდს" შორის არსებობს. წარმოიდგინეთ, თუნდაც, იაპონურად მოლაპარაკე მიკი მაუსი!

ტოკიოს დისნეი ლენდი თავისებური იაპონური კოლორიტით გამოირჩევა. იგი ტოკიოს გარეუბანში - რაიასუში, ჩიბაში მდებარეობს. წარმოიდგინეთ სამყარო, სადაც მხოლოდ მხიარულება, გართობა და ეგზოტიკა გელოდებათ. წელს ტოკიოს დისნეი ლენდის პარკს 20 წლისთავი უსრულდება. სწორედ ახლა გახლავთ საუკეთესო დრო იქ წასასვლელად, რადგანაც სტუმრებს უამრავი საზეიმო სანახაობა ელით. ეს ის ადგილია, სადაც ყველა ოცნებას ფრთები ესხმება. ჯადოსნური სანახაობები თვალისმომჭრელია. მოგზაურობა და რომანტიკა თუ გიზიდავთ, მაშინ ტოკიოს დისნეის ზღვის სამყაროში აფრებაშლილი გემებით იმოგზაურებთ. აი, იქ კი გელით საოცარი თავგადასავალი, სავსე ფანტასტიკური ისტორიებით. ტოკიოს ზღვის ატრაქციონები, ძირითადად, პოპულარული ლეგენდების სიუჟეტებს ეფუძნება. გემებს შეიძლება მეკობრეები აედევნონ, რაც თქვენთვის დამაინტრიგებელი, მაგრამ საოცრად გასართობი აღმოჩნდება. ფრთხილად იყავით, თუ უეცრად ოკეანის ტალღები ნაპირზე დოქს გამორიყავს, იქიდან ხომ ზღაპრული ჯინი ამოფრინდება! ზღვის სამყაროში ქართევზასაც კი წავაწყდებით.

20 წლისთავის აღსანიშნავად გრანდიოზული სანახაობები ეწყობა, რომელზედაც ბავშვებს დისნეისთან დაკავშირებული ყველა ოცნება აუხდებათ. წარმოდგენებში, დაახლოებით, 200 დისნეის გმირი მონაწილეობს. ისინი, ძირითადად, დისნეის მულტფილმთა კლასიკური გმირები გახლავთ, როგორებიცაა: ალისა საოცრებათა ქვეყანაში, პიტერ პენი, კონკია, მზეთუნახავი და ურჩხული, მერი პოპინსი და ა.შ. მთავარი გმირი კი აქაც ჩვენი საყვარელი მიკი მაუსია, რომელიც მშვენიერ მოკაშკაშე ვარსკვლავზე შემდგარა და ხელს უქნევს ბავშვებს.

ფორეკორტის კოშკში თუ შეხვალთ, სცენაზე მოთამაშე დისნეის გმირებს იხილავთ, რომლებიც სპეციალურ მუსიკალურ წარმოდგენას მართავენ. წინ საიდუმლო ტომარა უდევთ, რომელიც 20 წლისთავის აღსანიშნავად გამოაქვთ მიკი მაუსსა და მის მეგობრებს. ამ ტომარას ჯადოსნურ "ოცნებების ტომარას" უწოდებენ. მასში ხომ 20 წლის განმავლობაში დაგროვილ ოცნებებს მოუყრია თავი. წარმოგიდგენიათ, რამდენი ოცნება იქნება? ოცნებების ახდენის დროს სცენა ჯადოსნურად გარდაიქმნება. გუფი, თურმე, მოგზაურობაზე ოცნებობს. გახსნის თუ არა ის ტომარას, სცენა ჯუნგლებად გადაიქცევა. უზარმაზარ ხეებზე ბანანები ჰკიდია და ირგვლივ მაიმუნების ყიჟინა ისმის. მინის ოცნება ზღაპრულ რომანში მოხვედრის შესახებ თვალის დახამხამებაში სრულდება: თვალწინ ზღაპრული სიუჟეტი იშლება რომანტიკული ბურთის სახით. იხვი დონალდი გართობაზე ოცნებობს, მაგრამ მისი ოცნება, ყველას გასაკვირად, კოშმარად გადაიქცევა. აქ მაყურებელიც ეხმარება დონალდს, ისიც მასთან ერთად აღწევს თავს კურიოზული სიტუაციიდან. "ოცნებების ტომარა" კი კვლავ მზად არის ოცნებების ასასრულებლად, როგორც დისნეის გმირებისათვის, ასევე იქ დამსწრე საზოგადოებისთვისაც. მიკი მაუსის "საჩუქარი - სურვილები" (Mickey`s Gift ol Dreams) დღეში რამდენიმეჯერ რიგდება.

ღამით იმართება ხმაურიანი რიტმების ფესტივალი. ველური ბარაბნების ხმაზე











დისნეის გმირები სიმღერითა და ცეკვით გამოდიან. ირგვლივ თვალისმომჭრელი ფეიერვერკები სერავს ცას. ამ გასართობ ფესტივალზე მოხვედრისას შეგიძლიათ იცეკვოთ დისნეის გმირებთან ერთად. წინ დაუვიწყარი ზეიმი გელით.

დისნეის კარნავალზე კი საკარნავალო კოსტიუმებში გამოწყობილი გმირები გამოდიან. ეს საღამო თქვენთვის დაუვიწყარი აღმოჩნდება. დისნეის გმირები ხომ უამრავ სასაცილო, კეთილ ოინს მოგვიწყობენ.

შობის შესახვედრად დისნეი ლენდზე უკეთეს ადგილს ვერც იპოვით. პარკში გიგანტური ნაძვის ხე აღმართულა. ირგვლივ საშობაო მელოდიები გაისმის. დისნეის გმირები ყველას ართობენ.

ერთ საუცხოო ღამეს კი კონკიასადმი მიძღვნილი ზეიმი იმართება. საღამო კონკიას სამეფო კორონაციით იწყება. ფორეკორტის კოშკში სცენაზე გამოდიან ზღაპრულ ეტლში ჩამსხდარი კონკია და პრინცი - ჩარმი. ისინი ყველას ბედნიერი ღიმილითა და ხელის ქნევით ესალმებიან. ამ რომანტიკულ საღამოში დისნეის სხვა გმირებიც ღებულობენ მონაწილეობას. სამეფო აღლუმის შემდეგ კი კონკიას კოშკის ბაღში გრძელდება ფესტივალი. თვალწინ ზღაპრულად განათებული ბაღი იშლება, გაისმის მუსიკის ჰანგები. დამსწრე საზოგადოებას თავი ზღაპარში ჰგონია: ფესტივალი ხომ კონკიას ზღაპრის ბედნიერი გაგრძელებაა! ყველას შეუძლია კონკიასა და პრინც ჩარმს ბედნიერება უსურვოს.

ტოკიოს დისნეი ლენდში, სხვა ლენდების მსგავსად, ვიმოგზაურებთ თავგადასავლების სამეფოში, რომელიც პარკის მარცხენა მხარეს მდებარეობს. იქ იხილავთ კარიბის ატრაქციონების მეკობრეებს, იმოგზაურებთ ჯუნგლებში, შეგიძლიათ შეცუროთ ბნელ ქვაბულში ინდიანა ჯონსის მსგავსად. შეხვალთ შენობაში, რომელსაც "ტიკის ოთახებს" უწოდებენ. ტოკიოს დისნეი ლენდში "ტიკის ოთახები" გაცილებით უკეთესია, ვიდრე ამერიკაში. შენობაში შესვლისას გარედან ისმის "ტიკის" კაკუნი. იგი ესალმება ხალხს და თან მღერის: "ცხელა, ცხელა, ცხელა! და შენ ცეცხლს მიკიდებ". ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოა.

ფანტაზიების სამეფო კოშკის უკან, მარჯვნივ მდებარეობს. იქ დაუვიწყარი თავგადასავლები გელით დისნეის სხვადასხვა გმირებთან ერთად. ვინი პუჰი თაფლის ქოხში ცხოვრობს და დღედაღამ თაფლს მიირთმევს. თავს ამოვყოფთ ალისას მიერ გამართულ ჩაის წვეულებაზეც. გსურთ, ახლოს გაიცნოთ პიტერ პენი? ამ სამეფოში შეგიძლიათ მასთან ერთად იფრინოთ. ფანტაზიების სამეფოში იაპონურ სტილზე აგებული თავშესაფარიცაა, სადაც შესაძლებელია მართლაც ფანტასტიკურ გარემოში დასვენება.

იაპონური მაღალი ტექნიკის გამოხატულებაა "მომავლის სამეფო", სადაც ვიხილავთ სივრცულ მთას. ჩვენს თვალწინ კოსმიური სამყარო იშლება რაკეტებით, პლანეტებითა და ვარსკვლავებით. რაკეტებით პლანეტებზე ვიმოგზაურებთ. აქვე დავესწრებით მიკრო-სათავგადასავლო წარმოდგენას, რომელიც ძალიან პოპულარულია დამთვალიერებელთა შორის. გარეგნული იერსახით ეს სამეფო კალიფორნიისას მოგაგონებთ, მაგრამ გაცილებით თანამედროვეა ტექნიკური აღჭურვილობით.

კრიტერების სამეფო კი მართლაც გაოცებას იწვევს მნახველებში. იგი პატარა ცხოველებითაა დასახლებული. მათ პაწია, მოხდენილი სახლები აქვთ. კრიტერების ქვეყნის სიუჟეტი აგებულია დისნეის ფილმის მოტივებზე (Sony of the South). მათი სახლები მდინარის ნაპირებთან შეგვიძლია ვიპოვოთ, თუმცა ზოგი მათგანი "შხაპუნა მთის" წვერზეცაა აშენებული.

ფანტაზიის სამეფოსა და მომავლის სამეფოს შორის მდებარეობს კიდევ ერთი ქალაქი, რომელსაც თოჯინების ქალაქს უწოდებენ. ანიმაციური ფილმების გმირები აქ დახატულ სახლებში ცხოვრობენ. თოჯინების ქალაქში მოხვედრილებს ისეთი შეგრძნება გვეუფლება, თითქოს ანიმაციურ ფილმებში ჩვენც ვმონაწილეობთ, როგორც მულტპერსონაჟები.

მოკლედ, დისნეის სამყარო ყველა ქვეყანაში მომხიბლავია. მთავარია, მოგეცეს შესაძლებლობა, გახდე რომელიმე "დისნეი ლენდის" სტუმარი.










## უჩვეულო მენიუ

ჭიანჭველა - არაჟანში, რაგუ - კალიებისაგან, ღვეზელი - ჭიანჭველებისაგან, - არ არის გამორიცხული, რომ მალე ეს კერძები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის რესტორანთა მენიუში შეიტანონ. როგორც მეცნიერულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, მწერები შეიცავენ უამრავ სასარგებლო საკვებ ნივთიერებას, რომელიც თავისუფლად შეიძლება ადამიანმა მიიღოს. მექსიკელი სპეციალისტები, მაგალითად, მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათი ქვეყნის ტერიტორიაზე შეხვდებით მწერების 110 "საჭმელ" სახეობას. მეცნიერებმა უკვე შეიმუშავეს ჭიანჭველებისა და ხოჭოებისაგან დასამზადებელი ორიგინალური კერძების რეცეპტები. ცილების შემცველობით ისინი არ ჩამოუვარდებიან ხორცით, რძითა და კვერცხით დამზადებულ საჭმელებს.

გამოანგარიშებულია, რომ 100 გრამი საქონლის ხორცი შეიცავს 21,5 გრ. პროტეინს, 100 გრამი ღორის ხორცი - 18,5 გრ.-ს, 100 გრამი თევზი - 18,9 გრ.-ს, 100 გრამი ქათმის ხორცი - 20,2 გრ.-ს, მაშინ, როდესაც 100 გრამი ჭიანჭველის ხორცში 20,4 გრ. პროტეინია და, თანაც, მწერებს გაცილებით ადვილად ითვისებს ადამიანის ორგანიზმი.

## „კაკანათი" კოღოებისათვის

კანადაში შეიმუშავეს კოღოების მოსპობის ორიგინალური მეთოდი. მეცნიერებმა მოახერხეს, მაგნიტოფონის ფირზე ჩაეწერათ ძახილი, რომლითაც მამალი კოღო უხმობს დედალს.

ამ ჩანაწერს რთავენ საგანგებოდ მოწყობილ ადგილებში, საითკენაც გამალებით მოეშურებიან ყოველი მხრიდან მდედრობითი სქესის კოღოები!

## ორდენი - პატიმარს!

იაპონიაში შემოიღეს ახალი ორდენი: "საუკეთესო ყოფაქცევისათვის". ამ ორდენით ციხეებში აჯილდოებენ გამორჩეულად დამჯერე პატიმრებს.

## მადაც ამას ჰქვია!

მუხლუხა ჭია ყველაზე ღორმუცელა არსებაა დედამიწის ზურგზე. იგი ერთი თვის განმავლობაში 6 ათასჯერ მეტ საკვებს მიირთმევს, ვიდრე თავად იწონის.

## ამოუწურავი შესაძლებლობების თამაში

ჭადრაკის თამაშის დროს აურაცხელი რაოდენობის კომბინაციათა მოფიქრება შეიძლება. დედამიწაზე მცხოვრებმა ორნახევარმა მილიარდმა ადამიანმა რომ შეუსვენებლივ ითამაშოს მთელი დღე-ღამის განმავლობაში და თითოეულ სვლას მხოლოდ ერთი წამი მოანდომოს, ამ შემთხვევაშიც კი ვერ ამოვწურავთ ყველა შესაძლო კომბინაციას.

## ლოკოკინათა „საძმო"

უცნაურია, მაგრამ დადგენილი ფაქტია, რომ დედამიწაზე 80 000 სხვადასხვა სახის ლოკოკინა ცხოვრობს.

## ხმაურის რეკორდი

ყოფილმა მომღერალმა ქალმა, გრეის ჰოლმა, რომელიც ცხოვრობს დაბა პასპაიმდერში (ექსტერის საგრაფო, ინგლისი), დაამყარა "ხმაურის" რეკორდი. მისი ყვირილი წარმოშობს 108,7 დეციბალს. ვარჯიშის შედეგად მან გადაფარა სანგრევი უროს ხმა, რომელიც მხოლოდ 95 დეციბალს წარმოშობს.



მამუკა ტყემელაშვილის და ირაკლი ბილაშვილის კოლაჟი

## საწოლი - მაღვიძარა

ამერიკაში პატენტირებულია ახალი და ყველაზე საიმედო მაღვიძარა. იგი მოთავსებულია საწოლის თავზე და თოკითაა შეერთებული სასხლეტთან, რომელიც საწოლის სპეციალურ მექანიზმს იჭერს. თუ ზარმა ვერ გაგაღვიძათ, ნუ დაღონდებით: სასხლეტი ამუშავდება და თქვენ იატაკზე გადმოკოტრიალდებით!

## ვენერას „სიგნალი"

ბევრი ციური მნათობი გვიგზავნის თავის რადიოსიგნალებს დედამიწაზე, მაგრამ მათ შორის ყველაზე დაუცხრომელია ვენერა - ცისკრის ვარსკვლავი. რადიოტელესკოპები განუწყვეტლივ იღებენ მისგან "მსტვინავ" სიგნალებს, რომლებიც აცნობებენ ასტრონომებს, რომ ვენერას ზედაპირი მდუღარე წყალზე უფრო ცხელია.

## სათვალე მამლებისათვის

სჭირდება თუ არა მამალს სათვალე? რა თქმა უნდა, სჭირდებაო, გადაწყვიტეს გამომგონებლებმა და შექმნეს დამცავი სათვალე მოჩხუბარი მამლებისათვის. ახლა მათ შეუძლიათ უშიშრად შეებან მეტოქეს, რადგან თვალები არ დაუზიანდებათ. ეს "ძვირფასი" აღმოჩენა შეუმჩნეველი არ დარჩენილა, - ავტორს პატენტი მიეცა.

## ორი მოტორი

იაპონიაში დაამზადეს მცირელიტრაჟიანი მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც ერთდროულად ორი მოტორი აქვს ჩადგმული. ერთ-ერთი მოტორი ელექტროძრავაა. ქალაქგარეთ მძღოლი ორცილინდრიან ბენზინის ძრავას იყენებს, დასახლებულ პუნქტებში კი ეს ძრავა გამოირთვება და მანქანა ელექტრომობილად გადაიქცევა.

ახალი მანქანა მნიშვნელოვნად ამცირებს მავნე გაზების გამობოლქვას და ქალაქში ჰაერის დაბინძურებას.

## თმის სიმაგრე

ყველამ როდი იცის, რომ ადამიანის თმის ღერი 100 გრამამდე დატვირთვას უძლებს. ადამიანს თავზე 200 ათასამდე ასეთი თმა აქვს. ადვილი გამოსაანგარიშებელია, რომ ქალის ნაწნავს, მაგალითად, 15-20 ტონა ტვირთის აწევა შეუძლია. ამიტომ აღარ გვიკვირს, როცა ვკითხულობთ, რომ ძველ კართაგენში სქელ კონად დაწნულ ქალის თმას სამხედრო საქმეში ხმარობდნენ სხვადასხვა ქვის სატყორცნი იარაღების დასამზადებლად.

## შეცდომა

ცხრამეტი წლის იტალიელი ვინჩენცა კოსტა სახტად დარჩა, როცა ერთ მშვენიერ დღეს ჯარში გასაწვევი უწყება მიიღო. იტალიაში მოქმედი კანონი ქალების ჯარში გაწვევას არ ითვალისწინებს, ვინჩენცა კოსტა კი ქალთა სქესის წარმომადგენელი გახლდათ.

როგორც შემდეგ გამოირკვა, კოსტას დაბადების მოწმობაში შეცდომით ჩაუწერიათ სქესი. გასაწვევ პუნქტში ქალიშვილს მაინც მოსთხოვეს იმის დამადასტურებელი ცნობა, რომ იგი ნამდვილად ქალი იყო.

ასეთი ცნობა პოლიციას უნდა გაეცა, მაგრამ პოლიციამაც თავი შეიკავა ცნობის გაცემისაგან იმ დრომდე, ვიდრე ვინჩენცა კოსტა თავისი ქალობის დამადასტურებელ დასკვნას არ გამოართმევდა სამედიცინო კომისიას.

მარინა ვეკუა

## ბებოს დაბადების დღეზე

მოგიტანე, ჩემო ბები,
ნაირფერი ყვავილები,
დაბადების დღეს გილოცავ,
ვიცი, გამიმასპინძლდები!

მიყვარს შენი გამომცხვარი
ხაჭაპური და ნამცხვრები,
შეგიძლია, მომიტანო
გემრიელი მურაბები.

არ ვიწუნებ არც ჩურჩხელებს,
კიდევ, მიყვარს კანფეტები...
ვნახოთ, როგორ გამახარებ!
მერე კიდევ გესტუმრები.



## ერთგული ცუგო

გაცივდა და სიცხე მისცა,
ავად გახდა გოგიტა.
მოწყენილი მისი ცუგო
მთელ დღეს უზის ლოგინთან.

თითქოს ელაპარაკება:
"ყურადღება ხომ გინდა?
ოღონდ ჩქარა მეთამაშე,
ყველა წამალს მოგიტან!"



## მშიშარა ყურცქვიტები

ეს ჩერჩეტი ყურცქვიტები
ჩასხდებიან ბუჩქთან,
ცხვირს შეყოფენ ჩირგვებში,
ყურები კი - უჩანთ!





## უცნაური ბუ

ვერ გაუგებ ბუს,
რა უმძიმებს გულს.
ღამე ცაში დანავარდობს,
დღე, რატომღაც, სძულს.

უხარია, როდესაც
წვიმს, ან ძლიერ ქუხს...
ყველაფერი უკუღმა აქვს,
ამიტომაც დუმს.



## ნატვრა

"ზოოპარკში წავიდეთ,
გეხვეწები, მამიკო!"
მამა სულ გაიძახის:
"არ მცალია, რა გიყო?!"

თოჯინამ ვერ გამართო,
ხან ძაღლს დავსდევ, ხან ფისოს...
ნატვრა თუ არ ამიხდა,
რაღა გამახალისებს?



## გაბუტული ფისო

თვალხატულა ფისო
გაბუტული ზისო,
გულსაკლავად, ჩუმად კნავის,
ცრემლი ჩამოსდისო.

მურიკელამ მომატყუა:
"კარგი სუნი სდისო,
მიდი, ძეხვი ჩამოხსენი,
ჩამოაგდე ძირსო!"

დავუჯერე და წამართვა:
"ნუ წაილებ ტვინსო!"
თვითონ ჭამს და მე არ მაძლევს,
არ აჩერებს პირსო.

## ბაზარი

დედამ თან წამიყვანა,
გუშინ ვნახე ბაზარი!
იქ ზღვა ხალხი ირევა,
არის აყალ-მაყალი.

გამყიდველთა ხუმრობა,
სიცილი და შაირი...
დახლზე კოხტად უწყვიათ
ხილი - ნაირ-ნაირი!

ყურძენი და ბანანი,
თითქოს, შაქრად დნებიან...
ჩურჩხელებს და ჩირს ყიდის
იქვე, ვიღაც ბებია.

აქეთ კიტრი აწყვია,
იქით - დაფნის ფოთოლი.
იქვე, ბავშვი, ჩემხელა,
დამათხოვრობს, ობოლი.

იქით - ყვავილები აქვთ,
აქეთ - გოჭებს ყიდიან,
დახლებს შორის ბიძები,
მოდიან და მიდიან.

ქვეყნის ფული მოგვთხოვეს
დიდ, ცოცხალ ინდაურში...
როგორ არ იღლებიან,
მთელ დღეს, ასეთ ხმაურში?



## სათვალე

ბაბუს დიდი უჯრიდან
ამოვიღე სათვალე,
გავიკეთე, რას ვხედავ!
თითებიც ვერ დავთვალე!

თავბრუმ დამაბარბაცა,
მოვიხსენი, დავმალე...
უნდა ვკითხო ბაბუას,
რად იფუჭებს ამ თვალებს?



გია გელაშვილის ნახატები

# ცხოვრება ქართველთა



































ტექსტის ავტორი
და კონსულტანტი: ჯაბა სამუშია
მხატვარი: ლევან კიკალიშვილი

# XX საუკუნის რობინზონები

ვ. ლედნევი

***გაზეთებმა ქვეყანას ამცნეს გადარჩენა თორმეტი პოლინეზიელი მეზღვაურისა, რომელთა ხომალდი წყნარ ოკეანეში ჩაიძირა. ხომალდის დაღუპვის შემდეგ ეკიპაჟის წევრებმა სამი თვე გაატარეს პაწაწინა რიფზე. მათ არ ჰქონდათ არც სურსათი და არც წყალი. ქვემოთ მოგითხრობთ ამ ლეგენდარულ ამბავს.***

1962 წლის 4 ივლისს პაწაწინა კუტერმა „ტუაიკაეპაუმ“, რომელსაც კაპიტანი ტევიტა ფიფიტა მეთაურობდა, დატოვა ნავსადგური ნუკულაოფა - ინგლისის პროტექტორატის კუნძულოვანი სამეფოს - ტონგას არქიპელაგის დედაქალაქი. იდგა მშვიდი, ცხელი დღე, რაც ბედნიერი მგზავრობის მომასწავებელი იყო. „ტუაიკაეპაუს“ ოკლენდისკენ ეჭირა გეზი. მას 1250 საზღვაო მილი აშორებდა ახალი ზელანდიის ამ უდიდესი სანავსადგურო ქალაქისგან. ტევიტა ფიფიტას და ეკიპაჟის თექვსმეტ წევრს არა ერთხელ უმოგზაურიათ ამ პატარა ხომალდით, რომლის სიგრძე თხუთმეტ მეტრს არ აღემატებოდა. ოკეანის პირას გაზრდილი მომცრო ტანის, მაგრამ ძალ-ღონით სავსე პოლინეზიელები კარგი მეზღვაურები იყვნენ.

ახალი ზელანდიის ნაპირებს კუტერი დაახლოებით ოცი დღე-ღამის შემდეგ უნდა მისდგომოდა. მაგრამ ოკლენდში იგი არც ივლისში და არც აგვისტოში არ მისულა. ძებნას შედეგი არ მოჰყოლია. და საზღვაო რეგისტრის დავთარში სახელწოდება „ტუაიკაეპაუს“ გასწვრივ გაჩნდა ლაკონური წარწერა: „დაიკარგა უგზო-უკვლოდ...“

ნავსადგურიდან კუტერის გასვლის შემდეგ ამოვარდა ქარიშხალი. პოლინეზიელები მამაცურად იბრძოდნენ, არ სცილდებოდნენ ტუმბოებს, ქაჩავდნენ წყალს ტრიუმიდან. უბედურება 8 ივლისის წინა ღამით დაატყდათ თავს. ვეებერთელა ტალღამ კუტერი აიტაცა და რიფზე დაანარცხა. ყველაფერი რამდენიმე წამში მოხდა. მეორე ტალღამ კი ჩაძირა გემი. მაგრამ ვიდრე ეს ტალღა ეძგერებოდა დასაღუპავად განწირულ გემს, ჩვიდმეტმა მეზღვაურმა მოასწრო მისი დატოვება და ცურვით მიაღწია მარჯნის პატარა კუნძულამდე.

გათენდა XX საუკუნის რობინზონადის პირველი პირქუში დილა. იგი უსიხარულო იყო. გადარჩა გალეტის რამდენიმე შეკვრა, თიხის ქოთანი და რეზინის შლანგი. მეზღვაურებს იმედი მიეცათ, როცა შორიახლოს დაინახეს დაღუპული გემის ჩონჩხი, იქნებ, იქ სურსათის მარაგია დარჩენილიო? იმედი ისევე სწრაფად გაქრა, როგორც გაჩნდა. დიდი ხნის წინათ დაღუპული ეს იაპონური ტრაულერი ცარიელი იყო, მაგრამ მისმა პოვნამ მაინც ძლიერ გაახარა მეზღვაურები.

ეკიპაჟის ერთ-ერთ წევრს ასანთის რამდენიმე ღერი აღმოაჩნდა. კაპიტანმა ფიფიტამ ფრთხილად ამოიღო ისინი მთლად სველი კოლოფიდან და ნიჟარაზე დააწყო გასაშრობად. შემდეგ ყველანი შეუდგნენ ტრაულერის ხის გარსის აგლეჯას. არავითარი ხელსაწყო არ ჰქონდათ. ფიცრებს, რომლებიც დიუმიანი ლურსმნებით იყო დაჭედილი, კბილებით აძრობდნენ. როგორც იქნა, შეაგროვეს კოცონისათვის ფიცრები. კაპიტანმა მღელვარებისაგან ათრთოლებული ხელით გაჰკრა ღერი კოლოფს. თავი მტვრად იქცა. მეორესაც იგივე დაემართა, მესამესაც, მეოთხესაც და მეხუთესაც. დარჩა ბოლო, მეექვსე ღერი. უკანასკნელი იმედი ცეცხლის დანთებისა, უკანასკნელი იმედი იმისა, რომ ღამით ნიშანი მიეცათ გემისათვის, რომელიც კუნძულს მიუახლოვდებოდა. და ეს ღერი აინთო!

კოცონმა ადამიანებს სიმხნევე შემატა. იმედი მიეცათ, რომ დაკარგულ კუტერს, ბოლოს და ბოლოს, ძებნას დაუწყებენ. დიდი-დიდი, ერთი თვე დარჩნენ ამ დღეში. შეიძლება, უფრო ადრეც დაიხსნან: ოკეანის ამ რაიონში ხშირად ფრენენ თვითმფრინავები და მიმოდიან ხომალდები.

თვითმფრინავები? გადარჩენის ახალი იმედი. საჭიროა, მხოლოდ, ნიშანი მისცენ. ბედმა თითქოს კვლავ მოწყალე თვალით გადმოხედა პოლინეზიელებს, ტრაულერზე აღმოჩნდა ქილა, რომელშიც ცოტა თეთრი საღებავი იყო ჩარჩენილი. დაღუპული გემის ქიმზე ამ საღებავით დააწერეს ასოები: „SOS“, „SOS“. არც ეს გამოდგა იოლი. საღებავი გამხმარიყო, ფუნჯი არ ჰქონდათ. ერთ დღეში მხოლოდ ერთი ასოს გამოყვანა შეძლეს. სულ ამ სამუშაოს სამი დღე მოანდომეს.

კოცონი ახლა განუწყვეტლივ ენთო. კაპიტანმა ფიფიტამ მორიგეობა დააწესა: ერთნი ცეცხლს დარაჯობდნენ, მეორენი - ტრაულერის დაშლაზე მუშაობდნენ, მესამენი - ისვენებდნენ. კაპიტანმა ფიფიტამ მშვენივრად იცოდა, იმ მდგომარეობაში, რომელშიც „ტუაიკაეპაუს“ ეკიპაჟი ჩავარდა, ყველაზე უფრო სახიფათო იყო უმოქმედობა. ტრაულერის ტრიუმში დიდი ავზი და ვედრო იპოვეს. ვედრო, ქოთანი და მოლუსკების ნიჟარები ცოტა ტენს როდი დაიტევდა. მთელ იმედს წვიმაზე ამყარებდნენ. მაგრამ ხშირად მოდის კი წვიმა ოკეანეში გადაკარგულ ამ პატარა მიწის ნაჭერზე?

ტევიდა ფიფიტამ იცოდა, სასმელი წყლის მიღება



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

შეიძლება ზღვის წყლის დისტილირებით. ხომ არ ეცადათ? მით უმეტეს, რეზინის შლანგი ჰქონდათ. როგორც იქნა, გააკეთეს გამოსახდელი ქვაბი. და, აი, ვედროს ძირს მტკნარი წყლის პირველი წვეთები დაეცა. მეზღვაურები ზეიმობდნენ. არა, ისინი სტიქიას ასე ადვილად არ დანებდებიან! გავიდა რამდენიმე საათი. ვედროში დაახლოებით ერთი ჭიქა წყალი მაინც დაგროვდა. ფიფიტამ გამოიანგარიშა: თუ წყალს გამოხდიან მთელი დღე და ღამე, ეკიპაჟის თითოეულ წევრს მხოლოდ რამდენიმე ყლუპი შეხვდება. ცოტაა. ძალიან ცოტაა. მაგრამ ესეც დიდი საქმეა.

კიდევ უფრო ცუდად იყო სურსათის საქმე. ნამცხვარი იზოგეს, იზოგეს, მაგრამ ათი დღის შემდეგ მაინც გაუთავდათ. სცადეს თევზისა და კიბორჩხალების დაჭერა. ლურსმნებისგან ნემსკავები გააკეთეს, ტანსაცმლისგან კი თოკი დაგრიხეს. ნემსკავები თოკს გამოაბეს. გამოვიდა ანკესები! მაგრამ თევზებს არ სურდათ დაჟანგული რკინის გადაყლაპვა. ამიტომ, ანკესებს თავი დაანებეს და თევზაობა ფიცრებისგან გაკეთებული კალათით დაიწყეს.

გავიდა ერთი თვე. ამ ხნის განმავლობაში ახლომახლო არც ერთი ხომალდი არ გამოჩენილა და არც ერთ თვითმფრინავს არ გადაუფრენია. „ახლა კი დაგვიწყებენ ძებნას, - ამბობდნენ მეზღვაურები, - ახლა მაინც მოვაგონდებით“. დღე დღეს მისდევდა, გაძვალტყავებული და ღონემიხდილი ადამიანები იმედით შეჰყურებდნენ ჰორიზონტს. იგი ძველებურად უკაცრიელი იყო. არა, ინგლისელ კოლონიურ ხელისუფალთ არც აგონდებოდათ ჩვიდმეტი „ადგილობრივი მკვიდრი“.

ერთ დილას მოკვდა ფატაი ეფეაფი. მარჯნის ნატეხზე ჩამომჯდარს თავი ხელებზე დაეყრდნო. ის ყველაზე სუსტი იყო და კაპიტანმა ფიფიტამ იკითხა, ფატაისთვის თევზის პატარა ნაჭერი ხომ არა გაქვთო... თევზის ნაჭერი ფატაის გაუწოდეს, მაგრამ ის უკვე მკვდარი იყო. გარდაიცვალა კიდევ ორი - სიოუე სიკემეტი და სიონე ლოსე. გარდაცვლილები ძონძებში გახვიეს, წააწერეს „SOS“ და ზღვაში გადააგდეს. იქნებ, მკვდრებმა გადაარჩინონ ცოცხლები?

მარჯნის რიფზე მეზღვაურთა ყოფნის მეორე თვეც მიილია. შველა არსაიდან ჩანდა. მაშინ გადაწყვიტეს, ტრაულერისაგან ნავი გაეკეთებინათ და ჩრდილოეთისაკენ წასულიყვნენ. უახლოეს დასახლებულ კუნძულებამდე, სულ ცოტა, სამასი მილი მაინც იყო. მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავდნენ.

დადგა 7 სექტემბერი. ორი თვის უკან პირველად შედგეს ფეხი ამ რიფზე და ახლა მის დატოვებას აპირებდნენ. დიდის ვაი-ვაგლახით გაკეთებული ნავი მხოლოდ სამ კაცს თუ დაიტევდა. „კაპიტანი ფიფიტა აუცილებლად უნდა წავიდეს“, - იყო ერთსულოვანი აზრი. დანარჩენებმა კენჭი ჰყარეს. წილი ხვდა გემის ხუროს ტევიტა უახლეს და კაპიტნის უმცროს ვაჟს - საკეტის.

იაპონურ ტრაულერზე კომპასი იპოვეს. ეს კომპასი და რუკა, რომელიც კაპიტანმა ამოკაწრა ფიცრის ნაჭერზე, მეზღვაურთა ერთადერთ ნავიგაციურ ხელსაწყოს წარმოადგენდა. 7 სექტემბერს შუადღისას სამი პოლინეზიელი დაადგა სახიფათო მგზავრობას, რათა რიფზე დარჩენილი თერთმეტი ამხანაგისთვის ეშველა. თან წაიღეს მხოლოდ ერთი დოქი წყალი, რამდენიმე მოხარშული ზღვის ვარსკვლავა და ჩვრებისგან დიდი გაჭირვებით შეკერილი აფრა.

თვეზე მეტ ხანს იცურეს. „სურსათის მარაგი“ მალე გაუთავდათ. სამი მამაცი მეზღვაური იკვებებოდა პლანქტონით, მფრინავი თევზებით, რომლებიც ზოგჯერ ნავში ცვივოდნენ. ერთ ბედნიერ დღეს თოლიას დაჭერა მოახერხეს და მთელი ორი დღე ამით გაიტანეს თავი...

კვირას, 14 ოქტომბერს, მეზღვაურებმა ჰორიზონტზე მიწა დაინახეს. წარმოუდგენელი იყო ამ ადამიანთა სიხარული! ახსოვდათ არა მარტო საკუთარი თავი, არამედ რიფზე დარჩენილებიც, რომლებმაც თავიანთი ხსნა მათ მიანდეს. საღამოს მიწა უკვე სულ ახლოს იყო.

უბედურება უეცრად ეწვევა ხოლმე კაცს. კუნძულამდე სულ ორი მილიღა იქნებოდა დარჩენილი, რომ ნავს უცებ დაატყდა უზარმაზარი ზვირთი. სამივე მეზღვაურმა ზღვაში ამოყო თავი. გადაწყვიტეს, ცურვით მიეღწიათ ნაპირამდე. ჯანმრთელი ადამიანებისთვის ეს, ალბათ, არც თუ ისე ძნელი იქნებოდა, მაგრამ იმათთვის, ვინც სამი თვე იშიმშილა...

კუნძულამდე რამდენიმე ასეული მეტრი რჩებოდა, როცა საკეტი ცუდად გახდა. კაპიტანმა ხელი შეაშველა. დაბრუნდა ხურო ტევიტა უასალე, მაგრამ კაპიტანმა უბრძანა, განეგრძო ცურვა.

- ერთ-ერთმა ჩვენგანმა მაინც უნდა მიაღწიოს ნაპირს, - უთხრა მან, - ჩვენ გველიან.

და ხურომ გაცურა.

საკეტი გრძნობას ჰკარგავდა. წყლის ზედაპირზე მისი გაჩერება სულ უფრო უჭირდა კაპიტანს. მაშინ ჭაბუკმა უთხრა მამას:

- დამანებე თავი, თორემ ორივე დავიღუპებით.

კაპიტანი უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა, რათა გაეჩერებინა შვილის დამძიმებული სხეული წყლის ზედაპირზე. საკეტიმ ისევ უთხრა მამას:

- იფიქრე იმათზე, ვინც რიფზე დარჩა. რა იქნება, უასალემ კუნძულს რომ ვერ მიაღწიოს?

რაღა დარჩენოდა კაპიტანს? ერთი წუთის შემდეგ უკან რომ მოიხედა, ველარ დაინახა თავისი საყვარელი პირმშო...

დანარჩენის გადმოცემა ორიოდე სიტყვით შეიძლება: მიაღწიეს ნაპირამდე. შესვენების შემდეგ ორი მეზღვაური გზას გაუდგა. შეიტყვეს, რომ ფიჯის არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე იყვნენ. კაპიტანმა ფიფიტამ, როგორც იქნა, დაარწმუნა ხელისუფალნი თავის სიმართლეში. დაზვერვაზე გაგზავნილმა თვითმფრინავმაც იგივე დაადასტურა. 16 ოქტომბერს, დილით, მფრინავი ნავი რიფის ახლოს, წყალზე დაჯდა. ჩაუშვეს გასაბერი ბოტი. ნაპირზე სიხარულით ხტოდა ათი არაქათგამოცლილი, გაძვალტყავებული ადამიანი. მეთერთმეტე ქვიშაზე იწვა, - გული გაუსკდა, როცა რეზინის ნავი მიადგა მარჯნის ქვიშიან ნაპირს.



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

# RISE OF NATIONS



ახალი რეალური დროის სტრატეგია - ახალი სტუდიისგან! თუმცა Big Huge Games-ში ახლა მუშაობს ავტორი, რომელმაც დაწერა სცენარები ცნობილი თამაშებისათვის: Civilization II და Colonization. Rise of Nations სტილით ზემოთაღნიშნულ თამაშებს ჩამოჰგავს, ვინაიდან აქაც საჭიროა არამარტო ბრძოლა და საბრძოლო ტექნიკის განვითარება, არამედ სურსათზე ზრუნვაც და, შესაბამისად, ქალაქი ნამდვილ ქალაქს უფრო ემსგავსება, ვიდრე სამხედრო ციხე-სიმაგრეს.

სულ თამაშში 7 ძირითადი განვითარების ეტაპია, რომელიც მოიცავს პერიოდს ანტიკურიდან - ჩვენს დრომდე. საინტერესოა, რომ რომელიმე რუკაზე თქვენი ერი შეიძლება, უცებ, მეხუთე ეპოქაში გადავიდეს, ხოლო მოწინააღმდეგე კი კიდევ კარგა ხანს დარჩეს მეოთხეში. ამ დროს მის არბალეტიან მეომრებს თქვენ მუშკეტებით ებრძვით და, რა თქმა უნდა, უპირატესობაც გაგაჩნიათ. პროგრესს განიცდის სამოქალაქო ცხოვრებაც: ვაჭრები ნელ-ნელა ვირებიდან ავტომობილებზე გადადიან და საერთოდ, სატრანსპორტო საშუალებების განახლება ხდება. რეალურად ეს შემდეგნაირად აისახება თამაშის მსვლელობაზე: სურსათი და ნედლეული უფრო სწრაფად მოიპოვება, მშენებლობა უფრო იაფი ჯდება, საშუალება გვეძლევა, განვავითაროთ ახალი ტექნოლოგიები, როგორც საბრძოლო, ისე - სამეურნეო. მოკლედ რომ ვთქვათ, ბრძოლას ვიწყებთ ხმლით და მსოფლიოს დაპყრობას ატომური იარაღით ვასრულებთ.





თამაში, გარკვეულწილად, ტაქტიკასაც მოიცავს: აქ იმ ეტაპს კი არ ვთამაშობთ, რომელსაც კომპიუტერი გვარგუნებს, არამედ მსოფლიო რუკაზე ძალთა განლაგების გათვლის შედეგად ვირჩევთ, რომელ ქვეყანას შევუტიოთ და რომელი მხრიდან. ამ ყველაფერს იმიტომ ენიჭება მნიშვნელობა, რომ კარგად გამაგრებული ტერიტორიის დაკავება შეიძლება ვერც მოვახერხოთ და მხოლოდ ზარალი ვნახოთ. შეიძლება, ასევე, ვინმეს თავს დავესხათ და მან, საპასუხოდ, ჩვენი მოშიშვლებული ფლანგები დაიკავოს. ამავე რუკაზე ჩვენ ვითვლით ფულს, ვვაჭრობთ და ვეწევით დიპლომატიას. თუ ფული საკმარისად გვაქვს, შეგვიძლია სულაც არ ვიომოთ და, უბრალოდ, მოვისყიდოთ რომელიმე ტერიტორიის გარნიზონი, ან ვიქირავოთ შემდეგი ბრძოლის წინ პარტიზანები.

სულ სამი სათამაშო რეჟიმია გათვალისწინებული: სწრაფი ბრძოლა, კამპანია და ქსელური თამაში.

*ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს* ***8.6*** *ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).*

# TOCA RACE DRIVER




Colin Mc Rae Rally 3-ის გამოშვებამდე ორი თვით ადრე Codemasters-მა გამოსცა ავტორბოლების კიდევ ერთი სიმულატორი, რომელიც უკვე მოიცავს იმ გრაფიკულ ტექნოლოგიებს, რალის მესამე ვერსიაში რომ უნდა ჩაიდოს. შემიძლია პირდაპირ ვთქვა, რომ ასეთი სილამაზის ავტორბოლები კომპიუტერულ თამაშებში არ შემხვედრია. არა მარტო სილამაზეა აქ აღსანიშნავი, - საუკეთესოა ხმოვანი ეფექტებიც, ასევე - ანიმაცია და ავტომანქანის აღქმის ტექნიკა. აღქმა შემთხვევით არ მიხსენებია: ნებისმიერი ფირმისა და მოდელის მანქანას სხვადასხვაგვარი მოპყრობა სჭირდება, - თუ პაწაწინა "მინი" დამჯერია და მოსახვევებში უზუსტობას გვპატიობს, "სუბარუ იმპრეზა" დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, - მისი საჭე მეტისმეტად მგძნობიარეა და მიუხედავად ოთხივე წამყვანი თვლისა, მოსახვევში, დიდი შანსია, ბალახზე აღმოვჩნდეთ, ან, სულაც, ბეტონის დამცავ კედელს "ჩავეხუტოთ".

თამაშს ტრაფარეტული სიუჟეტი აქვს: 15 წლის წინ ავტორბოლებში დაღუპული პილოტის შვილი გადაწყვეტს, მამის გზას გაჰყვეს და მაღალი კლასის ავტომრბოლელი დადგეს. იგი ზის საკუთარ ოფისში და ათვალიერებს ელექტრონულ ფოსტას, სადაც, დროდადრო, რბოლებში მონაწილეობის მიღებას სთავაზობენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მაგრამ იგი ჯერ მსოფლიო ჩემპიონატებში ვერ მიიღებს მონაწილეობას, რადგან ამისათვის საჭიროა, უფრო დაბალი დონის შეჯიბრებებში მოაგროვოს 132 ქულა.

სულ მოცემულია 38 ავტოდრომი და 40-მდე ავტომანქანა. ალბათ, აქ ზედმეტია ცალკე იმის აღნიშვნა, თუ რამდენად დიდი არჩევანი გვაქვს. ამასთან, ყოველ ავტოდრომზე შეიძლება სხვადასხვა ამინდი დაგვხვდეს და მანქანის გზაზე მოძრაობის ხასიათიც ამის მიხედვით შეიცვალოს. სიტუაციის გამოსწორება შეიძლება, თუ არ დავიზარებთ და ბოქსებში შევიხედავთ, სადაც ავტომანქანის მრავალი პარამეტრის რეგულირებაა შესაძლებელი. სასარგებლოა, ასევე, წინასწარ, ავტოდრომზე გასეირნება და ყოველი სახიფათო მოსახვევის დამახსოვრება. რბოლის დროს ეს დიდ სამსახურს გაგვიწევს.




რაც შეეხება ავარიებს, ისინი ძალზე ხშირად ხდება და რბოლა, შეიძლება, სულაც, სამ ბორბალზე დაასრულოთ, ან ვერც დაასრულოთ: დაჯახებისას ავტომანქანას ემსხვრევა და სძვრება ყველაფერი, რაც კი შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. რამდენიმე შეჯახების შემდეგ მშვენიერი "პეჟო 406" უკარფანჯრებო ბაგას ემსგავსება. მართალია, მანქანის გამწევობაზე ეს დიდ გავლენას ვერ ახდენს, მაგრამ იკარგება ძვირფასი დრო, რომელიც გამარჯვებისათვის ასე ძალიან გვესაჭიროება.

ლამაზი გრაფიკა, შესაბამისად, კარგ კომპიუტერს მოითხოვს: P3-700, 128MB RAM, 32MB 3D Card, ეს - მინიმუმ, და თუ გვინდა, რომ მთელი სილამაზე დავინახოთ, მაშინ დაგვჭირდება: P4-2.0, 512MB RAM, 64MB 3D Card, მაგრამ აქ ყველაზე მთავარი მაინც კარგი ვიდეოაქსელერატორია. ჩემმა GeForce4 Ti4200 128MB-მა, Celeron 1200 384RAM-თან ერთად დუეტში, მშვენივრად გაართვა თავი დასახულ ამოცანას და ძალზე ლამაზი სურათებიც გამოვიდა.

ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო მაღაზია "კომპიუტერს" (მელიქიშვილის ქ.№13) ამ თამაშის განსახილველად მოწოდებისათვის.

*ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს* ***8.8*** *ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).*





## თამაშები პერსონალურ კომპიუტერზე

# ENTER THE MATRIX



საკმაოდ ცნობილი მხატვრული ფილმის მდარე ვერსია კომპიუტერული თამაშების სამყაროში, - მოკლედ ასე შემიძლია შევაფასო ეს თამაში. ალაგ-ალაგ, ვითომ მართლაც ჰგავს ფილმს და, თითქოს, სცენარიც მიმსგავსებულია, მაგრამ მთლიანობაში (და რაც მთავარია, ხარისხში), ძალიან მოიკოჭლებს: ერთი შეხედვით, სროლაც არის, ჩხუბიც და მანქანებით რბოლაც, მაგრამ, როგორც არ უნდა მოინდომო, იარაღს სწორად ვერ დაუმიზნებ, და ჩხუბიც, მგონი, “Indiana jones”-ში უფრო უკეთესადაა დადგმული. რაც შეეხება რბოლას, - მასზე ლაპარაკიც არ ღირს. როდესაც იარაღს ისვრით, მანქანას კომპანიონი ატარებს და ისეთნაირად აკეთებს ამას, მთვრალი გეგონება. მძღოლი არც კი ცდილობს, რომ სხვა მანქანებსა და სახლებს არ დაეჯახოს. გრაფიკა, თითქოს, Max Payne-ზეა მიმსგავსებული, მაგრამ საკმაოდ ჩამორჩება მას. თამაშში ძალიან ბევრი შეცდომაა დაშვებული (კედელში გაყოფილი პისტოლეტიანი ხელები, არტეფაქტები და ასე შემდეგ...). თამაში შექმნა კომპანია Shiny Entertaiment-მა, რომელიც ცნობილია MDK-თი და MDK2-ით.

მეტის თქმა ზედმეტად მეჩვენება. ფაქტია, რომ სახეზე გვაქვს ფილმის პოპულარულობის ტალღაზე შექმნილი ძალზე ნაჩქარევი პროდუქტი.

*ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს* **8.3** *ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).*

## ანონსი

# COLIN MC RAE RALLY 3



მაშ ასე: შემდეგ თვეში გამოდის ყველასთვის ცნობილი ავტოსიმულატორი Colin Mc Rae Rally 3 და, როგორც ყოველთვის, მას უშვებს სტუდია Codemasters. წინა ვერსიების მსგავსად, თქვენ ახლაც სარბოლო ტრასებზე უნდა წარმოაჩინოთ კოლინ მაკ რეი, რომელმაც გუნდი გამოიცვალა და მომდევნო 3 წლის განმავლობაში ფორდის ღირსებას დაიცავს. ამჯერად თქვენ მოგიწევთ ერთის მაგივრად უკვე სამი ჩემპიონატის მოგება. თითოეული ჩემპიონატი შედგება დამოუკიდებელი რალისაგან, რალი კი - ეტაპებისაგან. თუ რომელიმე ეტაპს წააგებთ, ან მანქანას დაამტვრევთ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს წაგებას, - თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ, ჩამორჩენა შემდეგ ეტაპზე, ან შემდეგ რალიზე შეამციროთ.

მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი ფორდთან არის დადებული, რამოდენიმე მანქანა მაინც იქნება არჩევანში: Mitsubishi Lancer EVO 7, Subaru Impreza WRX 44S, Citroen Xsara Kit Car, Ford Puma Rally, Citroen Saxo Kit Car, Fiat Punto Super 1600, MG ZR, Ford RS200 და Lancia 037.

ახალ თამაშში დამატებულია რბოლის წინა და შემდგომი პროცედურები, ძირეულად არის შეცვლილი ანიმაცია და მოდელები. თუ ადრე თითოეული მანქანის მოდელი შედგებოდა 800 პოლიგონისაგან, ახლა მათი რაოდენობა 14000-მდე გაიზარდა, ამგვარად, დიზაინერებს საშუალება მიეცათ, გამოეჩინათ მანქანის სალონი და მძღოლები, რომლებიც საჭეს ატრიალებენ, სიჩქარეებს ცვლიან, პედლებს ფეხს აჭერენ, მოსახვევებში იხრებიან, დამუხრუჭებისას კი - წინ გადაქანდებიან, მოკლედ, ამაზე მეტად ნამდვილს მიმსგავსებული ავტოსიმულატორი ძნელი წარმოსადგენია.

*ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს* **9.1** *ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).*

# STAR WARS *KNIGHTS OF THE OLD REPUBLIC*



როგორც ჩანს, სცენარისტებს BioWare Corp-დან მოსწყინდათ ერთი და იგივე სიუჟეტების ფილმიდან გადმოღება და გადაწყვიტეს, თამაში გადაეხალისებინათ, რასაც სიხარულით დაეთანხმა გამომცემელი კომპანია LucasArts Entertainment-ი და საქმეც დაიძრა...

ამავე სახელწოდების ფილმის სიუჟეტისაგან განსხვავებით, თამაშში მოქმედება 4000 წლით ადრე ხდება და ამ პერიოდს “რესპუბლიკის ოქროს ხანა” ეწოდება, მაგრამ სიმშვიდე მაინც არ არის: მიმდინარეობს გალაქტიკური ომი, - ერთმანეთს ებრძვიან ჯედაები და სითები, ანუ კეთილი და ბოროტი რაინდები...

თამაშში ჩვენ ჯედაი ვართ და გვყავს სამი მებრძოლისაგან შემდგარი გუნდი, რომელიც აერთიანებს: ადამიანს, დროიდს და ვუკის. ჩვენმა გუნდმა ჭეშმარიტების ძიებაში გზადაგზა უნდა გადაჭრას სხვადასხვა ამოცანა და გამარჯვება მოიპოვოს სხვადასხვა რთულ სიტუაციაში. მაგალითად, მოგვიწევს რბოლები ანტიგრავიტაციულ მოტოციკლებზე და სროლა საზენიტო ტურელებიდან. უნდა ვიმოგზაუროთ სითების პლანეტა ტატუინზე, აგრეთვე დანტუინზე, სადაც უნდა მოვინახულოთ ჯედაების აკადემია და უნდა ვესტუმროთ ვუკების პლანეტა კაშიიკსაც.

თამაში წარმოადგენს როლური და აქტიური სიუჟეტების ერთიანობას. მას გააჩნია ძალზე ლამაზი გრაფიკა და სავსეა შესანიშნავი პეიზაჟებით. თამაში უნდა გამოვიდეს 2003 წლის 15 ივლისს.

*ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს* **9.2** *ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).*

## რეიტინგი

### გასული თვის საუკეთესო თამაშები

1. The Sims: Superstar Expansion Pack - Electronic Arts
2. Grand Theft Auto: Vice City - Take 2 Interactive/Rockstar
3. Enter The Matrix - Atari Interactive
4. Roller Coaster Tycoon 2: Wacky Worlds Expansion Pack - Atari Interactive
5. The Sims Deluxe - Electronic Arts
6. Command & Conquer: Generals - Electronic Arts
7. Delta Force Black Hawk Down - NovaLogic
8. The Sims: Unleashed Expansion Pack - Electronic Arts
9. Battlefield 1942 - Electronic Arts
10. Diablo 2 - Vivendi Universal Publishing





*გვერდი მოამზადა ზურაბ ბოკერიამ*

# როგორ გაჩნდა მხიარული კაცუნების ქვეყანა

თამრი ფხაკაძე



დიდი ხნის წინათ, გველეშაპების ქვეყანაში, უცნაური ამბავი მოხდა. გინდა, გიამბო?

აბა, ყური მიგდე!

იყო და არა იყო რა. შორს, აქედან ძალიან შორს, გველეშაპების ქვეყანა იყო, მაგრამ განა ჩვეულებრივი გველეშაპების! არა, ჩემო პატარავ. ეს გაუცინარი გველეშაპების ქვეყანა იყო. დიახ, მიდი-მოდიოდნენ ნაირ-ნაირი გველეშაპები: დიდები, პატარები, მსუქნები, გამხდრები, მწვანეები, ყვითლები - და სუყველანი გაუცინარები იყვნენ. არასდროს, არასდროს იცინოდნენ.

რაღა თქმა უნდა, გაუცინარი გველეშაპების ქვეყანაში მეფე და დედოფალიც გაუცინარი გველეშაპები იყვნენ.

მეფე და დედოფალი გველეშაპები ერთ დიდებულ სასახლეში ცხოვრობდნენ. შაქარყინულის მთებიც ჰქონდათ და შოკოლადის შადრევნებიც, მაგრამ, რად გინდა, რა, ბედნიერები მაინც არ იყვნენ. ეს იმიტომ, რომ შვილი არ ჰყავდათ. ძალიან, ძალიან დარდობდნენ უშვილობას, მაგრამ დარდით, აბა, საქმეს რას უშველიდნენ? ერთხელაც, დარდს თავი დაანებეს და ნატვრა-ოცნება დაიწყეს. დღეში 200-ჯერ მაინც ამბობდნენ: აჰ! ნეტავ, შვილიკო გვეყოლოს, პატარა, საყვარელი გველეშაპუნა, შაპი-შაპიკო!

ინატრეს, ინატრეს და, რა გგონია? ეყოლათ კიდეც! სწორედ ისეთი პატარა, საყვარელი გველეშაპუნა, შაპი-შაპიკო ეყოლათ, როგორსაც ნატრობდნენ.

ო, როგორ გაიხარა გაუცინარი გველეშაპების ქვეყანამ!

როგორ შეიყვარეს თავისი პატარა უფლისწული, პატარა გველეშაპუნა შაპი-შაპიკო! სულ ნაირ-ნაირი მასწავლებლები, სულ ნაირ-ნაირ რაღაცებს ასწავლიდნენ. ზოგი სიმღერას ასწავლიდა შაპი-შაპიკოს, ზოგი - ცეკვას, ზოგი - შოკოლადის ჭამას, ზოგი - ათამდე დათვლას, ზოგი - მზის გულზე კოტრიალს, ზოგიც - ტკბილი სიზმრების ნახვას.

მოკლედ, ცოტა რომ წამოიზარდა, გველეშაპუნა შაპი-შაპიკომ ყველაფერი იცოდა, ერთი რამის გარდა...

აბა, გამოიცანი, რა არ იცოდა?

ვერ გამოიცანი?

მე გეტყვი:

შაპი-შაპიკომ არ იცოდა სი-ცი-ლი... არც ჰა-ჰა-ჰა... არც ჰი-ჰი-ჰი... არც ჰე-ჰე-ჰე... არანაირი, არანაირი სიცილი არ იცოდა. ანკი ვინ ასწავლიდა? ეს ხომ გაუცინარი გველეშაპების ქვეყანა იყო და სიცილი იქ არავინ იცოდა.

გინდა გითხრა, რატომ არ იცოდნენ გველეშაპებმა სიცილი? რატომ და, დიდი ხნის წინათ, კუდიანმა ბებემ გველეშაპებს სიცილი აუკრძალა. და თუ მაინც გაიცინებდნენ, მათი სიცილის ხმაზე ყველაფერი დაინგრეოდა და დაიმსხვრეოდა... მეფის სასახლეც, დიდებული შადრევნებიც, კოხტა ქუჩებიც და ბიბინა მთა-გორებიც.

ჰოდა, გველეშაპებიც არ იცინოდნენ! ერთი წელი არ გაიცინეს, ათი წელი არ გაიცინეს, ასი წელი არ გაიცინეს და, სულაც დაივიწყეს სიცილი.

ჰოდა, აბა, მითხარი, ვინღა ასწავლიდა სიცილს პატარა გველეშაპუნა შაპი-შაპიკოს?

ერთხელ, შუაღამისას, საშინელი ჭექა-ქუხილი დაიწყო და კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა.

წვიმა ისე უშხაპუნებდა სასახლის ფანჯრებს, ისე უკაკუნებდა, რომ შაპი-შაპიკო გაალვიძა. მიიფშვნიტა, მოიფშვნიტა თვალები პატარა გველეშაპმა, საწოლიდან ჩამოხტა და ფანჯარასთან მიტანტალდა.

ოჰ, რამსისხო წვიმის წვეთები მოგორავდა მინებზე!

შაპი-შაპიკომ იფიქრა, მოდი, წვიმას თათს შევუშვერ და გავეთამაშებიო. გამოაღო ფანჯარა და... ჰოპ! ფანჯრის რაფაზე წვიმის კაცუნა არ შემოუხტა?! პატარა, მრგვალი, ძალიან სასაცილო.

- წკაპ! შუაღამემშვიდობისა, შაპი-შაპიკო! - თქვა წვიმის კაცუნამ.

- გამარჯობბა... - გაკვირვებისგან ენა დაება პატარა გველეშაპს.

- წკუპ! მოდი, ვიმხიარულოთ!

- მოდი! - გაეხარდა შაპი-შაპიკოს.

- წკაპ! შენ ახტები, მე - დავხტები! მერე მე ავხტები, შენ - დახტები!

- უჰ! კარგი! - თქვა შაპი-შაპიკომ.

გააჩაღეს და, რა მხიარული თამაში გააჩაღეს! ნეტავ, ჩვენც იქ ვყოფილიყავით!

მერე წვიმის კაცუნამ თქვა:

- წკუპ! იცი რა? ეს თამაში მომწყინდა. ახლა რაიმე სასაცილო ვითამაშოთ.

წვიმის კაცუნა დერეფანში გაგორდა და პატარა გველეშაპი, შაპი-შაპიკოც უკან მიჰყვა დანდალ-დანდალით.

წვიმის კაცუნა მარმარილოს კიბეებზე ჩაგორდა, ახტა, დახტა და სასახლის დარაჯ გველეშაპს, სასახლის მთავარ კართან რომ იჯდა და ეძინა, ზედ ცხვირზე დაახტა! იქიდან - სკუპ! - და ფარდას ამოეფარა.

შაპი-შაპიკომ ძლივს მოასწრო ფარდის უკან დამალვა. სასახლის დარაჯ გველეშაპს გამოეღვიძა, წამოხტა, თოფი მოიმარჯვა და შესძახა:

- მტერი შემოგვესია! არიქა! მტერი შემოგვესია!

ძალიან სასაცილო სანახავი იყო. ჰოდა, წვიმის კაცუნა ფარდის უკან იცინოდა და რას იცინოდა!

შაპი-შაპიკო კი გაკვირვებული უცქერდა და ეკითხებოდა:

- რა მოგივიდა? რას აკეთებ?

- რას და... ვიცინი! ჰა-ჰა-ჰა... ჰა-ჰა-ჰა... - უპასუხა წვიმის კაცუნამ.

დარაჯის ხმაზე სასახლის საძინებლებიდან მთავარი მინისტრები გამოცვივდნენ, რა თქმა უნდა, გველეშაპი-მინისტრები. ერთი მათგანი ჭამის მინისტრი იყო, მეორე - ყლაპვის მინისტრი, მესამე კი - ბღვერის მინისტრი.

ჰოდა, გამოცვივდნენ საცვლების ამარა და შესძახეს:

- რა იყო, რა ამბავია?!

- სადაა მტერი?!

ძალიან სასაცილო სანახავები იყვნენ.



ილია ჭრელაშვილის ნახატი

გავხედოთ და, ხმაურმა თვითონ მეფე-დედოფალიც გააღვიძა! გამოვიდა ორივე დიდებული საძინებლიდან. გვირგვინების მაგივრად თავზე სალამური ჩაჩები ეხურათ. ოჰ, მეფე და დედოფალი კი იყვნენ, მაგრამ, რას იზამ, მაინც სასაცილო სანახავები გახლდნენ.

- რა ამბავია? რა ხმაურია? - იკითხა მეფემ.

- მტერი შემოგვესია, დიდო მეფეო! - გამოეჯგიმნენ წინ საცვლებისამარა მინისტრები: ჭამის, ყლაპვის და ბღვერის.

- აბა, მაშინ ომს ვაცხადებ! - დაამთქნარა მეფე-გველეშაპმა და საძინებლისკენ წასვლა დააპირა, რომ დილამდე ცოტაც წაეძინა.

- კი მაგრამ, მტერი სადაა? - იკითხა დედოფალმა-გველეშაპმა.

- ჰო, მართლა, მტერი სადაა? - იკითხა მეფე-გველეშაპმა.

- ჰო, მართლა, მტერი სადაა? - იკითხეს ჭამის, ყლაპვის და ბღვერის მინისტრებმა.

და ყველა სასახლის დარაჯ-გველეშაპს შეაცქერდა. იმან მიიხედა, მოიხედა და თქვა:

- მტერი... მტერი ცხვირზე მექაჩებოდა! კი მაგრამ, სადაა? რა იქნა?

ო, რა სასაცილო სანახავი იყო. წვიმის კაცუნამ ვეღარ მოითმინა, ფარდის უკნიდან გამოგორდა და სიცილი ატეხა.

- ჰა-ჰა-ჰა... ჰი-ჰი-ჰი...

- ეს ვინ არის? - გაუკვირდა დედოფალ-გველეშაპს.

- ეე... ეს ვინ არის? - გაუკვირდა მეფე-გველეშაპს.

- ეს ვინ არის?! - გაუკვირდათ ჭამის, ყლაპვის და ბღვერის მინისტრებს.

შაპი-შაპიკო ფარდის უკნიდან გამოხტა და თქვა:

- ეს წვიმის კაცუნაა, ჩემი მეგობარი, და მეც მინდა სიცილი!

- აჰ, აჰ! სიცილი არ შეიძლება! გველეშაპებმა რომ სიცილი დაიწყონ, ყველაფერი აზანზარდება და დაინგრევა! - თქვა ბრძენ-მინისტრმა გველეშაპმა, ახლახან რომ გაღვიძებოდა.

- აბა, რა ვქნა? მეცინება! სიცილი მინდა! - თქვა შაპი-შაპიკომ და უცებ ისეთი მხიარული სიცილი ატეხა, რომ მის ხმაზე ჭერზე ჭაღი აზრიალდა.

წვიმის კაცუნა შუა დარბაზში დარბოდა და გაიძახოდა:

- არიქა! მტერი შემოგვესია! მტერს ჩვენი ცხვირები უნდა! არიქა! დავმალოთ ცხვირები! ჰა-ჰა-ჰა...

აბა, ვის არ გაეცინებოდა? ჰოდა ჭამის მინისტრმა თქვა:

- დიდო მეფეო! ვაიმე... უიმე... ძალიან ვწუხვარ... მაგრამ... ჰი-ჰი... მეცი... მეცინება!

და დასხო სიცილ-ხარხარი.

ოოო, როგორ შეზანზარდა იქაურობა! სასახლის ჭერზე კი სამი ბზარი გაჩნდა.

- დიდო მეფეო, - თქვა ახლა ყლაპვის მინისტრმა. ყველაზე მსუქანმა, ყველაზე უზარმაზარმა გველეშაპმა, - თავი რომ ისა... ფჰჰ... თავი რომ მომკვეთოთ, მაინც ვეღარ ვითმენ... ფჰჰჰ... ძალიან... ფჰჰჰ... მეცი... მეცი... ფჰჰჰ... მეცინება!

და დასცხო იმანაც სიცილ-ხარხარი.

ოოო, როგორ ზანზარებდა მთელი სასახლე! მაგრამ, ჯერ სად იყო საქმე!

მთელ საგველეშაპეთში ყველა გველეშაპს რომ აეტეხა სიცილი, როგორ გგონია, რა მოხდებოდა? ხომ სულ დაინგრეოდა და დაიქცეოდა იქაურობა?

არადა, აბა მითხარი, სიცილს რა სჯობია? უსიცილოდ გაძლება ხომ ძალიან ძნელია!

ჰოდა, სად იყო და სად არა, დარბაზში კეთილი ფერია ანიდა გაჩნდა. ბედად, რაღაც კეთილ საქმეზე მიფრინავდა თურმე და სწორედ გველეშაპების ქვეყანას უფრენდა იმ წუთებში თავზე. ბედად, ზემოდან დაინახა, როგორ ზანზარებდა სამეფო სასახლე. ჰოდა, კეთილმა გულმა არ მოუთმინა და იქ დაეშვა.

- გვიშველე რამე, კეთილო ფერია ანიდა, - შეეხვეწა მეფე-გველეშაპი, - ხომ იცი, ჩვენი ქვეყანა ერთიანად დაინგრევა, სიცილი რომ ავტეხოთ. არადა... არადა... ჰი-ჰი... სადაცაა... ჰი-ჰი... სადაცაა, მეც გამეცინება! ვეღარ ვითმენ... ძალიან მინდა სიცილი!..

- მეც, მეც მინდა სიცილი! - შესძახა დედოფალმა-გველეშაპმა.

კეთილმა ფერია ანიდამ ცოტა ხანს იფიქრა და თქვა:

- იცით რა, გველეშაპებო? რაღაც მოვიფიქრე. მოდი, მხიარული კაცუნების ქვეყნად გადაგაქცევთ! ჰოდა, იცინეთ და იცინეთ, რამდენიც გაგეხარდებათ!

- გადაგვაქციე, გადაგვაქციე! - შეეხვეწა მეფე-გველეშაპი, - აღარ გვინდა გაუცინარი გველეშაპები ვიყოთ!

- აღარ გვინდა! - თქვა დედოფალმაც.

- არც ჩვენ! სიცილი გვინდა, სიცილი! - დაიძახეს მინისტრებმა.

- აღარც ჩვენ გვინდა, გაუცინარი გველეშაპები რომ ვიყოთ, - შესძახეს მასწავლებელმა, ძიძა-გადიამ, დარაჯმა, მზარეულმა და მებაღე გველეშაპებმა. აღარავის, აღარავის უნდოდა გაუცინარი ყოფილიყო.

- ჩქარა, ჩქარა გადაგვაქციე მხიარული კაცუნების ქვეყნად! - ეხვეწებოდნენ გველეშაპები.

ფიქრის დრო აღარ იყო. შენ წარმოიდგინე, ბღვერის მინისტრი გველეშაპიც კი, სადაცაა, ფხუკო, დაიძახებდა და სასახლის ჭერი მაშინ კი ნამდვილად ჩამოინგრეოდა.

ჰოდა, ფერია ანიდამ ასწია თავისი ჯადოსნური ჯოხი და თქვა:

- ანი, ბანდი, განდი! გადაიქცეს გაუცინარი გველეშაპების ქვეყანა მხიარული კაცუნების ქვეყნად!

და ასეც მოხდა.

სადღა იყვნენ გველეშაპები! მათ ნაცვლად სასახლეში და სასახლის გარეთ მხიარული კაცუნები მიდი-მოდიოდნენ.

ისევ ლამაზად ელვარებდა სამეფო სასახლე. ისევ მოჩუხჩუხებდა შოკოლადის შადრევანი. არაფერიც არ ინგრეოდა, - თუმცა კი ყველა იცინოდა და მხიარულებდა.

მეფე და დედოფალი ისევ მეფე და დედოფალი იყვნენ, შაპი-შაპიკო - ისევ უფლისწული, ბღვერის მინისტრიც ისევ მინისტრი იყო, ოღონდ, - ღიმილ-სიცილის.

აი, ასე გაჩნდა მხიარული კაცუნების ქვეყანა.

იქით კვირას სწორედ იქ ვაპირებ წასვლას სტუმრად.

თუ გინდა, წამომყევი!







ილია ჭრელაშვილის ნახატი

## კროსვორდი




სოსო გუმბერიძის ნახატი

**თარაზულად:** 1. ჩვენი სამშობლო; 3. პირველი ქართული მულტფილმის, "არგონავტების" მხატვარი; 5. წინასწარი განცხადება დაგეგმილი ღონისძიების შესახებ (ფილმი, სპექტაკლი); 6. ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსის სათაური; 7. მულტიპლიკაციური, ანუ... 10. პრეისტორიულ ხანაში გადაშენებული უზარმაზარი ცხოველი; 13. ძველი ქართული ეროვნული სპორტის სახეობა; 15. სკოლის მოსწავლეთათვის განსაკუთრებულად საყვარელი დროის მონაკვეთი; 17. იესოს მიერ მკვდრეთით აღდგენილი კაცის სახელი; 18. რძის პროდუქტი; 19. სახელისა და გვარის პირველი ასოები, ანუ... 20. ცნობილი ქართველი მხატვარი ქალის გვარი.

**შვეულად:** 1. მეფე ერეკლეს კარის თეატრის სახელწოდება, ომის დროს ლაშქარს რომ წინ მიუძღოდა; 2. სახელმოხვეჭილი ქართული ღვინის ერთ-ერთი ჯიში; 3. ძლიერი, დამანგრეველი ძალის მქონე ქარი; 4. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის სახელწოდება; 8. თუ გინდა, იყო განათლებული, ბევრი ... ; 9. ქვიშით დაფარული დიდი ფართობი; 11. ქართული ხალხური ზღაპრის გმირი; 12. ცნობილი ქართველი მსახიობი, შაჰ-აბასის როლის შემსრულებელი ფილმში "გიორგი სააკაძე"; 13. დიდი დიამეტრის ატმოსფერული გრიგალი, რომელსაც ავდარი მოაქვს; 14. მითიური გოლიათი, რომელსაც ცა მხრებით ეჭირა; 15. "ორგანყოფილებიანი" კონტინენტი; 16. კავკასიონის მთაგრეხილის ყველაზე დიდი მწვერვალი.

კროსვორდი მოამზადა
ნანა გუმბერიძემ

## წინა თავსატეხის პასუხები






კროსვორდი
ანიმაციური
გმირებით

1. ბურატინო;
2. ტომი;
3. მაუგლი;
4. ტასიკო;
5. ალადინი;
6. ჩიპოლინო;
7. სიმბა;
8. კონკია;
9. ბემბი;
10. წითელქუდა.

## სკანვორდი



სოსო გუმბერიძის სკანვორდი